

K 18 625  
4

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ფლორა

XI



„მეცნიერება“

# საქართველოს ფლორა

## XI

გამომცემი გამომცემი

L A B I A T A E

„მცოდნეობა“  
თბილისი  
1987

საქართველოს ბიბლიოთეკა

ტომში თავმოყრილია ტუჩოსანთა ოჯახის 37 გვარისა და 152 სახეობის ნომენკლატურული, ტაქსონომიური, მორფოლოგიურ-სისტემატიკური, გეოგრაფიული და კარიოლოგიური ინფორმაცია. დაზუსტებულია სახეობის აწერის ადგილი, მათი გეოგრაფიული გავრცელება და ნომენკლატურული ტიპი. ტომი შეიცავს სახალხო მურწეობისათვის სასარგებლო მრავალი მცენარის დახასიათებას. ილუსტრირებულია ზოგიერთი იშვიათი და ენდემური მცენარის სურათებით, რუკებით. ვათეალისწინებულია ბოტანიკოსების, მეტყევეების, აგრონომების, პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის.

შემდგენლები: რ. გაგნიძე, მ. დავლიანიძე, ლ. ზაუტაშვილი, მ. ივანიშვილი, დ. კაპანაძე, ი. ლაჩაშვილი, რ. მოწერელია, დ. შიხვეთაძე, ო. კაპელერი, ზ. ღვინიაიძე, ლ. ხინთიბიძე, შ. ქუთათელაძე, ე. ალბუტაშვილი.

პასუხისმგებელი რედაქტორი — რ. გაგნიძე  
ტომის რედაქტორი — შ. ქუთათელაძე

Составители: Р. И. Гагнидзе, З. И. Гвинианидзе, М. Т. Давлианидзе, Л. Л. Зауташвили, М. А. Иванишвили, Д. А. Капанадзе, О. А. Капеллер, Ш. И. Кутателадзе, И. Я. Лачашвили, Р. В. Моцерелиа, Д. И. Мцхветадзе, Л. С. Хинтибидзе, Е. И. Албуташвили.

Отвественный редактор — Р. И. Гагнидзе  
Редактор тома — Ш. И. Кутателадзе

Auctores: L. Chinthibidze, M. Davlianidze, R. Gagnidze, Z. Gvinianidze, M. Ivanischvili, D. Kapanadze, O. Kapeller, Sch. Kuthatheladze, I. Latschaschvili, R. Mozerelia, D. Mtzchvetadze, L. Zautaschvili, E. Albuthaschvili.

Redactor responsabilis — R. Gagnidze  
Redactor tomi — Sch. Kuthatheladze

რეცენზენტები: ბიოლ. მეცნ. დოქტ. ი. მანდენოვა  
დოქტ. ა. ერქომაიშვილი

ს 200400000 52-87 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987  
M 607(06)-87

ს. ქ. სსო კ. მარტისის  
სახ. საბ. რეკ. ობ.  
ბიბლიოთეკა

საგვ. 2000  
საქართველოს ბიბლიოთეკა

581.9  
817

## წინასიტყვაობა

„საქართველოს ფლორის“ XI ტომში დახასიათებულია ოჯ. Labiatae-ს 37 გვარის 152 სახეობა.

გვარების დახასიათებაში დამატებულია მტერის მარცვლის მორფოლოგია. მოცემულია შიგაგვარობრივი სისტემა სექციების, ქვესექციებისა და სერიების დონეზე.

სახეობის ნომენკლატურა და ტაქსონომია განხილულია თანამედროვე მოთხოვნის დონეზე. ზოგიერთი სახეობის მოცულობა პოლიტიურადაა გაგებული. დაზუსტებულია ნომენკლატურული ტიპი ან სხვაობის აწერის კლასიკური ადგილი, გავრცელება საქართველოს ფლორის რაიონების მიხედვით; მოცემულია საერთო გეოგრაფიული არეალი. საქართველოს ზოგიერთი იშვიათი, ენდემური და კრიტიკული სახეობისათვის კვლავ ჩამოთვლილია გავრცელების პუნქტები, საპერბარიუმო ნიმუშების მიხედვით, კოლექტორის გვარის აღნიშვნით. ისევე როგორც წინა გამოცემებში დატულია საპერბარიუმო ნიმუშის ეტიკეტის ორიგინალი, მითითებულია ქრომოსომა რიცხვი (2n) და მოტანილია იშვიათი ან ენდემური სახეობების გავრცელების წერტილოვანი რუკები.

ქრომოსომა რიცხვები მითითებულია კაპიტალური ცნობარის — „Хромосомные числа цветковых растений“ (1969) მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ ცნობარში ერთი და იგივე სახეობისათვის ქრომოსომა რამდენიმე განსხვავებული რიცხვია მითითებული, „საქართველოს ფლორაში“ ნაჩვენებია კავკასიის ან მოსაზღვრე ტერიტორიის მასალაზე დათვლილ ქრომოსომა რიცხვები. ზემოთ დასახელებული ცნობარის შემდეგ გამოქვეყნებული ინფორმაცია ქრომოსომა რიცხვის შესახებ მოგვყავს ავტორის მითითებით.

ახალი გამოუქვეყნებელი მონაცემების შემთხვევაში მითითებულია შესწავლილი ნიმუში და მკვლევარი.

XI ტომს, ისე როგორც წინა ტომებს, თან ერთვის საქართველოს ფლორის რაიონების რუკა. ძირითადად სპეციალური ლიტერატურის მიღებული შემოკლებანი „საქართველოს ფლორის“ მე-2 გამოცემის VIII ტომშია მოცემული.

ტომში განხილული ზოგიერთი მცენარე სახალხო მეურნეობისათვის სასარგებლოა და ფართოდაა გამოყენებული როგორც ეთერზეთოვანი და ბოსტნეული.

რ ე დ ა ქ ც ი ა

## ПРЕДИСЛОВИЕ

XI том второго издания «Флоры Грузии» содержит характеристику 37 родов и 152 видов семейства Labiatae.

Том включает обширную номенклатурную, таксономическую, морфолого-систематическую, географическую информацию по видам семейства губоцветных. Характеристика родов дополнена описанием морфологии пыльцы.

Номенклатура и таксономия видов приведены согласно современным требованиям. Понимание некоторых видов политипическое. Для многих редких, эндемичных и критических растений вновь указаны хромосомные числа (2n) и географические пункты по гербарным образцам.


Сведения о хромосомных числах приведены в основном по справочнику «Хромосомные числа цветковых растений» (1969). Если в данном справочнике для какого-либо вида приводятся разные хромосомные числа, для «Флоры Грузии» приняты данные, полученные по материалам с Кавказа или сопредельных стран. Хромосомные числа, опубликованные после вышеотмеченного справочника, приводятся с ссылкой на работы соответствующих авторов. Если числа хромосом публикуются впервые, указываются исследованный образец и исследователь.

Как и в предыдущих томах, прилагается карта флористических районов Грузии с пояснительным текстом. Прилагаются также точечные карты распространения некоторых эндемичных и редких видов флоры Грузии. В дополнении приведены латинские диагнозы новых для науки таксонов.

Большинство видов, охарактеризованных в настоящем томе, являются ценными для народного хозяйства растениями.

Редакция

საქართველოს ფლორის რაიონები



- 1 — აფხ., 2 — სვან.; 3 — რაქა-ლენჩ., 4 — სამეგრ., 5 — იმერ., 6 — გურ., 7 — აჭარ.,  
8 — სამხ. ოს., 9 — ქართ., 10 — მთიულ., 11 — თუმ-ფშაე-ხევსურ., 12 — კახ., 13 — ქიზ., 14 —  
გარე კახ., 15 — გარდაბ., 16 — თრიალ., 17 — ქვ. ქართ., 18 — ჭავჭავ., 19 — მესხ.

შიმოკლიბულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტება

ავსტრალ. — ავსტრალია.

აზერბ. — აზერბაიჯანი.

ამერ. — ამერიკა (ამერიკის მთელი კონტინენტი, როგორც ჩრდილო ისე სამხრეთი).

ამიერკავკ. — ამიერკავკასია.

არაბ. — არაბეთი.

არქტ. — სსრკ არქტიკული ნაწილი (სსრკ ტუნდრის ზონა კუნძულების ჩათვლით).

არქტ. ამერ. — არქტიკული ამერიკა.

არქტ. ევრ. — არქტიკული ევროპა (ფენოსკანდიის ტუნდრის ზონა).

აფრ. — აფრიკა (აფრიკის თითქმის მთელი კონტინენტი მადაგასკარის კუნძულთურთ, გარდა  
ხმელთაშუაზღვის სანაპირო ნაწილისა).

აფხ. — აფხაზეთის ასსრ.

აღმ. აზ. — აღმოსავლეთი აზია (ჩრდ. ჩინეთი, ცენტრალური ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი,  
სამხრეთ ჩინეთის ჩრდილო ნაწილი და იაპონია).

აღმ. ანატ. — აღმოსავლეთი ანატოლია (თურქეთის სომხეთი — ქურთისტანი).

აღმ. საქ. — აღმოსავლეთი საქართველო.

აჭარ. — აჭარის ასსრ.

- ბალკ. — ბალკანეთი.  
 გარდაბ. — გარდაბანი.  
 გარე კახ. — გარე კახეთი.  
 გურ. — გურია.  
 დას. საქ. — დასავლეთი საქართველო.  
 ევრ. ნაწ. — სსრკ ევროპული ნაწილი (გარდა არქტიკული ზონისა).  
 თრიალ. — თრიალეთი.  
 თუშ-ფშავ-ხევსურ. — თუშეთ-ფშავ-ხევსურეთი.  
 იმერ. — იმერეთი.  
 იმიერკავკ. — იმიერკავკასია.  
 ინდო-მალ. — ინდო-მალაი (ინდოსტანისა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულები, სამხრეთ ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, მალაის არქიპელაგი ახალი ზელანდიის ჩათვლით).  
 ირ. — ირანი და ავღანეთი.  
 კახ. — კახეთი.  
 მესხ. — მესხეთი.  
 მთიულ. — მთიულეთი.  
 მც. აზ. — მცირე აზია.  
 რაჭა-ლეჩხ. — რაჭა-ლეჩხუმი.  
 სამეგრ. — სამეგრელო.  
 სამხ. ამერ. — სამხრეთ ამერიკა.  
 სამხ. ოს. — სამხრეთ-ოსეთის ა. ო.  
 საქ. სსრ — საქართველოს სსრ.  
 სვან. — სვანეთი.  
 სომხ. — სომხეთი.  
 სსრკ. — სსრკ-ის დანარჩენი ნაწილი.  
 ქართ. — ქართლი.  
 ქვ. ქართ. — ქვემო ქართლი.  
 ქიზ. — ქიზიყი.  
 შავი ზღვ. სანაბ. — შავი ზღვის სანაპირო აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით ქერჩის სრუტემდე.  
 შორ. აღმ. მხარე — შორეული აღმოსავლეთის მხარე ზღვისპირეთის მხარე, ზაბაროვსკის მხარე, ოხოტის სანაპირო, კამჩატკა და სახალინი).  
 შუა აზ. — საბჭოთა შუა აზია.  
 შუა ევრ. — შუა ევროპა.  
 ჩრდ. ამერ. — ჩრდილო ამერიკა არქტიკული ნაწილის გამოკლებით.  
 ჩრდ. ევრ. — ჩრდილო ევროპა არქტიკული ნაწილის გამოკლებით.  
 ცენტრ. აზ. — ცენტრალური აზია (მონღოლეთი, ცენტრალური და დასავლეთი ჩინეთი).  
 ციმბ. — ციმბირი.  
 ხმელთაშუაზღვ. მხრ. — ხმელთაშუა ზღვის მხარე (პირინეის და აპენინის ნახევარკუნძულები, სამხ. საფრანგეთი, ჩრდილო აფრიკა, პალესტინა და სირიის სანაპირო).  
 ჯავახ. — ჯავახეთი.

პირობითი ნიშნების ახსნა

- ⊙ — ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე
- ⊕ — ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე
- Ⓐ — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე
- ჰ — ბუჩქი
- ჩ — ხე
- — საქართველოს ენდემი
- ⊗ — კავკასიის ენდემი

„საქართველოს ფლორის“ XI ტომის კონსპექტი  
КОНСПЕКТ XI ТОМА «ФЛОРЫ ГРУЗИИ»

Ordo Tubiflorae

Fam. Labiatae Juss.

- Gen. 1. *Ajuga* L.  
    *A. comata* Stapf  
    *A. chia* Schreb.  
    *A. reptans* L.  
    *A. genevensis* L.  
    *A. orientalis* L.
- Gen. 2. *Teucrium* L.  
Sect. 1. *Teucriis*  
    *T. orientale* L.  
Sect. 2. *Stachybotris* Benth.  
    *T. hircanicum* L.  
Sect. 3. *Polium* (Mill.) Schreb.  
    *T. polium* L.  
Sect. 4. *Scordium* (Mill.) Benth.  
    *T. scordioides* Schreb.  
Sect. 5. *Chamaedrys* (Mill.) Schreb.  
    *T. nuchense* C. Koch  
    *T. multinodum* (Bordz.) Juz.  
    *T. trapezundicum* (Reching. fil.) Juz.
- Gen. 3. *Scutellaria* L.  
Subgen 1. *Scutellaria*  
Sect. 1. *Scutellaria*  
Subsect. 1. *Peregrinae* Boiss.  
Ser. 1. *Galericulatae*  
    *S. galericulata* L.  
Ser. 2. *Hastifoliae* Juz.  
    *S. hastifolia* L.  
Ser. 3. *Altissimae* Juz.  
    *S. altissima* L.  
Ser. 4. *Albidae* Juz.  
    *S. albida* L.

- Subsect. 2. *Salvifoliae* Boiss.  
 Ser. 5. *Ponticae* Juz.  
     *S. pontica* C. Koch  
     *S. helenae* Albov  
 Sect. 2. *Lupularia* A. Hamilt.  
 Ser. 1. *Leptostegiae* Charadze  
     *S. leptostegia* Juz.  
     *S. Raddeana* Juz.  
 Ser. 2. *Tauricae* Grossh.  
     *S. karatchaica* Charadze  
 Ser. 3. *Platystegiae* (Juz.) Grossh.  
     *S. Sosnowskyi* Takht.  
 Ser. 4. *Oreophila* A. Grossh.  
     *S. oreophila* Grossh.  
     *S. ossethica* Charadze  
 Ser. 5. *Orientalis* Grossh.  
     *S. orientalis* L.  
 Gen. 4. *Marrubium* L.  
 Sect. 1. *Marrubium*  
 Subsect. 1. *Desendentata* Briq.  
     *M. vulgare* L.  
 Subsect. 2. *Quinquedentata* Briq.  
     *M. goktschaicum* N. Pop.  
     *M. catariifolium* Desr.  
 Gen. 5. *Sideritis* L.  
 Sect. 1. *Hesiodia* (Moench) DC.  
 Ser. 1. *Montanae* Juz.  
     *S. comosa* (Rochel ex Benth.) Stank.  
     *S. montana* L.  
 Gen. 6. *Nepeta* L.  
 Sect. 1. *Cataria* Benth.  
     *N. cataria* L.  
 Sect. 2. *Spicatae* (Benth.) Pojark.  
     *N. supina* Stev.  
 Sect. 3. *Schizocalyx* Pojark.  
     *N. iberica* Pojark.  
 Sect. 4. *Stenostegiae* (Boiss.) Rechinger  
     *N. grandiflora* Bieb.  
     *N. Komarovii* E. Busch  
     *N. Grossheimii* Pojark.  
     *N. Mussinii* Spreng. ex Heckel  
     *N. Biebersteiniana* (Trautv.) Pojark.  
 Sect. 5. *Orthonepeta* Benth.  
     *N. pannonica* L.  
     *N. sulphurea* C. Koch

- Sect. 6. *Oxynepeta* Benth.  
*N. Schischkinii* Pojark.
- Sect. 7. *Micranthae* (Boiss.) Pojark.  
*N. Troitzkyi* Sosn.  
*N. amoena* Stapf
- Gen. 7. *Glechoma* L.  
*G. hederacea* L.
- Gen. 8. *Dracocephalum* L.  
 Subgen. 1. *Dracocephalum*  
 Sect. 1. *Dracocephalum*  
 Subsect. 1. *Jdiodracontes* Briq.  
 Ser. 1. *Nutantia* Schischk.  
*D. thymiflorum* L.  
 Subsect. 2. *Stenodracontes* Briq.  
 Ser. 2. *Foetidae* Schischk.  
*D. moldavica* L.  
 Subgen. 2. *Ruyschiana* (Mill.) Benth.  
 Ser. 1. *Euruyschiana* (Briq.) Schischk.  
*D. Ruyschianum* L.  
 Ser. 2. *Austriaca* (Briq.) Schischk.  
*D. austriacum* L.
- Gen. 9. *Lallemantia* Fisch. et Mey.  
*L. peltata* (L.) Fisch. et Mey.  
*L. canescens* (L.) Fisch. et Mey.  
*L. iberica* (Bieb.) Fisch. et Mey.
- Gen. 10. *Prunella* L.  
*P. vulgaris* L.  
*P. grandiflora* (L.) Scholl.  
*P. laciniata* (L.) Nathh.
- Gen. 11. *Eremostachys* Bunge  
 Sect. 1. *Phlomoides* Bunge  
 Ser. 1. *Laciniatae* (M. Pop.) Knorr.  
*E. iberica* Vis.
- Gen. 12. *Phlomis* L.  
 Sect. 1. *Phlomis*  
*P. pungens* Willd.  
 Sect. 2. *Phlomitris* (Reichenb.) Gladk.  
*P. tuberosa* L.
- Gen. 13. *Galeopsis* L.  
 Subgen. 1. *Galcopsis*  
*G. bifida* Boenn.  
*G. nana* Otschiauri  
 Subgen. 2. *Ladanum* (Gilib.) Juz.  
*G. ladanum* L.

- Gen. 14. *Lamium* L.  
 Sect. 1. *Lamium*  
 Subsect. 1. *Amplexicaulia* Briq.  
     *L. amplexicaule* L.  
 Subsect. 2. *Purpurea* Briq.  
     *L. purpureum* L.  
 Sect 2. *Lamyotypus* Dumort.  
 Ser. 1. *Tomentosa* Gorschk.  
     *L. tomentosum* Willd.  
 Ser. 2. *Alba* Gorschk.  
     *L. album* L.  
 Ser. 3. *Maculata* Gorschk.  
     *L. maculatum* L.
- Gen. 15. *Galeobdolon* Adans.  
     *G. luteum* Huds.
- Gen. 16. *Chaiturus* Willd.  
     *Ch. marrubiastrum* (L.) Ehrh.
- Gen. 17. *Leonurus* L.  
     *L. quinquelobatus* Gilib.
- Gen. 18. *Ballota* L.  
     *B. nigra* L.  
     *B. borealis* Schweigg.
- Gen. 19. *Betonica* L.  
 Sect. 1. *Betonica*  
 Ser. 1. *Grandiflorae* Chinth.  
     *B. macrantha* C. Koch  
 Ser. 2. *Niveae* Chinth.  
     *B. abchasica* (Pop.) Chinth.  
     *B. ossetica* (Bornm.) Chinth.  
 Ser. 3. *Orientales* Chinth.  
     *B. orientalis* L.  
 Ser. 4. *Officinales* Chinth.  
     *B. officinalis* L.  
     *B. glabrata* C. Koch
- Gen. 20. *Stachys* L.  
 Sect. 1. *Thamnostachys* Kapell.  
 Ser. 1. *Fruticulosae* (Boiss.) Knorr.  
     *S. fruticulosa* Bieb.  
 Sect. 2. *Zietenia* (Gled.) Benth.  
     *S. lavandulifolia* Vahl  
 Sect. 3. *Eriostachys* Benth.  
 Ser. 1. *Lanatae* Knorr.  
     *S. lanata* Jacq.  
     *S. cretica* L.  
     *S. germanica* L.  
     *S. Balansae* Boiss. et Kotschy ex Boiss.

- Ser. 2. Spectabiles Knorr.
  - S. spectabiliformis Kapell.
  - S. spectabilis Choisy ex DC.
- Ser. 3. Persicae Knorr.
  - S. macrophylla Albov
  - S. setifera C. A. Mey.
- Sect. 4. Stachys
- Ser. 1. Sylvaticae (Boiss.) Knorr.
  - S. sylvatica L.
  - S. trapezuntea Boiss.
- Ser. 2. Palustres Knorr.
  - S. palustris L.
- Ser. 3. Rectae Knorr.
  - S. atherocalyx C. Koch
  - S. iberica Bieb.
  - S. odontophylla Freyn
- Ser. 4. Maritimae Knorr.
  - S. maritima Gouan
  - S. pubescens Tenore
  - S. annua L.
- Gen. 21. *Salvia* L.
- Subgen 1. *Salvia*
- Sect. 1. *Salvia*
- Ser. 1. Pachystachyae Pobed.
  - S. Garedji Troitzk.
- Ser. 2. Ringentes Pobed.
  - S. ringens Sibth. et Smith
- Sect. 2. Drymosphace Benth.
  - S. glutinosa L.
- Subgen. 2. *Sclarea* (Mill.) Benth.
- Sect. 3. *Horminum* (Moench) Benth.
  - S. viridis L.
- Sect. 4. *Sclarea*
- Subsect. 1. Homalosphaceae (Boiss.) Briq.
  - Ser. 1. *Comparia* Pobed.
    - S. compar Trautv.
- Subsect. 2. Gongrosphaceae (Boiss.) Briq.
  - Ser. 1. *Sclareae* Pobed.
    - S. sclarea L.
  - Ser. 2. *Lanatae* Pobed.
    - S. aethiopsis L.
  - Ser. 3. *Verbascifoliae* Pobed.
    - S. verbascifoliae Bieb.
  - Ser. 4. *Limbatae* Pobed.
    - S. limbata C. A. Mey.



- Sect. 5. Plethiospace Benth.
  - Ser. 1. Pratenses Pobed.
    - S. virgata Jacq.
  - Ser. 2. Nemorosae Pobed.
    - S. nemorosa L.
  - Ser. 3. Austriacae Pobed.
    - S. armenica (Bordz). Grossh.
- Subgen. 3. Covola (Medik) Briq.
  - S. verticillata L.
- Gen. 22. Ziziphora L.
- Sect. 1. Serpyllaceae Benth.
  - Z. serpyllacea Bieb.
  - Z. borzhomica Juz.
  - Z. Dzhavakhischvilii Juz.
  - Z. Woronowii Maleev
  - Z. Puschkinii Adam
- Sect. 2. Ziziphora
  - Z. capitata L.
- Gen. 23. Faldermannia Trautv.
  - F. persica (Bunge) Newsky
- Gen. 24. Melissa L.
  - M. officinalis L.
- Gen. 25. Satureja L.
- Sect. 1. Sabbatia Briq.
- Ser. 1. Cuspidatae Boriss.
  - S. bzybica Woronow
  - S. spicigera (C. Koch) Boiss.
  - S. laxiflora C. Koch
- Gen. 26. Calamintha Mall.
  - C. grandiflora (L.) Moench
  - C. nepeta (L.) Savi
  - C. menthifolia Host.
  - C. debilis (Bunge) Benth.
- Gen. 27. Clinopodium L.
  - C. vulgare L.
  - C. umbrosum (Bieb.) C. Koch
- Gen 28. Acinos Moench
  - A. arvensis (Lam.) Dandy
  - A. rotundifolius Pers.
- Gen. 29. Amarus Gled.
  - A. rotundifolius Boiss.
- Gen. 30. Hyssopus L.
  - H. angustifolius Bieb.
- Gen. 31. Origanum L.
  - O. vulgare L.
- Gen. 32. Thymus L.

- Sect. 1. *Campotodronii* (A. Kern.) A. Kern.  
Subsect. 1. *Isolepides* (Borb.) Halascy  
    *T. iadjanuricus* Kem.-Nath.
- Sect. 2. *Marginati* (A. Kern.) A. Kern.  
    *T. nummularius* Bieb.  
    *T. caucasicus* Willd.  
    *T. grosseheimii* Bonn.  
    *T. collinus* Bieb.  
    *T. transcaucasicus* Ronn.  
    *T. rariflorus* C. Koch  
    *T. Sosnowskyi* Grossh.
- Subsect. 2. *Verticillata* (Klok. et Shost.) Menitz.  
    *T. Marschallianus* Willd.  
    *T. tiflisiensis* Klok. et Shost.  
    *T. Karjaginii* Grossh.  
    *T. coriifolius* Ronn.
- Gen. 33. *Lycopus* L.  
    *L. europaeus* L.  
    *L. exaltatus* L. fill.
- Gen. 34. *Mentha* L.
- Sect. 1. *Mentha*  
    *M. arvensis* L.  
    *M. aquatica* L.  
    *M. longifolia* (L.) L.
- Sect. 2. *Pulegium* (Mill.) DC.  
    *M. pulegium* L.
- Gen. 35. *Perilla* L.  
    *P. nankinensis* (Lour.) Decne
- Gen. 36. *Elsholtzia* Willd.  
    *E. ciliata* (Thunb.) Hyl.
- Gen. 37. *Mosla* Buch.-Ham. ex Maxim.  
    *M. dianthera* (Roxb) Maxim.
-

**რობი TUBIFLO RAE**

ოჯახი 129. LABIATAE JUSS.\* — ტუჩოსანნი

ყვავილები ორსქესიანია, ზიგომორფული ან იშვიათად თითქმის აქტინო-მორფული, ზოგჯერ მარტოულია თანაყვავილების (ყვავილთანური ფოთლების) ილღებში (Scutellaria და სხვ.), უფრო ხშირად რამდენიმეა ერთად შეკრებილი და ე. წ. ცრუ ჩხროებს (Verticilaster) ქმნის (თითოეული ასეთი ჩხრო შექმნილია ორი ციმოზური ყვავილედისაგან, რომლებიც ურთიერთ მოპირისპირედია განწყობილი, მათი თითოეული ნახევარი წარმოადგენს სამყვავილიან დიქაზიუმს ან ნახევარქოლგას); ცრუ ჩხროები თავის მხრივ შეკრებილია ცოტად თუ ბევრად მჭიდრო თავთავისებრ, მტევნისებრ ან საგველასებრ ყვავილედებად. ჯამი მილისებრია ან ზარისებრი, 4—5-კბილიანი, სწორი ან ორტუჩა — 3-კბილიანი ზედა ტუჩითა და 2-კბილიანი ქვედა ტუჩით. დაყვავილების შემდეგ ზედვე რჩება. გვირგვინი მეტწილად ორტუჩაა — 3-ნაკვითიანი ქვედა ტუჩითა და მთლიანი ან 2-ნაკვითიანი ზედა ტუჩით, ზოგჯერ გვირგვინის ზედა ტუჩი სუსტადაა განვითარებული და მაშინ — ერთტუჩიანს ჰგავს (Origanum, Satureia და სხვა), იშვიათად გვირგვინი 4—5-ნაკვითიანი (Lycopus, Mentha, Perilla, Mosla). ყვავილსაფართან ვითარდება კენწრული ფოთლები ე. წ. თანაყვავილები (bracteae) და თანაყვავილაკები (bracteolae) (თანაყვავილები განწყობილია ყვავილის ყუნწის ძირში, თანაყვავილაკები კი ყვავილის ყუნწზე თანაყვავილებსა და ყვავილებს შორის). მტვრიანა 4, მათგან 2 მტვრიანა ჩვეულებრივ მოკლეა დანარჩენ ორზე, იშვიათად ყველა მტვრიანა თითქმის თანაბარი ზომისაა (Mentha, Perilla და სხვ.); მტვრიანები ჩვეულებრივ გვირგვინის მიღზეა ძაფებით მიმაგრებული, ზოგჯერ რედუქციის შედეგად მხოლოდ 2 მტვრიანა ვითარდება (Mosla, Lycopus, Salvia, Ziziphora). სამტვრეები 2-ბუღიანია, პარალელური ან განშლადი ბუღეებით, სიგრძეზე ნაპრალით იხსნება. ბუტკო შედგება 2-ნაყოფის ფოთლისაგან. ნასკვი ზედაა, ცრუ ტიხრის განვითარების შედეგად 4-ბუღიანია, თითოეულ ბუღეში თითო თესლკვირთი. სვეტი გრძელია, მეტწილად ნასკვის შუა ნაწილიდან ამოდის, წვერზე ჩვეულებრივ 2-ნაკვითიანია. ნაყოფი ჯამშია ჩამალული, მომწიფებისას 4 ერთთესლიან კაკლუქად იშლება. — ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ან ნახევრად ბუჩქები 4-წახნაგოვანი დეროებითა და როგორც წესი მოპირისპირედ განწყობილი ფოთლებით.

1. ოთხი მტვრიანიდან მხოლოდ ორია განვითარებული . . . . . 2  
 — ოთხივე მტვრიანა განვითარებული . . . . . 6

\* შეადგინეს შ. ქუთათელაძემ და ლ. ხინთიბიძემ



2. ჯამი ყვავილობისას თითქმის სწორია 5-კბილიანი, ნაყოფობისას ორტუჩა, ვადიდებულია და ძირში პარკივითაა გამობერილი, მისი ზედა ტუჩი ფერადი, მთლიანი, ბრტყელი, მოკლედ წაწვეტებული, ნახევარქოლგები 1—2-ყვავილობისა, შეკრებილია ცალ მხარეზე განწყობილ კენწრულ და ილიურ მტევნისებრ ყვავილელებად . . . . . 37. *Mosla Buch.-Ham. ex Maxim*
- მცენარე სხვა ნიშანთვისებებით ხასიათდება . . . . . 3
3. გვირგვინი თითქმის აქტინომორფულია, 4-ნაკვთიანი, მისი ზედა ნაკვთი დანარჩენებზე უფრო დიდია. ყვავილები პატარა ზომისაა, თეთრი, მეწამულე ფერის წერტილებით, თითქმის მჯდომარე, ფოთლების ილიებში ჩხროვებდა შეკრებილი . . . . . 33. *Lycopus L.*
- გვირგვინი აშკარად ორტუჩაა . . . . . 4
4. გვირგვინის ზედა ტუჩი მუზარადისებრია. ჯამი ზარისებრია, უფრო იშვიათად მილისებრი. მტვრიანა გრძელი, ძაფისებრი შუასაბამითაა . . . . . 21. *Salvia L.*
- მტვრიანა პატარა ზომის შუასაბამითაა, ჯამი მილისებრია, 13-ძარღვიანი . . . 5
5. გვირგვინის ზედა ტუჩი სწორმდგომია, ქვედა — ვაფართოებული, რომლის შუა ნაკვეთი უფრო ვიწროა და გრძელი, მტვრიანა 2. სამტვრეებს დანამატი არა აქვს . . . . . 22. *Ziziphora L.*
- გვირგვინის ორივე ტუჩი სწორმდგომია, ქვედა ტუჩის შუა ნაკვეთი გვერდით ნაკვეთებზე უფრო ფართოა, მოკლე ან მათი ტოლი. 4 მტვრიანიდან 2 სტერილურია. სამტვრეებს დანამატი აქვს . 23. *Faldermannia Trautv.*
6. გვირგვინი თითქმის აქტინომორფულია, ოდნავ ორტუჩა . . . . . 7
- გვირგვინი აშკარად ორტუჩაა . . . . . 9
7. გვირგვინი 5-ნაკვთიანია, ოდნავ ორტუჩა. ყვავილედი საგველასებრია. ფოთლები მუქი მოწითალო ფერისაა . . . . . 35. *Perilla L.*
- გვირგვინი 4-ნაკვთიანია . . . . . 8
8. გვერდითი მტვრიანები შუათანა მტვრიანებზე გრძელია. ყვავილედი თავთავისებრია, ცალმხარეზე განწყობილი. თანაყვავილები დიდი ზომისაა, მონაცვალ კვერცხისებრი ფორმის, წამწამებიანი . . . . 36. *Elsholtzia Willd.*
- ყველა მტვრიანა თანაბარზომისაა. ყვავილედი თავთავისებრია ან თავთავისებრი. თანაყვავილები ვიწროა, ლანცეტადან სადგისისებრამდე ფორმის . . . . 34. *Mentha L.*
9. გვირგვინის ზედა ტუჩი სუსტადაა განვითარებული და ამიტომ გვირგვინი ერთტუჩიანს ჰგავს . . . . . 10
- გვირგვინი აშკარად ორტუჩაა . . . . . 11
10. გვირგვინის მილი შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი რგოლითაა შემოვლებული. გვირგვინი დაყვავილების შემდეგ ჰკნება და ნაყოფზეა შერჩენილი, მისი ზედა ტუჩი ძალიან მოკლეა, ბრტყელი, ქვედა ტუჩი კი 3-ნაკვთიანია, რომლის შუათანა ნაკვეთი უფრო დიდი ზომისაა და უკუუღლისებრი ფორმის . . . . . 1. *Ajuga L.*
- გვირგვინის მილის შიგნით არაა განვითარებული ბეწვებისაგან შექმნილი რგოლი, გვირგვინი დაყვავილების შემდეგ ცვივა, მისი ზედა ტუჩი 2-დააღრმად გაყოფილი, რომლის თითოეული ნაკვეთი მიახლოებულია ქვედა ტუჩის ნაკვეთებთან ისე, რომ ქვედა ტუჩი 5-ნაკვთიანი ჩანს . . . . . 2. *Teucrium L.*

ჩ. ბ. 625

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



11. მტერიანები გვირგვინის მიღში ჩამალული . . . . .
- მტერიანები ამოყოფილია გვირგვინის მილიდან ან გვირგვინის ზედა მთხრალის მიხედვით . . . . . 13
12. ჯამი მილისებრ-ჯამისებრია, 5-კბილიანი, რომლებიც ეკლისებრი წვეტით ბოლოვდება . . . . . 5. *Sideritis L.*
- ჯამი მილისებრია, 5—10-ეკლისებრკბილიანი . . . . . 4. *Marrubium L.*
13. გვირგვინის ზედა ტუჩი ქვედა ტუჩის ცალკე ნაკეთებს ჰგავს . . . . . 14
- გვირგვინის ზედა ტუჩი მკვეთრად განსხვავდება ქვედა ტუჩის ნაკეთებისაგან . . . . . 22
14. თანაყვავილები დიდი ზომისაა, მომრგვალო ფორმის, შეფერილია, ყვავილებს მნიშვნელოვნად აღემატება. ჯამი ზარისებრია, ორტუჩა, მისი ზედა ტუჩი 3-კბილია, ქვედა — ორკბილი . . . . . 29. *Amaracus Gled.*
- თანაყვავილები პატარა ზომისაა, ჯამის ტოლია ან ჯამზე მოკლე, სხვა ფორმისა . . . . . 15
15. მტერიანები ამოყოფილია გვირგვინიდან . . . . . 16
- მტერიანები არაა ამოყოფილი გვირგვინიდან, არამედ ზედა ტუჩის ქვეშაა ამოფარებული ან მასზე მიწოლილი . . . . . 18
16. გვირგვინის ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი გვერდით ნაკვთებზე უფრო დიდი ზომისაა. ყვავილელი თვითავისებრია, გრძელი, ცალ მხარეზე განწყობილი. ჯამი მილისებრ-ზარისებრია, 15-ძარღვიანი . . . . . 30. *Hyssopus L.*
- გვირგვინის ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი გვერდითი ნაკვთების ტოლია . . . . . 17
17. ჯამი თითქმის 5 თანაბარზომის კბილითაა. თანაყვავილები ლანცეტა ფორმისაა, ჯამზე გრძელი. ყვავილები პატარა ზომისაა, ფარისებრ საგველად შეკრებილი . . . . . 31. *Origanum L.*
- ჯამი ორტუჩაა, მისი ზედა ტუჩი ფართოა, 3-კბილიანი, ქვედა ტუჩი 2 ვიწრო და გრძელი კბილითაა, რომლებიც ჯაგრისებრი წამწამებითაა მოფენილი. თანაყვავილები ჯამზე მოკლეა . . . . . 32. *Thymus L.*
18. ჯამი ზარისებრია, 10-ძარღვიანი და 5-კბილიანი . . . . . 25. *Satureja L.*
- ჯამი 13-ძარღვიანია, ორტუჩა . . . . . 19
19. ჯამი ზარისებრია, მისი ზედა ტუჩი თითქმის ბრტყელია. გვირგვინი თეთრია ან მკრთალი მოყვითალო ფერის. მცენარეს ლიმონის სურნელება ახასიათებს . . . . . 24. *Melissa L.*
- ჯამი მილისებრია, სწორი ან მოხრილი, მისი ზედა ტუჩი არაა ბრტყელი. გვირგვინი ვარდისფერია ან სოსანი . . . . . 20
20. ნახევარქოლგები მჯდომარეა. ჯამი მოხრილია, ძირში კუზივითაა ძლიერ გამობერილი . . . . . 28. *Acinos Mill.*
- ნახევარქოლგები ცოტათ თუ ბევრად გრძელ ყუნწებზე სხედან. ჯამი სწორია ან ოდნავ მოხრილი, ძირში ნაკლებად შესამჩნევად კუზივით გამობერილი . . . . . 21
21. ჯამი სწორია. თანაყვავილები ლანცეტაა, ყვავილის ყუნწებზე მოკლე . . . . . 26. *Calamintha Mill.*



— ჯამი ოდნავა მოხრილი. თანაყვავილები ხაზურ-სადგისისებრია, გაფარჩხულ ბეწვიანი, ყვავილის ყუნწებზე გრძელი . . . . . 27. **Clinopodium L.**

22. გვერდითი ორი მტვრიანა (ე. ი. ქვედა ტუჩზე მიმაგრებული) შუა ორ მტვრიანაზე მოკლეა . . . . . 23

— გვერდითი ორი მტვრიანა შუა ორ მტვრიანაზე გრძელია . . . . . 28

23. ღერო მწოლარეა, მუხლებში დაფესვიანებული. ფოთლები მომრგვალო გულისებრია, გრძელყუნწიანი . . . . . 7. **Glechoma L.**

— ღერო სწორმდგომია ან წამოწეული . . . . . 24

24. გვირგვინის ზედა ტუჩი სწორია ან ოდნავ შეზნეპილი, წვერზე ამოკვეთილი . . . . . 25

— გვირგვინის ზედა ტუჩი მუზარადისებრია . . . . . 27

25. ჯამი სწორია ან ოდნავ მოხრილი, სწორი ან ირიბი ხახით და თითქმის თანაბარზომის კბილებით. გვირგვინის ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი დიდი ზომისაა, შეზნეპილი, კიდევებაკბილული . . . . . 6. **Nepeta L.**

— ჯამი სწორია, 5-კბილა, მათგან ზედა კბილი დანარჩენებზე უფრო ფართოა . . . . . 26

26. გვირგვინის ზედა ტუჩს შიგნით 2 სიგრძივი ნაკეცი ჩასდევს. თანაყვავილაკები დიდი ზომისაა, დაკბილული, რომლებიც ფხისებრი ჯაგრებით ბოლოვდება . . . . . 9. **Lallemantia Fisch. et Mey.**

— გვირგვინის ზედა ტუჩს შიგნით ნაკეცები არა აქვს . . . 8. **Dracocephalum L.**

27. ჯამის კბილები ძაფისებრი ფხებიანია. ფოთლები მთლიანია. კაკლუშები წვერზე შიშველია . . . . . 12. **Phlomis L.**

— ჯამის კბილები ეკლისებრ წაწვეტებულია, ფოთლები განკვეთილია. კაკლუშები წვერზე მატყლისებრ შებუსულია . . . 11. **Eremostachys Bunge**

28. ჯამი ორტუჩაა, დაყვავილების შემდეგ პირმოკუმული . . . . . 29

— ჯამი არაა ორტუჩა, დაყვავილების შემდეგ პრიალაა . . . . . 30

29. ჯამის ორივე ტუჩი მთლიანია, ზედა ტუჩის ზურგზე პარკისებრ გამობერილი დანამატია განვითარებული. გვირგვინის ქვედა ტუჩი მთლიანია . . . . . 3. **Scutellaria L.**

— ჯამის ზედა ტუჩი 3-კბილიანია, ქვედა კი ორად გაყოფილი. გვირგვინის ქვედა ტუჩი 3-ნაკვთიანია . . . . . 10. **Prunella L.**

30. გვირგვინის ქვედა ტუჩი 3-ნაკვთიანია, შუათანა ნაკვთი უფრო დიდი ზომისაა, ძირში 2-ღრუიანი რქისებრი გამონაზარდი აქვს . . 13. **Galeopsis L.**

— გვირგვინის ქვედა ტუჩს ღრუიანი გამონაზარდები არა აქვს . . . . . 31

31. გვერდითი მტვრიანები დაყვავილების შემდეგ გვერდზეა გადახრილი ან დაგრეხილია და ქვევითაა დახრილი . . . . . 32

— გვერდითი მტვრიანები დაყვავილების შემდეგ სწორია . . . . . 33

32. ფოთლები მთლიანია, იშვიათად ფრთისებრ დაყოფილი. კაკლუშები უკუკვერცხისებრია, მომრგვალო კვერცხისებრი, ან ელიფსური . . . . . 20. **Stachys L.**

— ფოთლები თათისებრაა განკვეთილი. კაკლუშები სამწახნაგოვანია . . . . . 17. **Leonurus L.**

33. გვირგვინის ქვედა ტუჩის გვერდითი ნაკვებები სადგისისებრი კბილების სახითაა, მისი შუათანა ნაკვითი კი დიდი ზომისაა, ამოკვეთილი . . . . . 14. *Lamium L.*
- გვირგვინის ქვედა ტუჩის ნაკვებებს სადგისისებრი კბილების ფორმა არა აქვს . . . . . 34
34. გვირგვინის მილი შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი რგოლითაა . . . . . 35
- გვირგვინის მილს შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი რგოლი არა აქვს . . . . . 36
35. ჯამი ძაბრისებრია. გვირგვინი ვარდისფერია, მისი ზედა ტუჩი სწორია . . . . . 18. *Ballota L.*
- ჯამი მილისებრ-ზარისებრია. გვირგვინი ყვითელია, მისი ზედა ტუჩი მუ-ზარადისებრია . . . . . 15. *Galeobdolon Adans.*
36. ყვავილები პატარა ზომისაა. გვირგვინი ჯამს არ აღემატება. მტვრიანები ოდნავაა გვირგვინის მილიდან ამოყოფილი . . . . . 16. *Chaiturus Willd.*
- ყვავილები დიდი ზომისაა. გვირგვინი 1,5—3-ჯერ აღემატება ჯამს. მტვრიანები მნიშვნელოვნადაა გვირგვინის მილიდან ამოყოფილი . . . . . 19. *Betonica L.*

გვ. 1. AJUGA L\*— გვირგვინი

ყვავილები შეკრებილია თანაყვავილების იღლებში მოთავსებულ, 2—მრავალყვავილიან ჩხრებულ (რგოლებულ), რომლებიც თავის მხრივ ქმნიან გრძელ, ენწრულ, თავთავისებრ ყვავილედს. ჯამი ზარისებრია, 5-ნაკვითანი (კბილიანი), სწორი, მხოლოდ ზედა კბილია ზოგჯერ დანარჩენებზე ოდნავ მოკლე. გვირგვინი ყვითელია, ცისფერი, იშვიათად თეთრი ან ვარდისფერი, დაყვავილების შემდეგ ზედვე ხმება და ნაყოფზეა შერჩენილი; მისი ზედა ტუჩი ძალიან მოკლეა, ორნაკვითანი ან წვერზე ოდნავ ამოკვეთილი; ქვედა ტუჩი შედარებით გრძელია, სამნაკვითანი, მათგან გვერდითი ნაკვებები პატარა ზომისაა. შუა — უფრო დიდია, უკუგულისებრი ან თირკმლისებრი, წვერზე მეტნაკლებად ამოკვეთილი; გვირგვინის მილი შიგნით, ჩვეულებრივ ბეწვიანი რგოლითაა, იშვიათად შიშველი. მტვრიანა 4, მეტწილად გვირგვინის მილიდან ამოყოფილი, მათგან ორი გვერდითი მტვრიანა შუათანა მტვრიანებზე გრძელია. ზოგჯერ მტვრიანები მოკლეა და გვირგვინის მილშია ჩამალული. მტერის მარცვლი თითქმის სტეროსებრია, განიკვეთში მომრგვალო ან მომრგვალო-სამკუთხა, მერედიანულად განლაგებული სამი ლარით, 3ნ მიკრონამდე დიამეტრის; ლარი გრძელია, ფართო, უთანაბრო კიდეებით და სოლისებრი ბოლოებით; მემბრანა წვრილმარცვლოვანია; ეგზინის სისქე 1,8—2,4 მიკრონია, სტრუქტურა მესრისებრია, ზედაპირი ბადისებრი. ნაყოფი კაკლუქია, განივი ან ბადისებრნაოჭიანი ზედაპირით. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ან ნახევრადუჩქები, სწორმდგომი ან წამოწეული ღეროთი და მთლიანი ან სამნაკვითანი ფოთლებით.

გვარში გავრთიანებულ 50-მდე სახეობიდან, რომლებიც უმთავრესად დედამიწის ზომიერ ზონაშია გავრცელებული, საქართველოში 5 სახეობა გვხვდება.

\* დაამუშავა ი. ლაჩავილიძე

1. ყვავილები ფოთლის იღლებში 2-ყვავილიან ჩხროებადაა (რგოლებად) შეკრებილი. გვირგვინი ყვითელია. ღეროსეული ფოთლები სამადაა გაყოფილი ან სამნაკეთიანია. კაკლუჭები წვერზე ბადისებრნაოჭიანია, ქვემოთ განიგნაოჭიანი . . . . . 2
- ყვავილები ფოთლის იღლებში რამდენიმეა, 4—8 ყვავილიან ჩხროებად (რგოლებად) შეკრებილი. გვირგვინი, ჩვეულებრივ ლურჯია ან ცისფერი, იშვიათად თეთრი ან ვარდისფერი. ფოთლები ჩვეულებრივ მთლიანია. კაკლუჭები მთელ ზედაპირზე ბადისებრნაოჭიანია . . . . . 3
2. ღერო, ჩვეულებრივ ირგვლივ (ყოველი მხრიდან) გაფარჩხული ბეწვით მოფენილი. ჯამი მთელ ზედაპირზე თანაბრად შებუსული. . . . . 2. *A. chia* Schreb.
- ღერო ორ მოპირდაპირე მხარეზეა მუხლთშორისების წახნაგებზე მორიგეობით მოკლე, მიტკეცილი ბეწვით შებუსული, ზოგჯერ ღერო (მეტწილად მუხლებში) გაფარჩხული, მეჩხერი ბეწვებითაცაა მოფენილი. ჯამი მხოლოდ კბილების ძირშია შებუსული, ქვემოთ კი შიშველია . . . . . 1. *A. comata* Stapf
3. ღერო ძირში გრძელი მხოხავი, დაფესვიანებული, შეფოთილი ყლორტებითაა. ფესვთანური ფოთლები ნიჩბისებრია ან ნიჩბისებრ-უკუკვერცხისებრი, ძირში გრძელ ყუნწში შევიწროებული. ღეროსეული ფოთლები მცირერიცხოვანია, მჯდომარე . . . . . 3. *A. reptans* L.
- ღეროს ძირში მხოხავი ყლორტები არა აქვს . . . . . 4
4. გვირგვინის მილი მოგრებილია, ამიტომ მისი ქვედა ტუჩი ზევითაა მიქცეული. ჯამის კბილები ორჯერ გრძელია მილზე. მტვრიანები მოკლეა, გვირგვინის მილში ჩამალული. მთელი მცენარე ჩვეულებრივ ცოტად თუ ბევრად მოთეთრო მატყლისებრბანჯგვლიანია . . . . . 5. *A. orientalis* L.
- გვირგვინის მილი სწორია, მისი ქვედა ტუჩი ქვევითაა მიქცეული. ჯამის კბილები მილის ტოლია. მტვრიანები გრძელია, გვირგვინის მილიდან ამოყოფილი. მცენარე შედარებით ნაკლებადაა შებუსული . . . . . 4. *A. genevensis* L.

1. *A. comata* Stapf, Denkschr. Akad. Wiss. Wien Math.—Nat. 50 (1885) 50; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 13.—*A. pseudochia* Shost. в Бот. мат. герб. Бот. инст. АН СССР VIII (1940) 147; Визн. росл. УРСР (1950) 407; Письякуова во Фл. СССР XX (1954) 21; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 223; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 410 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 303; Галушко, Фл. Северн. Кавк. 3 (1980) 26.—*A. chia* non Schreb. auct: Benth. in DC. Prodr. XII (1848) 601 p. p.; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 449 p. p.; Boiss. Fl. Or. IV (1879) 802, p. p.; Н. Поп. в Мат. Фл. Кавк. IV, 3 (1916) 11 p. p.; Колак. Растит. мнр Колх. (1961) 311 p. p.; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 132 p. p.—*A. chia* (Poir.) Schreb.: Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 281 p. p.; idem Опред. раст. Кавк. (1949) 325 p. p.; Колак. Фл. Абх. IV (1949) 40 p. p.; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 260 (georg.) p. p.; Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 85 (georg.); Колак. Фл.

Abx. 2, II (1982) 243 p. p.—*A. chamaepitys* (L.) Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 34 p. p.—*A. chamaepitys* (L.) Schreb. subsp. *chia* (Schreb.) Ar-cang. var. *ciliata* Briquet Ann. Cons. Jard. Bot. Geneve 17 (1913—14) 401; Davis, Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 38 (1980) 26; idem, Fl. Turkey 7 (1982) 48.—*A. chamaepitys* (L.) Schreb. subsp. *ciliata* (Briquet) Smejkal Preslia 33 (1961) 392.

Ис.: Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) Tab. nostr. 3; 561, fig. 2; Ма-кашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) Таб. XCVIII [Sub. *A. chia* (Poir.) Schreb.]; Фл. СССР XX (1954) таб. I, рис. I, 1a (Sub. *A. pseudochia* Shost.); Фл. Европ. части СССР III (1978) таб. 23, 4, 4a—4б (Sub. *A. chia* Schreb.).

2. ბალახებია, ზოგჯერ ნახევრად ბუჩქები; ღერო წამოწეულია, სწორ-მდგომი ან გართხმული, ძირში დატოტვილი, 8—25 (35) სმ სიგრძის, ჩვეუ-ლებრივ ორ მოპირისპირე მხარეზეა (მუხლთაშორისების წახნაგებზე) მორი-გეობით სწორი, მიტკეცილი ბეწვით შებუხსული, ზოგჯერ ღერო (მეტწილად მუხლებში) გაფარჩხული, მეჩხერი ბეწვითაცაა ირგვლივ მოფენილი; ფოთლე-ბი ჩვეულებრივ უხეში, მატყლისებრი, გრძელი ბეწვითაა დაფარული; ღერო-სეული ფოთლები სამნაკვითიანია; ნაკვეთი მთლიანია, ხაზური, კიდეზე და-ხვეული, 15—35 მმ სიგრძის, 1,5—3 მმ სიგანის; ქვედა ფოთლები მეტწილად მთლიანია, მოგრძო-წიხისებრი ან წვერზე 3-ნაკვითიან; თანაყვავილები ღე-როსეული ფოთლების მსგავსია, სიგრძით თითქმის ყვავილის ტოლი ან ოდნავ მასზე გრძელი. ყვავილები ფოთლის უბეში 2-ყვავილიან ჩხრობადაა (რგო-ლებად) შეკრებილი; ჯამი ზარისებრია, 4—5 მმ სიგრძის, 5-ნაკვითიან (კბი-ლიანი), ჩვეულებრივ მხოლოდ კბილების ძირშია შებუხვილი, ქვემოთ კი ში-შველი; ჯამის კბილები მახვილ-სამკუთხაა, 2—2,5 მმ სიგრძის; გვირგვინი ლი-მონისფერ ყვითელია ან მკრთალი ყვითელი, მეწამულზოლებიანი მილით და წინწყლებიანი ქვედა ტუჩით, გარედან ბუსუსიანი, 16—20 მმ სიგრძის, 4—5-ჯერ გრძელია ჯამზე. კაკლუჭები მოგრძოა, 2,5—3 მმ სიგრძის, 1—1,5 მმ სი-განის, განივნაოჭებიანი, მხოლოდ წვერზეა ბადისებრი ნაოჭებით. VI—IX.

აწერილია ირანიდან.

Typus: „Persia occid.: Haidere prope Hamadan, Pichler, WU“ (sec. Rechinger l. c.).

იზრდება მშრალ თიხნარ და ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, მინდვრებსა და ნათესებში, ბალ-ვენახებსა და გზის პირებზე. დაბ-ლობიდან მთის შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: კოდორის ხეობა (კოლაკოვსკი, op-cit.); 3 — რაჭა-ლეჩხ.: რაჭა, სოფ. ჭელია-ლეღესა და ხოტეურას შორის (კემულარია-ნათაძე); სოფ. წესი (გაგნიძე, მიქელაძე); ლეჩხუმში, სოფ. აჭარა (კემულარია-ნათაძე); სოფ. ალბანა (იგივე); 9 — ქართ.: სოფ. ქვაბისხევი (ტროიცი); ბორჯომი (კოზლოვსკი); ტანას ხეობა, სოფ. ატენი (ვორონოვი; რადე); ქვათა-ხევი (გუ-ბისი); მუხრანი (უცნობი კოლექტორი); საგურამო, ბზიანი (მთვარაძე); მცხე-თა (მიშიენკო; არხიზიანი); შიომღვიმის ქედი, მონასტრის მიდამოები (ვართა-პეტიანი); ქორქის — კუს ტბა (პავირევი; კაფიევი); ბეთანია (რადე); სოფ. წავეკისი (სოსნოვსკი); თბილისი (მედვედევის ჰერბარიუმი); იქვე, დაბახანის — ლელვთახევის ხეობა (სოსნოვსკი); თბილისის ბოტანიკური ბაღი (ვორონოვი;

ქუთათელაძე); თელეთის ქედი (უტკინი კაფიევი); 14 — გარე-კახ.: ვახუშტის  
ნი (მაყაშვილი); საგარეჯოს რაიონი, სოფ. ხაშვი (ქუთათელაძე); კაკაბეთი  
(ყანაველი); სოფ. მალხაზოვის ახლოს (ტროიცი); გარეჯის ველი (იგივე);  
16 — თრიალ.: მანგლისი (ნიკოლაევი); სოფ. ზემო ბოშურის მიდამოები (ქუ-  
თათელაძე, ხინთიბიძე, ლვინიანიძე); მდ. ალგეთის მარჯვენა მხარე (ქუთათე-  
ლაძე, მცხვეთაძე, ლვინიანიძე, შხიანი); მდ. ხრამის ხეობა, პანტიანის გზაზე  
(ლვინიანიძე, ხინთიბიძე); იქვე სოფ. პანტიანსა და ყარა-ბულახს შორის (ქუ-  
თათელაძე, ხინთიბიძე, ლვინიანიძე, შხიანი); თეთრი წყარო (საფაროვა); 17—  
ქე. ქართ.: დმანისის რაიონი, სოფ. განათლება (დოლუხანოვი, მანდენოვა,  
შხიანი); 18 — ჯავახ.: ახალქალაქის მიდამოები, თავშანი (გროსპეიმი; ხინთი-  
ბიძე); ზრესის ტბის მიდამოები (ხინთიბიძე; ლვინიაშვილი, ჩუხრუკიძე); 19—  
მესხ.: ახალციხესა და აწყურს შორის (სოსნოვსკი); ახალციხის ახლოს (სოს-  
ნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); იქვე ფოცხოვ-ჩაის მარცხენა მხარე  
(სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); ახალციხესა და ქისათიბს შორის  
(კოზლოვსკი); ვარძია (ხინთიბიძე, ლვინიაშვილი); სოფ. ოთასა და დამალას  
შორის (კოზლოვსკი). პოვნა შესაძლებელია სხვა რაიონებშიც.

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.; ევრ. ნაწ.; შუა აზ. (მთიანი თურქმენეთი).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.

2. *A. chia* Schreb. Pl. vert. unilab. (1774) 25; Benth. Lab. Gen. Sp. (1833) 699; idem in DC. Prodr. XII (1848) 601, p. p.; Ledeb. Fl. Ross III (1849) 449 p. p.; Boiss. Fl. Or. IV (1879) 802 p. p.; Шмалыг. Фл. Сред. и Южн. Росс. II (1897) 346, p. p.; Н. Поп. в Mat. Фл. Кавк. IV, 3 (1916) 11 p. p.; Письяукова во Фл. СССР XX (1954) 20; Колак. Растит. мир Колх. (1961) 311 p. p.; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 410 (georg.); eadem Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 303; Гладкова во Фл. Европ. части СССР. III (1978) 132 p. p.; Галушко, Фл. Северн. Кавк. 3 (1980) 26.—*A. chia* (Poir.) Schreb.; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 281 p. p.; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 325 p. p.; Колак. Фл. Абх. IV (1949) 40 p. p.; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 260 p. p. (georg.); Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 243 p. p.—*A. chamaepitys* (L.) Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 34. p. p.—*A. chamaepitys* (L.) Schreb. subsp. *chia* (Schreb.) Arcang. var. *chia*. Davis, Notes Roy. Bot. Gard. Edinb. 38 (1980) 26; idem, Fl. Turkey 7 (1982) 48.—*Teucrium chium* Poir. Encycl. Meth. Suppl. II (1812) 772.

Ис.: Фл. СССР XX (1954) таб. 1. рис. 2.

წინა სახეობისაგან ძირითადად განსხვავდება ყოველი მხრიდან (ირგვლივ) გაფარჩხული, თეთრი ბეწვით მოფენილი ღეროთი და მთელ ზედაპირზე თანაბრად შებუსუსლი ჯამით. V—IX.  $2n=30$  (Магулаев, 1979).

აწერილია კუნძულ ზიოსიდან (საბერძნეთი).

Typus: „In insula Chio (Khios), Tournefort“ (holo. P-Tourn. 1509, photo; iso. BM) sec. Davis l. c. 1982].

იზრდება მშრალ ფერდობებზე. მთის შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: პოვნა შესაძლებელია დასავლეთ საქართველოში.

სსრკ: იმიერკავკ.: მოზდოკი; ამიერკავკ.: დასავლეთ ამიერკავკ.; ევრ. ხაზ.:  
ყირიმი (პისათუკოვა, სსრკ ფლორა, op. cit.).  
საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.

3. *A reptans* L. Sp. Pl. (1753) 561; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 33; Benth. Lab. Gen. Sp. (1833) 694; idem in DC. Prodr. XII (1848) 595; Ledeb. Fl. Ross. III (1949) 446; Шмалыг. Фл. Сред. и Южн. Росс. II (1897) 345; Н. Поп. в Мат. Фл. Кавк. IV, 3 (1916) 27; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 281; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 325; Колак. Фл. Абх. IV (1949) 41; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 263 (georg.) Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 85 (georg.); Письякуова во Фл. СССР XX (1954) 30; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 225; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 191; Колак. Растит. мир Колх. (1961) 312; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 410 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 301; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 131; Галушко, Фл. Северн. Кавк. 3 (1980) 26; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 244; Rechinger, Fl. Iran № 150 (1982) 20..

Is.: Сыренищ. Фл. Моск. губ. III (1916) 114; Rechinger, Fl. Iran. N 150 (1982) tabl. 12.

4. ღეროს ძირში, ჩვეულებრივ გრძელი, მხოხავი, დაფესვიანებული და შეფთოილი ყლორტებია განვითარებული; ღერო მარტივია, სწორმდგომი ან წამოწეული, 15—35 (40) სმ სიმაღლის, შიშველი ან ორ მოპირდაპირე წახნაგზე მიტკეცილ წვრილბეწვიანი, ზოგჯერ გაფარჩხული ბეწვის მინარევით; ფესვთანური ფოთლები დიდი ზომისაა, 6—15 სმ-მდე სიგრძის, 2—5 სმ-მდე სიგანის, ნიჩბისებრი ან ნიჩბისებრ-უკუკვერცხისებრი, ძირში სოლისებრია შევიწროებული გრძელ ყუნწში. ფართოდ ამოკვეთილ დაკბილული, ყვავილობის დროს არ ხმება; ღეროსეული ქვედა ფოთლები მცირერიცხოვანია, მოგრძო ელიფსური ან უკუკვერცხისებრი, მჯდომარე, ოდნავ მრგვალკბილა, თანდათანობით გადადის უფრო პატარა ზომის, თანაყვავილებში. თანაყვავილი კვერცხისებრია, მთლიანი, ზოგჯერ ოდნავ მრგვალკბილა, მათგან ქვედა გრძელია ყვავილებზე, ზედა კი მოკლე. ყვავილები 6—8-ყვავილიან ჩხროებადაა (რგოლებად) შეკრებილი; ჩხროები ქვედა ნაწილში ურთიერთ-დაშორებულია, ზემოთ კი მიახლოებულია და ცოტად თუ ბევრად ხშირ თავთავისებრ ყვავილედშია შეკრებილი; ჯამი მთელ ზედაპირზე ჩირკვლოვანბეწვიანია, წვერში კი (კბილებთან) თითქმის ბანჯგვლიანი, 5—7 მმ სიგრძის; ჯამის კბილები ლანცეტაა, მახვილწვერიანი, მილის ტოლი ან მასზე ოდნავ გრძელი; გვირგვინი ბისფერია, ლურჯი, ზოგჯერ თეთრი ან ვარდისფერი, გარედან ცოტად თუ ბევრად ბეწვიანი, 2—3-ჯერ გრძელი ჯამზე; მტერიანის ძაფები შებუხებულია, სვეტთან ერთად გვირგვინის მილიდან ამოყოფილი. კაკლუშები მომრგვალოა ან უკუკვერცხისებრი, 2,5 მმ სიგრძის, ბადისებრ ნაოჭებიანი. IV—IX. 2n=32.

აწერილია ევროპიდან (Hb. Linn. 721/10).

იზრდება ტენიან მდელოებზე, ტყეებში, ბუჩქნარებში, ტყისპირებსა და ველობებზე. მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: სოხუმი; ფსირცხა (ალბოვი); ბიჭვინთა (სატუნინი); 2 — სვან.: მესტია-ჭალა (ზურებიანი); ქვემო-სვანეთი, მუაში, ლეჩხუმის ქე-

დის ჩრდილო ფერდობი (მუყბანიანი, ქელიძე, მცხეთაძე, დავლიანიძე); 3 — რაჭა-ლეჩხ.: ლეჩხუმი, ახალქალა (კემულარია-ნათაძე, ხინთიბიძე, მიქელაძე); 4 — სამეგრ.: მიგარიანზე მიმავალი გზა (მანდენოვა, ქუთათელაძე); 5 — იმერ.: იმერეთი (მედვედევის ჰერბარიუმი); ქუთაისი (უცნობი კოლექტორი); იქვე, სოფ. გელათი, სოფ. მოწამეთი, სოფ. გოდოვანი (კემულარია-ნათაძე); ხონი-წულუკიძე (ჭურაძე); იქვე, სოფ. ივანდიდი (ქუთათელაძე); ყვირილა (პავლიაძე); შორაპანი (ლომაკინი); 6 — გურ.: ოზურგეთი-მანხარაძე, სოფ. ვაკის-ჯვარი; იქვე, სოფ. ტემეკორავი (ზედელმეიერი); ბახმაროსა და ბაისურას შორის (გროსჰეიმი); 7 — აჭარ.: ბათუმის მიდამოები (პასტუხოვი); იქვე მწვანე კონცხი (შლივერი); ბოტანიკური ბაღი (კემულარია-ნათაძე; დიმიტრიევა); ჩაჭვი (ნოვოპოკროვსკი; პალიზინი, ვორობიევი); ქობულეთი (მაყაშვილი); სოფ. ბობოყვეთი (კოზლოვსკი; ბუაჩიძე); სადგ. მერია, ლათურის ჩაის მეურნეობა (წხიანი); 8 — სამხ.-ოს.: ბუბე-კახერის უღელტეხილი (ბუში); 9 — ქართ.: ბაკურიანი; იქვე შულღიანთ-უბანი (კოზლოვსკი); წალვერი (იგივე); ბორჯომის მიდამოები (მედვედევის ჰერბარიუმი); ბანისხევის ხეობა (კოზლოვსკი); 12 — კახ.: ყვარლის რაიონი, სოფ. თივი (ლაჩაშვილი). პოვნა შესაძლებელია სხვა რაიონებშიც.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; ირ.; ჩრდ. ამერ. (შეტანილია).

4. *A. genevensis* L. Sp. Pl. (1753) 561; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 32; Benth. Lab. Gen. Sp. (1833) 694; idem in DC. Prodr. XII (1848) 596; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 448; Шмалъг. Фл. Сред. и Южн. Росс. II (1897) 345; Н. Поп. в Мат. Фл. Кавк. IV, 3(1916) 22; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 282; idem Опред. раст. Кавк (1949) 325; Колак. Фл. Абх. IV (1949) 40; Тер-Хачат. фл. Груз. VII (1952) 263 (georg.); Макашвили. Фл. окр. Тбилиси II (1953) 85 (georg.); Письяукова во Фл. СССР XX (1954) 32; Исаев во Фл. Азрб. VII (1957) 25; Колак. Растит. мир Колх. (1961) 312; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 410 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 301; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 131; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 26; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 243.—*A. alpina* L. Mantissa (1767) 80; Bieb. op cit II (1808) 33; idem op. cit. III (1819) 388.—*A. pyramidalis* auct., non L.: Bieb. op. cit. II(1808)32; Ledeb. op. cit.: 447 p. p.; Boiss. Fl. Or. IV (1879) 799 p. p. quod. fl. cauc.

Is.: Сыренш. Фл. Моск. губ. III (1910) 115.

2. მცენარეს ღეროს ძირში მხოხავი ყლორტები არა აქვს; ღერო 10—40 (50) სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან ძირთან წამოწეული, მარტივი, ჩვეულებრივ, უპირატესად კი ზედა ნაწილში, ბანჯგვლიანი ბეწვით მეტ-ნაკლებად შებუსუსული, ზოგჯერ ძირში თითქმის შიშველი; ფესვთანური ფოთლები მოგრძო ნიჩბისებრია ან უკუკვერცხისებრი, ფუძესთან ვიწროვდება გრძელ ყუნწში, კიდევ დაშორიშორებულ მსხვილ-მრგვალებილა, ზოგჯერ თითქმის კრემულიანი, 4—12 სმ სიგრძის, 2—5 სმ სიგანის, ყვავილობის დროს მეტწილად ხმება; ღეროსეული ფოთლები ჩვეულებრივ მოგრძოა, უკუკვერცხი-

სიბრი ან მოგრძო ელიფსური, ძირთან სოლისებრი, მოკლედწიანი მწკრივითი მარე, ზედა ნაწილში მსხვილ-მრგვალებილი; თანაყვავილები ჩვეულებრივ სამ-ნაკეთიანია ან მსხვილ სამკბილა, კვერცხისებრი ან ფართო კვერცხისებრი, ზედა მათგანი ჩვეულებრივ ყვავილებზე მოკლეა, იშვიათად მათზე გრძელი, ზშირად იისფრად შეფერილი; თითქმის ყველა ფოთოლი ცოტად თუ ბევრად შებუსული. ყვავილები მჯდომარეა, 4—5 (8) ყვავილიან ჩხრობად (რგოლებად) შეკრებილი; ჯამი, განსაკუთრებით ზედა ნაწილში, ბანჯგვილიანბეწვიანია, 5—6 მმ სიგრძის, 2—2,5-ჯერ მოკლე გვირგვინის მიღზე; ჯამის ნაკეთები (კბილები) სამკუთხა-ლანცეტაა, ჯამის მიღზე მოკლე; გვირგვინი, ჩვეულებრივ ცისფერია, იშვიათად თეთრი ან ვარდისფერი, 12—18 მმ სიგრძის, გარედან ოდნავ შებუსული; მტვრიანები გრძელია, გვირგვინის მილიდან ამოყოფილი. კაკლუშები 3 მმ-მდე სიგრძისაა, მომრგვალო, ბადისებრნაოჭიანი. IV—IX. 2n=36 (Skalinska at all. 1978).

აწერილია შეეიკარიიდან (Hb. linn. 721/8).

იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე და მდელოებზე, მდინარეთა ნაპირებზე, მინდვრებში, ბალ-ვენახებსა და ნათესებში, სარწყავი არხების გაყოლებით. დაბლობიდან მთის შუა, ზოგჯერ ზედა სარტყლამდე.

საქ. სსრ: თითქმის მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: თითქმის მთელი ევროპა (არქტიკის გარდა); ხმელთაშუაზღვ. მზრ.; მც. აზ.

შენიშვნა. მეტად პოლიმორფული მცენარეა, კერძოდ ცვალებადობს გვირგვინის შეფერვის, ფოთლების ზომის, ღეროს სიმაღლისა და შებუსვის მიხედვით. ამ ნიშანთა საფუძველზე მის ფარგლებში გამოყოფილია რამდენიმე სახესხვაობა და ფორმა, რომელთა ტაქსონომიური დამოუკიდებლობის საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს მისი გავრცელების მთელ არეალში.

5. *A. orientalis* L. Sp. Pl. (1753) 561; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 32; Benth. Lab. Gen. Sp. (1833) 693; idem in DC. Prodr. XII (1848) 596; Ledeb Fl. Ross. III(1849) 447; Boiss. Fl. Or. IV (1879) 800; Шмальг. Фл. Сред. и Южн. Росс. II (1897) 344; Н. Поп. в Mat. Фл. Кавк IV, 3(1916) 30; Гроссер. Фл. Кавк. III (1932) 282; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 325; Колак. Фл. Абх. IV(1949) 41; Тер-Хачат. Фл. Груз. VII (1952) 262 (georg.); Макашвили. Фл. окр. Тбилиси II (1953) 85 (georg.); Письяукова во Фл. СССР XX (1954) 38 Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 226; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 192; Колак. Растит. мир Колх. (1961) 312; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 410 (georg.); eadem в Гроссер. Фл. Кавк. 2, VII (1967) 302; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 131; Галушко, Фл. Северн. Кавк. 3 (1980) 26; Колак. Фл. Абх. 2, II (1982)224; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982)20.

Ис.: Галушко Фл. Северн. Кавказ. 3(1980), рис. 1; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tabl. 13.

2. მთელი მცენარე, ჩვეულებრივ, ცოტად თუ ბევრად მატყლისებრ-ბანჯგვილიანია, ზოგჯერ ქვედა ნაწილშია მეტ-ნაკლებად შიშველი; ღერო სწორ-მდგომია ან ძირში წამოწეული, მარტივი, 10—30 სმ-მდე სიმაღლის; ფესვთა-

ნური ფოთლები მოგრძო ელიფსურია ან ფართო კვერცხისებრი, ძირში სლი-  
სებრ შევიწროებული მოკლე ყუნწში, კიდებე მრგვალებილა, ზოგჯერ ზედა  
ნაწილში მსხვილ-სამკბილა, თითქმის სამნაკვეთიანი, 4—10 სმ-მდე სიგრძის,  
2—5 სმ-მდე სიგანის, ყვავილობისას არ ხმება და ზედა რჩება; ღეროსეული  
ფოთლები მცირერიცხოვანია, მჯდომარე; თანაყვავილები ჩვეულებრივ მჯდო-  
მარეა, ღერომხვევი, ელიფსური ან ფართოკვერცხისებრი, 3—5-ად განკვეთი-  
ლი ან მსხვილკბილა, ქვედა ნაწილში კიდემთლიანი, უბირატესად ყვავილზე  
გრძელი ან მათი ტოლი, იშვიათად მათზე მოკლე, ზოგჯერ იისფრად შეფერი-  
ლი. ყვავილები თითქმის მჯდომარეა, 4—6 (8)-ყვავილიან ჩხროვებში (რგო-  
ლებში) შეკრებილი; ჩხროები რამდენადმე ერთმანეთისაგან დაშორებულია,  
ან მხოლოდ ქვედა ნაწილშია დაცილებული, ზემოთ კი ცოტად თუ ბევრად  
ერთმანეთან მიახლოებული, იშვიათად ჩხროები ღეროს ძირიდანვეა მთელ  
სიგრძეზე ერთმანეთს მიახლოებული; ჯამი ზარისებრია, 5—6 მმ სიგრძის,  
მატყლისებრ ბანჯგვლიანი, ზოგჯერ ძირში მეტ-ნაკლებად შიშველი; ჯამის კბი-  
ლები მახვილ-ლანცეტაა, მილზე თითქმის 2-ჯერ გრძელი, ძლიერ შებუსვლი;  
გვირგვინი ცისფერია, 13—16 (18) მმ სიგრძის, გაშრობისას (პერბარიუმში)  
წმირად უფერულდება და თითქმის თეთრია; გვირგვინის მილი ცოტად თუ-  
ბევრად მოგრეხილია, ამიტომ მისი ქვედა ტუჩი ზევითაა მიქცეული; მილი  
შიგნით შიშველია, ჯამზე ოდნავ გრძელი; მტვრიანები მოკლეა, გვირგვინის  
მილში ჩამალული. კაკლუქები მომრგვალო კვერცხისებრია, 2 მმ-მდე სიგრძის,  
ბადისებრნაოჭებიანი. IV—IX. 2n=32.

აწერილია წინა აზიიდან (Hb. Linn. 721/1).

იზრდება მშრალ ბალახოვან, ქვიან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, ტყის ვე-  
ლობებზე, მინდვრებსა და მდელოებზე. ზოგჯერ როგორც სარეველა ნათე-  
სებში. დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე.

საქ. სსრ: თითქმის მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.

შენიშვნა. მეტად ცვალებადობს თანაყვავილების სიდიდისა და შე-  
ფერვის, ყვავილედში ჩხროების განლაგების სიმეჩხრის (ერთმანეთთან დაშო-  
რების) თუ სიმჭიდროვის (ურთიერთ მიახლოების) მიხედვით. ამ ნიშნების სა-  
ფუძველზე მის ფარგლებში გამოყოფილია რამდენიმე სახესხვაობა ან ფორ-  
მა, რომელთა ტაქსონომიური დამოუკიდებლობის საკითხი სპეციალურ კვლე-  
ვას საჭიროებს სახეობის გავრცელების მთელ არეალში.

გვარი 2. TEUCRIUM L.\*

ყვავილების ცრუ ჩხროები ქმნიან მტევნისებრ, საგველასებრ ან  
თავთავისებრ, იშვიათად თავაკისებრ, ყვავილედს; თანაყვავილები ღეროსეუ-  
ლი ფოთლების მსგავსია ან მკვეთრად განსხვავდება; ჯამი მილისებრია ან ზა-  
რისებრი, 10-ძარღვიანი, 5 თითქმის თანაბარი კბილით ან ზედა კბილი გაფარ-  
თობულია. ჯამი თითქმის ორტუჩაა; გვირგვინი დაყვავილების შემდეგ ცვი-  
ვა, ერთტუჩიანია, ქვედა ტუჩი 5-ნაკვეთიანია, მისი შუა ნაკვეთი მსხვილია,

\* დაამუშავა მ. ივანიშვილმა

მომრგვალო ან მოგრძო, ხშირად ჩახუნეჭილი, გვერდითი ნაკვეთები უფრო პატარა ზომისაა, ხშირად გაფარჩხული; მტვრიანა 4, გვირგვინის მილიდან ამოყოფილი, წინა მტვრიანები უკანაზე გრძელია, სამტვრეები 2-ბუდლიანია, მტერის მარცვლი ელიფსისებრია, განივკვეთში სამნაკეთიანი ან მომრგვალო-სამკუთხა, მერიდიონალურად განლაგებული სამი ღართი, დიამეტრი 19—20 მიკრონი; ღარი გრძელია, ვიწრო, წამახვილებული ბოლოებით; ეგზინა თანაბარი სიგრძისაა 1,8—3,0 მიკრონი, სტრუქტურა მესრისებრია, ზედაპირის მოხატულობა ბადისებრია, ბადის თვლები წვრილია, კაკლუჭები უკუკვერცხისებრი, ბადისებრ დანაოჭებული. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ან ნახევრად ბუჩქები. ფოთლები მოკლეყუნწიანია, კიდეზე კბილისებრ განკვეთილი, მრგვალებილა ან წაკვეთილკბილებიანი, ან ფრთისებრ განკვეთილი.

გვარში გაერთიანებულია 100-ზე მეტი სახეობა, რომლებიც გავრცელებულია ზომიერ და სუბტროპიკულ ოლქებში, განსაკუთრებით დამახასიათებელია ხმელთაშუაზღვეთისათვის.

1. ფოთლები ფრთისებრ განკვეთილია, ნაკვეთები ხაზურია. . . . . 1. *T. orientale* L.
- ფოთლები მთლიანია, მრგვალებილა ან წაკვეთილკბილებიანი . . . . . 2
2. თანაყვავილები მკვეთრად განსხვავდება ღეროსეული ფოთლებისგან. ჯამის კბილები არ არის ერთნაირი . . . . . 2. *T. hircanicum* L.
- თანაყვავილები ღეროსეულ ფოთლებისაგან არ განსხვავდება; ჯამის კბილები ერთნაირია ან ქვედა კბილები მკვეთრად განსხვავდება ზედა კბილებისაგან . . . . . 3
3. ცრუ ჩხროები შეკრებილია კენწრულ თავაკში. გვირგვინი მოთეთრო-მოყვითალოა . . . . . 3. *T. polium* L.
- ცრუ ჩხროები შეკრებილია მტევნისებრ ან საგველასებრ ყვავილედში. გვირგვინი მეწაფულია . . . . . 4
4. თანაყვავილები ყვავილებს მნიშვნელოვნად აღემატება. მცენარე ქეჩისებრ-მაყტყისებრაა შებუსული. გვირგვინი ცისფერია . . . . . 4. *T. scordioides* Schreb.
- ქვედა ყვავილების თანაყვავილები ყვავილებზე მოკლეა, ზედასი გრძელია. მცენარე ხშირბეწვიანია, მწვანე . . . . . 5
5. ყველა ფოთოლი ძირში ვიწრო სოლისებრია, ქვედა მხრიდან შედარებით ფაშარი შებუსვით . . . . . 5. *T. nuchense* C. Koch
- ქვედა ფოთლები ძირში ვიწრო სოლისებრი არ არის. ყველა ფოთოლი ქვედა მხრიდან მეტნაკლებად ხშირი შებუსვითაა . . . . . 6
6. ჯამის კბილები ფართო და მოკლე სამკუთხაა, წაწვეტებული. ქვედა ფოთლები ფართო სოლისებრი და ძირში ამოკვეთილი. ღერო შედარებით ხშირი გრძელი შებუსვით . . . . . 6. *T. multinodum* (Bordz.) Juz.
- ჯამის კბილები ვიწროა და გრძელი, თანდათან წაწვეტებული. ქვედა ფოთლები ძირში გულისებრია ან ბლაგვი. ღერო მოკლე ბეწვითაა მოფენილი . . . . . 7. *T. trapezunticum* (Rech. fil.) Juz.



რა-ყურან-ჩაი (ზამთარაძე); ახალქალაქი, ზრესი (ზედელმეიერი); სოფ. ურ-  
ბენი (გროსპეიმი); ახალქალაქის მიდამოები (ივანიშვილი, მუყბანიანი); სოფ.  
ჯოდოლარი (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); სოფ. კორხთან (ივანი-  
შვილი); ტბა ფარავანი, ტამბოვკასა და ბოგს შორის (ივანიშვილი); 19 —  
მესს.: აწყურსა და თისელს შორის; ახალციხე, რაბათის მიდამოები; ახალცი-  
ხე, სოფ. ურაველი; სოფ. ოხეროსა და ურაველს შორის (სოსნოვსკი, კემუ-  
ლარია-ნათაძე, მანდენოვა); სოფ. ურაველი (ივანიშვილი, მუყბანიანი); სოფ.  
ოთასა და დამალას შორის (ტერ-ხაჩატუროვა); სოფ. ოშორა (ჩოლოყაშვილი,  
ჩუხრუკიძე, ლეინიაშვილი); ასპინძის რაიონი, ნიალაღან ოშორასკენ (სოს-  
ნოვსკი); ნიალა, ლეპისსა და შალოშეთს შორის; ასპინძისა და რუსთავს შორის  
(ხინთიბიძე) (რუკა 6-1).

სსრკ.: ამიერკავკ.: სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (აღმ. ანატ.).

Ser. 4. *Oreophila* Grossh. Изв. Аз ФАН СССР 3 (1954) 80;  
Charadze Not. Syst. Geogr. Tbilis, 22 (1961) 53.—Ser. *Euplatystegia* Juz. во  
Фл. СССР XX (1954) 145 p. p.—ფოთლები არალრმად კბილისებრ განკვეთი-  
ლია. ყვავილენი მეტნაკლებად ფაშარია, მოკლე ან წაგრძელებული. თანა-  
ყვავილები, კიდემთლიანია, მეტ ნაკლებად გაფართოებული, ხშირად შეფე-  
რილი, შებუსვა ფაშარია ან მიტკეცილი, ბეწვები მარტივია, ხშირად ერევა  
დერაკიანი ან გაბნეული მკდომარე ჯირკვლები.

© 11. *S. oreophila* Grossh. Изв. Аз ФАН СССР 3 (1945) 80;  
Юзепчук во Фл. СССР XX (1954) 154; Харадзе в Опред. раст. Груз. I  
(1964) 413 (georg.); Тер-Хачат. в Опред. раст. Кавк. 2, VII 1967 317.—*S.*  
*orientalis* var. *chamaedrifolia* N. Pop. Mat. Фл. Кавк. IV, 3(1916) 73, p. p.  
Ис.: Изв. Аз ФАН СССР, фиг. 8, 2 в.



4. მცენარის ღერო მოკლეა, გახევებული, დატოტვილი, მისი ყლორტები 10—30 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, საკმაოდ მძლავრი, გაღუნული ან ოდნავ დაკლავნილი, მოკლე წვრილი ხუჭუჭა ბეწვით შემოსილი ან თითქმის შიშველი; ფოთლები საშუალო ზომისაა 10—14 მმ სიგრძის, 7—23 მმ სიგანის, მუხლთშორისების თითქმის ტოლი ან ყლორტის ზედა ნაწილში ხშირად ორჯერ მოკლე, ფართო ან მოგრძო კვერცხისებრი, ძირთან ოდნავ გულისებრი, წაკვეთილი ან ზოგჯერ ბლაგვეუთხიანი, წვერში ცოტად თუ მეტად ბლაგვი, არაღრმად მომრგვალო-კბილისებრ განკვეთილი, თითოეულ მხარეზე 3—8 ირიბი, წვერზე მომრგვალო კბილით, ზედა მხარეზე მწვანეა, გაბნეული წვრილი მოკლე ბეწვით მოფენილი; ქვედაზე ხშირი, წვრილი, თეთრი ან რუხი ქეჩისებრი შებუსვით, ყუნწები 2 სმ სიგრძისაა ქეჩისებრ შებუსვული. ყვაილედი 3—6,5 სმ სიგრძის, თავთავისებრი, მჭიდრო, ნაყოფობისას შედარებით ფაშარი, 9 სმ-მდე სიგრძის; თანაყვაილედი (1) 1,5—2 სმ სიგრძისაა, 9—12 მმ სიგანის, სიფრიფანა, კვერცხისებრი ან ფართო კვერცხისებრი, გამობერილი ან თითქმის ბრტყელი, წვეტიანი ან გრძლად წაწვეტებული, კიდემთლიანი, ზურგზე გაფარჩხული გრძელი, მჭიდრო, რბილი მარტივი ბეწვით და მოკლე ღერაკიანი ჭირკვლებით მოფენილი, ხშირად მოწითალო იისფერი; გვირგვინი 3—4 სმ სიგრძის, ხახაში 6—9 მმ სიგანის, ყვითელი, გარედან შებუსვულია მარტივი და ჭირკვალა ბეწვით. VI—IX.

აწერილია აღმოსავლეთ კავკასიონიდან (აზერბაიჯანი, კუბის რაიონი).

Typus „Distr. Kuba prope p. Kryz, Azerbaidzan, 15 VII 30. Kasu-mov“ (Bak).

იზრდება ნაშალებზე, მდელოებზე, არყნარში ველოებზე სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საქ. სრ.: 10 — მთიულ.: ყაზბეგის რაიონი, თრუსოს ხეობა, კასარა (ივანოვილი); სოჩოს ხევი; ჭართლის ხევი; ხანდოს ხევი; სოფ. მეჯილაური; სოფ. ხევში; გვედაქის ხეობა (ოჩიაური, ქიმერიძე, TGM); 8 — სამხ. ოს.: სბის ხეობა, უჟარი-ფეზი, ედისი (ე. და ნ. ბუშები) (რუჟა 7-ე).

სსრკ.: იმიერკავკ.: დაღესტანი, იმიერკავკ.: აზერბაიჯანი (ყუბის რაიონი).

12. *S. ossethica* Charadze Not. Syst. Geogr. Tbilis. 22 (1961) 53; Харадзе в Опред. раст. Груз. I (1964) 414 (georg.).

4. მცენარეს აქვს მრავალი, ქვედა ნაწილში გახევებული დაკლავნილი ღერო, ყლორტები წამოწეულია 15—30 სმ სიმაღლის, ზედა ნაწილში მეწაბული ფერისაა, გაბნეული წვრილი მიტკეცილი ბეწვითაა მოფენილი, მუხლთშორისები ფოთლებს 1,5—2-ჯერ აღემატება; ფოთლები კვერცხისებრია ძირთან წაკვეთილი ან ოდნავ სოლისებრი, კიდეზე მომრგვალო-კბილისებრ განკვეთილი, თითოეულ მხარეზე 5—7 კვერცხისებრი მობლაგვო კბილით, ზედა მხარეზე შიშველი ან გაბნეულბეწვიანი, ქვედა მხარეზე თეთრქეჩისებრ შებუსვული; შუათანა ფოთლები 20—22 (25) მმ სიგრძის, 13—15 (18) მმ სიგანისაა, ყუნწები (3) 5—8 (10) მმ სიგრძისაა. ყვაილედი კუმსია (3) 4—5 სმ სიგრძის, ნაყოფობისას გრძელდება 8 სმ-მდე; თანაყვაილედი მომრგვალო-კვერცხისებრია, უტბადაა წაწვეტებული მოკლე წვერში, 17—18 მმ სიგრძის, 12—15 მმ სიგანის, მეტნაკლებად ხშირი მიტკეცილი რბილი მარტივი და გაბნეული ჭირკვალა ბეწვით მოფენილი, კიდეზე გრძელი წამწამისებრი, ქვედა

მათგანი ხშირად მომრგვალო-კბილისებრაა განკვეთილი, 2—3 კბილით, მუქი მუღი ლაქებით და ოდნავ შესამჩნევი დაძარღვით. ყვავილები ღია-ყვითელი ფერისაა და ჯირკვლოვან-ბეწვიანი, 27—28 მმ სიგრძის, ხახა გაფართოებულია, 10 მმ სიგანის. VII—VIII (სურ. 2-ე).

T y p u s: *Osethia septentrionalis*. Fl. Ardon, in convalle Zaromag, in calcareis contra p. Lisri, sitis regionis subalpinae, 10 VII 1958. A. Charadze, L. Chinthibiaz, N. Tscholokaschwili (TBI!).

იზრდება ლორღიან სუბსტრატზე მთის ფერდობებზე სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 2 — სვან.: ზემო სვანეთი, ენგურის სათავეები, უშგული (შელკოენიკოვი — TGM); სოფ. გული (ოჩიაური — TGM); ცხენისწყალი, ლაფური (ქიმერიძე, არაბული — TGM); 8 — სამხ. ოსეთი: როკის უღელტეხილი (ხარაძე) (რუკა 7-ი).

სსრკ: იმიერკავკ. (ჩრდ. ოს.).

Ser. 5. *O r i e n t a l i s* Grossh. Изв. Аз. ФАН СССР 3 (1945) 80.—Ser. Euplatystegia Juz. в Фл. СССР XX (1954) 146 p. p.—ფოტოები ქვედა მხარეზე თხლდაა თეთრად ქეჩისებრ შებუსული.

13. *S. orientalis* L. Sp. Pl. (1753) 598; Ledeb. Fl. Ross. III (1850) 395; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 286; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 328; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 270; Макашвили. Фл. окр. Тбилиси II (1953) 88 (georg.); Юзепчук во Фл. СССР XX (1954) 157; Колак. Растит. мир. Колх. (1961) 318; Харадзе в Опред раст. Груз. I (1964) 412 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 318; Richardson in Fl. Europ. 3 (1972) 135; Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 91 pro *S. orientalis* subsp. *orientalis*.—*S. orientalis* var. *genuina* Boiss. Fl. Or. IV (1879) 689 p. p.—*S. orientalis* var. *pinnatifida* auct p. p.; H. Пон. Мар. Фл. Кавк. IV 3 (1954) 79, p. p.—*S. orientalis* var. *chamaedrifolia* f. *elongata* N. Pop. 79 p. min. p.

Exs.: Fl. Cauc. exs. n° 216.

2. მცენარის ღერო მოკლეა, გახევებული, წამოწეული, ჩვეულებრივ დაკლაკნილი, ყლორტები გაღუნული ან დაკლაკნილია, 7—25 სმ სიმაღლის, ხშირი, მოკლე, გაფარჩხული, ოდნავ ხუჭუჭა ბეწვით მოფენილი, მუხლთშორისები მეტნაკლებად მოკლეა; ფოთლები 0,4—2 სმ სიგრძის, 0,4—1,5 სმ სიგანის, მომრგვალო სამკუთხა, ფართო კვერცხისებრი ან კვერცხისებრი, ძირთან წაკვეთილი, წვერში ბლაგვი ან მომრგვალებული, კიდეზე ღრმად მრგვალო-კბილა კბილისებრ განკვეთილი, 3—7 მოგრძო, თითქმის ხაზური 1,5—3 მმ სიგრძის კბილებით, ზედა მხარეზე არამჭიდრო ან მჭიდრო წვრილი, მოკლე, მიტკეცილი ბეწვით მოფენილი, მუქი მწვანე ან რუხი-მწვანე ფერის, ქვედა მხარეზე წვრილი მიტკეცილი თეთრი ქეჩისებრი შებუსვით, ძარღვები ჩვეულებრივ ქეჩითაა დაფარული, ყუნწები 0,4—1 სმ სიგრძის. ყვავილელი 2—6 სმ სიგრძისაა, მჭიდრო ან ფაშარი, თანაყვავილები აპკისებრია, კვერცხისებრი ან უფრო ხშირად ფართო კვერცხისებრი, წაწვეტებული, კიდემთლიანი ან იშვიათად მარტოული კბილით, არამჭიდრო, მოკლე მიტკეცილი ბეწვით და წვრილი წერტილოვანი ჯირკვლებით მოფენილი, უფრო ხშირად ღია მწვანე ფერის,



იშვიათად ოდნავ მოწითალო, სიგრძივი ძარღვები გამოკვეთილია; ჯამი მჭიდრო მოკლე ვაფარჩხული და ჭირკვლოვანი შებუსებითაა; გვირგვინი საშუალო ზომისაა ან საკმაოდ მსხვილი 2,5—3 სმ სიგრძის, ხახაში 6—8 მმ სიგანის, ყვითელი, გარედან მოკლე მარტივი და ჭირკვალა ბეწვით მოფენილი. კაკლუჭები მჭიდრო მიტკეცილი ბეწვითაა მოფენილი. V—VII.  $2n=16$  (სურ. 2-1).

აწერილია თბილისის მიდამოებიდან.

**T y p u s :** „[USSR, Georgia] in Armenia circa Tephlin (Tbilisi), Tournefort“ (Lectotypus, Hb. Linn. 751/1 isotypus P. Tourn 140) sec. Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 91].

იზრდება ქვიან ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 8 — სამხ. ოს.: დიდ ედისსა და ქვემო კაბუსტინის შორის (ჩოჩიევა); 9 — ქართ.: ატენი (რადე — TGM); ტანა, მთა გორა, სიონი, ბობნევი (ქიქოძე — TGM); თეძამის ხეობა, რკონი (ქიქოძე, ხარაძე — TGM); ნატახტარი (ზედელმეიერი); არმაზის ხევი (ქუთათელაძე, გავნიძე); მცხეთა (სოსნოვსკი); შიო-მღვიმე (შიშკინი); ზედაზენი (გუბისი); მამკოდა (ქუთათელაძე, მიქელაძე, გავნიძე); წყნეთი (სულაკაძე); თონეთი (ლაჩაშვილი); კოჯორი (სმირნოვი); უძო, დაბახანა (ლეღვთახევი) (პუთათელაძე); თბილისი (რადე — TGM); თბილისი, მამადავითი (მეღვედგვის ჰერბარიუმი); თელეთის ქედი (გურგენიძე, გავრილენკო; ყარა მურზა — TGM); ორთაჭალა (მირზოევა — TGM); 13 — ქიზ.: ვაშლოვანის ნაკრძალი, დათვის ხევი (ღვინიანიძე, ივანიშვილი, მ. ხუციშვილი); სიღნაღი (მლოკოსევიჩი — TGM); 14. გარე-კახ.: თეთრი უდაბნო (ტროიცი); კაკაბეთი (ყანჩაველი); 16 — თრიალ.: ალგეთის ხეობა, ნაპილნარსა და კლდეკარს შორის (ღვინიანიძე, ხინთიბიძე, ივანიშვილი); ხრამის ხეობა, სოფ. პანტიანი (მცხვეთაძე, ქუთათელაძე); სოფ. მენკალოსსა და ბედიანკას შორის (მიქელაძე, ხინთიბიძე); ყარაბულახსა და პანტიანს შორის (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე); ველისპირი (დოლუხანოვი, მანდენოვა, შხიანი); ბირთვისსა და ტბისს შორის (შხიანი); 17 — ქვ. ქართ.: „საქართველოს მცენარეების სარკვევის“ მიხედვით (რუკა 6-ე).

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ჩრდ.-აღმ. ანატ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სახეობის ფოთლები მეტად ცვალებადია განკვეთის მიხედვით.

#### გვარად 4. MARRUBIUM L.\*

ყვავილები წვრილია, შეკრებილია ხშირ ილიურ ცრუ ჩხრობად. თანაყვავილაკები ხაზურ-სადგისებრია. ჯამი მილისებრია, 10-ძარღვიანი, 5—10-კბილიანი, ხახაში ბეწვიანი, გვირგვინი იისფერი, თეთრი ან ვარდისფერია, ზედა ტუჩი თითქმის სწორმდგომია, ბრტყელი, 2-ნაკვთიანი, ქვედა ტუჩი 3-ნაკვთიანი გადანაღუნითაა, რომლის შუა ნაკვთი უფრო დიდი ზომისაა. გვერდითი ნაკვთები მოგრძო; გვირგვინი ჯამზე მოკლეა; მტვრიანი 4, გვირგვინის მილშია ჩამალული, წინა მტვრიანები უკანაზე გრძელია. კაკლუჭები კვერცხისებრ-სამწიხანგოვანია, შიშველი. — მრავალწლოვანი ან იშვიათად ერთ-

\* დამუშავა მ. ივანიშვილმა

წლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ხშირი თეთრი ქეჩისებრი შებუსვით, მთლიანი დანაოქებული ფოთლებით.

გვარში გავრთიანებულია 40-მდე სახეობა, რომლებიც ხმელთაშუაზღვეთში და ევრაზიის ზომიერ ოლქებშია გავრცელებული. საქართველოში მხოლოდ სამი სახეობა იზრდება.

სამეურნეო მნიშვნელობა. ყველა სახეობა შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას და საღებავს, ზოგიერთი სახეობა თაფლოვანია და სამკურნალო.

1. ჯამის კბილი 10, 5 მათგანი შედარებით გრძელია. გვირგვინი თეთრია

1. *M. vulgare* L.

— ჯამის კბილი 5, თანაბარზომის. გვირგვინი იისფერი, ვარდისფერი ან თეთრია

2

2. ჯამის კბილები 3—4-ჯერ მოკლეა მიღზე, სწორმდგომია. გვირგვინი იის-

ფერია. მრავალწლოვანი მცენარეა . . . . . 2. *M. goktschaicum* N. Pop.

— ჯამის კბილები თითქმის 2-ჯერ მოკლეა მიღზე, გარეთაა გადაღუნული.

გვირგვინი თეთრია ან ვარდისფერი ერთწლოვანი მცენარეა

3. *M. catariifolium* Desr.

Sect. 1. *Marrubium*.—Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 588; Кнорринг во

Фл. СССР XX (1954) 235.—ჯამის კბილები 5—10, გვირგვინის ზედა ტუჩი ამო-

კვეთილი ან ორნაკვეთიანია. თანაყვავილაკები ხაზურია. ფოთლები ხაზურია,

მომრგვალო ან კვერცხისებრი.

Subsect. 1. *Decemdentata* Briq. in Engler und Prantl. Natürl. Pflanzen-

fam. IV, 3 a (1896) 230; Кнорринг во Фл. СССР XX (1954) 235—ჯამის კბი-

ლები 10, მათგან 5 შედარებით გრძელია.

1. *M. vulgare* L. Sp. Pl. (1753) 583; Bieb. Fl. Taug.-Cauc. II (1808)

54; Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 591; idem in DC. Prodr. XII (1848) 453;

Ledeb. Fl. Ross. III (1849) 406; Boiss. Fl. Or. IV (1879) 703; Гроссг. Фл.

Кавк. III (1932) 288; idem, Опред. раст Кавк. (1949) 329; Капеллер во

Фл. Груз. VII (1952) 282 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953)

90; Кнорринг во Фл. СССР XX (1954) 235; Исаев во Фл. Азерб. VII

(1957) 246; Колак. Растит. мир. Колх. (1961) 313; Капеллер в Опред.

раст. Груз. I (1964) 414 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII

(1967) 324; Гладкова во Флоре Европ. части СССР III (1978) 142; Cullen

in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 168; Seybold in Rechinger, Fl. Iran. № 150

(1982) 90; — *M. Kusnezowii* N. Pop. Проток. Общ. естеств. Юрьевск.

унив. XXIII, 4 (1916) 141; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 388.

Ис.: Davis, Fl. Turkey 7 (1982) Fig. 7, 11.

2. მცენარე 30—60 სმ სიმაღლისაა თეთრქეჩისებრი შებუსვით; ღე-

რო მრავალია, მარტივი ან დატოტვილი, ფოთლები კვერცხისებრია ან ელიფ-

სური, კიდზე მსხვილად კბილისებრ განკვეთილი, ზედა ფოთლები შედარე-

ბით პატარა ზომისაა მოკლეყუნწიანი, ფოთლის ფირფიტა დანაოქებულია, ზე-

და მხარეზე გაბნეულბეწვიანი, ქვედაზე მოთეთრო ქეჩისებრი შებუსვით.

ჩნროები მრავალყვავილიანია, დაშორიშორებული, თანაყვავილაკები საღე-



სისებრია, მჭიდრო გრძელი ბეწვით მოფენილი; ჯამი 10-კბილიანია, კბილები წვერზე კაუჭისებრ გადაღუნულია, 5 მათგანი შედარებით გრძელია, ჯამის მილი 2—3-ჯერ გრძელია კბილებზე; მოფენილია გრძელი ვარსკვლავისებრი ბეწვით; გვირგვინი თეთრია, ზედა ტუჩი ქვედა ტუჩის ტოლია, წვერზე ორადაა გაყოფილი, ქვედა — ფართო თირკმლისებრი შუათანა ნაკვითაა. V—VIII. 2n=34. (Van Loon and Kilft, 1980).

აწერილია ჩრდილო ევროპიდან. [(Hb. Linn. 738/5, sec. Cullen in Davis, Fl. Turkey 7(1982) 168].

იზრდება მშრალ ფერდობებზე, ნათესებში, რუდერალურ ადგილებზე. საქ. სსრ: 1 — აფხ.: სოხუმი (პეტიაევი — SUCH); 7 — აჭარ.: ბათუმი, ზორჩენი (გროსპეიმი); 9 — ქართ.: ბორჯომი (კოზლოვსკი); წავესი (სოსნოვსკი); ბაგები (სახოკია); 14 — გარე-კახ.: კაკაბეთი (ყანჩაველი); გარეჯი (ტროიცი); 13 — ქიზ.: შირაქი (უცნობი კოლექტორი); 18 — ჯავახ.: „საქართველოს მცენარეების სარკვევის“ მიხედვით).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღ. მხრ.; ბალკ.; მც. აზ.; ირ.; ინდ. — ჰიმალ.; ჯუნგ.-კაშგ.

Subsect. 2. **Quinquedentata** Briq. in Engler und Prantl. Natürl. Pflanzenfam. IV, 3 a (1896) 230; Кнорринг во Фл. СССР XX (1954) 241 — ჯამი 5 თანაბარზომის კბილით.

© 2. **M. goktschaicum** N. Pop. Проток. Общ. естеств. Юрьевск унив. XXIII 4 (1916) 160; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 289; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 329; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 286 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XX (1954) 246; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 252; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 414 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 326; Cullen in Davis, Fl. Turkey 7(1982) 102 pro syn. *M. astracanicum* Jacq.; Seybold in Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 177 pro syn. *M. astracanicum* Jacq. subsp. *astracanicum*.

Is.: Фл. Груз. VII(1952) рис. 318; Фл. СССР XX (1954) табл. XV, 3.

2. მცენარე 20—40 სმ სიმაღლისა; ღეროები წამოწეულია, მოღუნული, ხშირად მოწითალო ფერის, ცოტად თუ ბევრად გრძელი ბეწვით მოფენილი; ფოთლები უკუკვერცხისებრია, დანაოჭებული, გრძელყუნწიანი, კიდეზე მრგვალებილა, ზედა ფოთლები მოვრძო კვერცხისებრია, მოკლესუნწიანი, ყველა ფოთლი ზედა მხარეზე მუქი მწვანეა, გაბნეულბეწვიანი, ქვედა მხარეზე გრძელი, მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვით მოფენილი. ჩხროები მრავალყვავილიანია, ურთიერთ დაშორიშორებული, ზედა ჩხროები მიახლოებულია; თანყვავილაკები სადგისისებრია, ბანჯგვლიანი თეთრი გრძელი მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვით მოფენილი, წვერზე შიშველი, თითქმის ჯამის ტოლია, ჯამი 5 თანაბარზომის სადგისისებრი კბილითაა, რომლებიც მიღზე 3-ჯერ მოკლეა, სწორმდგომი, გრძელი მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვით მოფენილი, წვერზე შიშველი; გვირგვინი იისფერი ან მეწამულია, ზედა ტუჩი ორადაა გაყოფილი, ქვედა — ფართო თირკმლისებრია, კიდეზე ტალღისებრი შუა ნაკვითი, კაკლუმები უკუკვერცხისებრია, მუქი მურა ფერის, წვრილბორცვიანი. V—VII. 2n=28 (სურ. 3).

აწერილია სომხეთიდან (სევანის ტბა).



Т у р у с : Закавказье. Еленовка. 8. VII — О. А. и Б. А. Федченко (LEI).

იზრდება მშრალ ფერდობებზე, მთის წინებიდან სუბალპურ სარტყლამდე. საქ. სსრ: 9 — ქართ.: სოფ. ატენი (სოსნოვსკი); ატენის ხეობა, სოფ. ატენის (ზავოტი) მიდამოები „გორას“ ძირთან (ივანიშვილი, მ. ხუციშვილი); 18 — ჯავან.: ახალქალაქი (გროსპიმი); ზერთვისა და ახალქალაქს შორის (ხინთიბიძე); სოფ. არაგვა, სოფ. მაჯილა (ხინთიბიძე, ჩუხრუყიძე, კაპანაძე) (რუკა 8).

სსრკ: ამიერკავკ.: სომხ., აზერბ.

3. *M. catariifolium* Desr. in Lam. Encycl. Meth. Bot. 3 (1792). 717; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 449; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1708) 53; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 403; Boiss. FL. Or. IV (1879) 699; Н. Поп. Проток. общ. естетств. Юрьевск. унив. XXIII, 4 (1916) 155; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 289; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 329; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 285 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 90; Кнорринг во Фл. СССР XX (1954) 242; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 245; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 915 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. [Фл. Кавк. 2, VII (1967) 325; Cullen in Davis, Fl. Turkey, 7 (1982) 178; Seybold in Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 101. — *M. catariæifolium* Desr. var. *microphyllum* Somm. et Levier Tr. Bot. сада АН СССР XVI (1900) 393.

Exs.: Pl. or. exs. n<sup>o</sup> 121.

⊙. 4. მკენარე 15—50 სმ-მდე სიმაღლისაა; ღერო სწორმდგომია, თითქმის ძირიდან დატოტვილი, ვარსკვლავისებრი და მარტივი ჯაგრისებრი მოკლე ბეწვით მოფენილი; ფოთლები ფართო კვერცხისებრი ან ფართო ელიფსურია, კიდეზე მსხვილი და მრგვალებილა, გრძელყუნწიანი, ზემოდან მუქი მწვანე, თითქმის შიშველი ან ვაზნეულბეწვიანი, ქვედა მხარეზე მოკლე, ხშირი ვარსკვლავისებრი ან მჯდომარე ჯირკვალა ბეწვით მოფენილი, მონაცრისფრო; ზედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, შედარებით პატარა ზომის. ჩხროები მრავალყვავილიანია, ურთიერთ დაშორიშორებული, მხოლოდ სულ ზედა დაახლოებით თანაყვავილაკები სადგისისებრია სიგრძით თითქმის ჯამის ტოლია, ვარსკვლავისებრი ბეწვით მოფენილი; ჯამი 5 მოკლე თანაბარზომის კბილითაა, რომლებიც ჯამის მიღზე თითქმის 2-ჯერ მოკლეა, გარეთაა გადაღუნული, წვერზე შიშველია, ვარსკვლავისებრი ბეწვით მოფენილი; გვირგვინი ვარდისფერია ან თეთრი, მისი მილი ჯამიდან ამოყოფილია, ზედა და ქვედა ტუჩი ტოლია, ორნაკეთიანი, ქვედა — ფართო მაროსებრი შუა და მოგრძო გვერდითი ნაკვთებით. კაკლუშები ელიფსურია, მუქი, წვრილობორცვიანი. VI—VIII.

აწერილია სირიიდან.

იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებზე, როგორც სარეველა ნათესებში, მთის შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბაკურიანი, ქვაბისხევი (კოზლოვსკი); ატენი (კორონოვი); ტანას ხეობა, ზემო ბოშური (ქუთათელაძე) ატენის ხეობა, სოფ. ბობნევი (ივანიშვილი, მ. ზაუტაშვილი); 10 — მთიულ. სოფ. ყაზბეგი (სოსნოვსკი); 11 — თუშ-ფშავ-ხევის.: ხევის.: შატილის მიდამოები (ივანიშვილი,



მ. ხუციშვილი); 16 — თრიალ.: ტაბაწყური (კოზლოვსკი); 18 — ჭავჭავ.: ახალქალაქის მიდამოები (გროსპეიმი); 19 — მესხ.: აწყური (კოზლოვსკი); ოშკის რის ქედი (სოსნოვსკი);

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ., სომხ.  
საერთო გავრცელ.: მც. აზ.; ირ.

შ მ ა რ ი 5. SIDERITIS L.\*

ყვავილეები პატარა ზომისაა, ყვითელი ან მოვარდისფრო-მეწამული ფერის, შეკრებილი 6-მრავალყვავილიან ჩხრობებში, რომლებიც თავის მხრივ განლაგებულია თანაყვავილის ილიებში და ქმნის გრძელ თავთავისებრ ყვავილედს. ჭამი მილისებრ-ჭამისებრია, 10-ძარღვიანი, 5 თითქმის ტოლი კბილით; ჭამის კბილები ეკლებიანგავსი წვეტიან ბოლოვდება; ჭამის ხახა ხშირად ბეწვიანი რგოლითაა. გვირგვინი ორტუჩაა; გვირგვინის მილი ჭამშია ჩამალული; გვირგვინის ზედა ტუჩი სწორია, მთლიანი, ამონაკვეთით ან 2-ნაკვეთიანი, უფრო დიდი ზომის, ხშირად ამოკვეთილი შუათანა ნაკვეთით. მტერიანა 4, ჩამალულია გვირგვინის მილში, გვერდითი მტერიანები შუათანა მტერიანებზე გრძელია, ხშირად განუვითარებელი სამტერიებით. სვეტი წვერზე 2-ნაკვეთიანია, მისი ქვედა ნაკვითი ძალიან ვაფართოებულია და ზედა ნაკვითს ეხვევა. კაკლუშები პატარა ზომისაა, კვერცხისებრი სამწახნაგოვანი. — ერთწლოვანი ან მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეებია, ნახევრადბუჩქები ან ბუჩქები.

ხმელთაშუაზღვეთის მხარის კლდოვან ეკოტოპებზე გავრცელებული მრავალრიცხოვანი სახეობებიდან საქართველოს ფლორაში გვხვდება 2 სახეობა.

1. ღერო წვერზე ყვითელი, კენწრული ფოთლებისაგან შექმნილი ქოჩრითაა დაბოლოებული; ჭამის მილი უკუკონუსურია, ზარისებრი, სუსტად გამოსახული საწელურით, ნაყოფობის დროს ზომში არ მატულობს და ხახასთან ვაფართოებულია . . . . . 1. *S. comosa* (Rochel ex Benth.) Stank.
- ღერო წვერზე ყვითელი, კენწრული ფოთლებისაგან შექმნილი ქოჩრით არ არის დაბოლოებული; ჭამის მილი ცილინდრულია, ზემო ნაწილში საწელურითაა, ნაყოფობის დროს ზომში მატულობს და ხახასთან შეეწრებოებულია . . . . . 2. *S. montana* L.

Sect. 1. *Hesiodia* (Moench) DC. in Lam. et DC. Fl. Fr. 3, 3(1805)530; Юзепчук во Фл. СССР XX (1954) 268. — ერთწლოვანი. ყვავილთანური ფოთლები ღეროსეულის მსგავსია, მაგრამ ზომით უფრო პატარაა, კიდემთლიანი და ოდნავ დაკბილული, ბლავი; ჭამი ორტუჩაა, ძირთან შეზრდილი ზედა სამი კბილით. სექციის გავრთიანებული სახეობები ხმელთაშუაზღვეთშია გავრცელებული.

Ser. 1. *Montanae* Juz. во Фл. СССР XX (1954) 268 (descr. ross.). — ყვავილეები ორფერია, ყვითელი ყაყისფერით, განლაგებულია ძალიან მოკლე ყუნწებზე.

\* დამუშავა რ. გავნიძემ

1. *S. comosa* (Rochel ex Benth.) Stank. в Станков и Талиев, Опред. высш. раст. Европ. части СССР (1949) 861; Юзепчук во Фл. СССР XX (1954) 271; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 415 (georg.); Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 327; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 35; Reching. Fl. Iranica 150 (1982) 107.—*S. montana* P. comosa Rochel ex Benth. in DC. Prodr. XII (1848) 446; Boiss. Fl. Or. IV (1879) 707.—*S. montana* subsp. *comosa* (Rochel ex Benth.) Soò Acta Bot. Acad. Sci. Hung. X (1964) 37; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 144.—*S. montana* subsp. *montana* Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 183 p. p.

Is.: Фл. СССР XX (1954) табл. XVIII, рис 2.

Exs.: ГРФ, n° 525.

○. ღერო 15—40 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან იშვიათად ძირიდან დატოტილი, ვაფარჩხული ბეწვით შებუსუსული, ხშირად ინტენსიურად წითლდება; ფოთლები 0,6—3,5 სმ სიგრძის, 0,1—0,6 სმ სიგანის, უკუღმაცეცხა, თანდათანობით შევიწროებული მოკლე ყუნწში. ზედა მჯდომარე, წვერში მეტწილად მახვილი, ძნელად შესამჩნევი კბილებით, ორივე მხარეს ნაცრისფერ-მწვანე, მეტწილად სქლად შებუსუსული გრძელი არამიტკეცილი ან ფაშარი მიტკეცილი ბეწვებით; თანაყვავილები მოკლეა და ოდნავ ფართო ღეროსეულ ფოთლებთან შედარებით, ხშირად ყვავილებზე ოდნავ გრძელია, ყველაზე ზედა თანაყვავილების ილიაში ყვავილები არ არის განვითარებული, უმეტეს შემთხვევაში ისინი გადადებულია, ლიმონისფერი ან ოქროსფერ-ყვითელი და ღეროს წვერზე შეკრებილია კონად ან ქოჩრად. ყვავილების ჩხროები ერთმანეთისაგან დამორიშორებულია; ჯამი 5—7 მმ სიგრძისაა, მისი მილი ვაფართოებული, უკუცილინდრული ან ზარისებრი, სუსტად გამოსახული საწელურით ან უსაწელურო, კბილები ლანცეტასებრი, გადაწეული, სწორი ოდნავ გარეთ გადახრილი, მიღზე მოკლე; გვირგვინი პატარაა, მაგრამ მისი გადანაღუნე *S. montana*-ს გვირგვინის გადანაღუნეზე დიდია, ყვითელი, ყავისფერით. ყვ. ნაყ. VI—VIII.

აწერილია დალმაციიდან, რუმელიიდან და მცირე აზიიდან.

ტიბი უცნობია.

იზრდება მშრალ ფერღობებზე, ნაზვავებზე, ქვიან ეკოტაბებზე, ველებში სუბალპურ სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.; 16 — თრიალ.; 18 — ჯავახ.; 19 — მესხ.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; დას. და აღმ.; ევროპ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; ირ.

შენიშვნა. სისტემატიკურად ახლოა *S. montana* L.-თან. განსხვავდება მისგან ღეროს წვერზე ყვითელი, კენწრული ფოთლებისაგან შექმნილი ქოჩრით, ზარისებრი ჯამით, რომელიც ნაყოფობის დროს ზომავში არ მატულობს და სუსტად გამოსახული საწელურიანი ჯამით.

2. *S. montana* L. Sp. Pl. (1753) 575; Ledeb. Fl. Ri. Ross III (1842) 401 p. p.; Гроссг. Опред. раст. Кавк (1949) 330; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 289 (georg.) p. p.; Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 91 (georg.) Юзепчук во Фл. СССР XX (1954) 268; Исаев во Фл. Азерб. VII



(1957) 253; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 193; Колак. Растит. мир Колх. (1961) 319; Тер-Хачат. в Опред. раст Груз. I (1964) 415 (georg.); Гросст. Фл. Кавк. 2, VII (1967) 327; Тахт., Фл. Еревана (1971) 252; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 35; Rechinger, Fl. Iran. 150 (1982) 106.—*S. montana* subsp. *montana*.—Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 183 p. p.; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 144.

Ис.: Фл. СССР XX (1954) табл. XVIII, рис. 1; Фл. Европ. части СССР III (1978) табл. 26, 3 (sub. *S. montana*.—Subsp. *montana*).

⊙. ფესვი მოხრილია და დაკლავილი; მთელი მცენარე გაფარჩხულ ხაო-იანბეწვიანია; ღერო 10—50 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი ან წამოწეული, მარტივი ან შუა ნაწილში დატოტვილი; ფოთლები ელიფსურია, 1—5 სმ სიგრძის, ბლაგვი, წვეტიანი ან წაწვეტებული, მოკლევუნწვიანი; ზედა ფოთ-ლები თითქმის მჯდომარეა, თითოეულ მხარეზე 1—3 (5) გვერდითი სიგრძივი ძარღვებით, რომლებიც ფართო კბილებში ბოლოვდება; დანარჩენი ფოთლები მეტწილად კიდემთლიანია, ორივე მხრიდან მჭრქალი მწვანე, შებუსული გრძე-ლი, მეტწილად არახშირი გაფარჩხული ბეწვებით. ყვავილები განლაგებულია მრავალრიცხოვან, მეტწილად ექვსყვავილიან ჩხროებში, შეკრებილი გრძელ დანაწევრებულ ცრუ თავთავებად, რომლებიც მოკლე ყვავილის ყუნწებზეა განწყობილი; თანყვავილები არ განსხვავდება ან მცირედ განსხვავდება ლე-როსეულისაგან, მეტწილად ყვავილებს აღემატება, ღეროს წვერზე განვითა-რებული არ არის ყვითელი ფერის კენწრული ფოთლები; ჯამი ხეშეშია, კარ-გად გამოხატული ძარღვებით, ნაყოფობის დროს ზომაში ოდნავ მატულობს, ხ—11 მმ სიგრძის, მისი მილი თითქმის ცილინდრულია, ან ვიწრო ზარისებრი, ჯამის ზედა ნაწილი საწელურითაა, 10 ძარღვიანი, ჯამის ხახა მეჩხერი და ბან-ჯგვლიანი გრძელი ბეწვებით; ჯამის კბილები კვერცხისებრია, ოდნავ გადა-ღუნული, სწორი, მეტწილად მთლიანად გადაღუნული (მაგრამ მოხრილი არ არის, წვეტიანი გაფარჩხულბეწვიანი, კილიანი ეკლისმაგვარი წვეტით დაბო-ლოებული, ზედა 3 კბილი შეზრდილია; გვირგვინი ჯამზე მოკლეა, ღია ყვი-თელი, დაყვავილების შემდეგ მოწითალო-ყავისფერი, გამხმარი მუქყავის-ფერი (თითქმის მოშავო), მილით ჯამში ჩამალული, ოდნავ ამოზნექილი 1,5 მმ სიგრძის ზედა ტუჩით და ქვედა ტუჩი 1 მმ სიგრძის, ძალიან მოკლე გვერდი-თი ნაკვთებით; მტვრიანები 1,5 მმ სიგრძისაა, ოდნავ ბეწვიანი; კაკლუქები 1,5 მმ სიგრძის, სამწახანგოვანი, ნაცრისფერ-ყავისფერი, წვერში მომრგვალო და ოდნავ ფოსოიან-წერტილოვანი, სხვა ნაწილში სადა. ყვ. ნაყ. VI—IX. 2n = 16, 32.

აწერილია იტალიიდან (Hb. Linn. 729/6).

ტიპი ლონდონშია.

იზრდება სუბალპურ სარტყლამდე მდელოებზე, მშრალ ფერდობებზე, ველებზე, ნათესების სარეველა.

საქ. სსრ: 1 — აფხ.; 7 — აჭარ.; 9 — ქართ.; 10 — მთიულ.; 12 — კახ.; 13 — ქიზ.; 14 — გარე კახ.; 15 — გარდ.; 16 — თრიალ.; 18 — ჯავახ.; 19 — მესხ.



სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; ევროპ. ნაწილში  
 შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.;  
 ირ.; ცენტრ. აზ.; ავღ.

გვარი 6, NEPETA L.\* — ძარამენძი

ყვავილები მოკლეყუნწიანია, ჯამზე გრძელი ან მოკლე თანაყვავი-  
 ლაყებით, შეკრებილია ფარჩხატ ჩხროებად და განწყობილია ღეროსეულ ფოთ-  
 ლების ილოლებში მტევნისებრ ან საგველასებრ ყვავილედებად. ჯამი მილისებ-  
 რია ან კვერცხისებრ-მილისებრი, 15-ძარღვიანი, სწორი ან მოხრილი, 5 თანა-  
 ბარი სიგრძის ან არათანაბარი კბილით, ჯამის ხახა სწორია ან ირიბი; ჯამის ზე-  
 და ტუჩი სამკბილაა, ქვედა ორკბილა. გვირგვინი ყვითელი, ღია ყვითელი,  
 თეთრი, ვარდისფერი, იისფერი, ცისფერი ან ლურჯია, მისი მილი ქვედა ნა-  
 წილში ვიწროა, ხახასთან გაფართოებული, ორტუჩა გადანალუნით; ზედა ტუ-  
 ჩი სწორია, ხშირად ჩახუნჭილი, ცოტად თუ ბევრად ღრმად ამოკვეთილი; ქვე-  
 და ტუჩი 3 ნაკვთიანია, შუა ნაკვთი უფრო დიდი ზომისაა, ძირში ბეწვითაა,  
 კიდემთლიანია ან მრგვალებილია. მტვრიანა 4, გვირგვინის ზედა ტუჩის ქვეშ  
 პარალელურად აღმავალი, შუათანა მტვრიანები გვერდითებზე გრძელია, სამ-  
 ტვრეების ბუდეები ძლიერ დაშორებულია. კაკლუშები მუქი მურა ან  
 შავი ფერისაა, კვერცხისებრი, უკუკვერცხისებრი ან ელიფსური, ოდნავ სამ-  
 წახნაგოვანი. — მრავალწლოვანი, უფრო იშვიათად ერთწლოვანი ბალახოვანი  
 მცენარეებია, სწორი ან წამოწეული ღეროებითა და კვერცხისებრი, ოვალური  
 ან ლანცეტა ფორმის, კიდემთლიანი ან მრგვალებილებიანი ფოთლებით. მცე-  
 ნარეები ჰერმადფროდიტებია ან ორსახლიანობა ან გინოდიცია (დედრობითი  
 ორსახლიანობა) ახასიათებს.

გვარის 250 სახეობიდან, რომლებიც აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ზომიერ  
 სარტყელსა და უმნიშვნელოდ ჩრდ. და ტროპიკულ აფრიკაშია გავრცელებ-  
 ბული, კავკასიაში 36, ხოლო საქართველოში 13 სახეობა გვხვდება.

1. მრავალწლოვანი მცენარე . . . . . 2  
 — ერთწლოვანი მცენარე . . . . . 12
2. ჯამი სწორია, თანაბარი, სწორი, ლანცეტა სადგისისებრი კბილებით და სწო-  
 რი ან უფრო იშვიათად ოდნავ ირიბი სახით. ფოთლები მოგრძოკვერცხი-  
 სებრია ან ლანცეტა . . . . . 3  
 — ჯამი ცოტად თუ მეტად მოხრილია, არათანაბარი, მოხრილი, წაწვეტებული  
 კბილებით და ირიბი სახით . . . . . 5
3. გვირგვინი ლურჯია, ჯამის ტოლია ან ჯამზე ოდნავ მოკლე; ქვედა ტუჩი  
 ცერადაა ზევით მიმართული, თითქმის ზედა ტუჩის პარალელურია; ნახევარ-  
 ქოლგის განტოტებაში ყვავილები მჯდომარეა. . . . .

11. N. Schischkinii Pojark.

- გვირგვინი სხვა ფერისაა. მილი ცოტად თუ მეტად ამოყოფილია ჯამიდან;  
 გვირგვინის ქვედა ტუჩი ზედასთან თითქმის სწორ კუთხეს ქმნის; ყვავილე-  
 ბი ყუნწებზე ზის, ჯამის კბილები ხაზურია, მკრთალი, სიფრიფანა არშით  
 შემოვლებული . . . . . 4.

\* დაამუშავა ზ. ღვინიაძემ



4. გვირგვინი იასამნისფერია, იშვიათად მოვარდისფრო ან თეთრი. კაკლუჭები წვერზე ბეწვითა და საწოვრისებრი გამონაზარდებითაა მოფენილი . . . . . 9. **N. pannonica** L.
- გვირგვინი მოყვითალო ან ჩალისფერია, ყვითელი ფერის ქვედა ტუჩით; ჯამი ღია მწვანეა. კაკლუჭები წვერზე წვეტიანი ბორცვებითაა, ბეწვები არ აქვს . . . . . 10. **N. sulphurea** C. Koch
5. კაკლუჭები გლუვია, ჯამის კბილები გრძლად, ხშირად სადგისისებრაა წაწვეტიებული . . . . . 6
- კაკლუჭები ბორცვებიანია, წვერზე ზოგჯერ საწოვრისებრი გამონაზარდებითაა . . . . . 7
6. გვირგვინი კაშკაშა ლურჯი ფერისაა, მისი მილი თითქმის 2-ჯერ გრძელია ჯამზე; ჯამი გრძელბეწვიანია; თანაყვავილაკები ხაზურ-სადგისისებრია . . . . . 2. **N. supina** Stev.
- გვირგვინი მოთეთროა, ხშირად ქვედა ტუჩი მეწამული ან იისფერი წერტილებითაა; გვირგვინის მილი არაა ამოყოფილი ჯამიდან, ჯამი სქლადაა მონაცრისფრო მოკლე ბეწვით მოფენილი; თანაყვავილაკები მნიშვნელოვნად მოკლეა ჯამზე . . . . . 1. **N. cataria** L.
7. გვირგვინი მოთეთრო, მოყვითალო ფერისაა, მკრთალი ყვითელი ფერის ქვედა ტუჩით, გვირგვინის მილი მცირედაა ამოყოფილი ჯამიდან. კაკლუჭები წვრილი. წვეტიანი ბორცვებითაა მოფენილი. ფოთლები ლანცეტაა. ძირში ღრმად გულისებრი . . . . . 5. **N. Komarovii** E. Busch
- გვირგვინი სხვა ფერისაა. კაკლუჭები ბრტყელი ან ბლაგვი ბორცვებითაა . . . . 8
8. ჯამის ზედა კბილი მნიშვნელოვნად გრძელია დანარჩენებზე; ჯამის მილი ძლიერ მოხრილია, ძლიერ ირიბი ხახა აქვს. გვირგვინი მოთეთროა, იისფერ მოწითალო ქვედა ტუჩით, თითქმის გადანალუნამდეა ჯამში ჩამალული; ჯამი მოთეთრო ხშირი შებუსვითაა . . . . . 8. **N. Biebersteiniana** (Trautv.) Pojark.
- ჯამის ზედა კბილი ნაკლებად განსხვავდება დანარჩენებისაგან; ჯამის მილი თითქმის სწორია, ხახა რამდენადმე ირიბია . . . . . 9
9. ჯამი წინიდან, ქვედა კბილების ძირში საკმაოდ ფართო ელიფსური ამონაკვეთითაა, ჯამის ხახა ძლიერ ირიბია . . . . . 3. **N. iberica** Pojark.
- ჯამს წინიდან, ქვედა კბილების ქვევით, ამონაკვეთი არ აქვს. . . . . 10
10. ყვავილები ცრუ ჩხროებით მჭიდრო თავთავისებრ ყვავილედადაა შეჯგუფებული, უფრო იშვიათად ერთი ან ორი ცრუ ჩხრო დაშორებულია დანარჩენებიდან. ღერო მარტივია . . . . . 6. **N. Grossheimii** Pojark.
- ყვავილები დაშორებული ნახევარქოლგებში ან ცრუ ჩხროებადაა ანდა მხოლოდ ზედა მათგანია ფარჩხატად შეჯგუფული. ღერო მეტწილად დატოტვილია ან ღერო რამდენიმეა . . . . . 11
11. ყვავილენი ორმხრივია, ფარჩხატი, შედგება მრავალყვავილიან ნახევარქოლგებისგან; გვირგვინი იისფერ-ლურჯია. ღერო სწორია 150 სმ სიმაღლის . . . . . 4. **N. grandiflora** Bieb.
- ყვავილენი ცოტად თუ ბევრად ცალმხრივია, შედგება ცრუ ჩხროებისაგან; გვირგვინი იასამნისფერ-ცისფერია. ღერო მრავალია, წამოწეული 15—40 სმ სიმაღლის. ფოთლები მეტწილად მონაცრისფროდ ხავერდისებრ შებუსვლია . . . . . 7. **N. Mussinii** Spreng.



12. ჯამი ქვედა ნაწილში გაფართოებულია, ოდნავ ირიბი ხახითა და უთანაბრო კბილებით, ზედა კბილები კვერცხისებრ-ლანცეტაა, ბლაგვევრიანი, ქვედა კბილები ლანცეტა, ყველა კბილი კიდეზე ბეწვითაა მოფენილი, 3—4-ჯერ მოკლეა მილზე; გვირგვინი მოხრილი მილითაა, რომელიც თითქმის არაა ამოყოფილი ჯამიდან . . . . . 12. N. Troitzkyi Sosn.

— ჯამი ყვავილობისას ძალიან ვიწრო მილითაა, მოხრილია, ძალიან ირიბი ხახა აქვს, ორტუჩაა, ზედა ტუჩი ფართოა, კვერცხისებრი, მახვილწვერიანი კბილებით; გვირგვინი 1,5—2,5 მმ-ზეა ჯამიდან ამოყოფილი . . . . .

. . . . . 13. N. amoena Stapf

Sect. 1. *Cataria* Benth., Lab. Gen. Sp. (1834) 466, 476 p. p.; Поляркова Фл. СССР XX (1954) 348 p. p.; Rechinger, Fl. Iran. n° 150 (1982) 140.— ყვავილების ჩხროები ურთიერთდაშორებულია ან შეკრებილია კენწრულ მტევნისებრ ან საგველასებრ ყვავილებად. მრავალწლოვანი მცენარეებია. თანაყვავილაკები ვიწროა. ჯამი ყვავილობისას ვიწრო მილისებრია, ნაყოფობისას უფრო ფართო კვერცხისებრამდე, ცოტად თუ მეტად ირიბი ხახით; შიგნიდან შიშველი; გვირგვინის მილი ჯამიდან არაა ამოყოფილი ან ცოტად თუ მეტად მოკლედ ამოყოფილია.

1. *N. cataria* L. Sp. Pl. (1753) 570; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 39; Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 477; idem, in DC. Prodr. XII (1848) 383; Ledeb. Fl. Ross. III (1847) 374; Boiss. Fl. Or. IV (1879) 643; Гроссг. Фл. Кавк. III(1932) 293; Колак. Фл. Абх. IV(1949) 48; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 331; Сосновский и Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 293 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 91 (georg.); Поляркова во Фл. СССР XX (1954) 349; Аскерова во Фл. Азерб. VII (1957) 258; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 194; Колак. Растит. мир Колх. (1961) 316; Капеллер, Опред. раст. Груз. I (1964) 416 (georg.); Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 333; Turner in Fl. Europ. 3 (1972) 159; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 146; Галушко, Фл. Сев. Кавк. III (1980) 36; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 258; Hedge und Lamond in Davis, Fl. Turkey, 7 (1982) 270; Rechinger, Fl. Iran. n° 150 (1982) 141.

Ис.: Reichenb. Icon. Fl. Germ. 18 (1856—58) tab. 1242; Rechinger, Fl. Iran. n° 150 (1982) tab. 131.—კატაპიტნა.

2. ლერო სწორია, დატოტვილი, 125 სმ-მდე სიმაღლის, ნაცრისფერი, მოკლე ბეწვით შებუსული; ფოთლები სამკუთხა კვერცხისებრია, მსხვილი და საკმაოდ ღრმად მრგვალებილა-ხერხისებრი, მახვილწვერიანი, ყუნწებიანი, ზედა მხარეზე მწვანე ფერის, მოკლე ბეწვით შებუსული, ქვედა მხარეზე უფრო გრძელი და სქელი ბეწვით მოფენილი, მონაცრისფრო; კენწრული ფოთლები უფრო პატარაა, ფოთლისნაირი. ჩხროები მრავალყვავილიანია, მოგრძო მტევნისებრ ყვავილედად შეკრებილი; ყვავილები მოკლე ყუნწებზეა განწყობილი; თანაყვავილაკები სადგისისებრია, შებუსული, ჯამზე თითქმის 2-ჯერ მოკლე; ჯამი სქლადაა ნაცრისფერი მოკლე ბეწვით შებუსული, ხახის ქვეშ შევიწროებულია და ოდნავ მოხრილი; ჯამის კბილები არათანაბარზომისაა, მოგრძო ლანცეტა-სადგისისებრი, მილზე ოდნავ უფრო მოკლე, ზოგჯერ შეფერილია,



ხახა ირიბია; გვირგვინი თეთრია, მოხრილი მილით, ჯამიდან არაა ამოყოფილი; მისი ქვედა ტუჩი წითელი წინწყლებითაა. კაკლუქები ფართო ელიფსურად გლუვი. VI—IX.  $2n=18$  (Kaczmarek, 1957),  $2n=16$  (Colombo et al., 1980).

აწერილია ევროპიდან («in Europa») (Hb. Linn. 726/1).

იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებზე მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირი (ფურცხვანიძე); 3 — რაჭა-ლეჩხ.: რიონის ხეობა, აჭარის ხიდი, ალპანასთან; ამბროლაურსა და ცესს შორის (კემულარია-ნათაძე); 5 — იმერ.: ქუთაისი, ჭიათურა, სოფ. დარკვეთთან (კემულარია-ნათაძე); 7 — აჭარ.: ხულოს რაიონი, სოფ. ხიხაძირა (დმიტრიევა); 9 — ქართ.: ბორჯომსა და დაბას შორის; ტბა; წალვერი; ბორჯომი; (ნიკოლაევი; კოზლოვსკი); წყნეთი, ახალდაბის ტბასთან (შ. ქუთათელაძე); 12 — კახ.: თელავი (მედვედევის პერბაროუმიდან); 14 — გარე კახ.: კაჭაბუთი; იორის ველი (ყანჩაველი); გომბორი (ტროფიმოვი); 19 — მესხ.: ახალციხე (სოსნოვსკი), აწყური (კოზლოვსკი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; აღმ. ანატ.; ირ.

ს ა მ გ უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ა . ეთერზეთოვანი მცენარეა.

Sect. 2. *Spicatae* (Benth.) Pojark. во Фл. СССР XX (1954) 312; Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 332; Rechinger, Fl. Iran. n° 150 (1982) 115. — Sect. *Pucnonepeta* § *Spicatae* Benth. in DC. Prodr. XII (1848) 371; — Sect. *Eunepeta* § *Spicatae* Boiss. Fl. Or. (1879) 637. — ჩხროები შეკრებილია კენწრულ თავთავისებრ ქვედა ნაწილში წყვეტილ ყვავილედეგში; თანაყვავილაკები ხაზურსადგისისებრია; ჯამი უკუკონუსურია, ზურგის მხრიდან ოდნავ კუზიანი (მოხრილი), პირდაპირი ან ირიბი, ზოგჯერ ორტუჩა ხახით; გვირგვინი მოხრილი მილითაა; ქვედა ტუჩის შუა ნაკვთი შუაში გამობერილია. კაკლუქები გლუვია.

2. *N. supina* Stev. Mém. Soc. Nat. Mosc. III (1812) 265; Bieb. Fl. Tur.-Cauc. III (1819) 391; Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 473; idem in DC. Prodr. XII (1848) 374; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 373; Boiss. Fl. Or. IV (1879) 642; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 293; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 331; Сосновский и Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 294 (georg.); Пояркова во Фл. СССР XX (1954) 326; Аскерова во Фл. Азерб. VII (1957) 257; Капеллер, Опред. раст. Груз. I (1964) 416; Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 332; Галушко, Фл. Сев. Кавк. III (1980) 35; Hedge and Lamond in Davis, Fl. Turkey, 7 (1982) 279. — *N. caucasica* Somm. et Levier, Nouv. Giorn. Bot. Ital. IV, 2 (1897) 298.

Ic.: Acta Horti Petropol. 16 (1900) tab. 41 (sub *N. caucasica* Somm. et Levier).

Exs.: FHR n° 223; Fl. Cauc., exs. n° 293.

4. ღერო წამოწეულია, ძირიდანვე დატოტვილი, 30 სმ-მდე სიმაღლის, შებუსუსლი; ფოთლები პატარა ზომისაა, კვერცხისებრი მრგვალებილებიანი,

ბლაგვეწერიანი, ძირში მოკლედ სოლისებრ შევიწროებული, თითქმის მკრთო-მარე, ორივე მხარეზე მიტკეცილი ბეწვით შებუსული; კენწრული ფოთლები უფრო პატარა ზომისაა, არაა სახეშეცვლილი. ჩხრებები არაა მრავალყვავილიანი, მჭიდრო კვერცხისებრ თავთავისებრ ყვავილედს ქმნის; ყვავილები განწყობილია ძალიან მოკლე ყუნწებზე; თანაყვავილაკები ხაზურ-სადგისისებრია, ისევე როგორც ჯამი, გრძელი და ხშირი ბეწვით მოფენილი, ჯამზე დაახლოებით ორჯერ მოკლე; ჯამი ზოგჯერ ოდნავ შეფერვილია, მილისებრი, ოდნავ მოხრილი, არათანაბარზომის ლანცეტა ფორმის მახვილი კბილებით, რომლებიც ჯამზე  $2\frac{1}{2}$ — $2\frac{3}{4}$ -ჯერ მოკლეა და ირიბი ხახა აქვს; გვირგვინი ლურჯია, წვრილი, მოხრილი მილით,  $1\frac{1}{2}$ — $1\frac{2}{3}$ -ჯერ ჯამზე გრძელი. კაკლუშები მოგრძო უქუქვერცხისებრია, შიშველი. VI—VII.

აწერილია კავკასიონიდან (მთავარი ქედი, ტფან-დაღის ძირში, მდ. ხოჯალთან). ტიპი დაცულია ჰელსინკში (H), ტოპოტიპები — ლენინგრადში (LE). იზრდება ჩამონახვავებზე და ღორღიან ადგილებზე, სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ.: 2 — სვან.: ბეჩო (აქინფივის პერბარიუმში); 3 — რაჭა-ლეჩხ.: მამისონის გადასავალი (ზურებიანი); 8 — სამხ. ოს.: მთა ფიღარი, 3150 მ. ზღ. დ. (მანდენოვა); მთა ფიღარის ფერდობი 2400 მ. ზღ. დ. (დარბინი); 10 — მთიულ.: ყაზბეგი, 3150 მ. ზღ. დ. (უცნობი კოლექტორი); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: პირიქითა ხევსურეთი, შიბუ-ღელეს გადასავალი; უკანახოს მთა: აცუნტას გადასავალი (გრიგორაშვილი; შეთეკაური); თუშეთი, აბანოსერი (გაგნიძე, შეთეკაური, ლიქოკელი, ცინცაძე).

სსრკ: იმიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელება: მც. აზ.

Sect 3. *Schizocalyx* Pojark. во Фл. СССР XX (1954) 522, 391; Rechin-ger Fl. Iran. n° 150 (1982) 151. — Sect. *Macronepeta* Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 467, 482. — Sect. *Eunepeta* § *Longiflorae* Boiss. p. p. (guoad descr. sed excl. *N. longiflora* Vent.) — ჯამი ვიწრო მილისებრია, მოხრილი, ძლიერ ირბი ან ორტუჩა სახით, წინიდან ღრმად და ფართოდ ამოკვეთილი და მოკლე კბილებით; გვირგვინი გრძელმილიანია, რომელიც ჯამზე  $1\frac{1}{2}$ -ჯერ— $3$ -ჯერ გრძელია; ქვედა ტუჩის შუა ნაკვთი მოხრილია, მსხვილკბილებიანი; თანაყვავილაკები ჯამზე ბევრად მოკლეა; კაკლუშები გლუვია ან ძალზე წვრილ-ბორცვებიანი.

O 3. *N. iberica* Pojark. Бот. Мат. герб. Бот. инст. АН СССР, XV (1952) 318; Пояркова во Фл. СССР XX (1954) 400; Капеллер Определ. раст. Груз. I (1964) 417; Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 340. — *N. teucriifolia* auct.: Grossh. et Schischk. in Sched. Pl. or. exs. n° 91; Гроссг. Фл. Кавк. III (1932). p. p.; idem, Определ. раст. Кавк. (1949) 331 p. p.; Со-сновский и Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 294.

Exs.: Pl. or exs. n° 91.

Ис.: Фл. Груз. VII (1952); рис. 319 (sub *N. teucriifolia* Willd.)

4. ღეროები 30—50 სმ სიმაღლისაა, მარტივი ან მცირეოდენ დატოტვი-ლი, ქვედა ნაწილში იისფერი; ღეროსეული ფოთლები სამკუთხაა, იშვიათად კვერცხისებრ-სამკუთხაა, ბლაგვი ან მომახვილო წვერით, ღრმა-გულისებრი ფუ-

ძით, იშვიათად წაკვეთილი ან სოლისებრი, მსხვილი, კვერცხისებრი ან მრგვალი, ძო კვერცხისებრი, ბლავი ან მახვილი კბილებით, მოკლე ბეწვით შებუსული, კენწრული ფოთლები ლანცეტა-სადგისისებრია, იისფერი: ყვავილეთი წარ-  
შოდგენილია 5—10 ნახევარქოლოვებისგან შეკრებილი ფაშარ მტევნად. თანა-  
ყვავილები ლანცეტა, გრძელი მახვილი წვერით,  $1\frac{1}{2}$ —2-ჯერ ყვავილის ყუნ-  
წებზე გრძელი. ჯამი იისფერია, მოხრილი, წინიდან, ქვედა კბილების ძირში,  
საკმაოდ ფართო ელიფსური ამონაკვეთით, ჯამის ხახა ძლიერ ირიბია, კბი-  
ლები ფართო აპკისებრი კიდით, იშვიათი წამწამებით, ზედა — სამკუთხა  
ან კვერცხისებრ-სამკუთხაა,  $4\frac{1}{2}$ — $5\frac{1}{6}$  (6)-ჯერ მოკლე ჯამზე, ქვედა — ლანცეტა,  
გრძლად წამახვილებული; გვირგვინი 17,5—20 მმ სიგრძის, ლურჯი, შებუსუ-  
ლი, ჯამზე 2— $2\frac{1}{2}$ -ჯერ გრძელი. კაკლუჭები ელიფსისებრია, 1,5 მმ სიგრძის.  
! მმ სივანის, ყვავისფერი, წვერილი, ხშირი, ბრტყელი ბორცვებით. VI—VIII.

აწერილია აღმ. ამიერკავკასიიდან (თრიალეთის ქედი, თბილისის მიდამოები). ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE); Transcaucasica, Tiflis in lapidosis, 23—VII—22 leg. A. Grossheim Pl. or. exs. № 91. პარადიგმატოტიპი თბილისში (TBI).

იზრდება მშრალ ფერდობებზე მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ატენსა და ბობნევეს შორის (სოსნოვსკი); ტანას ზეობა, სოფ. ბობნევეთან (ქუთათელაძე, ლენინიძე, შხიანი); მცხეთა, არმაზის ხევი (მიცკევიჩი, ნებრინცევა); წყნეთი (სოსნოვსკი); 19 — შესხ.: ასპინძის მიდამოები (ხინთიბიძე, გაგნიძე, მუყბანიანი) (რუკა 9).

Sect. 4. *Stenostegiae* (Boiss.) Rechinger Fl. Iran. n° 150 (1982) 176. — *Nepeta* § *Stenostegiae* Boiss Fl. Or. IV (1879) 638. — ჯამი სწორია, იშვიათად რკალისებრ აღმართული. ცრუ ჩხროები მრავალყვავილიანია, მკდომარე. თანაყვავილაკები ლანცეტა ან ხაზურია. ჯამის ხახა სწორია, მილს შიგნიდან ბეწვის რგოლი არა აქვს. გვირგვინის მილი უმეტესად ჯამიდან ამოყოფილია. კაკლუჭები ბორცვებიანია.

© 4. *N. grandiflora* Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 42; idem, III (1819) 392; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 385; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 376; Boiss. Fl. Or. IV (1879) 659; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 295; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 331; Сосновский и Капеллер в Фл. Груз. VII (1952) 298 (georg.); Полякова в Фл. СССР XX (1954) 359; Аскерова в Фл. Азерб. VII (1957) 261; Капеллер, Опред. раст. Груз. I (1964) 417; Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 334; Галушко, Фл. Сев. Кавк. III (1980) 36.

Is.: Фл. Груз. VII (1952) рис. 320; Hegi, Ill. Fl. V, Fig. 3249, a — в.  
Exs.: HFR u° 1083

2. დერო სწორია, მეტწილად დატოტვილი, 125 სმ სიმაღლის, წვერილი და გაბნეული ბეწვით შებუსული ან თითქმის შიშველი; ფოთლები დიდი ზომისაა, მოგრძო კვერცხისებრი, მრგვალკბილებიანი, მობლავოწვერით (ზედა ნაწილში წვერით), ძირში გულისებრია, მოკლემწიწიანი, ცოტად თუ ბევრად შებუსული ან თითქმის შიშველი; კენწრული ფოთლები ლანცეტა, სუსტად დაკბილული, თითქმის კიდემთლიანამდე. ჩხროები მრავალყვავილიანია, ფარ-

ჩხატ საგველასებრ ყვავილედს ქმნის; თანაყვავილაკები ძალიან პატარა ზომისაა, სადგისებრი, დაახლოებით ჯამზე 4-ჯერ მოკლე, ისევე როგორც ჯამი, ცოტად თუ ბევრად მოკლე და გაბნეული ბეწვით შებუსუსული; ჯამი იისფერია, ოდნავ მოხრილი, ირიბი ხახით, არათანაბარზომის, ლანცეტა, მახვილწვერიანი კბილებით, დაახლოებით 3-ჯერ მოკლე ჯამის მიღზე; გვირგვინი მუქი ლურჯი ან იისფერია, მოხრილი მილით, 1<sup>1</sup>/<sub>4</sub>-ჯერ უფრო გრძელია ჯამზე. კაკლუჭები ფართო ელიფსური ან უკუკვერცხისებრია, ხშირი წერტილებით მოფენილი. V—VIII. 2n=36 (სურ. 4).

აწერილია; კავკასიიდან „In *Ōmnis Caucasi graminosis montanis sylvaticis*“. ტიპი დაცულია ლენინგრადში LE. Sec. **Фл.** СССР XX (1954).

იზრდება მდელოებსა, ფერდობებზე, ბუჩქნარებში, გზის მახლობლად ტყის სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 3 — რაჭა-ლეჩხ.: შოგსა და ლურწყვეს შორის; უწერასა და შოგს შორის; (კაბელერი); გლოლა (კემულარია-ნათაძე); 8 — სამხ. ოს.: ერმანსა და ხოს შორის; ერმანი; კუდარის რაიონი; ჩაპარუხის ხეობა (ე. და ნ. ბუშები); 10 — მთიულ.: ყაზბეგი (სოსნოვსკი; სულაკაძე); გუდამაყრის ხეობა (მედვედევის ჰერბარიუმი); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: თუშეთი, სოფ. ჩონტიზ (რადე); ომალო (ჭელიძე); 12 — კახ.: გომბორი (ტრიფონოვი).

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა. ზოგჯერ ამრავლებენ როგორც დეკორატიულ მცენარეს.

О 5. **Н. Комаров** E. Busch в Бот. журн. СССР, XXIV (1939) 423; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 331; Сосновский и Капеллер во Фл. Груз VII (1952) 301 (georg.); Полякова во Фл. СССР XX (1954) 412; Капеллер. Опред. раст. Груз. I (1964) 416 (georg.).

Is.: Бот. журн. XXIV (1939) рис. 1.

2. ღერო მრავალია, სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი, ირიბი ფესურიდან ამოდის, 90 სმ-მდე სიმაღლის, ისევე როგორც ფოთლები, ღია მწვანე ფერის, ოდნავა შებუსუსული მოკლე ბეწვით ან შიშველია; ფოთლები დიდი ზომისაა, მოგრძო კვერცხისებრი, მრგვალებილებიანი, მობლავო ან მომახვილოწვერიანი, ძირში ღრმად და ვიწროდ გულისებრი; ყველა ფოთოლი, გარდა ქვედა ფოთლებისა, ძალიან მოკლეყუნწიანია, ზედა მხარეზე თითქმის შიშველი, ქვედა მხარეზე წვრილი და გაბნეული ბეწვით შებუსუსული; კენწრული ფოთლები ლანცეტა, კიდემთლიანი. ჩხროები მრავალყვაილიანია, ქვედა მათვანი გრძელ ყუნწებზე სხედან; ყვავილედი მტევნისებრია, არაა მჭიდრო; თანაყვავილაკები ხაზურ-სადგისისებრია, ჯამზე მნიშვნელოვნად მოკლე, მოკლე ბეწვით შებუსუსული; ჯამი ღია მწვანეა, ოდნავ მოხრილი, არათანაბარი კბილებით, რომლებიც ლანცეტა-ხაზურია, მახვილწვერიანი, თეთრი, სიფრიფანა არშიით შემოვლებული, ზომით ჯამის სიგრძის ნახევრის ტოლია, ხახა ირიბი, სქალდაა მოკლე ბეწვით შებუსუსული; გვირგვინი თეთრია, მისი ქვედა ტუჩი მკრთალი მოყვითალოა; გვირგვინის მილი მოხრილია, ჯამიდან არაა ამოყოფილი ან ოდნავ ამოყოფილია. კაკლუჭები ფართო ელიფსურია, მთელ ზედაპირზე ხშირი წერტილებითა და სუსტად გამოსახული ბორცვებით მოფენილი. V—VII.

აწერილია სამხ. ოსეთიდან.

Т у р у с: Бассейн р. Малой Лиахви, близ сел. Стыр-Гнух Е. А. Буш (LE; isotypus TBI).

იზრდება კლდეებზე, სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 8 — სამხ. ოს.: მდ. პატარა ლიახვის ხეობა, სოფ. სტირ-გუნხი (მილოშვინი) (რუკა 10).

შენიშვნა. თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში დაცულ მასალას მიაკუთვნებენ *N. sulphurea* C. Koch-ს სასებით არასწორად, ვინაიდან *N. Komarovii*-ს ჯამის კბილები განსხვავებით *N. sulphurea*-სგან არათანაბარია, ხოლო ჯამი ირიბი ხახითაა. ასევე არასწორია *N. Komarovii*-ს შეტანა სეკცია *Orthonepeta* Benth.-ში ამავე ნიშნების გამო.

©. 6. *N. Grossheimii* Rojark. Бот. мат. герб. Бот. инст. АН СССР XV (1953) 310; eadem во Фл. СССР XX (1954) 363; Аскерова во Фл. Азерб. VII (1957) 259; Капеллер, Опред. раст. Груз. I (1964) 417 (georg.); Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 334; Hedge and Lamond in Davis, Fl. Turkey, 7 (1982) 278 sub syn. *N. betonicifolia* C. A. Meyr. — *N. betonicaefolia* Grossh. III (1932) 294; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 330, p. non C. A. Meyr.

Is.: Фл. СССР XX (1954) табл. XXIII, рис. 1.

4. ღერო 15—40 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, მწვანე, საკმაოდ ხშირი შებუსვით, ფოთლები მწვანეა, იშვიათი ან ხშირი შებუსვით, ქვედა მხრიდან წერტილოვანი ჭირკვლებით მოფენილი, სამკუთხა ან მოგრძო კვერცხისებრი, ვული-სებრი ფუძით, მახვილწვერიანი, კიდედაკბილული, ქვედა ფოთლების ყუნწები ფირფიტის ტოლია ან  $1\frac{1}{2}$ -ჯერ მოკლეა, ზედა ფოთლები მჭლომარგა. ფოთლები 2,5—4,8 სმ სიგრძისაა. ყვავილები ცრუ ჩხროვებულაა, შეჯგუფულია ღეროს წვერზე მჭიდრო თავთავისებრი ყვავილედებად, უფრო იშვიათად ერთი ან ორი ცრუ ჩხრო დამორებულია დანარჩენებისაგან; თანაყვავილაკები ვიწრო ხაზურია, თითქმის ჯაგრისებრი, ჯამის  $1/2$  ან  $1/3$ , იისფერი, სქლად შებუსული; ჯამი 7—8,5 მმ სიგრძისაა, იისფერი, ოდნავ ირიბი ხახით, ქვედა ნაწილში, სქლად შებუსული თეთრი, გრძელი, თითქმის სწორი გაფარჩხული ბეწვით, ზედა ნაწილში კი უფრო მოკლე, ზევით აღმართული ბეწვით და იშვიათად მოფენილი მჭლომარგ წვრილი თეთრი ჭირკვლებით, სამკუთხა, თითქმის თანაბარი კბილებით; გვირგვინი 15—17 მმ სიგრძისაა, ლურჯი-იისფერი, გარედან ხშირი მოკლე ბეწვით შებუსული, მილი 1,5—2 მმ-ზეა ამოწეული ჯამიდან; ზედა ტუჩი 3—3,5 მმ სიგრძისაა, ქვედა ტუჩის შუა ნაკეთის სიგანე ორჯერ მეტია მის სიგრძეზე, კიდეზე მსხვილი სამკუთხა კბილებით, გვერდითი ნაკეთები სამკუთხა-მომრგვალოა; სვეტი ზედა ტუჩზე ოდნავ გრძელია; V—VII.

აწერილია ზანგეზურის ქედის დას. ფერდობიდან ბიჩენახის გადასავლის მახლობლად. ტიპი დაცულია ლენინგრადში (LE). თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში (TBI) ინახება პროტოლოგში (op. cit.) ციტირებული ეგზემპლარი ზანგეზურის ქედიდან.

იზრდება ბალახოვან ფერდობებზე, მდელოებზე, სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრ: 9—ქართ.: Sec. Опред. Раст. Груз. (op. cit.) 16—თრიალ.: წალკა (ქუთათელაძე, ხინთიბაძე); მანგლისი (სახოკია); მდ. ხრამის ხეობა (ქუთათა-5. საქართველოს ფლორა, XI

თელაძე, ლენინიძე, ხინთიბიძე); 17—ქვ. ქართ. Sec. Опред. раст. Груз. (op. cit.): 18—ჯავახ.: ტაბაწყურის ტბა (კოზლოვსკი); ახალქალაქი, ტამბოვკა; მად-ტაფა (ზედელმეიერი); ახალქალაქი, გორელოვკა; ცხრა-წყარო (გროსჰეიმი).

შენიშვნა. *N. Grossheimii* Pojark., *N. betonicifolia* C. A. Mey. და *N. somkhetica* Karell, მეტად მახლობელი სახეობებია, რომლებიც ა. პოიარკოვამ (Фл. СССР op. cit გვ. 361) ერთ შუკრივში გააერთიანა *Ser. Betonicifolia* Pojark.

თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის პერბარიუმში დაცული *N. Grossheimii* Pojark-ს კოლექცია ი. მენციკიმ (in schedis) მიაკუთვნა *N. betonicifolia* subsp. *strictifolia* Pojark-ს. „თურქეთის ფლორაში“ (Fl. Turkey 7) *N. Grossheimii* Pojark. *N. befonicifolia* C. A. Mey.-ის სინონიმადაა განხილული, თუმცა სახეობის შენიშვნაში ავტორები არ არიან დარწმუნებული სინონიმის სისწორეში. მოითხოვს გარდამეხილვას.

სამეურნეო მნიშვნელობა. ეთერზეთოვანი, თაფლოვანი და დეკორატიული მცენარეა.

7. *N. Mussinii* Spreng. ex Henckel. Adumbr. pl. h. (1806) 15; Bieb. Fl. Taur-Cauc. II (1808) 39; idem, III (1819) 390; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 385; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 376; Boiss. Fl. Or. IV (1879) 660; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 295; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 332; Сосновский и Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 297 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 92 (georg.); Полякова во Фл. СССР XX (1954) 369; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 417 (georg.); sub. syn. *N. racemosa* Lam.: Hedge and Lamond in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 276; Rechinger, Fl. Iran. n° 150 (1982) 108.

Ис.: Reichenb, Ic. bot. VI, tab. 587, fig. 806; Макашвили Фл. окр. Тбилиси II (1952) табл. С.

Exs.: Pl. or. exs. n° 270.

2. ღერო მრავალია, წამოწეული ან მწოლარე, მარტივი ან დატოტვილი, 40 სმ-მდე სიმაღლის, ბანჯგვილიანბეწვიანი; ფოთლები არაა დიდი ზომის, კვერცხისებრია, მრგვალებილა კიდით, ბლავგი, ძირში ოდნავ გულისებრი, მოკლეყუნწიანი, ზედა მხარეზე მწვანე ფერისაა, სუსტად შებუსუსლი, ქვედა მხარეზე მონაცრისფროა, ცოტად თუ ბევრად ბანჯგვილიან-ბეწვიანი; კენწრული ფოთლები უფრო პატარა ზომისაა, არაა შეცვლილი, მკდომარეა. ჩნბოები არაა მრავალყვავილიანი, საკმაოდ ფარჩხატ, ქვედა ნაწილში წყვეტილ მტევნისებრ ყვავილედად შეკრებილი; თანაყვავილაკები ძალიან პატარაა, საღვისებრი, დაახლოებით ჯამზე 4-ჯერ მოკლე, ისევე როგორც ჯამი, გრძელი ხშირი და რბილი ბანჯგვილიანი ბეწვით მოფენილი; ჯამი ცისფერია ან იისფერ-ცისფერი, ცოტად თუ ბევრად მოხრილი, ირიბი ხახით, არათანაბარზომის, სამკუთხალანცეტა, მახვილი კბილებით, რომლებიც დაახლოებით 4-ჯერ უფრო მოკლეა ვიდრე მილი; გვირგვინი ცისფერია, მოხრილი მილით, 1½-ჯერ გრძელი ჯამზე. კაკლუმები ფართო ელიფსურია, მთელ ზედაპირზე ნათლად გამოსახული ბორცვებით. IV—VIII. 2n=18.

აწერილია კულტივირებული მცენარებიდან.

იზრდება მშრალ, ქვიან, კლდოვან ადგილებზე, კლდის ნაპრალებში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომი, წალვერი; ჭობის ხევი (კოზლოვსკი); გუჯარეთის ხეობა, ტიმოთეს-უბანი; პეტრეს ციხე (ხინთიბიძე), ატენი (რადე; ვორონოვი); წავკისი (ბალუევა; ქუთათელაძე); თელეთი (მედვედევის ჰერბარიუმიდან; სოსნოვსკი; კაპელერი; კაფიევი; კვარაცხელია); თბილისი (პავლარი; მირონენკო); ტაბახმელა (გუბისი); 13 — ქიზ.: სიღნაღი, თამარხევი (ლორთქიფანიძე); წითელწყარო, თუქურშიშა (ყანჩაველი); 16 — თრიალ.: თეთრიწყაროს რაიონი, ბირთვისი; სოფ. ალგეთთან; ყარაბულაღსა და პანტიანს შორის; ნამტვრიანი (ქუთათელაძე, შხიანი, ღვინიაძე, ხინთიბიძე, მცხვეთაძე); ტანას ხეობა, ბოშურის პირდაპირ; რკონი (ქუთათელაძე, შხიანი, ღვინიაძე); 17 — ქვ. ქართ.: ბორჩალო, ორთაშუა (კეცხოველი); დმანისი, სოფ. ეელის-პირი; სოფ. განათლება (დოღუხანოვი, მანდენოვა, შხიანი); მდ. კარასეს ხეობა, სოფ. ამალუს პირდაპირ (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი); 18 — ჯავახ.: სოფ. არავესთან (ხინთიბიძე, ჩუხრუკიძე, კაპანაძე); ახალქალაქი, (გროსპეიმი; კოზლოვსკი; ზედელმეიერი); ახალქალაქსა და ხერთვისს შორის (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); აბული (ზამთარაძე); ასპინძიდან 30-ე კმ ახალქალაქისკენ (ივანიშვილი, მუყბანიანი); 19 — მესხ.: აწყურსა და თისელს შორის (ხინთიბიძე); აწყურთან (კოზლოვსკი); ახალციხე, მინაძესა და რუსთავს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ვარძია (ხარაძე, ხინთიბიძე).

სსრკ: იმიერკავკ.: (დაღესტანი); იმიერკავკ.: აზერბ., სომხ. საერთო ვავრცელ.: მც. აზ.; ირ.

შენიშვნა. *N. Mussinii Spreng. ex Henkel* მეტად ახლობელია სახეობებისათვის *N. Reichenbachiana Fisch. et Mey.*, *N. hajastana Grossh.*, *N. transcaucasica Grossh.*, *N. noraschenica Grossh.* ძველ ავტორებს (*Bieberstein, Benth, Ledebur, Boissier, op. cit.*) კავკასიისათვის მოჰყავდათ კიდევ *N. racemosa Lam.* თურქეთის და ირანის ფლორებში (*op. cit.*) სახეობა *N. Mussinii N. racemosa Lam.*-ს სინონიმშია შეტანილი, თუმცა *Hedge* და *Lamond* თვლიან, რომ საპერბარიუმო მასალა ამომწურავ პასუხს არ იძლევა თურქეთის, ირანის და კავკასიის ამ ჯგუფის მასალის სტატუსის საბოლოოდ დასადგენად. [*Notes RBG Edinb. 38 (1) 1980 41—47*]. ამ ციკლის წარმომადგენელთა რანგის დადგენა გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

© 8. *N. Biebersteiniana* (Trautv.) Pojark. во Фл. СССР, XX (1954) 357; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 416; Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 338; Галушко, Фл. Сев. Кавк. III (1980) 37. — *N. cyanea v. Biebersteiniana* Trautv. Тр. СПб. бот. сада V, II (1877) 470; Сосновский и Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 297 (georg.). — *N. cyanea* auct. non Stev.: Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 478 p. p.; idem, in DC. Prodr. XII (1848) 383 p. p.; Boiss. Fl. Or. IV (1879) 656 p. p.; \*Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 332 p. p. — *N. incana* auct. non Ait.: Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 40. — *N. incana* var. *acinifolia* Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 392.

4. ძლიერ დატოტვილი მცენარეა, მოკლე ხშირი შებუსების გამო რუხი ან მოთეთრო, 20—50 სმ სიმაღლის ღეროებით, მოკლე ხშირი ხუჭუჭა ან

ზედა ნაწილში რამდენადმე გაფარჩხული ბეწვით შებუსული, ჩვეულებრივ ძირიდანვე ან ძირიდან ოდნავ უფრო მაღლა დატოტვილი; ფოთლებზე ოდნავ მხრიდან მოყვითალო ან რუხი, ზოგჯერ თითქმის ქეჩისებრი შებუსვით, ქვედა მხარეს ყვითელი წერტილოვანი ჯირკვლებით მოფენილი, ღეროსეული 9—30 (40) მმ სიგრძის და 6—25 (35) მმ სიგანის, კვერცხისებრ-მოგრძო ან ლანცეტა, კიდეებზე ოდნავ მრგვალებილი, ძირში სოლისებრი ან წაყვეთილი ფუძით; ქვედა ფოთლების ყუნწები 1,5—2,5-ჯერ, ზედასი — კი 3,5-ჯერ მოკლეა ფირფიტაზე. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან 3—9 ყვავილიან ნახევარქოლგებში, რომლებიც საგველას ქმნიან, ჯამი 8—11 მმ სიგრძისაა, მილისებრია, მოხრილი, ხშირად ირიბი ხახით, სქლად შებუსული; ჯამის კბილები ვიწროსამკუთხაა, ან სამკუთხა მახვილი, ზედა კბილი მწიშენელოვანად გრძელია დანარჩენებზე; გვირგვინი 10—13 მმ სიგრძისაა, მოთეთრო, მილის ვიწრო ნაწილი ჯამშია ჩამალული, იისფერ-მოწითალო ქვედა ტუჩით; ქვედა ტუჩის შუა ნაკეტი 2,5—3,5 მმ სიგრძის და 3,5—5,5 მმ სიგანისაა, გვერდითი ნაკეთები ფართო სამკუთხაა. კაკლუჭები ელიფსურია, უკუკვერცხისებრი, სამწახნაგოვანი, მუქი ყავისფერი, აქა-იქაა ბრტყელი ბორცვებით მოფენილი. აწერილია სამხ. დაღესტნიდან, სოფ. ახტიდან. ტიპი დაცულია ლენინ-გრადში.

T y p u s: «In Daghestania, prope Achty (B.)» (LE).

იზრდება მშრალ, ღორღიან ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში, 150—2000 მ ზღვის დონიდან.

საქ. სსრ: 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: პირიქითი ხევსურეთი, შატლის ხევი, მდ. არღუნის ხეობა (გრიგორაშვილი) (რუკა 11).

სსრკ: იმიერკავკ. (სტავროპოლის მიდამოები, მდ.-ბის კუმის, თერგის და არღონის ხეობები, დაღესტანი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძლიერ მახლობელია *N. cyanea*-თან, რომლის სახესხვაობად მოჰყავდა ტრაუტფეტერს. მაგრამ დატოტვის და შებუსვის ხასიათით, ფოთლების, ყვავილედის ფორმით, გვირგვინის შეფერვის და კაკლუჭების სკულპტურის დეტალების გამო ა. პოიარკოვამ (L. C) იგი დამოუკიდებელ სახეობად გამოჰყო.

Sect. 5. *Orthonepeta* Benth. Lab. Gen. Sp. (1839) 467; Пояркова во Фл. СССР XX (1954) 406; Rechinger, Fl. Iran, n° 150 (1982) 185.

— ყვავილები ორსქესიანია და მდედრობითი (ნორმალური ბუტკოთი და 4 სტამინოდუმით). ჯამი სწორია, ნაყოფობისას მილისებრკვერცხისებრი; ხახა ზოგჯერ ოდნავ ირიბია; ჯამის კბილები სწორია, ლანცეტა-სადგისისებრი, ფხისებრ წაწვეტებული. გვირგვინის ქვედა ტუჩის შუა ნაკეტი ძირში ბეწვებიანია, მსხეოლკბილებიანი კიდეით. კაკლუჭები ბორცვებიანია, იშვიათად გლუვი. თანაყვავილაკები ვიწროა, ჯამზე მოკლე; ყვავილების ნახევარქოლგები, ვიწრო მტევნებად შეკრებილი ღეროების ბოლოებსა და იდლიურ ყლორტებზე ქმნის საგველას.

9. *N. pannonica* L. Sp. Pl. (1753) 570; Пояркова во Фл. СССР XX (1954) 406; Аскерова во Фл. Азерб. VII (1957) 270; Капеллер, Определ. раст. Груз. I (1964) 416; Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 341; Гладкова во Фл. Европ. ч. СССР III (1978) 48; Галушко, Фл. Сев. Кавк. III

(1980) 36; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 259. — *N. ucrainica* auct.: Vieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 41 non L. — *N. nuda* auct.: Vieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 42; Boiss. Fl. Or. IV (1879) 663 p. p.; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 292 p. p.; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 330; Сосновский и Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 302 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 92 (georg.) p. p. non L. — *N. nuda*  $\alpha$  *grandiflora* Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 486 p. p.; idem in DC. Prodr. XII (1848) 387 p. p.; Ledeb, Fl. Ross. III (1849) 377 p. p. — *N. nuda* subsp. *pannonica* var. *paniculata* Gams in Hegi, III, Fl. V, 4(1909) 2372; — *N. nuda* subsp. *pannonica* (L.) Gams, Turner in Fl. Europ. 3 (1972) 160. — *N. nuda* subsp. *nuda*: Hedge and Lamond in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 271.

Ис.: Reichenb. Ic. Fl. Germ. tab. 1243, Fig III.

Exs.: HFR n° 733; Fl. Pol. exs, n° 380; Fl. Exs. Aust. — Hung n° 2948.

4. დეროები მარტოულია ან 2—3, სწორი, მოკლე შიშვითი ბეწვით შებუსხული ან თითქმის შიშველი, 1 მ-მდე სიმაღლის; ფოთლები მეტწილად მუქი მწვანე ფერისაა, მოგრძო კვერცხისებრი ან ლანცეტა, მრგვალკბილიანი კიდეით, მობლავო წვერით, ძირში სუსტად გამოსახული გულისებრი ფორმის, ძალიან მოკლემუწწიანი, ქვედა მხარეზე წერტილოვან-ჯირკვლოვანი; კენწრული ფოთლები ლანცეტაა, სუსტად დაკბილული კიდეშლიანამდე, მომახვილო წვერიანი. ჩხროები მრავალყვავილიანია, არაა მჭიდრო მტევნებად შეკრებილი და ცოტად თუ ბევრად ფარჩხატ საგველასებრ ყვავილედს ქმნის; თანაყვავილაკები სადგისისებრია, 2—2<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ჯერ მოკლე ჯამზე, ისევე როგორც ჯამი, შებუსხული; ჯამი მუქი მწვანე ფერისაა, არანათლად გამოსახული (მოყვავილე ეგზემპლარებზე) ძარღვებით, სწორი, მიღზე მოკლე, ხაზურ-სადგისისებრი ან სამკუთხა-სადგისისებრი თანაბარი ზომის კბილებით, რომლებიც იისფერია ან მწვანე, ძალიან იშვიათად უფრო მკრთალი არშიითაა შემოვლებული; ხახა სწორია; გვირგვინი იისფერია, უფრო იშვიათად თეთრი, მისი მილი არაა ჯამიდან ამოყოფილი ან ოდნავაა ამოყოფილი. კაკლუჭები მთელ ზედაპირზე ნათლად გამოსახული წვრილი ბორცვებითაა. VI—VIII.

აწერილია უნგრეთიდან (Hb. Linn. 726/2).

იზრდება ფერდობებზე, ბუჩქნარებს შორის, ტყის პირებსა და რუდერალურ ადგილებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ. („აფხაზ. ფლ.“ მიხედვით), 7 — აჭარ. („საქ. ფლ.“ მიხედვით); 9 — ქართ.: თბილისის მიდამოები (მიჩნიკი); კოჯორი, უძო (ქუთათელაძე, მანდენოვა, მცხეთაძე); II — თუშ-ფშავ-ხევსურ.; („საქ. ფლ.“ მიხედვით); 16 — თრიალ.; 17 — ქვ. ქართ. („საქ. ფლ.“ მიხედვით); 19 — მესხ.: ახალციხე (კოზლოვსკი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ. სომხ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.

10. *N. sulphurea* C. Koch Linnaea XXI (1848) 677; Пояркова во Фл. СССР XX (1954) 409; Аскерова во Фл. Азерб. VII (1957) 269; Капеллер, Опред. раст. Груз. I (1964) 417 (georg.); Аскерова в Гроссг. Фл. Кавк. 2,

VII (1967) 341; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 252. — *N. nuda* var. *albiflora* Boiss. Fl. Or. (1879) 663; Hedge and Lamond in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 272. — *N. Nawaschinii* E. Bordz., Проток. засед. Киевск. общ. естеств. XXXIV (1907) 109; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 292; *idem*, Опред. раст. Кавк. (1949) 330; Сосновский и Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 302 (georg.).

4. ღერო სწორია, მარტივი ან დატოტვილი, 90 სმ-მდე სიმაღლის, ისევე როგორც ფოთლები, მოკლე და გაბნეული ბეწვით შებუსუსული ან თითქმის შიშველი; ფოთლები ღია მწვანე ფერისაა, კვერცხისებრი ან მოგრძო-კვერცხისებრი, მრგვალი ან ბლაგვ ხერხისებრი კბილებით, ბლაგვწვერიანი; ქვედა მათგანი ძირში ცოტად თუ ბევრად ვულისებრი ფორმისაა, მოკლყუნწიანი; ზედა ფოთლები მომრგვალებულია ან სოლისებრი, თითქმის მჯდომარე, ყველა ფოთლი ქვედა მხარეზე წერტილოვანი ჯირკვლებითაა. ჩხროები მრავალყვავილიანია, მჰიდრო, ქვედა მათგანი დაშორიშორებულია, ზედა — მიახლოებული; ყვავილედი საგველასებრია; თანაყვავილაკები ხაზურ-სადგისისებრია, ღია მწვანე, კიდებზე თეთრ სიფრიფანა, ჯამზე 2-ჯერ მოკლე; ჯამი ღია მოყვითალო მწვანეა, ხახის ქვეშ ოდნავ შევიწროებული, სწორი, მკვეთრად გამოსახული ბასრ ხორკლებიანი ძარღვებით, მისი კბილები ხაზურია, მკრთალი სიფრიფანა არშით შემოვლებული მობლაგვო ან მომახვილო წვერით, ერთნაირი ზომის, ჯამის ტოლი ან მასზე ოდნავ მოკლე; გვირგვინი ჩალისფერ-თეთრია, ოდნავ მოხრილი მილით, რომელიც ჯამიდან ოდნავაა ამოყოფილი. კაკლუქები შავია.

აწერილია პონტოს ქედიდან, მდ. ფორტუნის სათავე, ჰემშირთან. ტიპი ინახებოდა ბერლინში (sec. Фл. СССР op. cit.).

იზრდება მშრალ მდელოებზე, ფერდობებზე.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომი, წალვერი (ხინთიბიძე, ჩოლოყაშვილი); 12 — კახ.: გომბორი (ტროფიმოვი); 16 — თრიალ.: თეთრი წყაროს რაიონი, მთა გომერი (ხინთიბიძე, შხიანი); მდ. ტანას ხეობა, ბოშური, (ხინთიბიძე, ქუთათელაძე, ლვინიანიძე); ატენის ხეობა, სოფ. ბობნევი (სოსნოვსკი); 18 — ჯავახ.: თეთრობი (ხინთიბიძე); ტაბაწყური (კოზლოვსკი, გროსპეიმი); ახალქალაქი (ზედელმეიერი); 19 — მესხ.: აბასთუმანი (კოზლოვსკი); ახალციხე, ურაველი (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.

Sect. 6. *Oxynepeta* Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 467; Boiss. Fl. Or. IV (1879) 639; Полякова во Фл. СССР XX (1954) 413; Rechinger, Fl. Iran. n° 150 (1982) 187. — ყვავილები ერთსქესიანია, მცირეყვავილიან ნახევარქოლგებში, რგოლებიც შეკრებილია ყლორტების ბოლოებში პირამიდალურ საგველებში; თანაყვავილაკები ჯამზე მოკლეა. ჯამი სწორია, თითქმის სწორი ხაზით, შიგნით უხვეში ბეწვით მოფენილი, ჯამის კბილები ლანცეტა-სადგისისებრია; გვირგვინი თითქმის მთლიანად ჩამალულია ჯამში. კაკლუქები ბორცვებიანია. მრავალწლოვანი ბალახებია.



11. N. Schischkinii Pojark. во Фл. СССР XX (1954) 522, 417; Аскерова во Фл. Азерб. VII (1957) 271; eadem в Гросс. Фл. Кавк. 2, VII (1967) 342; Тахт., Фёд., Фл. Еревана (1972). 255. — N. ucrainica auct., non L. p. p. — N. parviflora Bieb. auct. p. p.

24. ღერო 30—60 სმ სიმაღლისაა, ოთხწახნაგოვანი, სქლად შებუსული წარტივი, უმეტესად ქვევით მიმართული ბეწვით; ფოთლები მოყვითალო-მწვანეა, საკმაოდ სქელი, ორივე მხრიდან შებუსული, უფრო გრძელი ვიდრე ღეროებზე, მოხრილი ან თითქმის ხუჭუჭა ბეწვით, ქვედა მხარეს უფრო სქლად შებუსული განსაკუთრებით, ძარღვებზე ქვედა და შუა ფოთლები მუხლთ-შორისების ტოლია, იშვიათად უფრო გრძელი, ან მათზე მოკლე, ყუნწიანი, ფართო კვერცხისებრი ან კვერცხისებრი, წაკვეთილი ან სოლისებრი, ძალზე იშვიათად გულისებრი ფუძით, ბლაგვწვერიანი, მრგვალებილი; ზედა ფოთლები მუხლთშორისებზე ბევრჯერ მოკლეა, მოკლე 2,5—6 მმ სიგრძის ყუნწებზე, მოგრძო კვერცხისებრი, იშვიათად ლანცეტა, მთლიანად ან მხოლოდ ზედა ნაწილში დაკბილული, წვერისკენ განლაგებული ფოთლები ჩვეულებრივ კიდემთლიანია. ჯამი ვიწროა, მილისებრ-ცილინდრული, (8) 9—11 მმ სიგრძის, ნაყოფობისას კვერცხისებრ-ცილინდრული მილით, ხშირად ისფერი, სქლად შებუსული ხუჭუჭა ბეწვით; კბილები ხაზურ-სადგისისებრია, ხშირად ფხისებრ წაწვეტებული, ჩვეულებრივ მიღზე გრძელი; გვირგვინი ჯამზე მოკლეა, მხოლოდ მამრობით ყვავილებში ჯამის ტოლია, ლურჯი, უხეში მიტკეცილი ბეწვით შებუსული, დედრობით ყვავილებში სვეტი 1.5—2 მმ-ით ამოწეულია გვირგვინიდან, სტამინოდუმები ძლიერ პატარა, აპკისებრი, მომრგვალო რუდომენტების სახითაა. კაკლუქები ფართო ელიფსურია, 2—2,2 მმ სიგრძისაა, 0,7—0,8 მმ სიგანის, მუქი ყავისფერი, წვრილი ბლაგვი ბორცვებით. ყვ. VI—VII, ნაყოფ. VII—IX.

აწერილია აზერბაიჯანიდან.

Typus: Azerbajdzhan austro-occidentalis, in angustiis Pir-Seid motis. Bozdagh. 26 V 1911. fl. et fr. g. Woronow (LE; isotypous TBI).

იზრდება ველებზე, მშრალ ფერდობებზე, ქვიან ადგილებზე, მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.: იაღლუჯა (კაკულია, სოხაძე); 14 — გარე კახ.: გარეჯის ველი (ტროიცი; სანაძე); 18 — ჯავახ.: ახალქალაქის მიდამოები, სოფ. ბოგდანოვიცკენ (ხინთიბიძე); 19 — მეხს. ახალციხე, სოფ. იშასა და დამალას შორის (კოზლოვსკი); ასპინძის მიდამოები, ასპინძისა და ბერძენის შორის (ხინთიბიძე) (რუკა 12).

შენიშვნა 1. გვარის მონოგრაფი რ. ასკეროვა სახეობას N. Schischkinii Pojark. კავკასიის ენდემად მიიჩნევს („О котловниках Кавказа“ — Mat. по флоре и сист. высш. раст. Азерб. Баку, 1972), მაგრამ Hedge და Lamond-ი „თურქეთის ფლორაში“ [Davis, Fl. Turkey 7 (1932) 288] შესაძლებლად თვლიან რომ გვხვმპლარები ყარსიდან აშკარად მრგვალებილია ფოთლებით რომლებსაც N. heliotropifolia Lam.-ად განიხილავენ, უნდა მიეკუთვნოს სამხ. დას. კავკასიის სახეობას N. Schischkinii Pojark-ს. მათი ცნობით ეს სახეობა ირანის აზერბაიჯანშიც უნდა გვხვდებოდეს. ა. პოპარკოვსაც (op. cit.) შესაძლებლად მიაჩნდა N. Schischkinii-ს პოვნა ირანის მოსაზღვრე რაიონებში. 2. ჯერ კიდევ სახეობა N. Schischkinii Pojark-ს გამოქვეყნებამდე, „საქ. ფლორის“ ავტორებს (op. cit.)



რომელთაც *N. parviflora* Bieb. მოჰყავდათ მიიხნდათ, რომ სომხეთსა და კავკასიაში და მესხეთში განსაკუთრებული ფორმები უნდა იყოს გავრცელებული. სწორედ ეს განსხვავებული ფორმები შეადგენენ სახეობას *N. Schischkinii* Pojark.-ს.

Sect. 7. *Micranthae* (Boiss.) Pojark. во Фл. СССР XX (1954) 380; Reehinger, Fl. Iran. n° 150 (1982) 204. — *Nepeta* § *Micranthae* Boiss. Fl. Or. IV (1879) 639. — ჯამი მილისებრია, ნაყოფობისას მოგრძო კვერცხისებრი ან ზარისებრი, მოხრილი ან სწორი ირიბი ან ორტუჩა ხახით; გვირგვინი უმეტესად პატარაა 3,8—8,5 მმ — 15 მმ-მდე სიგრძის; ქვედა ტუჩის შუა ნაკვით თითქმის ჰორიზონტალურია, ან ქვევით დახრილი, ჩაზნექილი, ძირში ამობურცული არ არის. კაკლუჭების ზედაპირი უხეშ ბორცვიანიდან წვრილ მარცვლოვანამდე. ყვავილების ჩხროების წყვილები დაშორებულია ან ზედა შეკრებილია თავაკად. ერთწლოვანი, ზოგჯერ ორწლოვანი მცენარეებია.

12. *N. Troitzkyi* Sosn. во Фл. Груз. VII (1952) 303 (descr. georg.) et in Addenda, Фл. Груз. 2; XI (1987) 237; Полякова во Фл. СССР XX (1954) 382; Капеллер, Опред. раст. Груз. I (1964) 415. — *N. amoena* auct. Fl. Cauc.: Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 291; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 330, p. p. non Stapf. Sub syn. *N. amoena* Stapf: Аскерова во Фл. Азерб. VII (1957) 265; eadem Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 339:

○. დერო ფესვის ყელიდან რამდენიმე ანდა მარტოული, მარტივი ან შუა ნაწილის ქვემოდ დატოტვილი, ზევით აღმართული, 8,5—32 სმ სიმაღლის, გაბნეული, გაფარჩხული ბეწვით შებუსული ან თითქმის შიშველი; ფოთლები კვერცხისებრია ან ფართო კვერცხისებრი, უდიდესი სიგანე ფირფიტის ძირის ოდნავ ზევითაა, 0,9—2,5 სმ, 1,2—3,0 სმ სიგრძის, კიდეებზე მრგვალკბილებიანი, ბლაგვწვერიანი, ძირში ოდნავ გულისებრი, ქვედა ფოთლები უფრო გრძელ ყუნწებზე სხედან, ზედა — უფრო მოკლეზე, ვიდრე ფირფიტა, მწვანე ფერის ორივე მხარეზე, განსაკუთრებით ქვედა მხარეზე, წვრილი ჭირკვლოვანი ბეწვით შებუსული, კენწრული ფოთლები ლანცეტა ფორმისაა, კიდეშილიანი, მახვილწვერიანი, მჯდომარე. ჩხროები მრავალყვავილიანია ან არაა მრავალყვავილიანი; ქვედა მათგანი ცოტად თუ ბევრად გრძელ ყუნწებზე სხედან, კენწრული ჩხროები მჯდომარეა და ჩვეულებრივ ვიწრო, უფრო იშვიათად ცოტად თუ ბევრად გაფარჩხულ საგველასებრ ყვავილედს ქმნის; თანაყვავილაკები ლანცეტა-სადგისისებრი ფორმისაა, ბეწვით მოფენილი, ჯამზე 3-ჯერ მოკლე; ჯამი ზოგჯერ წვერზე შეფერილია, ქვედა ნაწილში გაფართოებული, ოდნავ ირიბი ხანა და არათანაბარზომის კბილები აქვს, მათ შორის ზედა კვერცხისებრ-ლანცეტა ფორმისაა, ბლაგვწვერიანი, ქვედა ვიწრო ლანცეტაა, ყველა მათგანი კიდეებზე მოფენილია ბეწვით, 3—4-ჯერ ან მეტჯერ მოკლეა მილზე; ჯამი ძარღვების გასწვრივ გაფარჩხული, უხეში ბეწვითაა მოფენილი, და გარდა ამისა გაბნეული, მჯდომარე, ყვითელი ფერის ჭირკვლებიც აქვს; გვირგვინი ცისფერია ან იისფერ-ცისფერი, გარედან გაბნეული ბეწვით მოფენილი, მოხრილი მილით, რომელიც თითქმის არაა ამოყოფილი ჯამიდან. კაკლუჭები მოგრძოა, მთელ ზედაპირზე მსხვილი ბორცვებითაა მოფენილი. IV—VI.

აწერილია საქართველოდან ყარაიაზიდან (გარდაბანი).

Typus; Transcaucasia, Georgia, prov. Tiflis, steppa Karajazy, pag. Michajlovka A. Kolakowsky (TBI!).

იზრდება მშრალ ფერდობებზე, ქვიან და ღორღიან ადგილებზე.

საქ. სსრ: 15 — გარდაბ.: ყარაიაზი, მიხაილოვკა (კოლაკოვსკი); ყარაიაზი (ტროიცი, სტაროსელსკი) (რუკა 13).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.

შენიშვნა. შესაძლებელია *Nepeta*-ს ერთწლოვანი წარმომადგენლები *N. Troitzkyi* Sosn., *N. amoena* Stapf, სახეობა *N. Meyeri* Benth.-ის ქვესახეობების რანგში განვიხილოთ. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

13. *N. amoena* Stapf Denkschr. Math.-Naturw. Kl. Kais. Acad. d. Wissensch. Bd. L (1885) 45; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 291 p, p; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 330 p. p.; Сосновский и Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 304 (georg.); Полякова во Фл. СССР XX (1954) 380; Аскерова во Фл. Азерб. VII (1957) 265 p. p.; eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 339; Rechinger, Fl. Iran. n° 150 (1982) 204.

○. ღერო მარტივია ან ძირიდანვე დატოტვილი, 50 სმ სიმაღლის, შებუსული ან განსაკუთრებით ქვედა ნაწილში, მოთეთრო მატყლისებრი ბეწვით მოფენილი; ქვედა ფოთლები ყუნწების ტოლია ან ოდნავ გრძელი, მომრგვალო კვერცხისებრი, ძირში გულისებრი ფორმის, მრგვალკბილებიანი, ცოტად თუ ბევრად თეთრი მატყლისებრი შებუსებით ან სუსტად შებუსული, ზედა ფოთლები დაბატარავენებულია, მოკლეყუნწიანი ანდა თითქმის მჯდომარე, კვერცხისებრი, ძირში წაკვეთილი, კენწრული ფოთლები ლანცეტაა, ბლაგვწვერიანი, მჯდომარე; თანაყვავილაკები ხაზურ-ნიჩბისებრი ან ლანცეტა ფორმისაა, ჯამის ნახევარზე უფრო მრკლე, ოდნავ შებუსული; ჯამი ყვავილობისას 5,5—6,5 მმ სიგრძისაა, ძალიან ვიწრო მილით, მოხრილი, ძალიან ირიბი ხახით, ორტუჩაა, ზედა ტუჩი ფართოა, შუამდეა განკვეთილი, მისი კბილები კვერცხისებრია, მახვილწვერიანი, 3—4-ჯერ მილზე მოკლე, ქვედა ტუჩი მოკლეა წინ მიმართული კბილებით; ჯამი ნაყოფობისას გადიდებულია, თითქმის სწორი, მოგრძო-კვერცხისებრი; ჯამის ქვედა ტუჩი ზედა ტუჩზე მოკლეა, ძირამდე განკვეთილ, მისი კბილები კვერცხისებრ-ლანცეტაა, მახვილწვერიანი, ყველა წამწამებითაა მოფენილი; გვირგვინი ვიწროა თითქმის სწორი მილითაა, 11—19 მმ სიგრძის, მისი ზედა ტუჩი სწორია, 2-ნაკვთიანი, ქვედა ტუჩი 3-ნაკვთიანია, მისი გვერდითი ნაკვთები მოკლეა, ფართო, ბლაგვწვერიანი, შუათანა ნაკვთი უფრო დიდი ზომისაა, მრგვალკბილებიანი, მომრგვალო კვერცხისებრი. კაკლუშები სამკუთხა-კვერცხისებრი ფორმისაა, ბორცვებიანი. IV—V.

აწერილია ჩრდ. ირანიდან. (რუდბარის მიდამოები). ტიპი დაცულია ვენაში (sec. Фл. СССР op cit.)

იზრდება ველებზე, მშრალ ფერდობებზე.

საქ. სსრ: 13 — ქიზ.: ელდარის ველი (კაყულია).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ.

საერთო გავრცელ.: ირ.

ყვავილები ყუნწიანია, შეკრებილია ღეროსეული შუათანა და ზედა ფოთლების იდლებში განწყობილი მცირეყვავილიან ჩხრობად. ჯამი მილსებრ-ზარისებრია, სწორი, 15-ძარღვიანი, დაყვავილებისას ქვემოთკენ დახრილი; ჯამის კბილი 5, რომელთაგან სამი ზედა — ქვედა კბილებზე გრძელია; ჯამის ხახა ირიბია. გვირგვინი მოლურჯო-იისფერია, გრძელი ზედა ნაწილში გაფართოებული მილით, ორტუჩა, რომელთაგან ზედა ტუჩი სწორია და 2-ნაკვთიანი, ხოლო ქვედა — სამნაკვთიანია; ქვედა ტუჩის შუა ნაკვთი უკუგულისებრია და წვერზე ამოკვეთილი, ძირში კი ბეწვიანი. მტვრიანა 4, ზედა ტუჩის ქვეშ ამოფარებული, რომელთაგან ორი გვერდითი შუათანებზე მოკლეა; მტვრის მარცვლი თითქმის სფეროსებრია, ოდნავ შებრტყელებული, განივკვეთში ექვსნაკვთიანი; ღარი ვიწროა, ღრმა, უთანაბრო კიდეებით, ბოლოებში სოლისებრად წამახვილებული; მემბრანა სადაა ან მარცვლოვანი; ეგზინის სისქე 1,2—1,8 მიკრონი; სტრუქტურა მესრისებრია; ზედაპირის მოხატულობა ბადისებრია; ბადის თელები წვრილია და თანაბარი. ეგზინას მესრისებრი შრე ორჯერ ვიწროა მის ქვედა შრეზე. სამტვრის ბუდეები სწორი კუთხითაა გაშლილი. სვეტი გრძელია, წვერზე დაბოლოებული ორი მოკლე არათანაბარსიგრძის ნაკვთით. ნაყოფი კაკლუქაა, ელიფსური ფორმისაა და სუსტად 3-წახნავოვანი, შიშველი, გლუვი. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია გრძელი მხოხავი ღეროებით და დაფესვიანებული ყლორტებით, თიკმლისებრი ან გულისებრი, კიდეებზე მრგვალებილა გრძელყუნწიანი ფოთლებით.

ამ გვარში გავრთიანებული 12 სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერი სარტყლის ტყეებსა და ტყის პირებზე.

1. *G. hederacea* L. Sp. Pl. (1753) 573; Boiss. Fl. Or. IV (1879) 670; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 296; Маевск. Фл. Ср. Росс. (1940) 612; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 332; Колак. Фл. Абх. IV (1949) 48; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 306 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 92 (georg.); Куприянова во Фл. СССР XX (1954) 437; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 273; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 193; Колак. Растит. мир Колх. (1961) 314; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 417 (georg.); Тер-Хачат, в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 347; Fernandes, Fl. Europ. 3 (1972) 161; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 149; Mill in Davis Fl. Turkey 7 (1982) 288. — *Nepeta Glechoma* Benth. Lab. Gen. Sp. (1832—1836) 485; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 379. — *Chamaeclema hederacea* Moench (1794) 393.

Is.: Hegi Ill. Fl. V, 4 (1972) 2373; Маевск. Фл. Ср. Росс. (1940) 612; Бот. журн. СССР 33 (1948) рис. 1, фиг. 1.

2. ღერო 60 სმ-მდე სიგრძისაა, დატოტვილი, მხოხავი, მუხლებში დაფესვიანებული, მრავალი აყვავებული წამოწეული ან სწორმდგომი ყლორტებით, წახნაგებზე ცოტად თუ ბევრად მოკლებეწვიანი ან თითქმის შიშველი; ფოთლები მომრგვალო თიკმლისებრია, კიდეებზე მსხვილ მრგვალები-

\* დაამუშავა ლ. ხინთიბიძე

ლა, ზედა მხარეზე მუქი მწვანე, ქვედაზე — უფრო ღია ფერისაა და ჩვეულებრივ მოწითალო-იისფერი, გრძელყუნწიანი, ქვედა ფოთლების ყუნწები 5—6 სმ-მდეა, შუათანას — 2 სმ და ფირფიტის ტოლია. ყვავილები შეკრებილია 3—4 ერთად შუათანა და ზედა ფოთლების იდლებში განწყობილ ჩხროესებრ ყვავილედებად; ყვავილის ყუნწები მოკლეა და შებუსული; თანაყვავილები ჯაგრისებრია, ყვავილის ყუნწზე მოკლე; ჯამი მილისებრია ძარღვებზე მოკლე და განზე გადახრილი ბეწვებით შემოსილი; ჯამის კბილები სამკუთხა-ლანცეტაა, წვერზე უცბად შევიწროებულნი, მიღზე 3—4-ჯერ მოკლე; გვირგვინი მოციხფრო-იისფერია, გარედან შებუსული, მოკლე, ღრმად ამოკვეთილი ზედა და უფრო გრძელი ქვედა ტუჩით; გვირგვინის მილი ჯამზე 2-ჯერ გრძელია. კაკლუჭები ღია მურა ფერისაა, 2 მმ-მდე სიგრძისა და ცოტად თუ მეტად უსწორო ზედაპირით, ძირში 2 პატარა ფოსო აქვს. III—VII. 2n=24,36 (Zukawski, Slowinska, 1979).

აწერილია ევროპიდან (Hb. Linn. 732/1).

იზრდება ტენიან ადგილებზე ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, მდინარის სანაპიროებზე და როგორც სარეველა ბოსტნებსა და ბაღებში მთის ქვედადან შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: სოხუმის მიდამოები (გუბისი); ს. ნაჩხალუ (კვარაცხელი); 3 — რაჭა-ლეჩხ.: ს. ორბელის მიდამოები (გაგნიძე, მიქელაძე, დავლიანიძე); 5 — იმერ.: ხონის მიდამოები (კოლექტორი უცნობია; ქუთათელაძე); ქუთაისის მიდამოები, გოდოვანი (კემულარია-ნათაძე); გელათის მონასტერთან (იგივე); 6 — გურ.: ოზურგეთი (მაყაშვილი); 7 — აჭარ.: მწვანე კონცხი (კაბელერი); მწვანე კონცხი. ბოტანიკური ბაღი (ხარაძე); 9 — ქართ.: საბურთალო (კაფიევი); მცხეთა (ვოლკოვა, ზედელმეიერი); ნატახტარის ნაკრძალი (ქუთათელაძე, გაგნიძე, ხინთიბიძე); სურამი (კოზლოვსკი); ბორჯომი, ს. კორტანეთი (იგივე); წალვერი (იგივე); ბორჯომი, ბანისხევი (იგივე); ოლგინსკოე (ტროიციკი); 14 — გარე კახ.: ჩაილური (ყანჩაველი); გომბორი (კოლექტორი უცნობია); კაკაბეთი (ყანჩაველი); 16 — თრიალ.: რკონის მონასტრის მიდამოები (ქუთათელაძე, შხიანი, ხინთიბიძე); თეთრიწყაროს რაიონი (ქუთათელაძე, შხიანი, მცხვეთაძე).

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.; აზერბ.: ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. ევრ.: შუა ევრ. ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. აზ.; ჩრდ. ამერ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. კარგი თაფლოვანი მცენარეა. ნორჩ ყლორტებს როგორც ბოსტნეულს ხმარობენ საჭმელად.

გვარი 8. DRACOCEPHALUM L.\*

ჯამი მილისებრია ან მილისებრ ზარისებრი, 15—20-ძარღვიანი, სწორია ან მოხრილი, ორტუჩა; ზედა ტუჩი სამნაკვთიანია, ქვედა — ორნაკვთიანი; ჯამის ხახა სწორია ან ოდნავ ირიბი, ჩვეულებრივ მკვეთრად გამოსახული განივი ძარღვებით — ანასტომოზებით. გვირგვინი ქვედა ნაწილში შევიწროებული და ხახასთან გაფართოებული მილითაა; გვირგვინის გადანაღუნი ორ-

\* დაამუშავა ლ. ხინთიბიძემ

ტუჩაა, ზედა ტუჩი აღმამდგომია, ოდნავ ჩაზნექილი და წვერზე ამოკვეთილი ან ღრმად ჩაჭრილი; გვირგვინის ქვედა ტუჩი სამნაკეთიანია, რომელთაგან შუათანა უფრო დიდი ზომისაა. მტვრიანა 4, მათგან შუათანა მტვრიანები გვერდითებზე გრძელია; სამტვრეები გაშლილია სწორი კუთხით. მტვრის მარცვლი შებრტყელებულ-სფეროსებრია, განიკვეთში მომრგვალო-ეჭვსკუთხა, მერიდიანულად განლაგებული ეჭვისი ღარით; დიამეტრი 34,8 მიკრონი; ღარი ფართოა, თანაბარი კიდეებით და სოლისებრი ბოლოებით; მემბრანა სადაა ან წვრილმარცვლოვანი; ეგზინას სისქე 1,2 მიკრონამდეა; ზედაპირი ბადისებრია. სვეტის ნაკეთები მოკლეა და თანაბარზომის, სადგისისებრი. კაკლუშები უკუკვერცხისებრია ან ელიფსური, ცოტად თუ ბევრად სამწახანგოვანი, შიშველი, გლუვი. — მრავალწლოვანი უფრო იშვიათად ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, ცრუ ჩხრობში შეკრებილი ყვავილებით, რომლებიც განლაგებულია თანაყვავილების ილიებში და ქმნიან მჭიდრო ან ფარჩხატ ყვავილეებს. ახასიათებს სწორმდგომი ან წამოწეული ღეროები და ფრთისებრი ვანკეითილი ან მთლიანი ფოთლები.

გვარში გაერთიანებული 45 სახეობიდან 44 იზრდება ევროპისა და აზიის ზომიერ სარტყელში, ხოლო ერთი სახეობა — ჩრდილო ამერიკაში. საქართველოში ამ გვარის 4 სახეობა იზრდება.

1. ერთწლოვანი მცენარეებია, სამტვრეები შიშველია . . . . . 2
- მრავალწლოვანი მცენარეებია, სამტვრეები შებუსუსულია . . . . . 3
2. გვირგვინი 9—10 მმ-მდე სიგრძისაა, ჯამს ცოტათი აღმატება; . . . . . 1. *D. thymiflorum* L.
- გვირგვინი 20—25 მმ-მდე სიგრძისაა, ჯამზე 2-ჯერ გრძელი . . . . . 2. *D. moldavica* L.
3. ფოთლები ფრთისებრია ან ძირამდე თათისებრ დაყოფილი ვიწრო ხაზურ ნაკეთებად . . . . . 4. *D. austriacum* L.
- ფოთლები მთლიანია, ლანცეტა-ხაზურია ან ლანცეტა ფორმის, კიდეებზე დაკეცილი . . . . . 3. *D. Ruyschianum* L.

Subgen. 1. **Dracocephalum**. — *Eudracocephalum* Briq. in Engler und Prantl. Nat. Pflanzenfam. IV 3a, 36 (1897) 239, — მტვრის პარკები შიშველია, მტვრიანები გვირგვინიდან ამოყოფილი არ არის.

Sect. 1. **Buguldea** Benth. DC. Prodr. XII (1848) 398. — ჯამი ორტუჩაა; ზედა ტუჩი 3-ნაკეთიანია, რომელთაგან შუათანა ორ-სამჯერ ფართოა გვერდითებზე; ქვედა ტუჩი 2 ლანცეტა ფორმის კბილისაგან შედგება.

Subsect. 1. **Idiobracontes** Briq. in Engler und Plantl. Nat. Pflanzenfam. IV 3a 3b (1897) 239 p. p.—ფოთლები წვარტყელებულია, კიდემთლიანია ან რამდენიმე კბილითაა.

Ser. 1. **Nutantia** Schischk. во Фл. СССР XX (1954) 458 (deser. ross.)—ფოთლები კიდეებზე ცოტად თუ მეტად თანაბრადაა დაკბილული; თანაყვავილები კიდემთლიანია.

1. *D. thymiflorum* L. Sp. Pl. (1753) 566; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 296; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 332; Кареллер во Фл. Груз. VII (1952) 308 (georg.); Шишкин во Фл. СССР XX (1954) 459; Капеллер в



Опред. раст. Груз. I (1964) 418 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 344; Fernandes in Fl. Europ. 3 (1972) 161; Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 229; Гладкова во Фл. Европ. части СССР, III (1878) 150.

○. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, მარტივია ან დატოტვილი, 20—60 სმ-მდე სიმაღლის, დახრილი მოკლე ბეწვებით შებუხული; ქვედა ფოთლები კვერცხისებრია, კიდეებზე მსხვილ მრგვალებილა, ძირში ოდნავ გული-სებრი, გრძელყუნწიანი; ზედა ფოთლები მოგრძო კვერცხისებრიდან მოგრძო ლანცეტამდე ფორმისაა, კიდეებზე ხერხისებრ მრგვალებილა, ძირში სოლისებრ შევიწროებული, მოკლეყუნწიანი; ყველა ფოთლი ზედა მხარეზე შიშველია, ქვედაზე — ძარღვების გაყოლებით გაფანტულბეწვიანი, მთელ სიბრტყეზე პრილა ჯირკვლებით დაწინწკლული. ყვავილები მოკლეყუნწიანია, ცრუ ჩხრთებში შეკრებილი, რომლებიც ღეროს წვერზე მჭიდროდაა განწყობილი, ნაყოფობისას ყვავილედ იგრძელდება და 25 (40) სმ-მდე სიგრძეს აღწევს; თანაყვავილები ელიფსურია, მახვილწვერიანი, ძირში შევიწროებული, კიდეშლიანი, მოკლებეწვიანი, კიდეებზე-წამწამებიანი, ჯამზე მოკლე; ჯამი 10 მმ-მდე სიგრძისაა, მილისებრ-ზარისებრია, ორტუჩა, მოკლებეწვიანი და მოყვითალო პრილა ჯირკვლებით მოფენილი; ზედა ტუჩი სამი კვერცხისებრი და ქვედა 2 ლანცეტა, წვეტიანი კბილისაგან შედგება; გვირგვინი გრძელია, მოლურჯო-იისფერი, უფრო იშვიათად მოთეთრო; მისი მილი ჯამს ბევრად აღემატება; სამტვრეები შიშველია. კაკლუშები მოგრძო უკუკვერცხისებრია სამწახნაგოვანი. V—VII. 2n=14,20.

აწერილია ციმბირიდან (Hb. Linn. 746/11).

საქ. სსრ.: 9 — ქართ.

სსრკ.: იმიერკავკ.; ევრ. ნაწ.; დას. ციმბ.; შუა აზ.

საერთო ვავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ. (გზადმოყოლილია); ირ; ცენტრ. აზ. (ჭუნგარია).

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა. თაფლოვანი მცენარეა.

Subsect. 2. *Stenodracontes* Briq. in Engler und Prantl. Nat. Pflanzenfam. IV 3a 3b (1897) 240.—ჯამი აშკარად ორტუჩაა, ზედა ტუჩი 1/3—1/4-მდეა ჩაჭრილი, მისი სამივე ნაკეთი თითქმის ერთნაირია, კვერცხისებრი; ქვედა ტუჩი 1/4-მდე ან თითქმის ბოლომდეა ჩაჭრილი.

Ser. 2. *Foetidae* Schischk. во Фл. СССР XX (1954) 462 (descr. ross.).—ერთწლოვანი მცენარეებია; ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ფირფიტის ტოლია, გრძელი ან მასზე მოკლე.

2. *D. moldavica* L. Sp. Pl. (1753) 595; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 297; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 332; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 308 (georg.); eadem в Опред. раст. Груз. I (1964) 418 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 344. Fernandes in Fl. Europ. 3 (1972) 161; Гладкова во Фл. Европ. части ССР III (1978) 150.

○. ღერო 15—50 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორმდგომი, ძირიდანვე დატოტვილი, თითქმის შიშველი, მუხლებს ქვემოთ წვრილ მოკლებეწვიანი, ტოტე-



ბი ირიბადაა აღმართული ზემოთკენ და თითქმის ღეროს წვერამდე დაწვეს. ფოთლები მთლიანია, ლანცეტა-ხაზური, ძირთან წაკვეთილი ან სწორკუთხედიანი, კიდეებზე მსხვილმრგვალებილა, მოკლებეწვიანი. ყვავილები მოკლყუნწიანია, 6-ყვავილიან ცრუ ჩხროებად შეკრებილი, რომლებიც ყვავილედის წვეროსკენ ურთიერთ მიახლოებულია, ხოლო ქვედა ნაწილში — დაშორიშორებულია; თანაყვავილი მოგრძო სოლისებრია, ქვედა ნახევარში კიდეებზე წვრილი და გრძელი წვეტიანი ფხებიანია; თანაყვავილები 8—10 მმ სიგრძისაა ლანცეტულან-კვერცხისებრამდე ფორმის, კიდეებზე თითოეულ მხარეზე 5—5 წვეტიანი ფხით, მოკლებეწვით მოფენილი; ჯამი 10 მმ სიგრძისაა მილისებრ-ზარისებრი, პრიალა ჭირკვლებით მოფენილი, ორტუჩა, მისი ზედა ტუჩი 1/3-მდეა ჩაჭრილი ფართო კვერცხისებრი ფორმის სამ ნაკეთად, ქვედა — ორნაკეთიანია, ყველა ნაკეთი მოგრძო-ლანცეტა ფორმისაა, და სადგისებრ-წაწვეტებულია; გვირგვინი 20—25 სმ-მდე სიგრძისაა, მოლურჯო-იისფერი, უფრო იშვიათად მოთეთრო; გვირგვინის მილი ჯამს აღემატება. სამტვრეები შიშველია. კაკლუქები 3-წახანაგოვანია, მოგრძოკვერცხისებრი. V—VII.  $2n=10$ .

აწერილია მოლდავეთიდან (Hb. Linn. 746/12).

იზრდება რუდერალურ ადგილებზე, როგორც სარეველა — ბაღებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (დას. და სამხრ. რაიონები); ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მხრ.

საერთო ვაგრცელ: შუა ევრ.; ცენტრ. აზ.; აღმ. აზ.; ირ.; ჩრდ. ამერ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა. თაფლოვანია; მცენარიდან მიიღება ეთეროვანი ზეთი ლიმონის დამახასიათებელი სუნით. ზოგ რაიონებში მოჰყავთ, როგორც ჩაის სუროგატი. იხმარება კვებისა და საპარფუმერო მრეწველობაში. განსაკუთრებით იყენებენ ხილის წვენების დამზადებისას.

Subgen. 2. **Ruyschiana** (Mill.) Benth. in DC. XII (1843) 402.—Gen. Ruyschiana Boerd. ex Mill. Gard. Dict. ed. VII (1759). — სამტვრეები ხაიონია, ღერო სწორმდგომია, შეფოთილი; ფოთლის ილიებში დამოკლებული ყლორტები და პატარა ზომის ფოთლებია განვითარებული; ყვავილები შეკრებილია ცრუ ჩხროებში, რომლებიც ღეროს წვეროზეა განლაგებული.

Ser. 1. **Euruyschiana** (Briq.) Schischk. во Фл. СССР XX (1954) 471. (descr. ross.)—ფოთლები ხაზურ-ლანცეტა, კიდემთლიანი.

3. **D. Ruyschianum** L. Sp. Pl. (1753) 595; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 409; DC. Prodr. XII (1848) 402; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 390; Boiss. Fl. Or. IV (1879) 673; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 297; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 333; Колак. Фл. Абх. IV (1949) 49; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 309 (georg.); Шишкин во Фл. СССР XX (1954) 472; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 277; Колак. Растит. мир Колх. (1961) 313; Капеллар в Опред. раст. Груз. I (1964) 418; Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. VII (1967) 346; Fernandes in Fl. Europ. 3 (1972) 161; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 151; Колак. Фл. Абх. 2<sup>o</sup> II (1982) 249; Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 290.



4. ფესურა დატოტვილია; ღერო რამდენიმეა, მარტივი, სწორმდებრივი ფოთლების უბეებში დამოკლებული ყლორტებით, მუხლებს ქვემოდაც და წვრილბეწვიანია, დანარჩენ ნაწილში შიშველი; ფოთლები მთლიანია, ლანცეტა-ხაზური ან თითქმის ხაზური, კიდე მთლიანი და ქვევითკენ გადაკეცილი კიდეებით, ქვედა — მოკლეყუნწიანია, დანარჩენები მჯდომარე; ყველა ფოთოლი ზედა მხარეზე მუქი მწვანეა, ქვედაზე უფრო მკრთალი ფერისაა და დაწერტილილია ჭირკვლებით, 2—6 სმ-მდე სიგრძისა და 0,2—0,8 სმ სიგანის. ყვავილები მოკლეყუნწიანია, შეკრებილი 6 ყვავილიან ცრუ ჩხრობად, რომლებიც ღეროს წვერზე მოგრობო ფორმის 3—5 სმ-მდე სიგრძის ყვავილედს ქმნის; ყვავილედის ზედა ჩხრობები ურთიერთ მჭიდროდაა განწყობილი, ქვედა დაშორიშორებულია; თანაყვავილები კვერცხისებრ-ლანცეტა ან ლანცეტა, ძირთან შევიწროებული, წვეტიანი, კიდე მთლიანი და კიდეებზე წამწამებიანი, ჯამზე მოკლე ან მისი ტოლი; ჯამი მილისებრ-ზარისებრია, მოკლე და წვრილბეწვიანი; ჯამი 5-კბილაა, რომელთაგან ზედა-ფართოკვერცხისებრია და წვეტიანი, დანარჩენები — ლანცეტა, მახვილწვერიანი; გვირგვინი მოლურჯო-იისფერია ან მუქი ცისფერი, იშვიათად ვარდისფერი, 20—28 მმ სიგრძის, გარეთა მხრიდან რბილბეწვიანი, შიგნითა მხრიდან მხოლოდ ქვედა ტუჩზე მატყლისებრი შებუსებით, გვირგვინის მილი ჯამს ბევრად აღემატება; სამტყრეები მატყლისებრი შებუსებითაა. კაკლუჭები უკუკვერცხისებრია, სუსტად 3-წახანაგოვანი, შავი, 2,5 მმ სიგრძისა და 1,5 მმ სიგანის. VI—VIII. 2n = 14 (Maquelaev, 1979).

აწერილია ციმბირიდან და შვეციიდან (Hb. Linn. 746/7).  
იზრდება კლდეთა ნაპრალებში, კირქვიან ფერდობებზე, ჩამონახვავებზე, გამეჩხვრებულ ტყეებსა და ტყის პირებზე, მდელოებსა და სტეპებში, აგრეთვე ყაშირებსა და რუდერალურ ადგილებზე, უპირატესად მთის ზედა სარტყელში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ. („საქართველოს ფლორის“ მიხედვით); 2 — სვან.; ბეჩო (სოსნოვსკი); 8 — სამხრ.-ოს. ზედა კაბუსტინის ხეობა (ე. და ნ. ბუში); ზგუბირი (ფედოროვა); ერმანი (ე. და ნ. ბუში; ვაგნიძე, მცხეთაძე, შეთე-კაური); ფიდარ-ხოხი (დაბრინი); 10 — მთიულ.: ყაზბეგი (კოლექტორი უცნობია); ყაზბეგის რაიონი, თრუსოს ხეობა, ხორისარი (ხარაძე); ლუღლუშურის არაგვის ხეობა, კიბე (ხარაძე); 18 — ჯავახ.: გორელოვკა (გროსჰიმი).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.  
საერთო გავრცელ.: არქტ.; ჩრდ. და შუა ევრ.; აღმ. ანატ.; ცენტრ. აზ. (ჭუნაგარია); აღმ. აზ. (იაპონია).

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა . თაფლოვანი მცენარეა, 0,4%-მდე ეთერ-ზეთებს შეიცავს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დეკორატიული მცენარე.

Ser. 2. *Austriaca* (Briq.) Schischk. во Фл. СССР XX (1954) 472 (descr. ross.)—განვითარებული ფოთლები 3—5-დაა ვაყოფილი ხაზური ფორმის, შიგნით გადაკეცილიკიდეებიან ნაკეთებად.

4. *D. austriacum* L. Pl. (1753) 595; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 297; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 333; Колак. Фл. Абх. IV (1949) 50; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 310 (georg.); Шишкин во Фл. СССР. XXI (1954) 472; Исаев во Фл. Азерб. (1957) 274; Колак. Растит. мир Колх.



(1961) 313; Капеллер в Определ. раст. Груз. I (1964) 418 (georg.); *ქართული ლექსიკონი* Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 346; Гладкова во Фл. *Ботаника* части СССР III (1978) 151; Колак. Фл. Абх. 2, 11 (1982) 249; Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 289.

4. ღერო მარტოულია ან რამდენიმეა, მოკლეთოტებიანი, 20—60 სმ-მდე სიმაღლის, შიშველია ან უპირატესად მუხლების ქვეშ მოკლებეწვიანი; ღეროსეული ფოთლები მოკლებეწვიანი ყუნწებითაა, 3—5 უფრო იშვიათად 7-ად განკვეთილი ხაზურ ან ლანცეტა კიდეშლიან და ზღავეწვერიან ნაკეთებად, რომლებიც მოკლესადგისისებრი წვეტი ბოლოვდება; ტოტების ფოთლები უფრო პატარა ზომისაა, 3-ნაკეთიანი, მთლიანი, შიშველი, მისი ნაკეთები ხაზურია და წვეტიანი; ყველა ფოთლის ნაკეთი გადაეცილი კიდეებითაა. ყვავილები მოკლეყუნწიანია, შეკრებილი 2—4-ყვავილიან ცრუ ჩხრობად, რომლებიც ღეროს წვერზე მოგროძო, ფარჩხატ ყვავილელებს ქმნიან; თანაყვავილები 3-ნაკეთიანია, კიდეებზე ხაოიან-წამწამებიანი; ჯამი ხაოიანია, 8 მმ-მდე სიგრძის, ორტუჩა; მისი ზედა ტუჩის შუა ნაკეთი კვერცხისებრია და წვეტიანი, დანარჩენები — ხაზურ-ლანცეტაა, წაწვეტებული; გვირგვინის 35—40 მმ-მდე სიგრძისაა, მუქი იისფერი, რბილბეწვიანი; გვირგვინის ზედა ტუჩი თითქმის სწორია, 10 მმ-მდე სიგრძის, ქვედა-სამნაკეთიანია და ზედა ტუჩის ტოლი; გვირგვინის მილი ჯამიდან ამოყოფილია; სამტვრეები მატყლისებრ შებუსეულია. კაკლუქა 3 მმ-მდე სიგრძისაა, ფრთისებრ გაფართოებული ორი წახნაგით. VI—VII.  $2n=14$  (Murin, 1978).

აწერილია შუა ევროპიდან (ავსტრია) (Hb. Linn. 746/6). იზრდება კირქვიან და ქვიან ფერდობებზე, გვხვდება აგრეთვე გავლულ მდელოებსა და ბალახოვან ფერდობებზე მთის ქვედადან სუბალპურ სარტყლამდე.  
საქ. სსრ.: 1 — აფხ.: ვაგრის ქედი, აცხუნი (კოლაკოვსკი, იაბროვა); 18 — ჯავახ.: თეთრობის მასივი (დავლიანიძე, ღვინიაშვილი, შეთეკაური) (სურ. 5).  
სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.  
საერთო ვავრცელ.: ევრ. ნაწ. (ვოლინი); შუა ევრ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.  
ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ შ ე ნ ე ო ბ ა. შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დეკორატიული მცენარე.

გვანო 9. LALLEMANTIA FISCH. ET MEY.\*

ყვავილები შეკრებილია 4—10-ყვავილიან ცრუ ჩხრობად, რომლებიც თავთავისებრ ყვავილედს ქმნიან, ყვავილის ყუნწები ბრტყელია, თანაყვავილაკები დაკბილულია, კბილები ფხისებრ წაწვეტებულია. ჯამი მილისებრია, 15 მკვეთრად გამოხატული ძარღვით, 5-კბილიანი, ზედა კბილი შედარებით ფართოა. გვირგვინის მილი ვიწროა, გრძელი, ხახაში გაფართოებული, გვირგვინი ორტუჩაა, ზედა ტუჩი ჩაზნექილია, წვერში ამოკვეთილი, შიგნიდან 2 რკალისებრი სიგრძივი ნაკეთით, ქვედა ტუჩი სამნაკეთიანია, შუა ნაკეთი შედარებით დიდი ზომისაა, გვირგვინი მოცისფრო, მოცისფრო-მოიისფრო, იშვიათად

\* ღამუშავა მ. ივანიშვილმა



თეთრია ან მოთეთრო-ყვითელი. მტკრიანა 4, ზედა 2 გვერდიებზე (ანუ ქვე-  
დაზე) გრძელია და ზედა ტუჩთანაა მიახლოებული, სამტვრეები ორბუდიანი,  
სვეტი წვერში ორადაა გაყოფილი. კაკლუქები მოგრძო კვერცხისებრია, სამ-  
წახნაგოვანი, ერთ ან ორფოთლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, მარტივი ან და-  
ტოტივი ლეროებით, ქვედა ფოთლები კვერცხისებრია გრძელყუნწიანი.

1. თანაყვავილაკები კვერცხისებრია ან მომრგვალებული, 4—9 მმ სიგანის;  
გვირგვინი ჯამს ოდნავ აღმატება; ჯამის ზედა კბილი გვერდიებზე 2—3-  
ჯერ განიერია . . . . . 1. *L. peltata* (L.) Fisch. et Mey.  
— თანაყვავილაკები სოლისებრია ან სოლისებრ-მარაოსებრი (1) 2—4 (5) მმ  
სიგანის; გვირგვინი ჯამს მნიშვნელოვნად აღმატება; ჯამის ზედა კბილი გვერ-  
დობებზე ოდნავ განიერია . . . . . 2
2. გვირგვინი 2-ჯერ აღმატება ჯამს, ხოლო 4—5-ჯერ თანაყვავილაკებს. მცე-  
ნარე მოკლე ბეწვითაა შებუსუსული . . . . . 2. *L. canescens* (L.) Fisch. et Mey.  
— გვირგვინი 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ჯერ აღმატება ჯამს ან თითქმის მისი ტოლია, ხოლო თანა-  
ყვავილაკებს 1—1/2-ჯერ აღმატება. მცენარე შიშველია . . . . . 3. *L. iberica* (Bieb.) Fisch. et Mey.

1. *L. peltata* (L.) Fisch. et Mey. Ind.Sem. Hort. Petrop. VI (1839) 53; Ledeb. Fl. Ross. III. 1 (1849) 390; Boiss. Fl. Or. IV (1879) 674; Гросср. Фл. Кавк, III (1932) 298; idem, Опред. раст. Кавк. (1949)333; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 311 (georg.); Горшкова во Фл. СССР XX (1954) 484; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 278; Колак. Растит. мир Колх. (1961) 314; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 418 (georg.); eadem в Гросср. Фл. Кавк. 2, VII (1967) 347; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 255; Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 291; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 232.—*L. peltata* var. *albiflora* Sosn. во Фл. Груз. VII (1952) 312.—*Dra-cocerphalum peltatum* L. Sp. Pl. (1753) 596.

Ис.: Engler und Prantl Natürl. Pflanzenfam. IV (1899) 239, 3 a; Сорн. раст. СССР IV (1935) фиг. 387, 4.

⊙. მცენარე შიშველია ან წვრილი ბეწვითაა მოფენილი, 15—40 სმ სიმაღლისაა; ღერო სწორმდგომია, მარტივი ან ქვედა ნაწილში დატოტივი, ქვედა ფოთლები კვერცხისებრია, 4—4,5 სმ სიგრძის და 1,5—2 სმ სიგანის, ყუნწი თითქმის ორჯერ გრძელია ფირფიტაზე; თანაყვავილები ლანცეტისებ-  
რია ან ხაზური, თითქმის მჯდომარეა, კიდემთლიანი, მნიშვნელოვნად აღმა-  
ტება ყვავილებს, 6—10 ყვავილიანი ჩხროები 15—30 სმ სიგრძის ყვავილედ-  
შია შეკრებილი, ჩხროები ურთიერთდაშორიშორებულია; თანაყვავილაკები  
მომრგვალებულია ან კვერცხისებრი, აქვს ბადისებრი დაძარღვა, კიდედაკბი-  
ლულია, კბილები ფხისებრ წაწვეტებულია, ყუნწი ბრტყელია; ჯამის კბილები  
მსხვილია, ეკლისებრი წვეტივით, ზედა — კვერცხისებრია, სიგანით 2—3-ჯერ  
აღმატება გვერდიებს, ქვედა-ლანცეტისებრია; გვირგვინი ჯამიდანაა ამოყო-  
ფილი, მოიისფრო-ცისფერია, გარედან შებუსუსულია, მისი ზედა ტუჩი ამოკვე-  
თილია, ქვედა ტუჩის შუა ნაკეთის ამონაკეთი მობლაგვოა, გვერდითი ნაკეთე-  
ბი მოგრძოა. კაკლუქები მოგრძო კვერცხისებრია სამწახნაგოვანი, მუქი ყავის-  
ფერი ან შავი, წერტილოვანი, V—VII. 2n = 14.



აწერილია უფსალის ბოტანიკურ ბაღში კულტივირებული მასალით. [Hb. Linn. 741/15, photo, sec. Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 291]. იზრდება მშრალ ადგილებზე, ნათესებში, გვხვდება როგორც სარეველა. საქ. სსრ: 4 — სამეგრ.: ბანძა (ტერ-ხაჩატუროვა); 9 — ქართ.: ცხრა წყარო (აკინფიევი; გროსპეიმი); ბაკურიანი, მიტარბა (კოზლოვსკი); 18 — ჯავახ.: ვორელოვკა (გროსპეიმი); ახალქალაქი; მადატაფა (ზედელმეიერი); თეთრობი (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა).

სსრკ.: იმიერკავკ.: (დაღესტანი); ამიერკავკ.: აზერბ. (თალიში), სომხ. საერთო გავრცელ.: ბალკ.; მც. აზ. (ცენტრ., ჩრდ.-აღმ. ანატ.); ირ.

შე ნ ი შ ე ნ ა. სახეობის არეალში გვხვდება თეთრყვავილიანი მცენარეები . albiflora Grossh.

2. *L. canescens* (L.) Fisch. et Mey. Ind. Sem. Hort. Petrop. VI (1839) 53; Boiss. Fl. Or. IV (1879) 675; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 298; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 333; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 311 (georg.) Горшкова во Фл. СССР XX (1954) 485; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 278; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 418 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 348; Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 293; Rechinger, Fl. Iran. № 159 (1982) 234. — *Dracoccephalum canescens* L. Sp. Pl. (1753) 595; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 311 (georg.); Горшкова во Фл. СССР XX (1954) 485; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 278; Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 348.

Ис.: Engler und Prantl, Natürl. Pflanzenfam. IV (1899) 239: 3 a.

⊕. მცენარე 10—30 სმ სიმაღლისაა, ღერო მრავალია, წამოწეული, დაფარულია მოკლე მონაცრისფრო ბეწვით; ქვედა ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია გრძელყუნწიანი, მრგვალებილა, ღეროსეული ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, მოკლეყუნწიანი, არაღრმად დაკბილული, თანაყვავილები ხაზურია, მჯდომარე, კიდემთლიანი. ყვავილების 4—5 ჩხრო ურთიერთ დაშორიშორებულია, 15 სმ-დე სიგრძის თავთავისებრ ყვავილედს ქმნის; თანაყვავილაკები სოლისებრია ან სოლისებრ-მარაოსებრი, 8—10 მმ სიგრძის, 5—7 წაწვეტებული კბლით; ჯამი წვრილბუსუსიანია, მისი ზედა კბილი ფართო კვერცხისებრია, გვერდითი—ლანცეტასებრია, ქვედა — ვიწრო ლანცეტაა, დანარჩენებზე ოდნავ გრძელია და ვიწრო; გვირგვინი ცისფერია ან მოცისფრო-მოიისფრო, 25—30 მმ სიგრძის, ამოყოფილია ჯამის მილიდან და ჯამზე ორჯერ გრძელია, გარედან მოკლე ბეწვითაა დაფარული; ზედა ტუჩის ნაკვეთი ნახევრადმრგვალია, ქვედა ტუჩი 1/3-ით გრძელია ზედაზე, მისი შუათანა ნაკვეთი ზედა ტუჩის ნაკვეთზე განიერია, გვერდით კვერცხისებრ ნაკვეთებზე 3—4-ჯერაა განიერი. კაკლუშები მოგრძოა, სამწახნაგოვანი, მუქი რუხი ფერის ან შავი, წვრილწერტილოვანი. VI—VIII. 2n = 14 (სურ. 6).

აწერილია უფსალას ბოტანიკურ ბაღში კულტივირებული მასალით. [Hb. Linn. 746/14, photo, sec. Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 293]. იზრდება მშრალ ფერდობებზე სუბალპურ და ალპურ სარტყელში. საქ. სსრ.: ჯავახ. („საქართველოს მცენარების სარკვევის“ მიხედვით). სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. საერთო გავრცელ.: ბალკ.; მც. აზ. (აღმ. ანატ.); ირ.

3.L. *iberica* (Bieb.) Fisch. et Mey. Ind. Sem. Hort. Petrop. VI (1839) 53; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1849) 391; Boiss. Fl. Or. IV (1879) 674; Гросср. Фл. Кавк. III (1932) 298; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 333; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 312 (georg.): Горшкова во Фл. СССР XX (1954) 485; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 279; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 419 (georg.): eadem в Гросср. Фл. Кавк. 2, VII (1967) 347; Тхт., Фёд. Фл. Еревана (1972) 255; Ravarut in Fl. Rep. Popul. Romine VIII (1961) Edmondson in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 292; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 235. — *Dracosephalum ibericum* Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 64; III (1819) 479. — *L. sulphurea* C. Koch in Linnaea XXXI (1848) 679.

Ис.: Сопн. раст. СССР IV (1935) 33, фиг. 387; Post, Fl. Syriae, Palaest. Sin. Fig. 299; Fl. Rep. Popul. Romine VIII (1961) 92, tab. 11, fig. 4.

⊙. მცენარე თითქმის შიშველია, ღერო მარტივია ან დატოტვილი, 10—15 (30) სმ სიმაღლის, ქვედა ფოთლები ყუნწიანია, მოგრძო კვერცხისებრი, წაწვეტებული, 4,5 (6) სმ სიგრძის, 1—1,8 სმ სიგანის, მრგვალებილა, ზედა ფოთლები მოგრძო ხაზურია, ძირთან შევიწროებული; თანაყვავილები მჯდომარეა, ხაზურ-ლანცეტა, ბლაგვი, თითქმის ორჯერ აღემატება ყვავილებს. ყვავილედი ჩხრები მრავალყვავილიანია; თანაყვავილაკები სოლისებრია, თითქმის მჯდომარე, კვერცხისებრი, მაროსებრი, ან სოლისებრი, 0,6—1 სმ სიგრძის, 0,2—0,4 სმ სიგანის, 5—7 ფხისებრი დანამატი; ჯამი ძარღვების გაყოფილებაზე მოკლებულსიანია, კბილები წაწვეტებულია. ზედა კბილი კვერცხისებრია, ქვედა-ლანცეტა; გვირგვინი ლურჯია, იასამნისფერ-ცისფერი ან მოთეთრო-ყვითელი, ჯამზე თითქმის 1½-ჯერ გრძელი ან ტოლი, გარედან მეტნაკლებად შებუსულია, გადანალუნი, რომლის შუათანა ნაკვთი გვერდითებზე განიერია, კვერცხისებრი ფორმისა. კაკლუჭები სამწახნაგოვანია, ძირში წაწვეტებული, მუქი მურა ან შავი. IV—VI.  $2n = 14$  (რუკა 14).

აწერილია საქართველოდან

იზრდება ღორღიან მშრალ ფერდობებზე, გვხვდება გლერძიანებში, ღვიძიანებში, ზღვის დონიდან 1700 მ-მდე, გვხვდება როგორც სარეველა ნათესებში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: ბაკურიანი (კოზლოვსკი); ბორჯომი (აკინფიევი).

სსრკ.: იმიერკავკ.: (ნევენომისკი, სტავროპოლი); ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ. (შემოტანილია) აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; შუა აზ. (კოპეტდალი).

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკანეთი); მც. აზ.; ირ.; ერაყი (ჩრდ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა. სახეობის არეალის ფარგლებში (ქართ., ჯავახ.) გვხვდება მცენარეები მოთეთრო-ყვითელი ფერის ყვავილით — *f. sulphurea* (C. Koch.) A. Grossh.

### პ ვ ა რ ი 10. PRUNELLA L.\* — ზოზონცხვირბა

ყვავილები შეკრებილია ხშირ, კენწრულ კვერცხისებრ ან მოგრძო თავაკისებრ ყვავილელებში, რომლებიც შექმნილია დიდი ზომის მომრგვალო თანაყვავილების ილიებში განლაგებული 6-ყვავილიანი ჩხრებისაგან. ჯამი მი-

\* ღამუშავა ი. ლაჩაშვილმა

ლისებრ-ზარისებრია, 10-ძარღვიანი, ორტუჩა, დაყვავილების შემდეგ თითქმის დახშული; მისი ზედა ტუჩი უფრო ფართოა, სამკბილა; ქვედა — ორნაკეთიანი გვირგვინი იისფერია, მოწითალო მოიისფრო, მოთეთრო ან მოყვითალო; ორტუჩა; მისი ზედა ტუჩი მუზარადისებრია, ქვედა — სამნაკეთიანია, უფრო დიდი ზომის, რამდენადმე მოხრილი, მრგვალებილა შენაკეთით და ქვევითაქნ დახრილი გვერდითი ნაკეთებით; გვირგვინის მილი შიგნით ბეწვიანი რგოლითაა. მტერიანა 4, ზედა ტუჩის ქვეშ ამოფარებული, მათგან ორი გვერდითი მტერიანა შუათანა მტერიანებზე გრძელია; მტერიანების ძაფები წვერში (სამტვრეების თავზე) მოკლე კბილით ან ბორცვით ბოლოვდება; სვეტი შიშველია, ორნაკეთიანი. კაკლუქები მომრგვალოა, კვერცხისებრი ან მოგრძო, შიშველი, გლუვი — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია.

გვარში გაერთიანებული 15-მდე სახეობიდან, რომლებიც თითქმის მთელ დედამიწაზე გავრცელებული, საქართველოში სამი სახეობა გვხვდება.

1. გვირგვინი 18—25 მმ სიგრძისაა, ჯამზე 3-ჯერ გრძელი, იისფერი. გვირგვინის მილი ზევითაქნ მოხრილია. უფრო გრძელი მტერიანების ძაფები წვერში პატარა ზომის ბორცვებითაა. . . . . 2. *P. grandiflora* (L.) Scholl.
- გვირგვინი 6—16 მმ სიგრძისაა, 1,5—2-ჯერ გრძელი ჯამზე, მოყვითალო-თეთრი, იისფერი, იშვიათად თეთრი. გვირგვინის მილი სწორია. გრძელი მტერიანების ძაფები წვერში სადგისისებრი კბილითაა . . . . . 2
2. გვირგვინი ჩვეულებრივ იისფერია . . . . . 1. *P. vulgaris* L.
- გვირგვინი ჩვეულებრივ მოყვითალო-თეთრია ან თეთრი . . . . . 3. *P. laciniata* (L.) Nathh.

1. *P. vulgaris* L. Sp. Pl. (1753) 600; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 66; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 313 (georg.); Борисова во Фл. СССР XX (1954) 495; Гаджиев во Фл. Азерб. VII (1957) 283; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 194; Колак. Растит. мир Колх. (1961) 317; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 419 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 350; Тахт. и Фёд. Фл. Еревана (1972) 255; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 152; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 40; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 262. — Rechingher Fl. Iran. № 150 (1982) 254. — *Erglella vulgaris* Mench, Meth. (1794) 414; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 410; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 392; Boiss. Fl. Or. IV (1879) 691; Шмальг. Фл. Сред. и Южн. Росс. II (1897) 328; Гроссг. Фл. Кавк. II (1932) 300; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 333; Колак. Фл. Абх. IV (1949) 50; Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 95 (georg.).

Is.: Федч. и Флер. Фл. Европ. Росс. (1910) рис. 721; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) таб. XLII, 4; Rechingher Fl. Iran. № 150, (1982) tabl. 236. Fxs.; ГРФ, n° n° 74, 384;

4. მცენარე გაფანტულბეწვიანია ან თითქმის შიშველი; ფესურა გრძელია, მხოხავი; ღერო წამოწეულია ან სწორმდგომი (4) 8—40 (50) სმ სიმაღლის; ფოთლები კვერცხისებრია ან მოგრძო-კვერცხისებრი, 2—7 სმ სიგრძის, 1—3 სმ სიგანის, ბლავი ან ოდნავ წაწვეტებული, კიდემთლიანი ან დაშორებული შორებულ მრგვალებილა, ზოგჯერ თითქმის ფრთისებრ განკვეთილი ან და-

ნაკეთული; ფოთლების ზედა წყვილი თითქმის მკდომარეა, ყვავილედის ძირ-  
შია განლაგებული, დანარჩენი ფოთლები ყუნწიანია. ყვავილელი თავთავისებ-  
რია, 2—6 სმ სიგრძის, კვერცხისებრი ან მოგრძო, შემდეგში გრძელდება და  
თითქმის ცილინდრულია; თანაყვავილები სიფრიფანაა, ფართო კვერცხისებრი  
ან თითქმის მომრგვალო, ძირში გულისებრი, 8—12 მმ სიგრძის, 10—15 მმ  
სიგანის, კიდეწამწვამიანი, ხშირად, ისევე როგორც ჯამი, მეწამული ფერისაა,  
თითქმის მოშაო-იისფერამდე, ქვედა თანაყვავილები უცხადაა გრძელად წარზი-  
დული წვეტში, დანარჩენი მოკლეწვეტიანია. ჯამის ქვედა ტუჩი თითქმის შუამ-  
დეა ორ ლანცეტა კბილად გამოყოფილი; ზედა ტუჩი წაკვეთილია, სამი ძა-  
ლიან მოკლე კბილით (მახვილი წვეტით). ზოგჯერ თითქმის ბლაგვია. გვირგვი-  
ნი იისფერია, ზოგჯერ თეთრი, 6—12 მმ სიგრძის, ჯამზე, 1,5—2-ჯერ გრძე-  
ლი; გვირგვინის მილი სწორია; გრძელი მტვრიანების ძაფები წვერზე სადგი-  
სისებრი, ოდნავ მოხრილი ან სწორი კბილითაა. კაკლუქები კვერცხისებრია  
ან ელიფსური, 2 მმ-მდე სიგრძის, 1 მმ-მდე სიგანის, გლუვი, პრილა. V—IX.  
2n = 14, 21, 28 (Martyanov, 1979).

აწერილია ევროპიდან (Hb. Linn. 752/2).

იზრდება ტყეებში, ტყისპირა მდელობებზე, ბუჩქნარებსა და ნატყევარ მდე-  
ლობებზე, მდინარეთა და ტბების ნაპირებზე, ბაღებსა და გზისპირებზე, ზოგ-  
ჯერ როგორც სარეველა ნათესებში. დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე.

საქ. სსრ: თითქმის მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მხრ.

საერთო გავრცელ.: ევრ.; ხმელთაშუაზღ. მხრ.; მც. აზ.; წინა აზ.; ცენტრ.  
აზ.; აღმ. აზ.; ინდო-მალ.; ავსტრალ.; ჩრდ. ამერ.

შენიშვნა. პოლიმორფული სახეობაა. მის ფარგლებში გამოყოფილი  
რამდენიმე სახესხვაობიდან საქართველოს ფლორისათვის მითითებულია  
var. *pinnatifida* (Pers.) Benth.—თითქმის ფრთისებრ განკვეთილი ან დანაკეთ-  
ული ფოთლებით.

2. *P. grandiflora* (L.) Scholl. Fl. Barb. (1775) 140; Гладкова во Фл.  
Европ. части СССР III (1978) 152; Галушко, Фл. Сев. Кавк.-3 (1980) 40;  
R. R. Mill. in Davis, Fl. Turkey, 7 (1932) 297—*P. vulgaris* B. *grandiflora*  
L. Sp. Pl. (1753) 600—*P. grandiflora* (L.) Jacq. El. Austr. IV (1776)  
40; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 67; Benth. Lab. Gen. Sp. (1833) 417; Тер-  
Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 313 (georg.); Борисова во Фл. СССР XX  
(1954) 496; Гаджиев во Фл. Азерб. VII (1957) 284; Колак. Растит. мир  
Колх. (1961) 317; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 419 (georg.);  
eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 350.—*Brunella grandiflora* Moench.  
Meth. (1794) 414; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 409; Boiss. Fl. Or.  
IV (1879) 692; Шмальг. Фл. Сред. и Южн. Росс. II (1897) 329;  
Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 299.—*B. grandiflora* (L.) Moench: Гроссг.  
Опред. раст. Кавк. (1949) 333.

Is.: Сырежщ. Фл. Моск. губ. III (1910) 113.

Exs.: ГРФ, n° 734.

2. მცენარე გაფანტულბეწვიანია ან შიშველი. ფესურა მხოხავია, დატოტილი; ღერო წამოწეულია ან სწორმდგომი, 20—60 სმ სიმაღლის; ფოთლები მოგრძოა ან მოგრძო კვერცხისებრი, კიდე მთლიანი, იშვიათად დაშორირებული კბილებით, 4—6 სმ სიგრძის, 1,5—3 სიგანის, მთლიანი, იშვიათად თითქმის ფრთისებრ განკვეთილი, ფოთლების ზედა წყვილი თითქმის მჯდომარეა, დანარჩენი მეტ-ნაკლებად გრძელყუნწიანი. ყუავილენი თავთავისებურია, მჯდომარე, კვერცხისებრი ან მოგრძო, 4—7 სმ სიგრძის, ძირში ზედა წყვილ ფოთლებს მოკლებული. თანაყუავილები სიფრიფანაა, მომრგვალო, კიდეწაწმამიანი, წვერში მოკლე წვეტი დაბოლოებული; ჯამის ზედა ტუჩის კბილები ფართო სამკუთხაა, მახვილწვერიანი; ქვედა ტუჩი თავისი სიგრძის 1/3-მდეა ორ ლანცეტა კბილად გაყოფილი; გვირგვინი იისფერია, 18—25 მმ სიგრძის, ჯამზე 3-ჯერ გრძელი; გვირგვინის მილი რამდენადმე მოხრილია; გრძელი მტერიანების ძაფები წვერზე პატარა ბორცვებითაა. კაკლუქები მომრგვალოა ან მომრგვალო-კვერცხისებრი, 2 მმ-მდე სიგრძის, 1,5 მმ სიგანის, შიშველი, ოდნავ ბორცვიანი და დაღარული. VI—IX. 2n=28, 32.

აწერილია დასავლეთ ევროპიდან.

იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებსა და მდელოებზე. მთის შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ: 3 — რაჭა-ლეჩხ.: მდ. რიონის ხეობა, მთა ჩხოვრი, სოფ. უწერას ახლოს (კემულარია-ნათაძე); 17 — ქვ. ქართ.: ბორჩალო, შამბიანის მთა (კეცხოველი). პოვნა შესაძლებელია სხვა რაიონებშიც.

სსრკ.: იმერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელება: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღ. მხრ.; მც. აზ.

შენიშვნა. ა. ბორისოვას მითითებით (სსრკ ფლორა, XX, 1954) გურიაში გვხვდება ამ სახეობის ერთ-ერთი ფორმა — var. *Lagovskyi* N. Pop., რომელიც ხასიათდება ფრთისებრ განკვეთილი ფოთლებით. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არა თუ აღნიშნული მორფოლოგიური ნიშნების მქონე ეგზემპლარები, არამედ საერთოდ ამ სახეობის საპერბარიუმო მასალა გურიიდან არ გვინახავს.

3. *P. laciniata* (L.) Nathh, Fl. Monsp. (1756) 20; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 152. — *P. vulgaris* var. *laciniata* L. Sp. Pl. (1753) 600; Benth. Lab. Gen. Sp. (1833) 417 — *P. laciniata* (L.) L. Sp. Pl. (1762—1763) 837; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 40; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 261. — *P. laciniata* L.: Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 314 (georg.); Борисова во Фл. СССР XX (1954) 497; Гаджиев во Фл. Азерб. VII (1957) 284; Колак. Растит. мир Колх. (1961) 317; Тер-Хачат. в Определ. раст. Груз. I (1964) 419 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 350; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 255. — *P. alba* Pall. ex Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 67. — *Brunella laciniata* Moench, Meth. (1794) 414 — *B. laciniata* (L.) Bunge in Ledeb. Fl. Alt. II (1830) 416; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 300; idem, Определ. раст. Кавк. (1949) 333; Колак. Фл. Абх. IV (1949) 50; Маканвилли, Фл. окр. Тбилиси II (1953) 95 (georg.); Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 194. — *B. vulgaris* var. *laciniata* Benth. in DC. Prodr. XII (1848) 411. — *B. alba* Pall. ex Boiss. Fl. Or. IV (1879) 622; Шмальг, Фл. Сред. и Южн. Росс. II (1897) 329.



4. მთელი მცენარე, ცოტად თუ ბევრად, ხშირი, თეთრი მქისე ბეწვი-თაა მოფენილი; ფესურა მხოხავია; ღერო წამოწეულია, 5—30 სმ სიგრძის; ფოთლები კვერცხისებრია, ელიფსური ან ლანცეტა, ყუნწიანი, 2—7 სმ სიგრძის, 1—2 სმ სიგანის; ზედა ფოთლები ჩვეულებრივ ფრთისებრია განკვეთილი ხაზურ ნაკეთებად ან მთლიანია; ქვედა ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, კიდემთლიანია ან შორიშორს დაკბილული. ყვავილედი თავთავისებრია, ხშირი, კვერცხისებრი ან მოგრძო, შემდეგში გრძელდება და თითქმის ცილინდრულია, 1,5—4 სმ სიგრძის; თანაყვავილები თითქმის მომრგვალოა, სიფრიფანა, კიდეწამწამიანი, უცბადაა წარზიდული წვეტში; ჯამის ქვედა ტუჩი ნახევარზე უფრო ღრმადაა გაყოფილი ორ ლანცეტა, სადგისისებრ წაწვეტებულ კბილად; ზედა ტუჩი თითქმის წაკვეთილია და სამი მოკლე წვეტითაა (კბილითაა). კაკლუჭები ელიფსურია, 2—2,7 მმ-მდე სიგრძის, 1—1,5 მმ სიგანის. ბლავი, ზურვის მხარეზე რამდენიმე ძარღვით. V—X.  $2n = 2x$  (Kieft, Loon, 1978)

აწერილია დასავლეთ ევროპიდან (Hb. Linn. 752/3).

იზრდება ტყეებში, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, ნატყევიარ მდელოებზე, მშრალ ბალახოვან ფერდობებზე, მდინარეთა რიყნარებზე. მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე.

საქ. სსრ.: თითქმის მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ.: იმერკავკ.; ამიერკავკ.: შავიზღვ. სანაპ., აზერბ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; ირ.

გვარი 11. EREMESTACHYS BUNGE\*

ყვავილები ჩვეულებრივ მჯდომარეა, მრავალყვავილიან ჩხროებად შეკრებილი, რომლებიც თავის მხრით განწყობილია თანაყვავილის იღლებში და თავთავისებრ ყვავილედს ქმნის. ჯამი მილისებრ-ზარისებრია ან ფართო ზარი-სებრი, 10-ძარღვიანი. სიფრიფანა გადანალუნითა და 5-კბილით, ჯამის კბილები მოკლეა და ფართო, თანაბარზომის, ეკლისებრ წაწვეტებული. გვირგვინი დიდი ზომისაა, გრძელი და ვიწრო მილით, რომელიც გადანალუნის ძირში კონებად შეკრებილი ბეწვის რგოლითაა; გვირგვინის მილი ჯამშია ჩამჯდარი; გადანალუნი 2-ტუჩაა, მისი ზედა ტუჩი მუზარადისებრია, შიგნიდან და ნაპირებზე თეთრი ბეწვით მოფენილი, ქვედა-სამნაკეთიანია ქვევითკენ გადაღუნული; მტვრიანა 4, გვირგვინის ზედა ტუჩის ქვეშ ამოფარებული, გვერდითი მტვრიანები შუათანა მტვრიანებზე მოკლეა, იშვიათად მათი ტოლი, შუათანა მტვრიანები ძირში დანამატებითაა, ყველა მტვრიანის ძაფი ბეწვიანია; სამტვრეს ბუდეები სწორი კუთხითაა გაშლილი. სვეტის ტოტები მოკლეა და სხვადასხვა სიგრძის. კაკლუჭა სამწახნაგოვანია, წვერზე წაკვეთილი და მატყლისებრი ბეწვით შებუსული. — მრავალწლოვანი მცენარეებია, სწორმდეგომი ან აღმავალი ღეროთი, მთლიანი ან განკვეთილი ფოთლებითა და დიდი ზომის ლამაზი ყვავილებით.

\* დაამუშავა ლ. ხინთიბიძემ

სამეურნეო მნიშვნელობა. ამ გვარის ზოგიერთი სახეობა ფართოდ დეკორატიულია, ზოგიერთი მათგანი კი შეიცავს ეთეროვან ნივთებს.

Sect. 1. *Phlomoides* Bunge in Mem. Acad. Sc. Petersb. VII Ser. VII —XXI, 1(1873)78. — ჯამი მილისებრია ან მილისებრ-ზარისებრი, ზემოთკენ გაფართოებული არ არის; ჯამის კბილები აღმამდგომია. ფესვები ფუნჯაა.

Ser. 1. *Laciniatae* (M. Pop.) Knorr. во Фл. СССР XXI(1954)24. საშუალო სიმაღლის მცენარეებია ფრთისებრ დაყოფილი ფოთლებით. ყვავილენი მჭიდროდ განწყობილი მრავალყვავილიანი ჩხრობებითაა; თანაყვავილები ხაზურია ან ლანცეტა, უფრო იშვიათად სადგისისებრი; გვირგვინი ყვითელია ან თეთრი, 3,5—4 სმ-მდე სიგრძის; სამტვრე ძაფებს სიგრძივი დანამატები აქვთ, რომელთა ქვეშ მოთავსებულია ბეწვების რგოლი.

1. *E. iberica* Vis. Annat. Cat. Sem. Hort. Patav.(1845) 64; N. Pop. Бюлл. моск. общ. исп. прир. XIX (1940) 85; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 334; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 315 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 96 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI 1954) 25; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 286; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 419 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII(1967) 351.—*E. laciniata* auct. [Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 301; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 261; Edmondson in Davis Fl. Turkey 7 (1982) 101] p. p. non Bunge.

Ис.: Фл. Азерб. VII (1957) табл. XXVI.

Exs. Herb. Fl. Cauc. n° 288 (sub. *E. laciniata*).

2. ფესვი ფუნჯისებრია, მისი ყელი შებუსუსულია აბლაბუდასებრ-მატყლისებრი ბეწვით, ღერო 60—100 სმ-მდე სიგრძისაა, მძლავრი, მარტივი ან დატოტვილი, აბლაბუდასებრ-ქეჩისებრ შებუსუსული; ფოთლები ფრთისებრია, დაყოფილია მოგრძო ლანცეტა ან თითქმის ხაზურ სეგმენტებად; ქვედა ფოთლები 15—40 სმ-მდე სიგრძისაა და გრძელყუნწიანი; ღეროსეული შუათანა ფოთლები უფრო მოკლეყუნწიანი, ზედა — მჯდომარეა; ყველა ფოთოლი ორივე მხარეზე ცოტად თუ ბევრად აბლაბუდასებრბეწვიანია, უფრო იშვიათად შიშველი. ყვავილები მჯდომარეა, 8—10-ყვავილიან ჩხრობად შეკრებილი, რომელთაგან ქვედა — დანარჩენებიდან დაშორებულია, ხოლო ზედა ჩხრობები ერთმანეთთან მჭიდროდაა განლაგებული, სულ ზედა — განწყობილია მოგრძო თავთავის მსგავსად; თანაყვავილები სხვადასხვანაირი ფორმისაა: ლანცეტა ან ხაზურ-სადგისისებრი, ჯამის ტოლია ან მასზე ცოტათი მოკლე, შებუსუსული გრძელი მატყლისებრი და მოკლე ჯირკვლოვანი ბეწვით; ჯამი მილისებრია, 15—20 მმ სიგრძის, ამოწული ძარღვებითა და თეთრ მატყლისებრ შებუსუსვით; ჯამის კბილები ფართოა, მოკლე სამკუთხასებრი ფორმის, მაგარი, წვერზე ქიცვებით დაბოლოებული; გვირგვინი მომწვანო-მოყვითალოა, მისი ზედა ტუჩი სწორია და მხოლოდ ზედა ნაწილშია მოხრილი, გარედან გრძელბეწვიანი, რომელსაც მოკლე ჯირკვლოვანი ბეწვებიც ერევა; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკეტი ფართოა და მომრგვალებული, გვერდითები — კვერცხისებრ-გულისებრია; გვირგვინის მილი ჯამშია ჩამალული და შიგნითა მხრიდან მოკლებეწვიანი რგოლითაა აღჭურვილი; შუათანა მტვრიანები გვერდითებზე გრძელია, ფრთისებრ-საწოვრისებრი გამოწარადებით, ყველა მტვრიანის ძაფი აბლა-



ბუდასებრი შებუსვითაა; დინგი სხვადასხვა სივრდის ნაკვეთითაა. კაკლუჭები ზი მოკლეა და ხშირბეწვიანი.  $2n=22$ .

აწერილია კულტურული ეგზემპლარის მიხედვით.  
 იზრდება მშრალ ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში.  
 საქ. სსრ: 9 — ქართ.: თბილისი (პავირევი); დაბახანის ხეობა (კვარაცხელია, ქუთათელაძე); თბილისის ბოტანიკური ბაღი (კაპლერი); მედვედევის პერბაროში); მტკეთა (ლიბსკი); 13 — ქიზ.: წითელწყაროს რაიონი, თუქურ-შიშა (ყანჩაველი); შირაქი, პანტიშარას ხეობა (ღვინიანიძე, ივანიშვილი, ხუციშვილი, ავაზნელი).  
 სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ.: შუა აზ.  
 საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (პალესტინა); მც. აზ.; აღმ. ანატ.; ჩრდ. ირ.

გვ. 12. PHLOMIS L.\* — შინძარა

ყვავილები მჯდომარეა, შეკრებილი ღეროსეულ დაპატარავებულ ფოთლების ილიებში მოთავსებულ ცრუ ჩხროებში და თავთავისებრ ყვავილედებს ქმნის; ჯამი მილისებრია ან მილისებრ-ზარისებრი, 5 თანაბარი ფხისებრი წვეტი დაბოლოებული კბილითაა; გვირგვინის ზედა ტუჩი მუზარადინებრია, ქვედა-ბრტყელია და 3-ნაკვთიანი; გვირგვინის მილი ჯამის მილშია ჩამალული, ზედა ნაწილში გაფართოებულია და შიგნით ბეწვებითაა რგოლით აღჭურვილი. მტვრიანა 4, ზედა ტუჩთან მიახლოებული, რომელთანაც უკანა ორი — წინა მტვრიანებზე მოკლეა; მტვრიანათა ძაფები ძირთან გამოწარადებულითაა; სამტვრეები განშლადია; სვეტი ორი სხვადასხვა სივრდის ნაკვეთითაა. კაკლუჭები სამწახნაგოვანია, ბლაგვი ან წაკვეთილწვერიანი, შიშველი. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, მთლიანი ფოთლებითა და საშუალო ზომის ყვავილებით.

ამ გვარში გავრთიანებულია 100-სახეობა, რომლებიც ევრაზიაშია გავრცელებული. საქართველოში ეს გვარი 2 სახეობითაა წარმოდგენილი.

1. ქვედა ფოთლები სამკუთხა კვერცხისებრია, გულისებრი ძირით; გვირგვინი მოვარდისფრო-სოსანია, გვირგვინის ზედა ტუჩი სწორია და წვერზე თეთრბანჯგვლიანი, კიდებზე — გრძელი, თეთრი და ხშირი წამწამებითაა მოფენილი; ჯამის კბილები მილზე 3-ჯერ მოკლეა.

2. *P. tuberosa* L.

— ქვედა ფოთლები ლანცეტა ან მოგრძოლანცეტა, მომრგვალებული ან ოდნავ სოლისებრი ძირით. გვირგვინი მოწითალო-იისფერია ან ლილისფერი; გვირგვინის ზედა ტუჩი რკალივით მოხრილია და ვარსკვლავისებრი ბეწვითაა შებუსვული; ჯამის კბილები ჯამის მილზე 1½–2-ჯერ მოკლეა.

1. *P. pungens* Willd.

Sect. 1. *Phlomis*.—Sect. *Euphlomis* Benth., Lab. Gen. Sp. (1834) 622.

— გვირგვინის ზედა ტუჩი გვერდებიდან შებრტყელებულია და კიდების შიგნითა მხარეზე მოკლებულია გრძელ ბეწვებს; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი მომრგვალებულია და გაცილებით გრძელია გვერდით ნაკვეთებზე.

\* დამუშავა ლ. ხინთიბიძე



1. *P. pungens* Willd. Sp. Pl. III (1800) 121; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 55; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 303; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 334; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 315 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 96 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI(1954) 80; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 291; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 96 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 354; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 155; Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 108.

Is.: Фл. Европ. части СССР II (1978) табл. 28, 1.

4. მცენარე 30—60 სმ-მდე სიმაღლისაა; ღერო მარტივია ან გაფარჩხულ დატოტვილი, უხვადაა შებუხსული ვარსკვლავისებრი და დანაწევრებული ბეწვით, ღეროს წვერზე შებუხვა თხელ ქეჩისებრია; ქვედა ფოთლები მოგრძო ლანცეტა და გრძელყუნწიანი, 8—12 სმ სიგრძისა და 2—3 სმ სიგანის, კიდევებზე მსხვილ მრგვალკბილა, ღეროსეული — ვიწროლანცეტა ფორმისაა, მოკლეყუნწიანი 5 სმ-მდე სიგრძისა და 1,5—2 სმ-მდე სიგანის, კენწრული ფოთლები დაპატარავებულია, კიდემთლიანი; ყველა ფოთოლი ზედა მხარეზე მწვანეა, აქა-იქ მოფენილი მარტივი და ვარსკვლავისებრი ბეწვით, ქვედაზე — ვარსკვლავისებრი ბეწვისაგან მონაცრისფრო თხელი შებუხვითაა. ყვავილები შეკრებილია 6—10-ყვავილიან კენწრულ ფოთლების ილიებში განწყობილ მშიდრო ჩხროებად, რომლებიც თავის მხრით ერთმანეთთან დაშორიშორებულა, რის გამოც ყვავილედი წაგრძელებულია; თანყვავილები ჯამზე გრძელია, ხაზურ-სადგისისებრია, თავისუფალი, წვეტიანი, ისევე როგორც ჯამი, მოფენილია მიტკეცილი ვარსკვლავისებრი და გრძელი, გაფანტული ბეწვით; ჯამი მიღისებრია, გამოჩენილი ძარღვებით; ჯამის კბილები გადახრილია სადგისისებრი, მიღზე 1,5-ჯერ მოკლე, სხვადასხვა ზომის; გვირგვინი მოწითალო-იისფერია ან ლილისფერი, გარედან ხშირი ვარსკვლავისებრი ბეწვით შებუხსული; ზედა ტუჩი გვერდებიდან შებრტყელებულია, კიდემთლიანი, ქვედა — ფართო შუათანა და უფრო მოკლე გვერდითი ნაკეთებითაა, გვირგვინის მილი ჯამიდან ოდნავაა ამოყოფილი და შიგნითა მხრიდან აღშურვილია ბეწვებიანი რჯოლით; მტკრიანათა ძაფების მხოლოდ შუა ნაწილია შებუხსული, მათი დანაპატები ფართო ხაზური ფორმისაა, მეტწილად ქვემოთკენ გადახრილი. კაკულუმები, მომრგვალებულია, შიშველი. V—VIII.

აწერილია სომხეთიდან, ირანიდან და ვოლგის პირეთიდან.

იზრდება მშრალ ფერდობებსა და მშრალ ველებზე, ბუჩქნარებში და ნასვენ ადგილებზე მთის ქვედადან ზედა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 9 — ჭართ.: თბილისი, თელეთი (სულაკაძე); თბილისი (პავი-რევი); წავკისი (ბუაჩიძე); სოსნოვსკი; კასპიევი; ლისის ტბა (გუბისი); მცხეთა (კვარაცხელია); ზედაზენის მონასტრის გზაზე (გუბისი); შიო-შღვიმის მონასტერი (ვართაპეტანი); მუხრანი (ყანჩაველი, ვორონიხინი); ოღვინსკოე (ტი-ბოფევი); 13 — ქიზ.: შირაქი (კოლექტორი უცნობია); 14 — გარეკახ.: მალ-ხაზოვკა (ტიმოფევი); გარეჯის უდაბნო (გროსპეიმი, კოლაკოცკი, ტროიციკი); 16 — თრიალ.: მანგლისი (მიცკევიჩი; ნიკოლაევი); 18 — ჯავახ.: ახალქალაქის მიდამოები (ზედელმეიერი); კუმურდო (სოსნოვსკი); 19 — მესხ.: ოშორის ქედის სამხრეთი ფერდობი, გზა ს. აწყურისაკენ (კოზლოვსკი); ახალციხის მიდამოები, ს. წყალთბილა (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ახალ-

ციხის მიდამოები ს. საძელი (ხინთიბიძე); ახალციხე-რაბათი (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი, ჩოლოყაშვილი); მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირი, ახალციხის პირდაპირ (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი; ხინთიბიძე, ლაჩაშვილი, ჩოლოყაშვილი); ახალციხესა და ჭეჭერქს შორის (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი); ს. დამალა (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა; კოზლოვსკი); ს. ურაველი (ხინთიბიძე, ჩოლოყაშვილი).

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.;

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; მც. აზ.; აღმ.-ანატ.; ჩრდ. ირ.; ცენტრ. აზ.

Sect. 2. *Phlomis* (Reichenb.) Gladk. во Фл. Европ. части СССР III (1978) 155.—*Phlomis* *Phlomis* Reichenb. Fl. Germ. Exkurs. 2 (1831) 324.

— გვირგვინის ზედა ტუჩი გვერდებიდან შებრტყელებული არ არის, კიდებულსა და შიგნითა მხრიდან გრძელბეწვიანია; ქვედა ტუჩის გვერდითი ნაკვეთები შუათანა ნაკვეთის თითქმის ტოლია.

2. *P. tuberosa* L. Sp. Pl. (1753) 586; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 57; DC. Prodr. XII (1848) 544; Boiss. Fl. Or. IV (1879) 792; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 302; idem, Опред. раст. Кавк. 1949) 334; Колак. Фл. Абх. IV (1949) 51; Кареллер во Фл. Груз. VII (1952) 318 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 96 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (195 ) 99; Исаев во Фл. Азерб. VII (1957) 295; Колак. Растит. мир Колх. (1961) 317; Кареллер в Опред. раст. Груз. II (1964) 420 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 355; Гладкова во Фл. Европ. части СССР II (1978) 155; Huber-Morath in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 106; Rechinger, Fl. Iran. № 159; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 261. Ic.: Fl. Turkey 7 (1982) Fig. 5, 16.

ზ. მცენარე 50—150 სმ-მდე სიმაღლისაა, ახასიათებს გრძელი, თასმი-სებრი ფესვები, რომლებსაც უფრო ხშირად ტუბერისებრი გამსხვილებები აქვს; ღერო მარტივია ან დატოტვილი, შიშველი ან ყვაილიდში ოდნავ შე-ბუსუსი, მოწითალო-მოიისფრო; ფესვთანური და ღეროსეული შუათანა ფოთ-ლები მოგრძო სამკუთხა კვერცხისებრია, გრძელყუნწიანი, ზედა ფოთლები სამ-ჯუთხა-ლანცეტაა, მოკლეყუნწიანი; ყველა ფოთოლი კიდზე მსხვილ მრგვალ-კბილაა, გულისებრი ძირით, ზედა მხარეზე მწვანეა თხლად მოფენილი გრძელი მარტივი ბეწვით, ქვედაზე უფრო მკრთალია და მოფენილია ხშირი ვარსკვლავ-ისებრი ბეწვით. ყვაილები მჭიდრო მრავალყვავილიან ჩხრობედაა შეკრები-ლი. რომლებიც დაშორიშორებულადაა განწყობილი ლანცეტა, მჯღომარე, კენწრული ფოთლების იღლებში; თანაყვავილები ხაზურ-სადგისისებრია 10—12 მმ სიგრძის, ჯამზე ცოტათი გრძელი, ისევე როგორც ჯამის ზედა ნაწილი მოფენილია გრძელი გაფარჩხული გამსხვილებებზე მჯღომი ბეწვით; ჯამი მი-ლისებრ-ზარისებრია, 8—10 მმ სიგრძის; ჯამის კბილები მომრგვალებულია და უცბადაა შევიწროებული ჯამის მიღზე 3-ჯერ მოკლე გრძელბეწვიან ფხვბში, რომელთაგან ქვედა ერთი კბილი შესამჩნევად გრძელია დანარჩენებზე; გვირ-გვინი მოვარდისფრო-სოსანია 1,5—2,5-ჯერ აღემატება ჯამს; გვირგვინის ზედა ტუჩი წვერზე უთანაბროდ დაკბილულია, შიგნითა მხრიდან კიდებზე გრძელ ხშირბეწვიანია; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვეთი კვერცხისებრია, გვერდითი-ოვალურია და ცოტათი მასზე ვიწროა და მოკლე; ქვედა ტუჩის ყველა ნაკვეთი

წვერზე დაკბილულია; გვირგვინის მილი ჯამიდან ოდნავაა ამოყოფილი; მტვრიანათა ძაღები ნითა მხარეზე განვითარებული აქვს ბეწვების რგოლი; მტვრიანათა ძაღები გვირგვინიდან ამოყოფილია, მათი დანამატები საკმაოდ გრძელია და ნამგლისებრი ფორმის; ღინგი მეტ შემთხვევაში სხვადასხვა სიგრძის ნაკვებთითაა. კაკლუშები წვერზე ბეწვიანია. V—VIII. 2n=14, 21, 22 (Карташова и др., 1974).

აწერილია ციმბირიდან.

იზრდება მშრალ ადგილებზე და ნაირბალახოვან სტეპურ დაჭგუფებებში, ბალახოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, მდელოებზე, საძოვრებსა და ზვრებში მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ: აფხ.: („საქართველოს ფლორისა“ და „აფხაზეთის ფლორის“ მიხედვით), 9 — ქართ.: თბილისი (პავირევი); დაბახანის ხეობა (სოსნოვსკი; კვარაცხელია); თელეთის ქედი (სოსნოვსკი; კაპელერი; სულაკაძე; ქუთათელაძე, ხინთიბიძე, მცხეთაძე; ზედელმეიერი; კასპიევი); უძო (ქუთათელაძე); „ოლგინსკოე“ (ტიმოფეევი); შიო-მღვიმის მონასტერთან (ვართაპეტიანი); მცხეთა (გუბისი); ატენი (მ. რადე); 12 — კახ.: (საქართველოს ფლორის მიხედვით); 13 — ქიზ.: შირაქი (კოლექტორი უცნობია); 14 — გარე-კახ.: გარე კახეთი (ყანჩაველი); კაკაბეთი (ყანჩაველი); გარეჯის უდაბნო (ტროიცი; სანაძე); ქვ. ქართ.: ბორჩალო (ტროიცი); ბორჩალოსა და ყარაბულაღს შორის (კეცხოველი); 18 — ჯავახ.: ს. გორელოვკა (გროსპეიმი); 19 — მესხ.: ახალციხის მიდამოები, საფარის მონასტერი (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ს. სუფლისი (ივივენი); ს. ზაკი (კოზლოვსკი); ოთასა და დამალას შორის (ივივენი).

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვის სანაპ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. მხრ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; ჩრდ. ირ.; ცენტრ. აზ. (ჯუნგარია).

### გვარი 13. GALEOPSIS L.\* — თაგვიცხლა

ყვავილები მჯდომარეა, 6—10, თანაყვავილაკებიანი, ჩხრობშია შეკრებილი, რომლებიც კენწრული ფოთლების ილიებშია მოთავსებული. ჯამი 10-ძარღვიანია, სწორი მილისებრ-ზარისებრი, 5 თითქმის თანაბარი ეკლისებრ წაწვეტებული კბილით. გვირგვინი გრძელია, ჯამიდან ამოყოფილი, თითქმის სწორი, ხახაში გაფართოებული მილითაა, ბეწვს რგოლი არა აქვს; გვირგვინის გადანაღლინი ორტუჩაა; ზედა ტუჩი ძალიან შეზნეჭილია, მუზარადისებრი, ქვედა ტუჩი 3-ნაკვითიანია, უფრო დიდი ზომის შუა ნაკვითით, რომელსაც შიგნითა მხარეზე ძირში (ხახასთან ახლოს) რქების სახით 2 ღრუ გამოწარადი აქვს. მტვრიანა 4, გვირგვინის მილიდანაა ამოყოფილი, გვირგვინის ზედა ტუჩთან პარალელურადაა მიმართული, გვერდითები შუათანებზე გრძელია; სამტვრეების ბუდეები განშლადია, თითოეული მათგანი 2 საგდულით იხსნება, კიდეებზე წამწამებიანია, სვეტის ტოტები თანაბარი ზომისაა. კაკლუშები არა-ნათლად სამწახნაგოვანია, წვერზე მომრგვალებული, შიშველი, რამდენადმე

\* დაამუშავა ჯ. მცხეთაძემ



არასწორი ზედაბირით. — ერთწლოვანი მცენარეებია, სწორმდგომი ღეროებით და მთლიანი კვერცხისებრ-ლანცეტა ან ლანცეტა ფორმის კიდედაკბილურ ლი ყუნწიანი ფოთლებით.

გვარი აერთიანებს 10-მდე სახეობას, რომელნიც გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში (უმეტესად დასავლეთ ევროპაში). საქართველოში 3 სახეობა გვხვდება.

1. პატარა ზომის მცენარეებია, ღერო 2,5—5 სმ არ აღემატება. ფოთლები 8—13 მმ სიგრძისაა და 3—6 მმ სიგანის, მცირერიცხოვანი, განლაგებულია ღეროს წვერზე ერთადერთ ცოტაყვავილიან ჩხროსთან. . . . .

2. *G. nana* Otschiauri  
— უფრო დიდი ზომის მცენარეებია, ღერო 15—45 (60) სმ აღემატება, ფოთლები მრავალრიცხოვანია . . . . . 2

2. ღერო მუხლებს ქვეშ გამსხვილებულია, ჯაგრისებრი, ქვევით მიმართული ხეშეში ბეწვებითაა მოფენილი, ფოთლები კვერცხისებრია ან ლანცეტა ფორმის 5—9 სმ სიგრძის და 1—3,5 (5) სმ სიგანის. გვირგვინი სოსანია ან მოთეთრო, მისი ქვედა ტუჩი მეწამული და ყვითელი ლაქებითაა; ჯამის კბილები ეკლიანია, თითქმის მილის ტოლი. კაკლუშები უკუკვერცხისებრია . . . . . 1. *G. bifida* Boenn (= *G. tetrahit* auct. fl. cauc. non L.)

— ღერო მუხლების ქვეშ არ არის გამსხვილებული, რბილი მიტკეცილი ბეწვი-თაა დაფარული, ფოთლები ვიწრო კვერცხისებრია, ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა, 1—4 სმ სიგრძის, 3—20 მმ სიგანის, გვირგვინი მეწამულია, დაახლოებით 2<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ჯერ გრძელია ჯამზე; ჯამის კბილები მილზე 2-ჯერ მოკლეა. კაკლუშები მოგრძო უკუკვერცხისებრია . . . . . 3. *G. ladanum* L.

Subgen. 1. *Galeopsis*. — Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 158.—Subgen. *Tetrahit* (Gilib.) Reichb., Юзепчук во Фл. СССР XXI (1954) 114.—ღერო მუხლების ქვეშ გამსხვილებულია, ან ოდნავაა გაფართოებული, მოფენილია ჯაგრისებრი, ქვევით მიმართული ხეშეში ბეწვებით.

1. *G. bifida* Boenn. Prodr. Fl. Monast. (1824) 178; Юзепчук во Фл. СССР XXI (1954) 119; Гаджиев во Фл. Азерб. VII (1957) 296; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 194; Колак. Растит. мир Колх. (1961) 313; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз, I (1964) 420 (georg.); idem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 357; Townsend in Fl. Europ. 3 (1972) 147; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 158; Mill in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 152; Колак. Фл. Абх. II (1982) 251.—*G. tetrahit* L. var. *bifida* Lej et Court. Compend. fl. Belg. II (1831) 239.—*G. tetrahit* subsp. *bifida* Fri. es, Novit. fl. Suec. mant. ait. (1839) 38.—*G. tetrahit* auct. fl. Cauc. non L.; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 303; idem Опред. раст. Кавк. (1949) 335; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 320 (georg.).

Is.: Фл. СССР XXI (1954), табл. VII, рис. 2.; Колак. Фл. Абх. II (1982) табл. XLI рис. 1; Фл. Европ. части СССР III (1978). табл. 29. рис. 3.

Exs.: Fl. exs. Austro-Hung. n° 2137.



©. ღერო 15—45 (60) სმ სიმაღლისა მარტივი ან დატოტვილი, ქუჩულბუქით გამსხვილებული, მუხლებში და მუხლებს ქვემოთ ჯაგრისებრ ქვემოთ მიმართული ხეშეში ბეწვებით მოფენილი, ხშირად ჯირკვლოვანი ბეწვებიც აქვს შერეული; ზოგჯერ თითქმის შიშველია; ფოთლები კვერცხისებრია ან ლანცეტა ფორმის, მომრგვალებული ან სოლისებრი ძირით, 5—9 სმ სიგრძის, 1—3,5 (5) სმ სიგანის, 5—(10—13) მმ სიგრძის ყუნწებით, კიდევებზე მრგვალკბილა ხერხისებრია, მახვილწვერიანი, ორივე მხარეზე მიტკეცილი ბეწვებით შებუსუსული, ზოგჯერ ქვედა მხარეს მჯდომარე ჯირკვლოვანი ბეწვებიც გვხვდება. ჩხროები 6—30-ყვავილიანია, ზოგჯერ თითქმის სფეროსებრი, ქვედა და-შორიშორებულა, ზედა ერთმანეთთან მიახლოებულა; თანაყვავილაკები ლანცეტა ფორმისაა, 5—6 მმ სიგრძის, წვერზე ფხიანი, სიგრძით თითქმის ჯამის მილის ტოლია, ისე როგორც ჯამი, გრძელბეწვიანია; ჯამი 8 (10—12) მმ სიგრძისაა, დაკბილული; კბილები თანაბარია, სამკუთხა-ლანცეტა ფორმის, სიგრძით დაახლოებით მილის ტოლი, იშვიათად მასზე გრძელი; გვირგვინი ჯამზე 2-ჯერ გრძელია, 10—14 (15) მმ სიგრძის, ზოგჯერ ჯამის კბილებს არ აღემატება, ჩვეულებრივ მეწამული ან სოსანია, ზოგჯერ მოყვითალო ან მოთეთრო, უფრო მკრთალი ფერის მილით; ზედა ტუჩი წვერზე დაკბილულია; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი გვერდითებზე ფართოა, ამოკვეთილი, ღია ფერის კიდითაა, ძირში ყვითელი ლაქა აქვს და ლაქის ირგვლივ მუქი მეწამული ფერის ბადისებრი ნახატი; იშვიათად გვირგვინი მოთეთროა. კაკლუშები უკვერცხისებრია სამწახნაგოვანი, მუქი ნაცრისფერი. VI—X  $2n=32$  (Бельяева, Снпливинский, 1975).

აწერილია ვესტფალიიდან ტიპი ინახება ლონდონში (სსრკ ფლორის მიხედვით).

იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში. მთის შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: (კოლაკოვსკის მიხედვით I. c., 1982); 2 — სვან.: ზემო სვანეთი, კასლეთის ხეობა, 2000 მ ზ. დ. რუდერალური ადგილები (ქიმგრიძე); სვანეთი, ცხენისწყლის აუზი. სოფ. ჩიხარეშის მიდამოები, ჭვავის ნათესში, 1250 მ ზ. დ. (ქიმგრიძე, არაბული); 3 — რაჭა-ლეჩხ.: უწერა (კემულარია-ნათაძე); რაჭა, სინათლე (მთვარაძე); 4 — სამეგრ.: ლებარდე, ჩრდილოდასავლეთით, სუბალპური სარტყელი 2000 მ ზ. დ. (კემულარია-ნათაძე, ქუთათელაძე, შხიანი); სამეგრელო ტყეში (არხანგელსკი); 5 — იმერ.: ორჯონიკიძის რაიონი, სოფ. წიფა, წიფლნარ-წაბლნარი ტყე (შიშკინი), ზესტაფონი, მდ. ყვირილას ხეობა, თიხნარ ნიადაგებზე (ცერცვაძე); 6 — გურ.: გურია, აჭარა-იმერეთის ქედი, ბახმარო (ქიქოძე); გურია, მდ. ნატანები, ვაკის ჯვარი, ტყეში (ქიქოძე); 7 — აჭარ.: აჭარა, ქობულეთი (მაყაშვილი); აჭარა, მწვანე კონცხი, ბოტანიკური ბაღი (მაყაშვილი); ბათუმი, შავ-ღელე (ჩერნიავსკი); ბათუმი, ციხის-ძირი, პლანტაცია (ბიკოვი); აჭარა, კინტრიშის ხეობა, ხინო (მალალაშვილი); 8 — სამხ.-ოს.: დიდი ლიახვის ხეობა, 1400—1600 მ ზღვის დონიდან (ე. ბუში); 9 — ქართ.: ბორჯომის მიდამოები (მედვედევის პერბარიუმი); ბორჯომის მიდამოები, ბანისხევი (კოზლოვსკი); ბაკურიანის მიდამოები (გროსპეიში, შიშკინი); კოჯრის მიდამოები (სოსნოვსკი); თბილისის ბოტანიკური ბაღის მიდამოები (კემულარია-ნათაძე); 10 — მთიულ.: ყაზბეგის მიდამოები (სულაკაძე); ყაზბეგის რაიონი, მდ. ყორაჟს ხეობა (გაჩეჩილაძე); გუდაური (პასტუხოვი); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: პირიქითა ხევსურეთი, შატილი, რიყეზე, რუდერალური ადგილები (ოჩიაური); პირიქითა ხევსურეთი, შუა მთა

(გრიგორია); არხოტი, სოფ. ჭიმლის მიდამოები, ნათესში (ოჩიაური); პირაქეთა ხევსურეთი, როშკა (გრიგორია); ჩარგალი (შიშკინი); ფშავი, სოფ. მალაქოვსკარის მიდამოები, მშრალ ფერდობებზე, ტყის პირი (ოჩიაური, ქიმედიძე); ფშავი, სოფ. შარახეცა და თიანეთს შორის, ქედზე, მშრალ ფერდობებზე (ოჩიაური); 16 — თრიალ.: მანგლისი, ნათესში (ზედელმეიერი); 17 — ქვ. ქართ.: ბოლნისი (კეცხოველი); 18 — ჭავჭავ.: ახალქალაქის რაიონი, გორგოლოვკა 1750 მ ზღ. დ. (გროსჰეიმი); ტაბაწყურის ტბა (კოზლოვსკი); ხანჩალის ტბა (იგივე).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. ევრ.; შუა ევრ.; აღმ. აზ.; ინდო-მალ.; ჩრდ. ამერ. (გზადმოყოლილია).

შ ე ნ ი შ ე ნ ა. საქართველოში გვხვდება შემდეგი სახესხვაობები:

Var. *arvensis* Schlecht. — ღერო 50 სმ-მდე სიმაღლისა, მუხლებში და მუხლებს ქვემოთ ხშირი, ქვევით მიმართული ჯაგრისებრი და ჯირკვლოვანი ბეწვები აქვს (იშვიათადაა რომ ჯირკვლოვანი ბეწვები არა ჰქონდეს). მუხლთშორისები ცოტად თუ ბევრად ხშირი ჯაგრისებრბეწვიანია; ფოთლები ხეშეშია, მომრგვალებული ან მოკლე სოლისებრი ძირით; ფოთლის კიდეზე ორივე მხარეზე ოდნავ მახვილწვერიანია 6—15 კბილი აქვს; ფოთლის ორივე მხარე ცოტად თუ ბევრად ხშირი, მიტკეცილი ბეწვითაა დაფარული, გარდა ამისა, ქვედა ფოთლები მჯდომარე მოყვითალო ფერის ან უფერული ჯირკვლებითაა ნოფენილი, ჯამის კბილები სიგრძით დაახლოებით მილის თანაბარია.

იზრდება ნათესებში, ბუჩქნარებში, ხეებსა და მდელოებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: 4 — სამეგრ.; 7 — აჭარ.; 8 — სამხ.-ოს.; 9 — ქართ.; 10 — მთიულ.; 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.; 17 — ქვ. ქართ.; 18 — ჭავჭავ.

Var. *silvestris* Schlecht. — ღერო სუსტია 30 სმ-მდე სიმაღლის, მუხლებში, მუხლებს ქვემოთ და მუხლთშორისებში ჯაგრისებრი ბეწვითაა თხლად მოფენილი, ზოგჯერ მუხლთშორისები თითქმის შიშველია; ფოთლები თხელია, ძირში თანდათან შევიწროებული, კიდეზე თითოეული მხრიდან 8—10 კბილი აქვს, მობლაგვო წვერით; ფოთლის ორივე მხარე გაფანტულ მიტკეცილებზეა, ფოთლის ქვედა მხარეზე ჩვეულებრივ ჯირკვლები არ არის. ჩხროები მცირეყვავილიანია; ჯამის კბილები სიგრძით დაახლოებით მილის ტოლია.

იზრდება ტყეებში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.

Var. *Reichenbachii* Rapin — ძალიან მაღალი 1,5-მ-მდე და მეტწილად დატოტცილი მცენარეა; ღერო მუხლებში და ქვემოთ ხშირი, ჯაგრისებრი და ჯირკვლოვანი ბეწვითაა შემოსილი; მუხლთშორისები ცოტად თუ ბევრად ხშირ ჯაგრისებრბეწვიანია; ფოთლები დიდი ზომისაა ხეშეშია, მოკლე სოლისებრი ან მომრგვალო ძირით; ფოთოლს კიდეზე თითოეულ მხრიდან 5—12 მსხვილი, მობლაგვო კბილი აქვს; ფოთლის ზედა მხარე უფრო ხშირი, ხოლო ქვედა მხარე უფრო თხლად მოფენილი მიტკეცილი ბეწვითაა და, გარდა ამისა, კიდე ჯირკვლები აქვს. ჩხროები მრავალყვავილიანია, ხშირი, თითქმის სფეროსებრი; ჯამს მაგარ ეკლიან მილზე უფრო გრძელი კბილები აქვს.

იზრდება ხეებში, ნაკაფებში, ტყის პირებზე.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.

○. ღერო 2,5—5 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, ქვედა ნაწილში მოწითალო, მუხლებს ქვევით არ არის გამსხვილებული, იშვიათად ოდნავაა გაფართოებული, მიტკეცილი, ქვემოთ გადახრილი ბეწვებითაა შებუსული, ზოგჯერ ჯირკვლოვანი ბეწვებიც ერევა; მცენარეზე აგრეთვე გვხვდება მჯდომარე ჯირკვლებიც; ფოთლები 8—13 მმ სიგრძის და 3—6 მმ სიგანისაა, წაწვეტებული, არალრმად დაკბილული, თითოეულ მხარეზე 3—4 კბილით, ფოთლის ორივე მხარე დაფარულია ჯირკვლოვანი ბეწვებით, ფოთლები მცირერიცხოვანია, განლაგებულია ღეროს წვერზე ერთადერთ ცოტაყვავილიან ჩხროსთან. თანყვავილაკები ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, 3—4 მმ სიგრძის, 1—1,5 მმ-მდე სიგანის, წვერზე ეკლისებრ წაწვეტებული; ჯამი 5—6 მმ სიგრძისაა, სქალადა შებუსული გრძელ უჭრედებიანი, მჯდომარე, ჯირკვლოვანი, მოწითალო ბეწვებით; მკვეთრად დაძარღულია, განსაკუთრებით ძირში, ხასიათდება თანაბარზომის, მოკლე კბილებით და შედარებით გრძელი ყუნწით. გვირგვინი 12 მმ სიგრძისაა, ვარედან ბეწვებითაა მოფენილი, გვირგვინის მილი 2—2,5-ჯერ გრძელია ჯამის მილზე, მოთეთრო ზედა ტუჩი თითქმის მოხრილია, ოდნავ შესამჩნევი მუზარადითაა, ოვალურია, ხოლო ბოლოში ბლაგვად მომრგვალებული, ასევე ბლაგვი კბილით; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი თითქმის გვერდითების ტოლია იხსვერი ნახატითაა, რომელიც ქვედა ტუჩს კიდემდე მიჰყვება. VII—VIII.

აწერილია საქართველოდან [(მდ. ფშავის არაგვის აუზიდან (მათურა)].

Typus: RSS Georgiae, Pshavi, angustiae Aragvi, Matura, in regione alpina montis Sakhaciztzeri, 30 VII 1974, D. Otschiauri et K. Kimeridze (TGM!).

იზრდება ალპურ სარტყელში ფიქლოვან ნაშალებზე.

საქ. სსრ: 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: ფშავის არაგვის აუზი (მათურა), მთა საყაჭისწყერის ალპური სარტყლის ფიქლოვან ნაშალებზე (ოჩიაური, ქიმერიძე).

Subg. 2. *Ladanum* (Gillib.) Juz. во Фл. СССР XXI (1954) 112; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 160.—*Ladanum* Gilib. Fl. Lituan. II (1782) 82.—ღერო მუხლების ქვეშ არ არის გამსხვილებული; მცენარე რბილი, მიტკეცილი ბეწვითაა დაფარული, ხშირად ჯირკვლებიც ერევა.

2. *G. ladanum* L. Sp. Pl. (1753) 579; DC. Prodr. XII (1848) 497; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1849) 420; Boiss. Fl. Or. IV (1879) 752; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 303; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 335; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 319 (georg.); Юзепчук во Фл. СССР XXI (1954) 112; Макашвили Фл. Окр. Тбилиси II (1953) 97 (georg.); Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 194; Колак. Растит. мир Колх. (1961) 313; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 420 (georg.); idem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 356; Townsend in Fl. Europ. 3 (1972) 146; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 160; Mill in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 151.—*G. intermedia* Vill. prospect. (1779) 21.—*G. ladanum* subsp. *intermedia* Briq. Lab. Alp. Marit. (1891) 168 et Monogr. Galeops. (1893) 259.



⊙. ღერო 50 (60) სმ სიმაღლისაა, დატოტვილი, მუხლებს ქვევით არ არის გამსხვილებული, რბილი მიტკეცილი ბეწვითაა შებუსული, ზოგჯერ ჭირკვლოვანი ბეწვიც აქვს შერეული, ხშირად ღერო მოწითალო ფერისაა; ფოთლები ვიწრო კვერცხისებრია, ლანცეტა ან ხაზურ ლანცეტა, თანდათან შევიწროებულია მოკლე ყუნწში, ცოტად თუ ბევრად დაშორიშორებულ ბლავგ ხერხებილია, 1—4 სმ სიგრძის, 3—20 მმ სიგანის; ვიწროფოთლიან ფორმებს თითქმის კიდემთლიანი, მახვილწვერიანი ან წაწვეტებული ფოთლები აქვს, ორივე მხარეზე მოკლედ მიტკეცილად შებუსული. ჩხროები ცოტად თუ ბევრად დაშორიშორებულია, 6—10-ყვავილიანი; თანაყვავილაკები ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა ფორმის, საღვისისებრ წაწვეტებული, ჯამის მიღზე მოკლე. მარტივი, რბილი, მიტკეცილი ბეწვებით შებუსილი, ხშირად ჭირკვლოვანი ბეწვებით ირევა; ჯამი 8—10 მმ სიგრძისაა, არამკვეთრად გამოხატული ძარღვებით; ჯამის კბილები ლანცეტა, მიღზე თითქმის ორჯერ მოკლე. გვირგვინი ჯამზე 2 1/2-ჯერ გრძელია, 2—2,3 სმ სიგრძის მეწამული ფერის გადანალუნით და მოთეთრო ფერის მილით; ზედა ტუჩი ზემო ნაწილში დაკბილულია. ქვედა ტუჩი მეწამული ბადისებრი ნახატითაა, ძირში კი ყვეთელი ლაქა აქვს. კაკლუქები მოგრძო უკუკვერცხისებრია 2,5 მმ სიგრძის და 1,5 მმ სიგანის, ორწახნაგოვანი, წვრილი ჭირკვლოვანი ზედაპირით. VI—IX. 2n = 16.

აწერილია ევროპიდან, ტიბი დაცულია ლონდონში („სსრკ ფლორის“ მიხედვით).

ზრდება ნათესებში, ბუჩქნარებში, რუდერალურ ადგილებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 3 — რაჭა-ლეჩხ.: ლეჩხუმი, სოფ. ალაბანას მიდამოები (კემულარია-ნათაძე); მდ. რიონის ხეობა (იგივე); რაჭა, ამბროლაურის რაიონი (კემულარია-ნათაძე); ამბროლაურის მიდამოები (მთვარაძე); 7 — აჭარ.: (დიმიტრიევას მიხედვით I. c.); 9 — ქართ.: ბორჯომი, პლატფორმა კორტანეთი (კრილოვსკი); ბორჯომი, წალვერის მიდამოები (იგივე); ბორჯომი, სოფ. ტბა (კოზლოვსკი); ბაკურიანი, სოფ. დაბა (იგივე); ბაკურიანი, საკოჭავი (გროსპეიმი); გორი, მდინარე ტანას ხეობა, ატენის მიდამოები (ქიქოძე); თბილისი, მთა უძო (ზოსნოვსკი); თბილისი, დაბახანის ხეობა (ზავგოროდნაია); 11 — თუშ-ფშავ-ხევსურ.: მთათუშეთი, სოფ. ომალო (გრიგორაშვილი); მთათუშეთი, სოფ. ცაბრო (კეცხოველი); 16 — თრიალ.: მანგლისის მიდამოები; მანგლისი, ნათესში (ზედელმეიერი).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. ევრ.; შუა ევრ.; მც. აზ.; ჩრდ. ამერ. (შეტანილი).

33360 14. LAMIUM L.\*

ყვავილები ჩხროებადაა შეკრებილი ფოთლების ილიებში. ჯამი მილისებრ-ზარისებრია, 5—10-ძარღვიანი, 5-კბილიანი, სწორი ან ირიბი ხაზით, უფრო ხშირად შებუსულია. გვირგვინი მეწამული, ვარდისფერი, მოწითალო

\* დაამუშავეს შ. ქეთათელაძემ და რ. მოწერელიამ



ან თეთრი ფერისაა, ჩვეულებრივ, ჯამიდან ამოყოფილია, ზოგჯერ ცოტად თუ ბევრად მოხრილია, ხახა გაფართოებულია, შიგნით შიშველია ან ბუნებრივად შექმნილი რგოლითაა, ორტუჩაა, ზედა ტუჩი თაღისებრია ან მუხარადისებრი, მთლიანი, ამოკვეთილი ან 2-ნაკვითანი; ქვედა ტუჩი წაკვეთილი ან 2-ად განკვეთილი შუათანა ნაკვითთაა და მეტწილად მახვილწვერიანი; ქვედა ტუჩის ორივე მხარეზე მოკლე სადგისისებრი დანამატია. მტვრიანა 4, გვირგვინის ზედა ტუჩის ქვეშ ამოფარებული, მათგან განაპირა 2 მტვრიანა, შიგნითა ორზე გრძელია. სამტვრეები შებუხულია, წყვილ-წყვილადაა ურთიერთ მიახლოებული. მტვრის მარცვლი სფეროსებრია ან შებრტყელებულ სფეროსებრი, განიკვეთში სამნაკვითანი, მერიდიანულად განლაგებული სამი ღარი; პოლარული ღერძის სიგრძე 27,6 მიკრონი; ღარი გრძელია, უთანაბრო კიდეებით, ბოლოებში სოლისებრ შევიწროებული, მემბრანა წვრილმარცვლოვანია, ეგზინის სისქე 1,2 მიკრონი; ზედაპირი სადაა ან სუსტიად გამოსახული წვრილმარცვლოვანი მოხატულობით. კაკულუქები სამწახნაგოვანია ან უკუკვერცხისებრი. — ერთ, ორ ან მრავალწლოვანი მცენარეებია.

*Lamium L.*-ის გვარის 40 სახეობიდან, რომლებიც გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდ. აფრიკაში — კავკასიაში 9, ხოლო საქართველოში 5 სახეობა იზრდება.

1. ერთ ან ორწლოვანი მცენარეებია . . . . . 2
- მრავალწლოვანი მცენარეებია . . . . . 3
2. ფოთლები მომრგვალოა, ზედა ფოთლები მჯდომარეა, თირკმლისებრი, ნახევრადღერომხვევი, იშვიათად ღეროსეული ქვედა ფოთლები მოკლეყუნჩიანია. გვირგვინი ხორცისფერ-წითელია, გვირგვინის მილის შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი რგოლი არაა განვითარებული. კაკულუქები ღია რუხი ან მურა ფერისაა, მეტწილად ნათლად გამოსახული თეთრი მეწებებით . . . . . 1. *L. amplexicaule L.*
- ფოთლები კვერცხისებრ-გულისებრია ან კვერცხისებრ-მომრგვალო ფორმისაა, ზედა ფოთლები არაა მჯდომარე, არ არის ნახევრად ღერომხვევი, ყუნჩიანია, ღეროსეული ფოთლების მსგავსადაა თანდათანობით წაწვეტილებული და ქვევით გადახრილი. გვირგვინი მეწამული, ვარდისფერი ან იშვიათად თეთრი ფერისაა, მისი მილის ძირში შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი წყვეტილი, ირიბი რგოლია განვითარებული. კაკულუქები კვერცხისებრ-ტეტრაედრისებრია, მეტწილად მახვილი კუთხეებით, წვერზე წაკვეთილი, შიშველი, ნაცრისფერი, უფრო იშვიათად აქა-იქ ძალიან წვრილმეწებებიანი . . . . . 2. *L. purpureum L.*
3. მაღალმთის მცენარეა, მწოლარე ან წამოწეული ღეროებით, ცოტად თუ ბევრად სქალადა რბილი ქეჩისებრი ბეწვით შებუხული. გვირგვინი მოთეთრო, ჩალისფერი ან მკრთალი ვარდისფერია, სქალადა თეთრად შებუხული. კაკულუქები სამწახნაგოვანია, უკუპირამიდისებრი, ღია მურა ფერის . . . . . 3. *L. tomentosum Willd.*
- მთის ქვედა და შუა სარტყლის მცენარეებია, სწორი ღეროებით, რომლებიც ქეჩისებრი შებუხვით არ ხასიათდებიან . . . . . 4
4. ღეროსეული ზედა ფოთლები ბლაგვწვერიანია ან ძალიან მოკლედ წაწვეტილებული. გვირგვინი ჭიაფერასებრ წითელი ფერისაა, იშვიათად თეთრი; გვირგვინის ზედა ტუჩი კიდეებზე მოკლემწამწამიანია და მილში ჰორიზონ-



ტალურად განწყობილი ბეწვებისაგან შექმნილი რგოლითაა. მტკრიანებში მოწითალო-ყავისფერია. კაკლუქები უკუკვერცხისებრია, 3-წახნაგოვანი გლუვი, მოყვითალო-მომწვანო ფერის . . . . . 5. *L. maculatum* L.

— ღეროსეული ზედა ფოთლები გრძილადაა წაწვეტილებული. გვირგვინი მეტწილად თეთრი ფერისაა, უფრო იშვიათად მოყვითალო ან მოქუქყისფრო, მისი ზედა ტუჩი კიდევბზე გრძელწამწამიანია და მიღში ირიბად განწყობილი ბეწვებისაგან შექმნილი რგოლითაა. კაკლუქები მოგრძო კვერცხისებრია, თითქმის სამწახნაგოვანი, გლუვი, მუქი რუხი ფერის, დიდი ზომის მოთეთრო ფერის ცხიმოვანი გამონაზარდებით . . . . . 4. *L. album* L.

Sect. 1. *Lamium*.—Гладкова во Фл. Европ. части СССР III(1978)162.

— გვირგვინის მილი სწორია, შიგნით შიშველი ან უფრო იშვიათად ბეწვებისაგან შექმნილი წყვეტილი რგოლითაა. სამტკრეები ბეწვებიანია.

Subsect. 1. *Amplexicaulia* Briq. in Engler u. Prantl, Pflanzenfam. IV, 3a, 3b (1897) 255. — გვირგვინის მილი შიგნით შიშველია, მისი ზედა ტუჩი წაგრძელებულია ან კვერცხისებრი, ქვედა ტუჩი ოდნავ გრძელია ზედაზე, მუქი ლაქებით, ქვედა ტუჩის შუა ნაკეთი უკუკვერცხისებრია, ამოკვეთილი, ძირში შეფიწროებული, გვერდითი ნაკეთები თითო ბლაგვი დანამატითაა.

1. *L. amplexicaule* L. Sp. Pl. (1753) 579; DC. Prodr. XII (1848) 508; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 427; Boiss. Fl. Or. IV (1879) 760; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 304; Колак. Фл. Абх. IV (1949) 52; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 335; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 322 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 98 (georg.); Горшкова во Фл. СССР XXI (1954) 128; Алиев во Фл. Азерб. VII (1957) 297; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1960) 194; Колак. растит. мир Колх. (1961) 314; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 420 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 358; P. W. Ball in Fl. Europ. 3 (1972) 148; (Тахт.) Фёд., Фл. Еревана (1972) 257; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 162; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 43; Mill in Davis, Fl. Turkey, 7 (1982) 138; Колак, Фл. Абх. 2, II (1982) 252; I. Mennema in Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 329.

Is.: Макашвили, Фл. окр. Тбилиси (1953) tab. CI; Фл. Европ. части СССР (1978) Табл. 30, рис. 4, 4a, 4б; Rechinger Fl. Iran. n° 150, tab. 440.

Exs.: HFR № 1181; Fl. Raetica Exsiccata № 771; Fl. Čechosl. Exsiccata n° 65.—ვაზისძირა.

⊕ ან ⊖. მცენარე 4 — 10—20 (30) სმ სიმაღლისაა, მოკლე ფუნჯა ფესვით; ღერო ძირიდანვე ცოტად თუ ბევრად დატოტვილია, უფრო იშვიათად მარტოული, ქვედა ნაწილში მეტწილად შიშველია, ზედა ნაწილში მეტწილად შებუსუსული, გაფარჩხული წამოწეული ტოტებით; ღეროსეული ქვედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, ზედა — მჯდომარეა, ღერომხვევი, მეტწილად ღრმა და უთანაბროდ განკვეთილი, გაბნეული მოკლე ბეწვით მოფენილი ან თითქმის შიშველი. ყვავილები შეკრებილია მრავალყვავილიან თავაკისებრ ჩხრობად, ჩხრობები ჩვეულებრივ ურთიერთ დაშორიშორებულია, ზედა ნა-

წილში კი მიახლოებული; თანაყვავილები ლანცეტასებრ-სადგისისებრია 1,5—2 მმ სიგრძის, 0,3 მმ სიგანის, წამწამებიანი, 2—2,5-ჯერ მოკლეა ჯამსზე ზარისებრია 5—7 მმ სიგრძის, ხშირი მატყლისებრი შებუსვით, ლანცეტა ფორმის კბილებით, რომლებიც ჯამის მილის ტოლია ან ოდნავ მოკლე; გვირგვინი ხორცისფერ-წითელია ან ვარდისფერი, პირველად არ იშლება (კლეისტოგამურ ყვავილების შემთხვევაში) და ჯამს თითქმის არ აღემატება, შემდეგში სწორი, მოგრძო ან ოდნავ მოხრილი მილითაა, ხახა გაფართოებულია, შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი რგოლი არაა განვითარებული, შიშველია; ზედა ტუჩი წაგრძელებულია ან კვერცხისებრი, ბლაგვი, ქვედა ტუჩი ოდნავ გრძელია ზედაზე, მუქი ლაქებითაა, მისი შუა ნაკვთი უკუკვერცხისებრია, ამოკვეთილი, ფუძესთან შევიწროებული, გვერდითი ნაკვთები უფრო პატარაა, თითოეული თითო ბლაგვი დანამატით; მტვრიანა 4, მათგან 2 განაპირა მტვრიანა შუათანაზე გრძელია; სამტვრეები სქალადაა შებუსული, ძაფები შიშველია. კაკლუქები უკუკვერცხისებრია 2—3 მმ სიგრძის, 1 მმ სიგანის, ღია რუხი ან მურა ფერის, მთელ ზედაპირზე დიდი, თეთრი მექეპისებრი მოხატულობით. III—VI.  $2n = 18$ .

აწერილია ევროპიდან (Hb. Linn. 733/12).

ტიპი დაცულია ლონდონში.

იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე მინდვრებზე, ფერობებზე, ბაღებსა, ვენახებში და რუდერალურ ადგილებზე.

საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: იმერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ., სომხ., შავი ზღვ. სანაპ.; ევრ. ნაწ.; შუა აზ.; ციმბირი.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.

Subsect. 2. *Purpurea* Briq. in Engler u. Prantl, Pflanzenfam. IV, 3a, 3b (1897) 255. — გვირგვინის მილი შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი წყვეტილი ირიბი რგოლითაა. ზედა ტუჩი თითქმის მომრგვალო თალისებრია, ქვედა ტუჩის ტოლი ან ოდნავ გრძელი. ქვედა ტუჩის შუა ნაკვთი უფრო დიდი ზომისაა, გვერდითი ნაკვთები უფრო ფართოა და ძირში თითო სადგისისებრი დანამატითაა.

2. *L. purpureum* L. Sp. Pl. (1753) 579; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 47; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 428; Boiss. Fl. Or. IV (1879) 766; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 304; Колак. Фл. Абх. IV (1949) 53; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 335; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 326 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 98 (georg.); Горшкова во Фл. СССР XXI (1954) 130; Алиев во Фл. Азерб. VII (1957) 298; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 195; Колак. Растит. мир Колх. (1961) 314; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 420 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 360; P. W. Ball in Fl. Europ. 3 (1972) 148; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 162; Галушко, Фл. Сев Кавк. 3 (1980) 43; Mill in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 140; Колак Фл. Абх. 2, II (1982) 253.—*L. caucasicum* Grossh. Изв. АзФАН СССР n° 10 (1944) 39; Сосновский op. cit. (1952) 326 (georg.); Алиев op. cit. (1957) 298; Галушко op. cit. (1980) 43; I. Mennema in Rechingher Fl. Iran. № 150 (1982) 327.

Is.: Фл. Европ. части СССР III (1978) Tab. 30, 1, 1a, 1b.

Exs.: Pl. Pol. exs. n° 568.; Fl. Āechosl. exs. n° 69 et Fl. exs. Āechosl. n° 1463.—ზებრის კონკა.

⊙ ან ⊙. მცენარე (5) 10—30 (70) სმ სიმაღლისაა, ფუნჯასებრი ფესვე-  
ბით, ცოტად თუ ბევრად შებუსული; ღერო მწოლარეა ან უფრო ხშირად წა-  
მოწეული, სწორი, ძირიდანვე დატოტვილი, ჩუხლთშორისები ზოგჯერ მეტი  
მეწამული ფერისაა; ქვედა ფოთლები კვერცხისებრ-გულისებრია ან მომრგვა-  
ლო, წვერზე მობლაგვო, 1,5—4 სმ სიგრძის ყუნწებზე განწყობილი; ზედა —  
კვერცხისებრია მოკლედ წაწვეტებული, ყვავილებს აღემატება, ყველა ფოთო-  
ლი ბადისებრ-დანაოქებულია, კიდევებზე მრგვალებილებიანი, ზედა მხარეზე მიტ-  
კეცილი ბეწვით მოფენილი, ქვედა მხარეზე კი უფრო სუსტად შებუსული;  
ზედა ფოთლები ქვევითკენაა დახრილი, ღეროსეული ფოთლების მსგავსია,  
თანდათანობით წაწვეტებული. ყვავილები მჯდომარეა, 6—10-შეკრებილია თა-  
ვაკისებრ მჭიდრო ჩხროებად, რომლებიც წვერისკენ ურთიერთ მიახლოებულია,  
ქვევით კი ურთიერთ დაშორებული; ჯამი მილისებრ-ზარისებრია, შიშვე-  
ლი ან სუსტად შებუსული, მისი ლანცეტა ფორმის სადგისისებრ წაწვეტებული  
კბილები, რომლებიც ზომით მილის ტოლია ან ოდნავ გრძელი წამწამებითაა  
მოფენილი, ნაყოფობისას გაფარჩხულია, ზოგჯერ ჯამი მეწამულ-იისფერია;  
გვირგვინი მეწამული, ვარდისფერი ან იშვიათად თეთრი ფერისაა, სწორი მი-  
ლით, ძირში ბეწვებისაგან შექმნილი წყვეტილი ირიბი რგოლით; ზედა ტუჩი  
თითქმის მომრგვალო თაღისებრია, შებუსული, მეტწილად ქვედა ტუჩის ტო-  
ლია ან ოდნავ გრძელი; ქვედა ტუჩი სამნაკვეთიანია, რომელთა შორის შუა ნაკე-  
თი შედარებით უფრო დიდი ზომისაა, თავამოკვეთილი, ძირისკენ შევიწროე-  
ბული მოკლე ფრჩხილში, გვერდითი ნაკვეთები პატარა ზომისაა, უფრო ფარ-  
თოა და ძირში თითო სადგისისებრი დანამატი აქვს; მტვრიანა 4, მათგან ორი  
წინა მტვრიანა უკანა მტვრიანებზე გრძელია; სამტვრეები ზედა ნაწილში სქლა-  
დაა შებუსული, ძაფები კი შიშველია. კაკლუჭები 2—2,5 მმ სიგრძისაა, კვერ-  
ცხისებრ-ტეტრაედრული ფორმის, მეტწილად მახვილი კუთხეებით, წვერზე  
წაკვეთილი, შიშველი, რუხი ფერის, გლუვი ან ძალიან წვრილმეჭეჭებიანი.  
IV—VI. 2n=18.

აწერილია ევროპიდან (Hb. Linn. 733/11).

ტიპი დაცულია ლონდონში.

იზრდება ბუჩქნარებს შორის, რუდერალურ ადგილებზე, ტყეებში, ბაღებ-  
ში, როგორც სარველა, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: ბიჭვინთა (სატუნინი); პსირცხა (ალბოვი); 5 — იმერ.:  
წულუკიძე, სოფ. ივანდიდი (ქუთათელაძე); სამტრედია (მაყაშვილი); შორა-  
ბანი (ლომაკინი); ქუთაისი (ავტორი უცნობია); თერჯოლა (ლომაკინი); 7 —  
აჭარ.: აჭარა-იმერეთის ქედი, ლომის მთის ვადასასვლელი (სოსნოვსკი); ცი-  
ხისძირი (ყაბულერი); ჩაქვი (მაყაშვილი); ტერ-ხაჩატუროვა); 9 — ქართ.: ბორ-  
ჯომი, პეტრეს ციხე (კოზლოვსკი); წალვერი (იგივე); ბანისხევის ხეობა (იგივე);  
სურამი (იგივე); ატენი (ფომინი; ვორონოვი); საგურამო (ზედელმეიერი); მცხე-  
თა (პაგირევი); თბილისი (პაგირევი); თბილისი წმინდა ანტონის მონასტერი  
(შიშკინი); თბილისი, კრწანისი (ყაფიევი); კრწანისი (გროსპეიმი); წყნეთი (სოს-  
ნოვსკი); მამკოლა, ჩრდ. ფერდობზე ტყეში (ქუთათელაძე); უძოს მიდამოები,

ეკლესიის მახლობლად (ქუთათელაძე); 12 — კახ.: ჩაილური (ყანჩაველი); გარდაბ. (ვერჯილოვი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი); ციმბ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.; ჩრდ. ამერ. (ვზადგაყოლილია).

შ ე ნ ი შ ვ ე ა. საქართველოდან, კერძოდ კრწანისის მიდამოებიდან გროს-ჰენიმის მიერ აწერილი სახეობა *L. caucasicum* Grossh.-ი თვით ავტორის მონაცემების მიხედვით განსხვავდება *L. purpureum* L.-საგან ყვავილების ზომისა და შეფერილობის მიხედვით. საკმაოდ მდიდარი საპერბარუმო მასალების გადასინჯვის და შედარების საფუძველზე გამოირკვა, რომ *L. purpureum* L.-ის არეალში იზრდება სხვადასხვა ზომისა და შეფერილობის მქონე გეზუმულარები, რომელთაც არ ვანიჭებთ განსაკუთრებულ ტაქსონომიურ მნიშვნელობას და *L. caucasicum* Grossh.-ს განვიხილავთ *L. purpureum* L.-ის სინონიმში.

Sect. 2. *Lamyotypus* Dumort. Fl. Belg. (1827) 45. — გვირგვინის მილის შიგნით ბეწვების რგოლია განვითარებული, ძირი ცილინდრულია და სწორი, რგოლის ქვეშ შემქიდროებული, ხოლო რგოლის ზევით წინა მხრიდან გაფართოებული, ხახა ოდნავ გაფართოებული.

Ser. 1. *Tomentosa* Gorschk. in Addenda 6, Fl. Georgiae XI (1987) 237. — მრავალწლოვანი, მაღალმთის სქლად შებუსუსული მცენარეებია, გვირგვინის ზედა ტუჩი წვრილკბილებიანია, ქვედა ტუჩის გვერდითი ნაკვეთები კი თითო საღვინისებრი დანამატითაა.

3. *L. tomentosum* Willd. Sp. Pl. ed III, I (1800) 90; Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 296; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1849) 430; Poiss. Fl. Or. IV (1879) 764; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 305; Колак. Фл. Абх. IV (1949) 54; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 335; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 325 (georg.); Горшкова во Фл. СССР XXI (1954) 133; Алиев во Фл. Азерб. VII (1957) 299; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 195; Колак. Растит. мир Колх. (1961) 314; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 421 (georg.) Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2. VII (1967) 359; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 42; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 253; Mill in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 145; I. Mennema in Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 325. — *L. alpestre* Trautv. Acta Horti Petrop. II (1873) 481; — *L. filicaule* Boiss., Diagn. Pl. Or. No. Ser. 1, 12 (1853) 86.

Is.: Фл. Кавк. 2, VII (1967) Табл. XXIV, рис. 21; Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) tab. 438.

Exs.: ГРФ n° 685.

4. მცენარე თითქმის ძირიდანვეა დატოტვილი, წამოწეული ტოტებით, ტოტების ქვედა ნაწილი ღორღითაა დაფარული, უფერულია, განუვითარებელი ფოთლებით, მიწის ზედა ნაწილი ნორმალური ფოთლებითაა; ღერო (4,5) 6—23 სმ-მდე სიმაღლისაა, უპირატესად ზედა ნაწილში ცოტად თუ ბევრად სქლადაა მოფენილი გაფარჩხული ბეწვით, ჩვეულებრივ რამდენადმე მუჭი მოწითალო ფერისაა; ღეროსეული და ყვავილთანური ფოთლები დაახლოებით



ერთნაირი ფორმისაა, მოკლევუნწიანი, 0,5 სმ-მდე, კენწრული ფოთლების ყუნწები უფრო მოკლეა, ფოთლის ფირფიტა კვერცხისებრია, 1,2—2,5 სმ სიგრძის, მისი უდიდესი სივანე 1—1,5 სმ უღრის, მობლაგვოწვერიანია ან ოღნავ წარზიდული, კიდევებზე ბასრმრგვალებილა ან ბლაგვხერხებილა, ორივე მხარეზე ცოტად თუ ბევრად ხშირი მიტკეცილი ბეწვით შებუსული, ზოგჯერ შებუსვა თითქმის ქეჩისებრია, ფირფიტის ძირი ჩვეულებრივ ცოტად თუ ბევრად გულისებრი ფორმისაა, უფრო იშვიათად სოლისებრია შევიწროებული. ყვავილები 1,5—2,7 სმ სიგრძისაა, მჯდომარე, 5—6-ყვავილიან ჩხრობად განწყობილი, ურთიერთისაგან რამდენადმე დაშორიშორებული ან კენწვროებზე და ტოტებზე ურთიერთ მიახლოებული; ჯამი ძაბრისებრ-ზარისებრია, ძირში და ზოგჯერ ძარღვების გაყოლებაზეც მოშაო-ისფერია, ცოტად თუ ბევრად სქალადაა შებუსული საკმაოდ გრძელი ბეწვით, ხან გაბნეული ბეწვითაა, მისი კბილები სამკუთხა ძირიდან სადგისისებრია, მახვილწვერიანი, ზომით თითქმის მილის ტოლი; გვირგვინი მოთეთროა, ჩალისფერი ან მკრთალი ვარდისფერი; გვირგვინის ზედა ტუჩი სქალადაა, ზოგჯერ თითქმის ქეჩისებრია შებუსული საკმაოდ გრძელი ბეწვით, ძირში შევიწროებულია, ზედა ნაწილში გაფართოებული, წვერზე ბლაგვად წაკვეთილი, ცოტად თუ ბევრად ნამკლისებრია მოხრილი; ქვედა ტუჩის შუა ნაკვეთი თირკმლისებრია, უფრო დიდი ზომის, 6—7 მმ სიგრძის და სივანის, ძირში შევიწროებული, ზემოთ ღრმალაა ამოკვეთილი, და პატარა ზომის გვერდითი ნაკვეთი აღჭურვილია 1 მმ სიგრძის სადგისისებრი დანამატით; მილი გაბნეული ბეწვითაა მოფენილი, მილის შიგნით ირბი ბეწვის რგოლია განვითარებული. კაკლუჭები სამწახნაგოვანია, უკუპირამიდული, 3 მმ სიგრძის, 2—2,5 მმ სივანის, ღია მურა ფერის. VII—VIII. 2n=18 (Гагნიძე, Гვინიაშვილი, 1984).

აწერილია აღმ. ანატოლიიდან.

შენემას მიხედვით (ირანის ფლორაში) ტიპი დაცულია დასავლეთ გერმანიაში.

იზრდება ჩამონახვავებზე და მორენებზე ალპურსა და სუბნივალურ სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — ფხვ.; (ა. კოლაკოვსკის მიხედვით მორუხის საძოვრები); 2 — სვან.: მესტია-ჭალა, ლეჭვა-ლახვი (ბ. ზურებიანი); მესტია-ჭალის ხეობა, ბანგურიანი (იგივე); ჭან-ჭახი (იგივე); 5 — იმერ.: იმერ.-ზეკარის გადასავალი (ავტორი უცნობია); 7 — აჭარ.: აჭარა, ხულოს რაიონი იაილი ჩირუხი (დმიტრიევა); 8 — სამხ.-ოს.: ფიდარის მთა (ი. მანდენოვა; ა. დოლუხანოვი); ერმანი (დარბინი; კუტოვა); ყელის უღელტეხილი, ფიდარი (გაგნიძე და სხვ.); ბალკარია, მეხტიგენის მთა (ე. და ნ. ბუშები; აკინფიევი); 10 — მთიულ.: ყაზბეგის რაიონი, თრუსოს ხეობა (ხარაძე); ყაზბეგის რაიონი, ჭუთის წყლის სათავე (იგივე); ყაზბეგის რაიონი, ჩათას ხეობა (იგივე); ყაზბეგის რაიონი, გვირგვალა (იგივე); ყაზბეგის რაიონი, ჭუთის წყლის სათავე, სამაჯის ხოფის დელე (გაჩეჩილაძე); ყაზბეგი, შოთა-მთა (სოსნოვსკი); ყაზბეგი (კოლექტორი უცნობია); დევლორაკის ხეობა (ვედენსკი); ორწვერი (ძევახოვსკი); 11 — თუშეთ-ფშავ-ხევსურ.: თუშეთი (კოლექტორი უცნობია); პირიქითის ხევსურეთი, აწუნთას გადასავალი (გრიგორაშვილი; შეთეკაური); პირიქითის ხევსურეთი, ტანის ხორხი (იგივე); 12 — კახ.: ლაგოდეხის ნაკრძალი (შტება; დოლუხანოვი).

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: აზერბ.

საერთო გავრცელ.: აღმ. ანატ.; ირ.

— მრავალწლოვანი მცენარეებია ცოტად თუ ბევრად შებუსუსლი. გვირგვინი მოყვითალო ან მოვარდისფრო თეთრი ფერისაა, მისი ზედა ტუჩი კიდემთლიანია, ხოლო ქვედა ტუჩი ფუძესთან ლაქიანია, გვერდითი თითოეული ნაკვთი სადგისისებრი ან ძაფისებრი დანამატითაა.

4. *L. album* L. Sp. Pl. (1753) 579; DC. Prodr. XII (1848) 510; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 429; Boiss. Fl. Or. IV (1879) 763; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 305; Колак. Фл. Абх. IV (1949) 53; Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 335; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 324 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 98 (georg.); Горшкова во фл. СССР XXI (1954) 134; Алиев во Фл. Азерб. VII (1957) 300; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 195; Колак. растит. мир Колх. (1961) 314; Капеллер в Определ. раст. Груз. I (1964) 421 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 359; P. W. Ball. in Fl. Europ. 3 (1972) 148; Тахт., Фл. Фл. Еревана (1972) 257; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 163; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 42; Mill in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 143; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 252; I. Mennema in Rechinger. Fl. Iran № 150 (1982) 322.—*L. vulgatum* Benth. var. *album* (L.) Benth. Lab. Gen. Sp. (1834) 514—*L. brachyodon* (Bordz.) Kuprian. в Бот. мат. герб Бот. инст. Ан СССР, XIV (1951) 343.

Is.: Куприянова I. с. (1951) фиг. 1; Колак. Фл. Абх. (1982) Таб. XLI, рис. 3 v.

Exs.: HFR n° 1492 a, n°b; Pl. Pol. exs n° 567; Fl. Cechosl. Exsiccata n° 68.—ჭინჭრის დედა.

2. მცენარე (10) 30—80 სმ სიმაღლისაა; ღერო სწორია, მარტივი, ნაკლებად დატოტვილი, მხოზავი ფესურით; ფოთლები კვერცხისებრია, გრძლად წაწვეტებული, ფირფიტა 4—7 სმ სიგრძის და 2—4 სმ სიგანისა, ძირში ზოგჯერ წაყვეთილი, კიდევებზე უხეშად ხერხკბილა, ორივე მხარეზე თხლად შებუსუსლი, კაშკაშა მწვანე ფერის; ქვედა ფოთლები უფრო გრძელ ყუნწებზეა განწყობილი, ვიდრე ზედა. ყვავილები 2—2,5 სმ სიგრძისაა, მკდომარე, 8—9 ურთიერთ დაშორიშორებული ჩხროებადაა ზედა ფოთლების ილიებში განწყობილი; თანაყვავილები პატარა ზომისაა, 1,5 მმ სიგრძის, 0,4 მმ სიგანის, ხაზური მახვილწვერიანი, კიდევამწვამიანი, ჯამზე ბევრად მოკლე; ჯამი ზარისებრია გაფანტული ბეწვით მოფენილი, მისი კბილები ურთიერთ დაშორიშორებულია, კბილებს შორის ფართო ამონაკვეთებითაა და ვარსკვლავისებრ გაფარჩხული, მიღზე გრძელია ან ტოლი, წარზედულია სადგისისებრ წვეტში; გვირგვინი მოყვითალო ან მოქუჭყისფრო თეთრია, მისი ქვედა ტუჩის გვერდებზე თითო სადგისისებრი დანამატი და ორი პატარა ზომის კბილია; ზედა ტუჩი გარედან განსაკუთრებით ზედა ნაწილში სქალადაა მოფენილი გრძელი წამწამა ბეწვით; გვირგვინის მილი ჯამის ტოლია ან ჯამზე გრძელი, ძირში შევიწროებულია და ოდნავ მოზრილი, ხახა გაფართოებულია და შივ ირიბი ბეწვის რგოლითაა; ზედა ტუჩი უკუკვერცხისებრია, ბლაგვი; ქვედა ტუჩის შუა ნაკვთი უკუთირკმლისებრია, ძირში შევიწროებული, წვერზე ღრმად ამო-

კვეთილი; მტერიანის ძაფები ჯირკვლოვან-ბეწვიანია; სამტრეები მოშალოვანი ფერი, წვერზე შებუსუსლი. კაკლში მოგრძო კვერცხისებრია, თითქმის სამწახნაოვანი, მუქი რუხი ფერის, ზედაპირი დაფარულია თეთრი, მექვიისებრი ცხიმოვანი გამონაზარდით. IV—X.  $2n=18$ .

აწერილია ევროპიდან (Hb. Linn. 733/10).

იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ფოთლოვან ტყეებში, მდინარეთა სანაპიროზე, ველებზე, ჩამონახვავებზე, ლობეებსა და ბუჩქების ძირში, ბაღებსა და ბოსტნებში, რუდერალურ ადგილებზე.

საქ. სსრ.: თითქმის მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ., სომხ., შავი ზღვ. სანაპ.: ევრ. ნაწ.; შორ. აღმ. მხრ.; შუა აზ.; ციმბ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.; ინდოეთი, მონღოლეთი; აღმ. აზ.; ჩრდ. ამერ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ე ლ ო ბ ა. კარგი თაფლოვანი მცენარეა. ყვავილები შეიცავს მთრთილავ ნივთიერებას, ნახშირწყლებს, შაქარს, ეთერზეთებს, საპონინს, რომლებიც გამოიყენება მედიცინაში. ფოთლები შეიცავს ვიტამინ A-ს. წყალში მოხარშული ნორჩი ფოთლები ისპანახის მსგავსია. ყვავილებისაგან დამზადებული პრეპარატები იმარება ხალხურ მედიცინაში.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა. ეს სახეობა სხვაობას იჩენს ჯამის კბილების ზომის და შებუსუსის, აგრეთვე ფოთლების შებუსუსისა და ზომის მიხედვით, რის საფუძველზედაც ზოგიერთი ავტორის მიერ გამოყოფილი იყო სახესხვაობები. ჩვენს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილებში შეგროვებული და აგრეთვე ჰერბარიუმში (TBI) დაცული მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ზემოთ ხსენებული ნიშნები არ არის მყარი, ამიტომ ჩვენ უფრო მართებულად მივიჩნით ამ სახესხვაობების სახეობა — *L. album*-ის სინონიმში შეტანა. *Lamium*-ის გვარის სახეობათა მონოგრაფიულად დამუშავების შემთხვევაში, შესაძლებელია დაზუსტდეს მათი ტაქსონომიური მნიშვნელობა.

Ser. 3. *Maculata* Gorschk. In Addenda 6, Fl. Georgiae XI (1987) 238. — მრავალწლოვანი, ცოტად თუ ბევრად შებუსუსლი მცენარეებია, ფოთლები ლიაფრის ლაქებითაა. გვირგვინი მეწამული ფერისაა, მისი ქვედა ტუჩი ლაქითაა.

5. *L. maculatum* L. Sp. Pl. ed 2 (1763) 809; Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 396; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 430; Boiss. Fl. Or. IV (1879) 763; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 305; Колак. Фл. Абх. IV (1949) 53; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 336; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 323 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 98 (georg.); Горшкова во Фл. СССР XXI (1954) 137; Алиев во Фл. Азерб. VII (1957) 300; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 195; Колак. Растит. мир Колх. (1961) 314; Капеллер в Опред. раст. Груз. (1964) 421 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 359; P. W. Ball in Fl. Europ. 3. (1972) 148; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 163; Галушко Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 42; Колак Фл. Абх. 2, II (1982) 253; Mill in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 141-142.—*L. album* L. β *maculatum* L. Sp. Pl. (1953) 579.

Exs.: HFR n° 635; Fl. Raetica Exsiccata n° 670; Fl. Cechosl. Exsiccata n° 67; Pl. Pol. Exs. n° 64.

4. მცენარე მოკლე, მიწისქვეშა ყლორტებითაა; ღერო მარტივად რიდანვე დატოტვილი, 15—60 (100) სმ სიმაღლის, ქვედა ნაწილში ხშირად შიშველია; ყველა ფოთოლი ყუნწიანია 1—4 სმ სიგრძის, კვერცხისებრი ფორმის, სამკუთხა ფორმიდან გულისებრამდე, 3—5(8) სმ სიგრძის, 2—4(7) სმ სიგანის ცოტად თუ ბევრად წარზიდული მახვილწვერიანი წვერით, კიდევბზე უხეში, ხშირად ორმაგ ხერხკბილა, ორივე მხარეზე რბილი შებუსვით; შუათანა ფოთლები ჩვეულებრივ უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ქვედა და ზედა ფოთლები. ყვავილი 2—3 სმ სიგრძისაა, მჯდომარე, 3—5 ჩხროდ განწყობილი, მათგან ქვედა ცოტად თუ ბევრად ურთიერთ დაშორიშორებულა; ჩხროები 6—14-ყვავილიანია, ძალიან პატარა ზომის თანაყვავილაკებით; ზოგჯერ თანაყვავილაკები არა აქვს; ჯამი ზარისებრია, მისი კბილები გრძილადა წაწვეტებული, ვარსკვლავისებრ გაფარჩხული, მილის ტოლია ან ოდნავ გრძელი, ჯამი კბილებიდანად გრძელი ხშირი ბეწვით ქეჩისებრია შებუსული; გვირგვინი მეტწილად ჭიაფერასებრ წითელია, იშვიათად თეთრი ფერის, მილის წინა ნაწილი და ზედა ტუჩი სქლადაა შებუსული თეთრი, მოკლე ნახევრად მიტკეცილი ბეწვით, მისი მილი სწორია ძირში რგოლისებრი საწელურითაა, რომელშიც ბეწვის რგოლია განვითარებული; ზედა ტუჩი თაღისებრია, წინიდან მომრგვალო ან წვერზე სამკუთხასებრ წაწვეტებული, ქვედა ტუჩი 2 გვერდითი და დიდი ზომის ღრმად ამოკვეთილი შუათანა ნაკვითითაა, რომელსაც ორივე მხარეზე თითო სადგისისებრი დანამატი აქვს და მოფენილია ჯირკვლოვანი მეჭიჭებით ან ბადისებრი ნახატი. მტერიანა 4, განაბირა 2 მტერიანა შუათანა 2-ზე გრძელია, სამტრეები მოფენილია გრძელი, ხშირი ბეწვით. კაკულშები კვერცხისებრია, 3-წახნაგოვანი, პატარა ზომის, გლუვი, მოყვითალო-მომწვანო ფერის. V—VIII. 2n = 18.

აწერილია ევროპიდან.

იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: გაგრა (ავტორი უცნობია); ფსირცხა (ალბოგი); კლიჩი (ვორნოვი); ბზიფის ხეობა (ფურცხვანიძე); 3 — რაჭა-ლეჩხ. (მედვედვის ჰერბარიუმი); 6 — გურ.: ორზუგეთი (ავტორი უცნობია); 7 — აჭარ.: ციხის ძირი (კოზლოვსკი); 9 — ქართ.: თბილისი (მედვედვის ჰერბარიუმი); 10 — მთიულ.: ფასანაური (კასპიევი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.

გვარი 15. GALEOBDELON ADANS.\*

ყვავილები მჯდომარეა ან თითქმის მჯდომარე, თანაყვავილაკებიანი, ურთიერთისაგან დაშორიშორებულ ჩხრობად განწყობილი, რომლებიც ღეროსეული ფოთლების ილოებში სხედან. ჩხროები 6—10 ყვავილიანია. ჯამი მილისებრ-ზარისებრია, 10 ცოტად თუ ბევრად კარგად გამოსახული ძარღვით, სწორი, თითქმის თანასწორი, 5 კბილა; ყვავილები ყვითელია, გვირგვინის მილი ხახაში ნაკლებ გაფართოებულია და ქვედა ნაწილში ბეწვის ირიბი რგოლი აქვს; გვირგვინის გადანაღუნო ორტუჩაა, ზედა ტუჩი სწორმდგომია, მუხა-

\* ღამუშავა დ. მცხეთაძემ

რადისებრი, ოდნავ შეზნეპილი, ქვევით გრძლად შევიწროებული, კიდემთლიანი, ქვედა — 3-ნაკვითიანი, შუა — რამდენიმედ უფრო დიდი ზომის ნაკვითი; ყველა ნაკვთი მახვილწვერიანია. მტვრიანა 4, გვირგვინის ზედა ტუჩისაკენ პარალელურად აღმავალი; გვერდითი მტვრიანები შუათანაზე გრძელია, სამტვრეების ბუდეები განშლადია, შიშველი. მტვრის მარცვალი თითქმის სფეროსებრია, განივკვეთში სამკუთხა ან სამნაკვითიანი; მერიდიანულად განლაგებული სამი ღარი; პოლარული ლერძის სიგრძე 22,8 მიკრონამდეა. ღარი გრძელია, უთანაბრო კიდევებით და მარცვლოვანი მემბრანით; ეგზინა უთანაბრო სისქისაა, პოლუსებთან ოდნავ გასქელებული; ზედაპირის მონატულობა წერტილოვანია ან ქველისებრი. სვეტის ტოტები არათანაბარია. კაკლუშები ტეტრაედრულია, მეტწილად მახვილი კუთხეებით, წვერზე წაკვეთილი, შიშველი, გლუვი ან ძალიან წვრილმჭეჭიანი. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, გრძელყუნწიანი კვერცხისებრი ფორმის მთლიანი ფოთლებით და ძირში რამდენადმე გულისებრიძირიანი ქვედა ფოთლებით.

გვარი ერთი სახეობითაა წარმოდგენილი, რომელიც ვავრცელებულია დასავლეთ ევროპასა, მცირე აზიასა და ჩრდილო ირანში.

*L. G. luteum* Hunds. Fl. Angl. ed. 2, 1 (1798) 258; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 306; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 336; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 327 (georg.); Горшкова во Фл. СССР XXI (1954) 139; Гаджиев во Фл. Азерб. VII (1957) 301; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 195; Колак. Растит. мир Колх. (1961) 313; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 421 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. VII (1967) 361; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 164; Колак. Фл. Абх. II (1982) 250.—*Galeobdolon luteum* Hudson subsp. *luteum*, Mill in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 150.—*G. vulgare* Pers. Syn. Pl. II (1807) 122. *Lamium galeobdoion* (L.) Cranz. Stirp. Austr. ed. II (1769) 262; Ledeb. Fl. Ross. III, 2 (1849) 431; Boiss. Fl. Or. IV (1879) 756.—*Galeopsis galeobdolon* L. Sp. Pl. (1753) 580.

Is.: Федч. и Флер. Фл. Европ. Росс. III (1910) рис. 731 [sub. *Lamium galeobdolon* (L.) Cranz].

Exs.: Fl. exs. Austro-Hung n° 3295.

4. საყვავილე ყლორტები წამოწეულია, 50 სმ სიმაღლის, უნაყოფო ყლორტები გართხმულია, ფესვიანდება, ერთიც და მეორეც ცოტად თუ ბევრად ბეწვიანია; ქვედა ფოთლები მომრგვალო კვერცხისებრია, ბლავი, ძირში რამდენადმე გულისებრი, გრძელყუნწიანი, შუა და ზედა ფოთლები კვერცხისებრია, მახვილწვერიანი 1—3(4) სმ სიგრძის, 1—2 (3) სმ სიგანის, ძირში მოკლე სოლისებრი, უფრო მოკლე ყუნწიანი; კენწრული ფოთლები მოგრძო ლანცეტა ფორმისაა, საკმაოდ გრძელი, წარზიდული, მახვილი წვერით, მოკლეყუნწიანი. ყველა ფოთლი მრგვალებილია. ზედა მხარეზე გაფანტული ბეწვით შებუსუსი. ქვედა მხარეზე მხოლოდ ძარღვებზეა გაფანტულბეწვიანი. ჩხროები 6—10-ყვავილიანია; თანაყვავილაკები წვრილია, ჯამის მიღზე გაცილებით მოკლე, სადგისისებრი ფორმის, წამწამიანი; 4—4,5 მმ სიგრძის; ჯამი ზარისებრია 1—1,4 მმ სიგრძის, 2—2,5 მმ სიგანის, სქლად შებუსუსი, სამკუთხა-ლანცეტა ფორმის სადგისისებრ წაწვეტებული, დაშორიშორებული კბილებით.



გვირგვინი ყვითელია (1,6) — 2—2,5 სმ სიგრძის, მისი მილი ჯამზე მატება, გვირგვინის გადანალუნი ორტუჩაა, ზედა ტუჩი სწორმდგომია, მოვრ-  
 ცო კვერცხისებრი, მუზარადისებრი, ოდნავ შეზნეპილი, კიდემთლიანი, 1—  
 1,3 სმ სიგრძის, ქვედა ტუჩი სამნაკეთიანია, შუა რამდენადმე დიდია 4—4,5 მმ  
 სიგრძის და 1,5 მმ სიგანის ნაკვეთით, გვერდითი ნაკვეთები ფორმით ერთნაირია,  
 სამკუთხა ან კვერცხისებრლანცეტა, მახვილი ნაკვეთებით. კაკლუშები უკვერცხ-  
 ცხისებრი ფორმისაა, ოთხწახნაგოვანი 3—3,5 მმ სიგრძის, 1,5—1,8 მმ სიგა-  
 ნის, შავი ან ყავისფერი, გლუვი ან ძალიან წვრილმეჭექიანი ზედაპირით. IV—  
 VII. 2n=18. (Van Den Brand et al. 1979) (sub *Lamium goicobdolon*).

აწერილია ევროპიდან. ტიპი ინახება ლონდონში („სსრკ ფლორის“ მცხედ-  
 ვით).

იზრდება ზომიერად ტენიან, ფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში, ბუჩქნა-  
 რებში, დაბლობებზე და მთისწინებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: აფხაზეთი (ვორონოვი); სოხუმი (გუბისი; ალექსეენ-  
 კო); ფსიცხა (ალბოვი); აფხაზეთი, სიბიშხა (იგივე); 7 — აჭარ.: ბათუმი (ვო-  
 რონოვი); მდ. ჭოროხი (მაპოვი); ჩაქვი (ვორონოვი; ნოვობოკროვსკი; მაყა-  
 შვილი); 12 — კახ.: ლავოდეხის მიდამოები (მლოკოსევიჩი).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ.; ევროპ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მსრ., მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.

გვ. 16. CHAITURUS WILLD.\*

ყვავილები მჭდომარეა, თანაყვავილაკებიანი, ჩხროდაა განლაგებული,  
 ფოთლების ილიებში. ჯამი ზარისებრია, სწორი, 10 არამკვეთრად გამოსახუ-  
 ლი ძარღვი და 5 თითქმის ერთნაირი სადგისისებრი წვეტიანი კბილი აქვს.  
 გვირგვინი ჯამზე მოკლეა ან მხოლოდ ოდნავაა მასზე გრძელი, მილი თითქმის  
 სწორია და შიგნით ბეწვის რგოლი არა აქვს; გვირგვინის გადანალუნი ორტუ-  
 ჩიანია, ზედა ტუჩი მკვეთრად შეზნეპილია, სწორმდგომი, ქვედა ტუჩი 3-ნაკე-  
 თიანია, შუათანა გვერდითებზე ოდნავ დიდი ზომისაა. მტვრიანა 4, მხოლოდ  
 ოდნავაა გვირგვინის მილიდან ამოყოფილი, მტვრიანათა ძაფები მოკლეა; გვერ-  
 დითი მტვრიანები შუათანებზე რამდენადმე მოკლეა. ყვავილობის შემდეგ  
 მტვრიანათა ძაფები არ არის დაგრეხილი და არ არის ქვევით გადაღუნული;  
 მტვრიანათა ბუდეები განშლადია. სვეტის ტოტები თანაბარია. კაკლუშები მა-  
 ხვილსამწიბოიანია, წვერზე მომრგვალო. — ერთ ან ორწლოვანი მცენარეებია  
 სწორმდგომი ღეროთი და მთლიანი ფოთლებით.

1. *C. marrubiastrum* (L.) Ehrh. ex Reichenb. Fl. Germ. Excurs. (1831)  
 317; Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 164; cum auct comb.  
 Reichenb.: Гроссг фл. Кавк. III (1932) 306; idem, опред. раст. Кавк (1949)  
 336; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 328 (georg.); Колак. Фл. Абх. 2, II  
 (1982) 248.—*C. marrubiastrum* (L.) Spenn. in Ness. Gen. Fl. Germ. II

\* ღამუშავეა დ. მცხეთაძემ



(1843) t. 31; Куприянова во Фл. СССР XXI (1954) 144; Колак. Растит. мир Колх. (1961) 313; Тър-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 36; Капеллер в Опред. раст. груз. I (1964) 421 (georg.).—*Leonurus marrubiastrum* L. Sp. Pl. (1753) 584; Bieb. Fl. Taur.—Cauc. II (1808) 54; DC. Prodr. XII (1848) 501; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 424; Boiss. Fl. Or. IV (1879) 754; Колак. Фл. Абх. IV (1949) 55; Ball. in Fl. Europ. 3 (1972) 149; Mill in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 153.—*Chaiturus leonuroides* Willd., Prodr. F. Berol. (1787) 201.

Ис.: Федч. и Флер. Фл. Европ. Росс. III (1910) рис. 733, (sub *Leonurus marrubiastrum* L.).

⊕, იშვიათად ⊖. ღერო მარტივია ან დატოტვილი, 1 მ-მდე სიმაღლის, ნაცრისფერ მწვანე, მიტკეცილი ბეწვებით შებუსული, აქა-იქ ძალიან წვრილი, პრიალა ჭირკვლებიც ერევა; ქვედა და შუა ფოთლები კვერცხისებრია, მომრგვალებული ძირით, წვერზე მობლაგვო ან წაწვეტებული, 2—5 სმ სიგრძის და 1—3 სმ სიგანის; ზედა ფოთლები ლანცეტა ფორმისაა ან მოგრძო, სოლისებრი ძირით და წარზიდული წაწვეტებული წვერით; ყველა ფოთოლი ყუნწიანია, კიდეზე მსხვილი ხერხისებრი კბილით, ზედა მხარეზე მწვანეა, სუსტად შებუსული, ან თითქმის შიშველი, ქვედა მხარეზე მონაცრისფრო, უფრო ხშირი მიტკეცილი ბეწვით დაფარული, აქა-იქ ძალიან წვრილი, პრიალა ჭირკვლებიც ერევა; კენწრული ფოთლები ლანცეტა ფორმისაა, ხშირად კიდემთლიანი. ყვავილები წვრილია, მრავალყვავილიანი, თითქმის სფეროსებრ ჩხროებადაა განლაგებული ზედა ფოთლების ილიებში; თანაყვავილაკები ეკლიან-სადგისისებრია, ჯამის მიღზე გრძელი, შებუსული; ჯამი 7 მმ სიგრძისაა, მილისებრ-ზარი-სებრი, მოკლე, მიტკეცილჭაგრისებრბეწვიანია და ჭირკვლოვანი, მოგრძო, სამკუთხოვანი, თითქმის ერთნაირი, სადგისისებრ წვეტიანი კბილებით; გვირგვინი მკრთალი ვარდისფერია, 6—7 მმ სიგრძის, გარედან შებუსული გადა-ნაღუნით; ზედა ტუჩი ფართო უკულანცეტა ფორმისაა, ქვედა ტუჩის შუა ნაკე-თი ფართოა, მომრგვალო, უფრო მსხვილი, გვერდითი — კვერცხისებრია; ზედა ტუჩი და ქვედა ტუჩის ნაკეთები ოდნავ ამოკვეთილია; მტვრიანები თითქმის თანაბარი სიგრძისაა, მტვრიანათა ძაფები ოდნავ ბეწვიანია. კაკულუშები გლუ-ვია, 2—2,5 მმ სიგრძის, წვერზე თეთრბეწვიანია, ფორმით სამწახნაგოვანი. VI—VIII. 2n=24.

აწერილია დასავლეთ ევროპიიდან. Described from Bohemia and the Ukraine. See. Mill in Davis Fl. Turkey 7 (1982) 153 (LINN).

იზრდება ტენიან მდელოებზე მდინარეთა ნაპირებზე, გზის პირებზე, დაბ-ლობებსა და მთის ქვედა სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ. [კოლაკოვსკის მიხედვით I. c. (1982)]. 4 — სამეგრე; სამეგრელო, სოფ. ინჩხურის მიდამოები, (მანდენოვა, ქუთათელაძე); ზუგდი-დი, სოფ. ჭვარის მახლობლად (მაყაშვილი); 5 — იმერ.: ქუთაისი (მაყაშვილი).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; ევრ. ნაწ., ციმბ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მზრ.; ჩრდ. ამერ. (გზად-მოყოლილი).



ყვავილები მჯდომარეა, ჩხრობად შეკრებილი, რომლებიც თავის მხრით განწყობილია ღეროს წვერზე ნაკლებად შეცვლილი ყვავილთანური ფოთლების ილღებში. ჯამი კონუსურია, თითქმის სწორი, მკვეთრად გამოსახული 5 ძარღვით და 5 ეკლისებრი კბილით. გვირგვინი მოვარდისფრო-იისფერია, ორტუჩა; მისი ზედა ტუჩი მოგრძოა, ჩახნექილი და კიდემთლიანი, ქვედა — სამნაკეთიანია. გვირგვინის მილი შიგნიდან ირიბი ბეწვების რგოლითაა აღჭურვილი, რის გამოც ცოტათი გამოხერხილია. მტვრიანა 4, გვირგვინის მილს აღმატება და ზედა ტუჩის ქვეშაა ამოფარებული, რომელთაგან ორი გვერდითი — შუათანა მტვრიანებზე გრძელია. გვერდითი მტვრიანათა ძაფები დაყვავილების შემდეგ დაგრებილია და ქვევითენაა გადაღუნული. სამტვრეები პარალელურია ან ოდნავ განშლადია. მტვრის მარცვალი თითქმის სფეროსებრია, განივკვეთში ბომბგვალო-სამკუთხა, მერიდიანულად განლაგებული სამი ღარით; ღარი გრძელია, ფართო, უთანაბრო კიდევით და სოლისებრი ბოლოებით; მემბრანა სვდა; ეგზინის სისქე 0,9—1,2 მიკრონია; ზედაპირის მოხატულობა ბადისებრია; ბადის თვლები წვრილია; სვეტის ნაკეთები თანაბარია. კაკლუქები მახვილსამწიბოებიანია და წვერზე გადაკვეთილი.

გვარში გაერთიანებულია 14 სახეობა, რომლებიც გავრცელებულია დასავლეთ ევროპიდან ცენტრალურ აზიამდე. საქართველოში ამ გვარის მხოლოდ 1 სახეობა იზრდება.

1. *L. quinquelobatus* Gilib. Pl. Rar. et Comm. Lithuan (1785) 15; Куприянова во Фл. СССР XXI (1954) 148; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 195; Коллак. Растит. мир Колх. (1961) 314; Капеллер в Опред. раст. Груз. (1964) 421 (georg.). Тер-Хачат. в Гроссг. Фл. кавк. 2, VII (1967) 362; Коллак. Фл. Абх. 2, 11 (1982) 254; Mill. in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 154.—*L. villosus* Desf. Tab. ed II (1815) 73 nom.; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 307; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 336; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 329 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 98 (georg.); Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 166.—*L. Cardiaea* auct.: Vieb. Fl. Taug.-Cauc. (1808) 54; DC. Prodr. (1848) 500; Boiss. Fl. Or. IV (1870) 753; Коллак. Фл. Абх. IV (1949) 54; Гаджиев во Фл. Азерб. VII (1953) 303 quad pro fl. cauc. non. L.

Is.: Фл. СССР XXI (1954) табл. VIII, 2; Фл. Европ. части СССР III (1978) табл. 31, фиг. 2.

2. მცენარე გრძელ, რბილ მონაცრისფრო ბეწვიანია, ხშირად მოწითალო-იისფერი; ფესურა გახევებულია; ღერო მრავალია, დატოტვილი, 50—200 სმ-მდე სიმაღლის, მახვილწვერიანი; ქვედა ფოთლები მომრგვალო ფორმისაა, გულისებრი ძირით, ღრმად თათისებრ 5—7 ნაკვთიანი; ღეროსეული შუა და ზედა ფოთლები ლანცეტა ან ოვალური ფორმის, ძირთან სოლისებრი, ჩაჭრილ-დაკბილული ან ხერხისებრი კიდევით; ყველა ფოთლი ყუნწიანია, ზედა მხარეზე მუჭი მწვანე, ქვედაზე — ღია ფერის, ორივე მხარეზე მოკლე და

\* დაამუშავა ლ. ხინთიბიძემ



რბილბეწვიანი, ძარღვების გაყოლებაზე — გაფარჩხულბეწვიანი. ყვავილები მოკლესუნწიანია, მრავალყვავილიან მკიდრო ჩხრობად შეკრებილი, რომელიც განლაგებულია კენწრულ, ლანცეტა, კიდეშლიან ან 1—2-კბილიან თანაყვავილის იღლებში, თანაყვავილები სადგისისებრია, გრძელ გაფარჩხულბეწვიანი, ჯამის მიღზე მოკლე; ჯამი 8—10 მმ-მდე სიგრძისაა, შებუსული; ჯამის კბილები ძირში სამკუთხა ფორმისაა და 2,5—3 მმ-მდე სიგრძის სადგისისებრი წვეტით ბოლოვდება, მათგან ორი ქვედა — ზედაზე გრძელია და ქვევითენაა გადახრილი; გვირგვინი ვარდისფერია ან მოვარდისფრო-ისფერი, 12 მმ-მდე სიგრძის, გარედან ბანჯგელიან-ბეწვიანი; მისი ზედა ტუჩი მუქი ვარდისფერია და წვერში წარზიდული, ქვედა — მკრთალი ვარდისფერია და მურა ფერის წინწყლებიანი გარედან გრძელბეწვიანი, მისი შუა ნაკვთი კვერცხისებრია, გვერდითები — უკუკვერცხისებრია; გვირგვინის მილი შიგნითა მხარეზე ბეწვებიანი რგოლითაა და გამობერილია; მტვრიანათა ძაფები ბანჯგელიანია. კაკლუშები გლუვია, წვერზე მოკლე და თეთრი ბეწვით შებუსული. VI—IX.

აწერილია ლიტვიდან.

იზრდება რუდერალურ ადგილებზე, ბუჩქნარებში, მთის ქვედადან ზედა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ.: იმერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (ყირიმ).

საერთო გავრცელ.: ჩრდ. აღმ. ანატ.

ზ ვ ა რ ი 18. BALIOTA L.\* — შინჰრისგზარა, ძალღის პიზნა

ყვავილები დაშორიშორებულ ჩხრობადაა ფოთლების იღლებში შეკრებილი. თანაყვავილი სადგისისებრია. ჯამი მილისებრ-ძაბრისებრია, სწორი, 10-ძარღვიანი; ჯამის კბილი 5, თანაბარზომის, გვირგვინი ორტუჩაა; მისი ზედა ტუჩი მოგრძოა და ოდნავ ჩაზნექილი, ქვედა — 3-ნაკვთიანია, რომელთაგან შუათანა ნაკვთი უფრო დიდი ზომისაა, უკუგულისებრი, წვერზე ამოკვეთილი; გვირგვინის მილი ჯამშია ჩამჯდარი და შიგნიდან ბეწვიანი რგოლითაა. მტვრიანა 4, ზედა ტუჩის ქვეშ ამოფარებული, რომელთაგან გვერდითი ორი მტვრიანა უფრო გრძელია შუათანა ორზე. სამტვრე პარკები განშლადია. სვეტის ნაკვთები თანაბარზომისაა ან უფრო იშვიათად სხვადასხვა ზომის. კაკლუშები მოგრძო კვერცხისებრია, 3-წახნაგოვანი, წვერზე მომრგვალებული, შიშველი. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია (ჩვენში) ან ნახევრად-ბუჩქები (იშვიათად ბუჩქები), სწორმდგომი ან აღმავალი ღეროთი და კიდედაკბილული მთლიანი ფოთლებით.

გვარში გავრთიანებულია 30 სახეობა, რომლებიც ძირითადად ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებსა და წინა აზიაში იზრდება, ამათგან 3—4 ევროპაშია გავრცელებული, ხოლო ერთი სახეობა სამხრეთ აფრიკაში გვხვდება, საქართველოში ამ გვარის მხოლოდ 2 სახეობა იზრდება.

1. ჯამის კბილები მოკლე და ფართო სამკუთხა-კვერცხისებრია ან ფართო კვერცხისებრი და მოკლე წვეტით დაბოლოებული. ფოთლები პატარა ზო-

\* დაამუშავა ლ. ხინთიბიძემ

მისაა, 2 სმ-მდე (უფრო იშვიათად 3—4 სმ-მდე) სიგრძის, ფართო ან მომრგვალო კვერცხისებრი ფორმის, მობლაგოწვერიანი; ღერო 20—60 სმ-მდე სიმაღლისაა, ზშირ და რბილბეწვიანი. . . . 2. *B. borealis* Schweigg.

— ჯამი სამკუთხა ლანცეტა ან სამკუთხა-კვერცხისებრ გრძელი კბილებითაა, რომლებიც წვერზე გრძელ ფხაში გადადის. ფოთლები 4—7 სმ-მდე სიგრძისაა, კვერცხისებრი, მახვილწვერიანი; ღერო 50—120 სმ-მდე სიმაღლისაა, ცოტად თუ ბევრად მეჩხერ ხეშეშებეწვიანი ან თითქმის შიშველი . . . . .

. . . . . 1. *B. nigra* L.

1. *B. nigra* L. Sp. Pl. (1763) 814; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 52; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 520; Boiss. Fl. Or. IV (1879) 775; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 308; Поярк. во Фл. СССР XXI (1954) 188; Гаджиев во Фл. Азерб. VII (1957) 307; Колак. Растит. мир Колх. (1961) 312; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 422 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 364; Колак. Фл. Абх. II (1982) 244.— *B. ruderalis* Sw. Колак. Фл. Абх. IV (1949) 55; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 336; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 331 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1955) 100 (georg.); Patzak in Fl. Europ. 3 (1972) 150.— *B. foetida* auct. non Lam. Гладкова во Фл. Европ. части СССР III (1978) 167.— *B. nigra* subsp. *nigra* Davis et Doroszenko in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 163.

4. ფესურა მოკლეა და მხოხავი, ღერო 50—120 სმ-მდე სიმაღლისაა, დატოტვილი ან უფრო იშვიათად დაუტოტავი, ნორჩობაში მწვანე, მოკვიანებით მოწითალო ან მოყავისფრო-იისფერი, ხეშეში მეჩხერი ბეწვით შებუსუსულია ან შიშველი; ფოთლები 3—7 სმ-მდე სიგრძისაა (მისი სიგრძე 2—2,5-ჯერ აღემატება სიგანეს), ძირიდან ღეროს წვერისკენ თანდათანობით პატარავდება, ყველა ფოთლი კვერცხისებრია, ბასრხერკბილა ან ორმაგად დაკბილული კიდით. მახვილწვერიანი, წაკვეთილი ან ოდნავ გულისებრი ძირით, ორივე მხარეზე მეჩხერი და მიტკეცილი ბეწვით; გარდა ამისა, ქვედა მხარეზე პრიალა წვრილი ჯირკვლებიც ერევა; ფოთლის ყუნწი ფოთლის ფირფიტაზე 2-ჯერ მოკლეა, შებუსუსულია, ქვემოთკენ გადახრილი ბეწვით. ყვავილეები მოკლეყუნწიანია, მრავალყვავილიან ჩხროებად შეკრებილი, რომელთაგან ქვედა — დაშორიშორებულია დანარჩენებიდან; ყვავილები ღეროსეული ფოთლების მსგავსია, მხოლოდ უფრო პატარა ზომისაა, თანაყვავილავი ზაზურ-სადგისისებრია, რბილბეწვიანი, ჯამზე მოკლე; ჯამი 6—9 (10) მმ სიგრძისაა, მწვანე ან მომურო-იისფერი, მკვეთრად გამოსახული 10 ძარღვით, გრძელბეწვიანი, აქა-იქ წვრილი პრიალა ჯირკვლების შერევით; ჯამის კბილები ჯამის მიღზე 2—3-ჯერ მოკლეა, სამკუთხა-ლანცეტა ან სამკუთხა-კვერცხისებრი, წვერზე გრძელი ფხით დაბოლოებული და კიდეებზე ჯირკვლოვანბეწვიანი; გვირგვინი მოვარდისფრო-იისფერია, უფრო იშვიათად თეთრი, ჯამიდან ამოყოფილი მილითა და ოდნავ მოხრილი წვერზე ამოკვეთილი ან ოდნავ დაკბილული ზედა ტუჩით, რომელიც გარედან დატოტვილი და გრძელი მარტივი ბეწვითაა შებუსუსული; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკეტი დიდი ზომისაა და უკუგულისებრი, გვერდითები — ოვალურია; მტვრიანათა ძაფები ქვედა ნა-



წილში მოკლე მეჩხერბეწვიანია, ზედა ნაწილში — აბლაბუდასებრი შებუსხვე-  
თაა. კაკლუმები უკუკვერცხისებრია, 2 მმ-მდე სიგრძის, წვრილად დაწვე-  
წკლული. VI—IX.  $2n=22$ .

აწერილია ევროპიდან (Hb. Linn. 737/1).

იზრდება რუდერალურ ადგილებზე, ღობეების ძირებსა და გზის პირებზე უპირატესად საცხოვრებელი ადგილების მახლობლად, იშვიათად ბუჩქნარებში, ზევებსა და ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: („საქართველოს ფლორის“ მიხედვით); 3 — რაჭა-  
ლეჩხ.: ს. აჭარის ხიდი (კემულარია-ნათაძე); 5 — იმერ.: ქუთაისი, ს. მესხეთი  
(მაყაშვილი); იმერეთი (სულაქაძე); ქუთაისი (მედვედევის ჰერბარიუმი); 9 —  
ქართ. თბილისი (კოზლოვსკი); თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის ეზო (მი-  
რონენკო); თბილისი (სულაქაძე); მლაშე ტბები (ფერერი); ლისის ტბა (შტე-  
ნა); ოლგინსკოე (ტროიციკი); კოჯორი (ქუთათელაძე, მანდენოვა, მცხეთათაძე);  
მდ. ტანასხეობა, ს. ბოშური (ხინთიბიძე); ბორჯომი, პეტრეს ციხე (კოზლოვსკი);  
ქობის ხევი (სოსნოვსკი); ბორჯომსა და ცემს შორის (კოზლოვსკი); ბორჯომი,  
ს. გომნა (იგივე); ბორჯომის მიდამოები, ს. ტბა (იგივე); წალვერი (იგივე);  
12 — კახ.: ჩაილური (ყანჩაველი); 14 — გარე კახ.: გომბორი (ტროფიმოვი);  
ს. კაკაბეთი (ყანჩაველი); 15 — გარდაბ.: ყარაიაზი (სტაროსელსკი); 16 —  
თრიალ.: თეთრი წყარო (უტკინი); 19 — მესხ.: ს. სუფლისი (სოსნოვსკი, კე-  
მულარია-ნათაძე, მანდენოვა).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ. (გზადმოყოლილი);  
ჩრდ. ამერ. (გზადმოყოლილი).

2. *B. borealis* Schweigg. in Koenisb. Arch. Naturw. I (1812) 214.—  
*B. foetida* auct. non Lam.—*B. alba* sensu Капеллер в Опред. раст. Груз.  
I (1964) 421 (georg.) non L.

2. ღერო 20—60 სმ-მდე სიმაღლისაა, ძირიდან დატოტვილი, წამოწეუ-  
ლია ან სწორმდგომი, ხშირი და რბილი ბეწვით შებუსხული; ფოთლები პატა-  
რა ზომისაა, ჩვეულებრივ 2 იშვიათად 3—4 სმ-მდე სიგრძის და თითქმის ასე-  
თივე სიგანის ან ცოტათი ვიწრო, ფართო მომრგვალო კვერცხისებრი, კიდე-  
ებზე მსხვილ არათანაბრად მრგვალებილა, წვერზე ზედა მხარეზე დატოტვილი  
ბეწვითა და მჯდომარე პრილა ჯირკვლებით შებუსხული, ქვედაზე შიშველია  
ან ძარღვების გაყოლებზე გრძელ მეჩხერ მარტივბეწვიანი, მობლაგვოა ან  
ოდნავ მახვილწვერიანი, მომრგვალებული ან მოკლე სოლისებრი ძირით, ყუნ-  
წიანი, ფოთლის ყუნწი ფირფიტის სიგრძის  $1/4$ — $1/2$ -ს შეადგენს. ყვავილები  
შეკრებილია მცირეყვავილიან ჩხრობად; თანაყვავილაკები სადგისისებრია,  
ბალახოვანი, გრძელბეწვიანი, სიგრძით ჯამის მილის ნახევარს შეადგენს ან უფ-  
რო გრძელია; ყვავილები მოკლეყუნწიანია; ჯამი მკვეთრად გამოსახული 10  
ძარღვითაა, ბეწვიანია, რომელსაც წვრილი, პრილა ჯირკვლებიც ერევა; ჯა-  
მის კბილები მოკლე და ფართო სამკუთხა-კვერცხისებრია ან ფართო კვერცხი-  
სებრი, მიღზე 4-ჯერ მოკლეა და მოკლე წვერით ბოლოვდება, კიდებზე ჯირ-  
კვლოვან ბეწვიანი; გვირგვინი მოწითალო-იისფერია, იშვიათად თეთრი, ჯა-  
მიდან ცოტად თუ ბევრად ამოყოფილი, ზედა ნაწილში შებუსხული მილით;  
ზედა ტუჩი ფართო ელიფსურია, წვერზე ბლაგვად დაკბილული, გარედან

გრძელბეწვიანი, ქვედა — უკუკვერცხისებრი წვერზე ამოკვეთილი შუათანა და მოგრძოკვერცხისებრი ფორმის გვერდითი ნაკვეთით; მტვრიანათა ძაფები ქვედა ნაწილში შებუსუსულია მოკლე და მსხვილი გაფანტული ბეწვით, ზედა ნაწილში აბლაბუდასებრი შებუსუსითა ან შიშველია. კაკლუშები მოგრძო უკუკვერცხისებრია, 3-წახნაგოვანი, წვრილად დაწინწკლული. VI—VII.

აწერილია ევროპიდან.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: ბორჯომსა და დაბას შორის (კოზლოვსკი).

სსრკ.: ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.

ბ ვ ა რ ი 19. BETONICA L.\* — ბარისპირა

ჯამი 5-ნაკვეთიანია, მილისებრ-ზარისებრი, სწორი, შიგნითა მხრიდან შიშველი; ჯამის კბილები თითქმის თანაბარია, ეკლისებრწაწვეტებული. გვირგვინი 2-ტუჩაა, ჯამზე გრძელი, შიგნითა მხარეზე ბეწვიანი რგოლი არა აქვს; მისი ზედა ტუჩი 2-ნაკვეთიანია, ქვედა — 3-ნაკვეთიანი, რომელთაგან შუათანა ნაკვეთი შედარებით დიდი ზომისაა და წვერზე წარზიდული. მტვრიანა 4, ზედა ტუჩთან მიმაგრებული, ზედა მტვრიანები ქვედაზე მოკლეა; სამტვრეები პარალელურია, იშვიათად ოდნავ განშლადი. სვეტი წვერზე 2-ნაკვეთიანია, ნაკვეთები მოკლეა, მობლაგვო და ერთმანეთის ტოლი. ნაყოფი 3-წახნაგოვანი, მოგრძო კვერცხისებრი, ბლაგვწვერიანი კაკლუშაა, — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, მოკლე ან გრძელი თავთავისებრი ყვავილედი.

1. გვირგვინი 3—4 სმ-მდე სიგრძისა . . . . . 2
- გვირგვინი 1,5—2 სმ-მდე სიგრძისა . . . . . 4
2. ფოთლები ვიწროლანცეტაა, ქვედა მხარეზე თეთრქეჩისებრშებუსუსული . . 3
- ფოთლები ფართო კვერცხისებრია ან გულისებრ-კვერცხისებრი, კიდეებზე მსხვილ მრგვალებილა, ორივე მხარეზე თხლად შებუსუსული გრძელი მარტივი ბეწვით. გვირგვინი მეწამულია, ჯამზე 2,5-ჯერ გრძელი . . . . .
- . . . . . 1. **B. macrantha** C. Koch
3. გვირგვინი მუქი ვარდისფერია; ჯამის ფოთლები სამკუთხა ძირითაა და წვერში სადგისისებრ-წაწვეტებული. კაკლუშა წვერზე დაკბილულია. ფოთლები ქვედა მხარეზე სქლად ქეჩისებრშებუსუსულია . . . . .
- . . . . . 2. **B. abchasisca** (Bornm.) Chinth.
- გვირგვინი თეთრია, უფრო იშვიათად ოდნავ მოვარდისფრო ელფერთ; ჯამის კბილები ლანცეტა ფორმისაა. კაკლუშა წვერზე დაკბილული არ არის. ფოთლის ქვედა მხარე თხელი ქეჩისებრი შებუსუსითა . . . . .
- . . . . . 3. **B. ossetica** (Bornm.) Chinth.
4. მცენარე მონაცრისფროა; ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, ძირთან გულისებრი, კიდეებზე წვრილ და ხშირ მრგვალებილა, ქვედა მხარეზე ნაცრისფერია და ვარსკვლავისებრი ბეწვით შებუსუსული. გვირგვინი ღია მეწამული ფერისაა; ყვავილედი ძლიერ მკვიდროა . . . . . 4. **B. orientalis** L.

\* დამუშავა ლ. ხინთიბიძე



— ნიშნები სხვანაირია

5. მცენარე შებუსულია, ფოთლები ფართო კვერცხისებრია ან მოგრძოკვერცხისებრი, ძირთან ღრმად გულისებრი. ყვავილენი მჭიდროა . . . . . 5. *B. officinalis* L.

— მცენარე შიშველია ან თითქმის შიშველი; ფოთლები ლანცეტა ან ფართო ლანცეტა, ზედა ფოთლები ძირთან წაკვეთილია. ყვავილენის ქვედა ჩხრო დაშორებულია დანარჩენებს . . . . . 6. *B. giabrata* C. Koch

Sect. 1. *Betonica*. — Sect. *Eubetonica* Chinth. Тр. Инст. бот. АН СССР №XV (1953) 178. — გვირგვინის მილს შიენითა მხარეზე ბეწვეიანი რგოლი არ აქვს; სამტვრის ბუდეები თითქმის პარალელურია.

Ser. 1. *Grandiflora* Chinth. Тр. Инст. бот. АН СССР, XV (1953) 178. ფოთლები ფართო გულისებრია, მთელი მცენარე მარტავრქუ ბეწვეიანია.

1. *B. macrantha* C. Koch *Linnaea* XXI (1849) 683.—*B. grandiflora* Steph. ex Willd. *Sp Pl.* III, 1 (1800) 96; *Bieb. Fl. Taur.-Cauc.* III (1819) 399; *DC. Prodr.* XII (1848) 459; *Ledeb. Fl. Ross.* III (1851) 409; *Boiss. Fl. Or.* IV (1879) 751; *Гроссг. Фл. Кавк.* III (1932) 308; *idem. Опред. раст. Кавк.* (1949) 337; *Колак. Фл. Абх.* IV (1949) 56; *Хинтибидзе во Фл. Груз.* VII (1952) 333 (*georg.*); *eadem, К изуч. Кавк. предст. рода Betonica L.* Тр. Инст. Бот. АН СССР XV (1953) 178; *Макашвили, Фл. окр. Тбилиси II* (1953) 100 (*georg.*); *Кнорринг во Фл. СССР XXI* (1954) 239; *Рзаде во Фл. Азерб. VII* (1957) 326; *Дмитриева, Опред. раст. Аджар.* (1960) 195; *Колак. растит. мир Колх.* (1961) 312; *Хинтибидзе в Опред. раст. Груз.* I (1964) 422 (*georg.*); *Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII* (1967) 365; *Колак. Фл. Абх. 2, II* (1982) 245; *Rech. Fl. Iran. № 150* (1982) 400.—*B. grandiflora* var. *macrantha* Sosn. в *Гроссг. Фл. Кавк. III* (1932) 309.—*Stachys grandiflora* Benth. *Lab. Gen. Sp.* (1832) 533; *Briguet in Engl. Pflanzenfam.* IV (1897) 261. *Hegi, III. Fl. Mitt. Europ.* 5, IV (1927) 2408.

Is.: *Фл. Азерб. VII* (1957) табл. XXX (sub *Betonica grandiflora*); *Дмитриева, Опред. раст. Аджар.* (1960) рис. 19 (sub *B. grandiflora*).

4. მთელი მცენარე შებუსულია გრძელი და მარტივი ბეწვებით; ფესურა ჰორიზონტალურია; ღერო მარტივია, რამდენიმე, სწორმდგომი, ოთხწახნაგოვანი, მავარი, 25—70 სმ-მდე სიმაღლის, ძირისკენ გადახრილი ბეწვით შებუსული; ფოთლები ფართო კვერცხისებრია, ბლაგვი, კიდეებზე მსხვილ მრგვალებილა, ძირთან კიდემთლიანია, გულისებრი; ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა — მოკლეყუნწიანი ან მჯდომარე; ყველა ფოთოლი ზედა მხარეზე გაფანტულბეწვიანია, ქვედაზე — კარგად გამოსახული მარღვებითა და შებუსულია ხშირი ჯაგრისებრი ბეწვით. ყვავილები შეკრებილია 5—10 ყვავილიან ჩხროებად, რომლებიც თავის მხრით მჭიდრო ან წყვეტილ თავაკისებრ კენწრულ ყვავილელებს ქმნიან; ჩხროს რიცხვი 4—5, რომელთაგან ქვედა — ჩვეულებრივ დანარჩენებიდან დაშორებულია; თანაყვავილები კვერცხისებრ ლანცეტა, გრძელმეჩხერბეწვიანი, კიდეებზე ხშირბეწვიანი; ჯამი მილისებრ-

ზარისებრია, ჩვეულებრივ მოწითალო-იისფერი წიბოებით, მოფენილი და-  
ნაწვევებული, მეჩხერი ბეწვით განსაკუთრებით წიბოების გაყოფნაში.  
ჯამის კბილები ლანცეტა-სადგისისებრია, 5 მმ-მდე სიგრძის და 2-ჯერ მოკლეა  
ჯამის მიღზე; გვირგვინი გაფანტულბეწვიანია, მუქი ვარდისფერი — მეწა-  
მულამდე, ჯამზე 3—4-ჯერ გრძელი, გვირგვინის მილი მოხრილია, ხახისკენ  
თანდათან ფართოვდება; გვირგვინის ზედა ტუჩი ფართო კვერცხისებრია,  
წვერზე მომრგვალებული და დაკბილული ან ამოკვეთილი; ქვედა — ფართო  
კვერცხისებრი ნაკეთებითაა. ნაყოფი 3-წახნაგოვანი კაკულუშა, მორბო კვერ-  
ცხისებრი ფორმის და ბორცვებიანი. VII—VIII. 2n=32 (sub B. grandiflora).

აწერილია ანატოლიდან: „In Gaue Hemschin (Hems in) auf Urgestein,  
2830 275 m“, C. Koch.

იზრდება მდელოებსა და სუბალპური ტყეების ველობებზე მთის შუა და  
სუბალპურ სარტყელში, ზოგჯერ გვხვდება ალპურშიც.

საქ. სსრ.: მთელი რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. აღმ. ანატ.; ჩრდ. აღმ. ირ.

Var. *tomentosa* N. Pop. в Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 309. მთელი  
მცენარე ნატირისფერ-მწვანეა, ხშირბეწვიანი.

საქ. სსრ.: იზრდება სახეობის არეალში.

Var. *albiflora* Troitz. в Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 309. გვირგვინოვანი  
თეთრია. ლეროსეული ფოთლები მომრგვალო კვერცხისებრია, კიდეებზე ღრმად  
მრგვალებილია.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: ბაკურიანი, ცხრა-წყარო (ხინთბიძე).

Ser. 2. *Niveae* Chinth. Зам. сист. георг. раст. (Тбилиси) 16 (1951) 29-  
ფოთლები ზედა მხარეზე მწვანეა, ქვედაზე ცოტად თუ ბევრად თეთრქეჩი-  
სებრ შებუსული. ლანცეტა ან ვიწროლანცეტა, კიდეებზე ხშირ მრგვალებილია,  
ძირთან ოდნავ ასიმეტრიული. ყვავილები 2,5—4 სმ-მდე სიგრძისაა, მეწამული  
ან მოყვითალო იშვიათად მოვარდისფრო ელფერიით.

○ 2. *B. abchasica* (N. Pop.) Chinth. Зам. сист. георг. раст. (Тбилиси  
16 (1951) 32; Хинтибидзе во Фл. Груз. VII (1952) 337 (georg.); eadem,  
Род *Betonica* L. на Кавказе—Тр. Инст. бот. АН СССР VIII (1953) 181;  
Колак. Растит. мир Колак. (1961) 312; Хинтибидзе в Опред. раст. Груз.  
I (1963) 422 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 366;  
Колак. Фл. Абх. 2. II (1982) 245.—*B. nivea* var. *abchasica* N. Pop. (no-  
men nudum) Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 309.—*B. nivea* auct. cauc. non  
Step.

Ис.: Колак. Фл. Абх. IV (1949) табл. VI (sub *B. nivea*); Зам. сист. георг.  
раст. (Тбилиси) 16 (1951) рис. 3.

2. ღერო 10—30 სმ-მდე სიმაღლისაა, რამდენიმე, სუსტად 4-წახნაგო-  
ვანი, მარტივი, შებუსულია ვარსკვლავისებრი და დატოტვილი ბეწვით; შებუ-  
სვა ინტენსიურია განსაკუთრებით მუხლთშორისებზე; ფოთოლი ვიწრო ლან-  
ცეტაა, ძირთან ასიმეტრიული, ზედა მხარეზე მწვანე, ქვედაზე — თეთრად  
ქეჩისებრ შებუსული, კიდეებზე ხშირ მრგვალებილია, 5—12 სმ-მდე სიგრძისა

და 1,2—2 სმ-მდე სიგანის; ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა — მოკლე-ყუნწიანი ან მჯდომარე; თანაყვავილი ისეთივე ფორმისაა როგორც ღეროსეული, მხოლოდ უფრო პატარა ზომისაა, სიგრძით მნიშვნელოვნად აღემატება ყვავილს. ყვავილები შეკრებილია 4—5 ყვავილიან მჭიდრო ჩხრობად და თავთავისებურ ყვავილედებს ქმნის; ყვავილი თითქმის მჯდომარეა; თანაყვავილეთი 5—10 მმ სიგრძისაა, ჯამის ნახევრის ტოლი, გაფანტულ-მოკლებეწვიანი; ჯამი მილისებერ-ზარისებრია, გამობერილი, მოკლე გაფანტულბეწვიანი; ჯამის კბილები ლანცეტა-სადვისისებრია; 5—6 მმ სიგრძის, მისი სიგრძე 3—4-ჯერ აღემატება სიგანეს; გვირგვინი მეწამულია, 2,5—3 სმ-მდე სიგრძის; გვირგვინის მილი 1,5—2-ჯერ აღემატება ჯამს, სუსტადაა შებუსუსი მიტკეცილი ბეწვით. კაკლუჭა კვერცხისებრია, 4 მმ სიგრძისა და 3 მმ სიგანის, ბლაგვწვერია-ნი და 3—4 პატარა ზომის კბილით წვერზე. VI—VII.  $2n = 16$  (Гагნიძე, 1983). აწერილია აფხაზეთიდან.

Typus: Abchasia. In monte Pschitzta. 1912. Woronow (TBI).

საქ. სსრ.: აფხაზეთი (ალბოვი — TBI); ვაგრის ქედი (ხინთიბიძე, ფორცხვანიძე — TBI); იქვე (ხინთიბიძე — TBI); ფშიცის მთა (შტიბი — LE); იქვე (ფორონოვი — TBI); მთა ჩიშირა (ვორონოვი — LE); მთა პშევიშხა (პეტიაევი — SUCH); ვაგრის მიდამოები, მთა აბგო (პეტიაევი — TBI); მთა აჩიბახი (პეტიაევი — SUCH); იუკშარას ხეობა, ტავიძი-იტარას, კობიშხოსა და აბატს შორის (კოლაკოვსკი — TBI); ვაგრის ქედი, ასპაგიჩას ქვებთან (პანიუტინი — LE); ვაგრის ქედი, აშხა-ბაშის საძოვარი (იბროვა, კვარაცხელია — SUCH); იქვე (აძინა — SUCH); ვაგრის ქედი (იბროვა — SUCH); არაბიკას მასივი (სახოკია — LE); მთა კოპეიმი (ალბოვი — LE, TBI); აბატის საძოვარსა და ჩინინარას შორის (კოლაკოვსკი — SUCH); აცხუნის საძოვრები (კოლაკოვსკი, იბროვა — SUCH); გუდაუთასა და აბატისის საძოვარს შორის (კოლაკოვსკი — SUCH); ბზიფის ქედი, მთა ბრდიშხა (კოლაკოვსკი — SUCH); ძიშრა (კოლაკოვსკი — SUCH); მამძიშხა აშხა-ბაშხა (გაგნიძე, ჭელიძე, შეთეკაური — TBI) (რუკა 15).

სსრკ.: იმიერკავკ. (ჩერქეზეთი).

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ა. დეკორატიული მცენარეა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვაზონებისათვის.

© 3. *B. ossetica* (Bornm.) Chinth. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 16 (1951) 31; Хинтибидзе во Фл. Груз. VIII (1952) 337 (georg); eadem, Род *Betonica* L. на Кавказе, Тр. Инст. бот. АН СССР XIII (1953) 176; Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 239; Хинтибидзе в Опред. раст. Груз. I (1964) 422 (georg.); Тер-Хачат. Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 366.—*B. nivea* subsp. *ossetica* Bornm. Feddes repert. XVI (1936) 370.—*B. nivea* auct. cauc. non Ster. p. p.

Ис.: Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 16 (1951) рис. 2; Фл. Груз. VII (1952) рис. 321.

4. მცენარე 30—50 სმ-მდე სიმაღლისაა; ღერო მარტივია, სწორმდგომი, რამდენიმე, მავარი, 4-წახნაგოვანი; ფოთლები წაგრძელებულ-ლანცეტა, ძირთან ასიმეტრიული, ზედა მხარეზე მწვანე, ქვედაზე თხლად ქეჩისებრ შებუსუსი, კიდეებზე მსხვილ მრგვალებილია, 9—20 სმ-მდე სიგრძის და 2,5—3 სმ-მდე



სიგანის; ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა — მოკლეყუნწიანი; ფოთლების ყუნწები სიგრძით ფირფიტის ტოლია ან ოდნავ მასზე მოკლე; თანაყვავილი ისეთივე ფორმისაა, როგორც ღეროსეული; მხოლოდ ზომით უფრო პატარაა. ყვავილები თითქმის მჯდომარეა, განწყობილი 3—5-ყვავილიან ჩხროდ და შეკრებილი გრძელ თავთავისებურ ყვავილელებად; ჩხროები ყვავილეებში ურთიერთდაშორიშორებულაია; ჯამი მილისებრ-ზარისებრია, გრძელბეწვიანი განსაკუთრებით ზედა ნაწილში; ჯამის კბილები ლანცეტა-სადვისისებრია, ხშირგრძელბეწვიანი, ჯამის მილზე 2-ჯერ მოკლე; თანაყვავილაკი ლანცეტა, თანდათანობით გრძლად წაწვეტებული, ძირიდანვე გრძელხშირბეწვიანი, 8—11 მმ სიგრძის, ჯამის ნახევრის ტოლი; გვირგვინი მოთეთრო-მოყვითალოა, 3—4,5 სმ-მდე, ჯამზე 3-ჯერ გრძელი, მიტკეცილებევიანი. კაკლუქა 6 მმ სიგრძისა და 4 მმ სიგანის, მოგრძოკვერცხისებრი, 3-წახნაგოვანი, წვერზე მომრგვალებული. VII—VIII, 2n=16 (სურ. 7).

აწერილია ოსეთიდან.

Typus: Ossetia, ad fl. Archondon. 1898. Markowitsch. Bch. (TBI).

იზრდება ღორღიან ფერდობებზე სუბალპურ და ალპურ სარტყელში.

საქ. სსრ.: 10 — მთიულ.: მდ. ქისტინკის მარცხენა სანაპირო (სოსნოვსკი, მანდენოვა — TBI); ხდის ხეობა (ხარაძე, ივანიშვილი — TBI); გვირგვალს მთა (ხარაძე — TBI); დარიალის ხეობა (სოსნოვსკი — TBI); 11 — თუშეთში: ფშავ-ხევსურ.: მდ. ასას ხეობა (გრიგორაშვილი — TGM); არხოტი, არაგვის წყლის სათავეები (სახოკია, ქიმერიძე, ოჩიაური TGM); მდ. არღუნის აუზი, ს. კისტანი (ქიმერიძე, ოჩიაური, მარდალეიშვილი, არაბული — TGM); შატილის წყლის ხეობა (ოჩიაური — TGM); შატილი, ბატეხის თავი (ქიმერიძე, ოჩიაური, მარდალეიშვილი, არაბული — TGM); შატილი, მდ. არღუნის მარცხენა სანაპირო, ატეხის თავი (ქიმერიძე, ოჩიაური, მარდალეიშვილი, არაბული — TGM); ხონის ქალის ხეობა, ნაომარი (არაბული, შეთეკაური — TGM); იქვე (ოჩიაური — TGM); შატილი, მითხელის წყლის სათავე (ქიმერიძე, ოჩიაური, მარდალეიშვილი, არაბული — TGM); ამლის მიდამოები (ოჩიაური — TGM); იქვე (გაგნიძე, ოჩიაური — TGM); არხოტი, ამლასა და ახიელს შორის (ოჩიაური — TGM); ზუად ხახაბოსაკენ (ოჩიაური, არაბული — TGM); ს. უკანაფშავის მიდამო, სანების გორი (ქიმერიძე, ოჩიაური — TGM).

სსრკ.: იმიერკავკ. (ცენტრალური ნაწილი).

Ser. 3. Orientales Chinth. Род *Betonica* L. на Кавказе. Тр. Инст. Бот. АН СССР XIII (1959) 177.—ფოთლები წაგრძელებულ ლანცეტა; მცნარე ხშირგარსკვლავისებრი და მარტივი ბეწვებითაა შებუსუსული განსაკუთრებით ფოთლის ქვედა მხარეზე.

4. *B. orientalis* L. Sp. Pl. II. (1764) 811; DC. Prodr. XII (1848) 461; Ledeb. Fl. Ross. III, 2 (1849) 408; Boiss. Fl. Or. IV (1879) 750; Гроссг. Фл. Кавк III (1932) 309; idem., Опред. раст. Кавк. (1949) 337; Хинтибидзе во Фл. Груз. VII (1952) 177 (georg.); eadem, Род *Betonica* L. на Кавказе, Тр. Инст. Бот. АН СССР XIII (1953) 177; Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 100 (georg.); Гаджиев во Фл. Азерб. VII (1957) 325; Хинтибидзе в Опред. раст. Груз. I (1964) 422 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 366. — *B. hirsuta* auct. cauc. non L.;

Reching. Fl. Iran. № 150 (1982) 399.—*Stachys longifolia* Benth. Lab. Gen. Sp. (1832—36) 533.—*S. macrostachya* Bhattacharjer in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 261 p. p.

4. მთელი მცენარე მონაცრისფროა, ხშირშებუსული, ღერო 30—60 სმ-მდე სიმაღლისაა, სწორი, დაუტოტავი, განსაკუთრებით მუხლებში გრძელ-ხშირბეწვიანი, 4-წახნაგოვანი; ფოთლები ვიწრო ლანცეტაა, კიდეებზე ხშირ-მრგვალებილა, ზედა მხარეზე მწვანე, ქვედაზე ხშირვარსკლავისებრი შებუსევისაგან მოთეთრო-მონაცრისფრო, კარგად შესამჩნევი ბადემარღვიანი, ხოლო ძარღვების გაყოლებზე თეთრგრძელბეწვიანი; ღეროსეული ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, თითქმის ფირფიტის ტოლი ყუნწით, ზედა — მოკლეყუნწიანია ან მჯდომარე, ძირთან გულისებრი. ყვავილედ თავთავისებრია, ცილინდრული, მჭიდროდ განწყობილი ყვავილებით; ჯამი მილისებრ-ზარისებრია, ხშირ ვარსკვლავისებრბეწვიანი, რომელსაც მოყვითალო ჯირკვლებიც ერევა; ჯამის კბილები ლანცეტა-სადგისისებრია, ხშირ მოთეთრო გრძელბეწვიანი, სადგისისებრ შიშველი წვეტი დაბოლოებული; გვირგვინი ვარდისფერია, ჯამზე 2-ჯერ გრძელი; თანაყვავილი კვერცხისებრია გრძლად წაწვეტებული, ვარსკვლავისებრი და მარტივი გრძელი ბეწვით შებუსული, სივრძით ჯამის მილს აღემატება. ნაყოფი კაკლუჭა, მოგრძოკვერცხისებრი, 3-წახნაგოვანი. VI—VII.

აწერილია აღმოსავლეთიდან: „in Oriente“.

იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე და მთის ქსეროფიტებში მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: თელეთის ქედი (კაფიევი); ბეთანის მდამოები (ხინთიბიძე); ატენის ხეობა (ქიქოძე, ყარა-მურზა); სოფ. ატენი (ქიქოძე); 18 — ჯავახ.: ახალქალაქი, სოფ. გორელოვკა (ზედელმეიერი); ტაბაწყური (კოზლოვსკი); ახალქალაქის მდამოები, ამირანის გორა (ხინთიბიძე); 19 — მესხ.: ახალციხე (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); საფარის მონასტერი (იგივენი); სოფ. სუფლისი (იგივენი).

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: აღმ. ანატ.; ჩრდ. დას. ირ.

Ser. Officinales Chinth. Под Betonica L. на Кавказе, Тр. Инст. Бот. АН СССР XIII (1953) 174.—ფოთლები მოგრძოკვერცხისებრია ან ფართო ლანცეტა, მცენარე მოკლებეწვიანია ან შიშველი.

5. *B. officinalis* L. Sp. Pl. ed. II (1764) 810; Willd. Sp. Pl. III, 1 (1800) 93; Bieb. Fl. Taur.—Cauc. III (1819) 398; DC. Prodr. XII (1848) 406; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 407; Boiss. Fl. Or. IV (1879) 752; Гросср. Фл. Кавк. III (1932) 308; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 337; Хинтибидзе во Фл. Груз. VII (1952) 322 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 101; Хинтибидзе, Род Betonica L. на Кавказе. Тр. Инст. Бот. АН СССР XIII (1953) 147; Гаджиев во фл. Азерб. VII (1957) 329; Хинтибидзе в Опред. раст. Груз. I (1963) 422 (georg.); Тер-Хачат. в Гросср. Фл. Кавк. VIII (1967) 367.—*Stachys officinalis* Bhattacharjer in Davis Fl. Turkey 7 (1982) 260.

4. მთელი მცენარე ცოტად თუ ბევრად გრძელბეწვიანია; ღერძ-წიწკარი, მარტივი, 35—65 სმ-მდე სიგრძის, რამდენიმე, შებუსუსლი; ფოთლები მოგრძო ლანცეტიდან-მოგრძოკვერცხისებრამდე ფორმის ძირთან გულისებრი, ორივე მხარეზე მწვანე და შებუსუსლი, კიდეებზე ბლაგვხერხებილი, ბლაგვკვერიანი; ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ზედა — მოკლეყუნწიანი ან თითქმის მჯდომარე; ლეროსეული ფოთლები ჩვეულებრივ 2—3 წყვილია. ყვავილები პატარა ზომისაა, 2 სმ-მდე სიგრძის, ჯამზე 2-ჯერ გრძელი, მრავალყვავილიან ჩხროებად განწყობილი, რომლებიც თავის მხრივ შეკრებილია მჭიდრო თავთავისებურ ყვავილედებად; თანაყვავილაკები კვერცხისებრია, მახვილწვერიანი, ჯამის ტოლია ან მასზე ცოტათი მოკლე; ჯამის კბილები სამკუთხა-სადგისისებრია გრძელ ჯაგრისებრ ბეწვიანი, ჯამის მიღზე 2-ჯერ მოკლე; გვირგვინი მუქი მეწამულია, გარედან მოკლებეწვიანი; გვირგვინის მილი ამოყოფილია ჯამის მილიდან; გვირგვინის ზედა ტუჩი კვერცხისებრია ან მოგრძო, კიდეებზე ტალღისებრია ან დაკბილული; ქვედა ტუჩი ფართო კვერცხისებრია დაკბილული შუათანა ნაკვით და მოგრძო კვერცხისებრი ფორმის, მოკლე, გვერდითი ნაკვითაა; მტვრიანათა ძაფები შებუსუსლია, გვირგვინის მილიდან ამოყოფილი. კაკლუჭა მოგრძო კვერცხისებრია, შებრტყელებული, შიშველი. VI—IX. 2n=16.

აწერილია ევროპიდან (Herb. Linn. 735/1).

იზრდება მდელოებზე, ტყის პირებსა და ველობებზე, აგრეთვე გამეჩხვრებულ ტყეებსა და ბუჩქნარებში ტყის ქვედადან — სუბალპურ სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: თბილისის მიდამოები (ზედეღემეიერი); კიკეთის მიდამოები (ხინთიბიძე, ნადირაძე); კოჯორი (სმირნოვი, კაპელერი); ბაქურიანსა და ბორჯომს შორის (მლოკოსევიჩი; შიშკინი); საკოჰავი (კოზლოვსკი); ბაქურიანი (მიშენკო; კემულარია); 12 — კახ.: თელავი (პასტუხოვი); 14 — გარე კახ.: მანავის ცივი (ყანჩაველი); ოლგინსკოე (ტიმოფეევი); გომბორი (ტროფიმოვი); 16 — თრიალ.: მანგლისი (ზედეღემეიერი); წალკის მიდამოები (კუცენკო); 17 — ქვ. ქართ.: ბორჩალოს მიდამოები (კეცხოველი); 18 — ჯავახ.: ახალქალაქი, ხოზაინის ტბა (ყანჩაველი); 19 — მესხ.: ახალციხე, სოფ. სულდა (ოსონოვსკი).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; აზერბ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ევრ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. „საქართველოს ფლორის“ VII ტომში მოყვანილია შემდეგი სახესხვაობები: Var. *rosea* Chinth.— გვირგვინი ვარდისფერია; Var. *hirsuta* Albov — მცენარე ხშირ და გრძელბეწვიანია. ორივე სახესხვაობა იზრდება სახეობის არეალში.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა. სამკურნალო მცენარეა.

6. *B. glabrata* C. Koch Linnaea XXI (1848) 643; Хинтибидзе во Фл. Груз. VII (1952) 332 (georg.); eadem, Род *Betonica* L. на Кавказе. Тр. Инст. Бот. АН СССР XV (1953) 176; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 196; Хинтибидзе в Определ. раст. Груз. I (1963) 422 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 367.—*B. officinalis* Колак. Фл. Абх. IV (1949) 59 поп L.; idem, Растит. мир Колх. (1961) 312; idem, Фл. Абх. 2, II (1983) 246.—*B. officinalis* auct. cauc. p. p. Boiss. Fl. Or.

IV (1879) 752; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 309; Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 240.—*B. officinalis* var. *glabrata* (C. Koch) Beck von Mann. Fl. von Ostnied. Ost. (1890—1915);—*B. officinalis* subvar. *glabrata* (C. Koch) Bviquet in Engl. Pflanzenfam. IV (1897) 2 261.—*B. officinalis* var. *glabra* C. Koch в Маевск. Фл. ср. пол. Евр. части СССР (1940) 621.

24. ღერო რამდენიმეა, წვრილი, მარტივი ან იშვიათად დატოტვილი; შიშველი ან გადახრილმეჩხერბუწვიანი; ფოთლები შიშველია ან ზედა მხარეზე შებუსუსული გაფანტული ბუწვით; ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ფართო ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა, ძირთან უთანაბროდ წაკვეთილი ან უფრო იშვიათად ნახევრად გულისებრი, დაკბილული; ზედა ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, წვერისკენ შევიწროებული, კიდედაკბილული. ყვავილთაწერი ფოთლები ისეთივე ფორმისაა, როგორც ღეროსეული, მხოლოდ უფრო დაბატარაყვებულა; ყვავილები 2 სმ-მდე სიგრძისაა, მჯდომარე, ჩხროდ განწყობილი; ზედა ჩხროები თავის მხრით მჭიდრო თავთავისებრ ყვავილედს ქმნის, ხოლო ყვავილედის ერთი ქვედა ჩხრო საგრძნობლადაა დანარჩენებს დაშორებულად ისე, რომ ყვავილეთი წყვეტილია; ჯამი თითქმის შიშველია, ბადეძარღვიანი; ჯამის კბილები მოკლეწაშაშაინა; გვირგვინი მეწაშულია, შიშველი; გვირგვინის მილი მოთეთროა, გადანალუნზე ორჯერ გრძელი. VI—VIII.

აწერილია იმერეთიდან.

იზრდება ტენიან ადგილებსა და ზღვის სანაპირო დაბლობებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: ოჩამჩირის რაიონი, სოფ. მოჭვი (იბროვია); სოხუმის მიდამოები (მუშინსკი); ვაგრის მიდამოები (იბროვია); მდ. ბუბესირის სანაპირო (კვარაცხელია); სოხუმის რაიონი, აჩიგვარა (ბუაჩიძე); 4 — სამეგრ.: სენაკის რაიონი, სოფ. ლეძამძე (მაყაშვილი); 5 — იმერ.: ქუთაისი, რიონის რკინიგზის პირას (მედვედევის ჰერბარიუმი); ქუთაისის მიდამოები, მოწამეთა (ა. ქუთათელაძე); 7 — აჭარ.: ბათუმის მიდამოები, ქობულეთი (როლიონოვი).

სსრკ.: ევრ. ნაწ.

საერთო ვავრცელ.: დას. ევრ.

ჯვარბი 20. STACHYS\* L. — ღეღაფუჭაბარა

ყვავილები ორსქესიანია, მჯდომარეა ან ყუნწიანი, შეკრებილი 2-მრავალყვავილიან ნახევრადჩხროებად, რომლებიც ყვავილთაწერი ფოთლების ილღებში ან ტოტების ბოლოებზეა თავთავისებრი ან თავაკისებრი ყვავილედებად განწყობილი. თანაყვავილაკი 2. ზოგჯერ გრძელია და ბალახოვანი, ზოგჯერ პატარა ზომისაა და საღვთისებრი ან ჯაგრისებრი ფორმის და აღრე ცვივა. ჯამი მილისებრ-ზარისებრია, ნაყოფობისას ხშირად დიდდება, ხუთკბილა, 5 ან 10-ბარღვიანი; ჯამის კბილები სწორია ან თითქმის სწორი ან ორტუჩა; ჯამის ხახა სწორია ან ირბი. გვირგვინი სხვადასხვა ფერისაა: იასამნისფერი, ვარდისფერი, წითელი, მეწაშული, იისფერი ან ყვითელი და მოთეთროც; გვირგვინის მილი სწორია ან ოდნავ მოხრილი, ჯამშია ჩამალული ან ცოტად თუ ბევრად ამოყოფილია ჯამიდან, ხახა ქვედა ნაწილში შიგნითა მხარეზე აღჭურვილია ბე-

\* დაამუშავა [ო. კაპელუმა]; დამატებები შეიტანა ლ. ხინთიბიძემ

წვიანი რგოლით; გვირგვინის გადანალუნი 2-ტუჩა: ზედა ტუჩი სწორმდგომი, ოდნავ ამობურცული, კიდემთლიანი ან წვრილკბილა, ანდა წვერზე ცოტად თუ ბევრად ღრმად ამოკვეთილი; ქვედა ტუჩი 3-ნაკვეთიანია, უფრო დიდი ზომის შუათანა ნაკვეთით. მტვრიანა 4, გვირგვინის მილიდან ცოტად თუ ბევრად ამოყოფილი და ზედა ტუჩის ქვეშ ამოფარებული; გვერდითი ორი მტვრიანა ორ შუათანაზე გრძელია და დაყვავილების შემდეგ გვერდზეა გადახრილი; სამტვრეები 2-ბუღიანია, ბუღეები ერთმანეთისაგან 90°—180° კუთხითაა განზიდული. მტვრის მარცვალი ელიფსურია, სამნაკვეთიანი, მერიდიულად განლაგებული სამი, პოლუსებთან თითქმის ურთიერთშერწყმული ღარიტ; პოლარული ღერძის სიგრძე 26—28,8 მიკრონამდეა; ღარი გრძელია, ვიწრო, უთანაბრო კიდეებით და სოლისებრი ბოლოებით. სვეტი გვირგვინის მილიდანაა ამოყოფილი, 2-ნაკვეთიანია, ნაკვეთიმ უთანაბროა, მოკლე და სადგისისებრი. კაკლუშები უკუკვერცხისებრია, მომრგვალო უკუკვერცხისებრი ან ელიფსური, წვერზე მომრგვალებული, შიგნითა მხარეზე სუსტად 3-წახნაგოვანი, გარეთა მხრიდან ამობურცული. — ერთ, ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, უფრო იშვიათად ნახევრადბუჩქები, მთლიანი, უფრო იშვიათად ფრთისებრ დაყოფილი, შიშველი, აბრეშუმისებრ შებუსული, მატყლისებრი ან ბანჯგვლიანი ბეწვით და გარდა ამისა, მოფენილი მჯდომარე ჭირკვლებით, რომლებიც ეთერ-ზეთებს გამოყოფენ.

1. ღეროსეული ყველა და ყვავილთანური ფოთლები, წვერზე მოყვითალო ჯაგრიტაა; ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, თითქმის მჯდომარე; მთელი მცენარე ხშირ რბილ გაფარჩხულბეწვიანია, მწვანეა ან მონაცრისფრო. ღერო დაკლანკილია. გვირგვინი პატარა ზომისაა, მკრთალი ვარდისფერი ან ქუჩყისფერ წითელი; უფრო გრძელი თანაყვავილაკები ხაზურ-ლანცეტაა, ფხიანი, ჯამის მილის ტოლი ან ცოტათი მასზე გრძელი, ხშირად აღრე ცვივა . . . . . 10. *S. setifera* C. A. Mey.

— ღეროსეულ ფოთლებს წვერზე ჯაგრები არ აქვს, მხოლოდ სულ ზედა ღეროსეული და კენწრული ფოთლები ზოგჯერ წვერით ბოლოვდება . . . . . 2

2. უფრო გრძელი თანაყვავილაკები თითქმის ჯამის ტოლია ან მისი სიგრძის 1/2-ს შეადგენს; ნახევრადჩხროები მეტწილად მრავალყვავილიანია; ჯამის კბილები შიგნითა მხარეს ან ჯამის მილის ხახის ახლოს გრძელბეწვიანია, მრავალწლოვანი მცენარეებია, ჩვეულებრივ ხშირი, მეტწილად ღერო და ფოთლები მატყლისებრი, ბანჯგვლიანი ან ქეჩისებრშებუსულია მარტივი ბეწვით . . . . . 3.

— თანაყვავილაკები პატარა ზომისაა, ხაზური, სადგისისებრი ან ჯაგრისებრი; ნახევრადჩხროები 2—6, უფრო იშვიათად 8—10 ყვავილიანია. ნახევრადბუჩქები, მრავალწლოვანი, ორწლოვანი ან ერთწლოვანი მცენარეებია სხვანაირი შებუსვით, უფრო იშვიათად მცენარე თითქმის ბანჯგვლიანი შებუსვითაა; თუ შებუსვა ქეჩისებრია, მაშინ იგი შედგება ვარსკვლავისებრი ან დატოტვილი ბეწვებისაგან . . . . . 9

3. ჯამი ცოტად თუ ბევრად ნათლად ორტუჩაა, 4 სამკუთხა-ლანცეტა კბილებით; მისი ზედა კბილები ზევიტკენ შერდილია და ოდნავ მოკლეა ქვედაკბილებზე. ფოთლები დიდი ზომისა, კვერცხისებრი ან მომრგვალო კვერცხისებრი, ძირში გულისებრი. გვირგვინის ზედა ტუჩი მომრგვალებულია და ქვედაზე — შესამჩნევად მოკლეა . . . . . 9. *S. macrophylla* Albov

- ჯამი ორტუჩა არ არის, სწორი ან ირიბი ხახითა . . . . .
- 4. ფოთლები ელიფსურია, ვიწრო ელიფსური ან მოგრძო ლანცეტა, უფრო იშვიათად წაგრძელებულ ნიჩბისებრი ან ხაზურ-ნიჩბისებრი, ყველა ფოთოლი სოლისებრ შევიწროებულია ყუნწში. ჯამის კბილები სამკუთხა-ლანცეტაა, მიღზე 2—3ჯერ მოკლე. გვირგვინი ვარდისფერია მეწამული ან იასამნისფერი ელფერი . . . . . 5
- ფოთლები კვერცხისებრიდან ფართო ლანცეტამდეა, ძირთან გაფართოებული, ქვედა და შუათანა ღეროსეული ფოთლები ვულისებრი ძირითაა . . . 6
- 5. მხოლოდ ღეროა ქეჩისებრი შებუსებით, ფოთლები და ჯამი მატყლისებრ ვერცხლისებრ შებუსული; ფოთლები ელიფსურია, უფრო იშვიათად მოგრძო ნიჩბისებრი. ზედა ნახევრადჩრთები ურთიერთმჭიდროდაა განწყობილი და თავთავისებრ ყვავილედს ქმნის, ქვედა — დაშორიშორებულია; ჯამის კბილები თანდათანობითაა წაწვეტებული ან მოკლეწვეტიანია, ცოტად თუ ბევრად ჩამალულია ჯამის ბეწვში. კაკლუშები უკუკვერცხისებრია, 1 1/2 მმ სიგრძის . . . . . 3. *S. lanata* Jacq.
- მთელი მცენარე ცოტად თუ ბევრად ხშირ მორუხო ქეჩისებრ შებუსულია, ზოგჯერ მხოლოდ ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები და აგრეთვე უნაყოფო ყლორტების ფოთლები უფრო გრძელ მატყლისებრ აბრეშუმისებრ ბეწვიანია. ფოთლები ვიწრო ელიფსურია ან მოგრძო ლანცეტა, უფრო იშვიათად ხაზურ-ნიჩბისებრი; ყველა ან მხოლოდ ზედა და შუათანა ფოთლები წვრილნაოჭიანია და ხშირად ქუჭყისფერ-მწვანეა. ყველა ნახევრადჩრთები დაშორიშორებულია; ჯამის კბილები წაწვეტებულია მაგარ და შიშველ ფხაში, რომელიც ამოყოფილია ჯამის ბეწვებიდან. კაკლუშები ფართო უკუკვერცხისებრია . . . . . 4. *S. cretica* L.
- 6. ფოთლები ცოტად თუ ბევრად აშკარად ორფერია: ზედა მხარეზე მწვანეა, მიტკეცილბეწვიანი, ქვედაზე — მონაცრისფრო ქეჩისებრი ან ხშირბეწვიანი. ჯამი სწორია, თითქმის სწორი ხახით; ჯამის კბილები თითქმის ერთნაირია . . . . . 7
- ფოთლები ორივე მხარეზე მონაცრისფრო-მწვანეა, ქვედა მხრიდან უფრო ხშირშებუსულია. ჯამი ირიბი ხახითაა; ჯამის ზედა ერთი ან სამივე ზედა კბილი დანარჩენებზე გრძელია . . . . . 8
- 7. ჯამის კბილები ვიწრო სამკუთხაა, წაწვეტებული ან მოკლეწვეტიანი, მიღზე თითქმის ორჯერ მოკლე; ჯამი ხშირი აბრეშუმისებრ მიტკეცილ ბეწვისაგან მოთეთროა; გვირგვინი მოვარდისფრო-ლილისფერია ან ოდნავ მეწამული, პატარა ზომის გადანალწნით. ფოთლები საშუალო სიდიდისაა; ღერო ზედა ნაწილში მონაცრისფროა მოკლე, მიტკეცილი, ხშირი ბეწვისაგან, ქვედა ნაწილში ცოტად თუ ბევრად ხშირბეწვიანი . . . . . 8. *S. spectabiliformis* Kapell.
- ჯამის კბილები სამკუთხა ძირიდან გრძლად ეკლისებრია წაწვეტებული, ჯამის მიღზე ცოტათი მოკლეა. ღერო და ჯამი გრძელ გაფარჩხულ ბანჯგვლიანბეწვიანია. გვირგვინი მუქიწითელია ან მეწამული, დიდი ზომის გადანალწნით. ფოთლები საკმაოდ დიდი ზომისაა . . . . . 7. *S. spectabilis* Choisy.

6. ჯამი ოდნავ მოხრილია, მწვანე, ბანჯგვლიან, მატყლისებრ შებუსხულ კბილები სამკუთხა-ლანცეტაა, მოკლე ეკლისებრ წაწვეტებული, კიდებზე ჯირკვლოვანი შებუსვა არასოდეს არ აქვს; ზედა სამი კბილი მნიშვნელოვნად გრძელია დანარჩენებზე, ქვედა კბილები ძალიან პატარა ზომისაა. ღერო განსაკუთრებით ზედა ნაწილში მატყლისებრ შებუსხულია თეთრი ბეწვით. ფოთლები ზედა მხარეზე ბანჯგვლიან ბეწვიანია, ხოლო ქვედაზე — უფრო ხშირი და რბილი მატყლისებრი შებუსხვითაა . . . . .

5. *S. germanica* L.

— ჯამი თითქმის სწორია, მუქად შეფერილი, გრძელი, ხშირი, მონაცრისფრო ან მოთეთრო ბეწვით მოფენილი; ჯამის კბილები კიდებზე ყოველთვის ცოტად თუ ბევრად ხშირი ჯირკვლოვანბეწვიანია, ჩვეულებრივ სამკუთხა-კვერცხისებრი ფორმის, უფრო იშვიათად სამკუთხა-ლანცეტაა, მოკლე ეკლისებრ წაწვეტებული, ზედა სამი კბილი ქვედაზე ცოტათი გრძელია. ღერო განსაკუთრებით ზედა ნაწილში მონაცრისფროა გრძელი, ხშირი, ოდნავ დაკლანხილი გაფარჩხული ბეწვისაგან, ხშირად ბანჯგვლიანი შებუსხვითაცაა; ფოთლები ზედა მხარეზე ცოტად თუ ბევრად მიტკეცილხშირბეწვიანია, ქვედაზე — მოფენილია დაკლანხილი, აწეწილი ბეწვებით . . . . .

6. *S. Balansae* Boiss. et Kotschy

9. გვირგვინი მუქი წითელია ანდა ვარდისფერი ან მეწამული სხვადასხვა ელფერიით. . . . . 10

— გვირგვინი ყვითელიდან მოთეთრომდეა, ქვედა ტუჩი ხშირად მოწითალო ლაქებითაა . . . . . 15

10. მცენარე მხოხავი ფესურითაა ან გრძელი მიწისქვეშა ყლორტებით, ფოთლები ძირთან გულისებრია . . . . . 11

— მცენარეს არც მხოხავი ფესურა აქვს და არც მიწისქვეშა ყლორტები; ფოთლები ძირთან გულისებრი არ არის . . . . . 13

11. მცენარე გრძელი მიწისქვეშა ყლორტებითაა; ყლორტების მუხლთშორისები შემოდგომაზე ტუბერივითაა გამსხვილებული. ფოთლები ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა ფორმის, ძირთან ოდნავ გულისებრი, კიდებზე დაკბილულ-ხერხისებრი; ღეროსეული ქვედა და შუათანა ფოთლები მოკლესუნწიანია, მხოლოდ ზედა ან ყველა-მჯდომარეა. ღეროს ზედა ნაწილი და ჯამი მოფენილია მხოლოდ მარტივი ბეწვით. გვირგვინი ქუშყისფერ მეწამულია . . . . . 13. *S. palustris* L.

— მცენარე მხოხავი ფესურითაა; ფოთლები კვერცხისებრია, ძირთან ცოტად თუ ბევრად ღრმად გულისებრი, ყველა ფოთლი ყუნწიანია. ღეროს ზედა ნაწილი და ჯამი მოფენილია მარტივი და ჯირკვლოვანი ბეწვით, გვირგვინი მუქი წითელია . . . . . 12

12. ფოთლები ჩვეულებრივ დიდი ზომისაა, 12 სმ-მდე სიგრძის, წვერზე ცოტად თუ ბევრად წარზიდული, კიდებზე მრგვალ-ხერხებილია; ღერო საკმაოდ მაგარია, 90 სმ-მდე სიგრძის, საერთო ყვავილენი გრძელია. ჯამის კბილები მოგრძო სამკუთხა ფორმისაა, გრძლად წაწვეტებული და საკმაოდ გრძელი წვერით დაბოლოებული, რომელიც თითქმის ჯამის მილის ტოლია . . . . . 11. *S. sylvatica* L.

— ფოთლები პატარა ზომისაა, 3—5 სმ სიგრძის, წვერზე მახვილია ან მობლავეო, კიდებზე მრგვალკბილა ან დაკბილულ მრგვალკბილა, ღერო სუს-



ტია, 60 სმ-მდე სიგრძის. ყვავილედი მოკლეა. ჯამის კბილები სამკუთხა, მოკლედ წაწვეტიებული ან მოკლე წვეტით დაბოლოებული, მიღზე მოკლე

12. *S. trapesuntea* Boiss.

13. გვირგვინი მოვარდისფრო-იისფერია; ჯამის კბილები გრძლად და წვრილად სადგისისებრია წაწვეტიებული, ჯამის მიღზე 2—3-ჯერ გრძელი და მნიშვნელოვნად აღემატება გვირგვინს. ფოთლები მოგრძო ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა, თავსა და ბოლოში შევიწროებული, წვერზე მოზღაგვო ან ოდნავ წაწვეტიებული, ზედა ნახევარში სუსტად დაკბილული, სხვადასხვა სიგრძის სხივიანი ვარსკვლავისებრი შებუსვით; იშვიათად ფოთლები თითქმის მწვანეა და თხლად შებუსული . . . . . 2 *S. lavandulifolia* Vahl.

— გვირგვინი ვარდისფერია ან მეწამული, სხვადასხვა ელფერით; ჯამის კბილები მიღზე მოკლეა ან მისი ტოლი. ფოთლები ვიწრო ელიფსურია ან უკუკვერცხისებრი, ვარსკვლავისებრი ბეწვით შებუსული არ არის . . . . . 14

14. პატარა ზომის ბუჩქებია; ფოთლები ვიწროა, მოგრძო ნიჩბისებრი ან ხაზური. ნახევრადჩრთობი 2-ყვავილიანია; გვირგვინი ვარდისფერია ან ღია მეწამულ-იისფერი . . . . . 1. *S. fruticososa* Bieb.

— მრავალწლოვანი მცენარეებია; ფოთლები უფრო დიდი ზომისაა, მოგრძო ელიფსურია ან უკუღანცეტა. ნახევრადჩრთობი 6—8, უფრო იშვიათად 10-ყვავილიანია; გვირგვინი იისფერ-მეწამულია . . . . .

15. *S. iberica* Bieb.

15. ერთწლოვანი, იშვიათად ორწლოვანი მცენარეებია. ჯამი მწვანეა, გრძელი დანაწევრებული და მოკლეჯირკვლოვანი ბეწვით შებუსული, რომელსაც ჩვეულებრივ მრავალი მჯდომარე ყვითელი ბეწვიც ურევია; ჯამის კბილები ვიწრო სამკუთხაა, გრძელ, შიშველ წვეტში წარზიდული; გვირგვინი მოთეთროა. ფოთლები მწვანეა, მოგრძო კვერცხისებრი ან თითქმის ელიფსური, კიდეებზე მრგვალ ან მრგვალ-ხერხებილა . . . . . 19. *S. annua* L.

— მრავალწლოვანი მცენარეებია. ნიშნები სხვანაირია . . . . . 16

16. ჯამი ამოწეული ძარღვებითაა, მოფენილი გაფანტული, ცოტად თუ ბევრად გრძელი, გადახრილი დანაწევრებული ბეწვითა და მოთეთრო მჯდომარე ჯირკვლებით. ფოთლები საშუალო ზომისაა, კვერცხისებრი, კიდეებზე მსხვილ მრავალკბილა, ძირთან ოდნავ გულისებრია ან ირიბადაა გადაკვეთილი. გვირგვინი ყვითელია ან მკრთალი ყვითელი . . . . .

16. *S. odontophylla* Freyn

— ჯამის ძარღვები არაა ამოწეული, თითქმის მატყლისებრ ბანჯგვლიანია ან ცოტად თუ ბევრად ხშირშებუსულია დანაწევრებული ბეწვით და ასევე მოფენილია ყვითელი, მჯდომარე ჯირკვლებით. ფოთლები უფრო პატარა ზომისაა . . . . . 17

17. ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, მოგრძო ლანცეტა ან მოგრძო ელიფსური ფორმის, ძირთან შევიწროებული, წვერზე წაწვეტიებული ან წვეტიანი. ჯამის კბილები ვიწრო და მოგრძო სამკუთხაა, გრძლად წაწვეტიებული შიშველ წვეტში, ჯამის მილის ტოლი ან ოდნავ მასზე გრძელი, ჯამი შებუსულია არც ისე ხშირი გრძელი გადახრილი ბეწვით . . . . .

14. *S. atherocalyx* C. Koch

- ღეროსეული ფოთლები კვერცხისებრია, მოგრძო კვერცხისებრი, ნიჩბისებრ-კვერცხისებრი ან ელიფსური, ძირთან მომრგვალებული ან ცოტად მოკვეთვით რად ირიბად გადაკვეთილი ან ოდნავ კვერცხისებრი, წვერზე ბლაგვია ან მობლაგვო. ღერო ხშირშეფოთლილი . . . . . 18
18. ჯამის კბილები სამკუთხა-ლანცეტაა, შიშველი, მოკლე წვერით დაბოლოებული, მილზე 2—2 $\frac{1}{2}$ -ჯერ მოკლე; კაკლუქები 2 $\frac{1}{2}$  მმ სიგრძისაა. ფოთლები ოდნავ დანაოჭებულია . . . . . 17. *S. maritima* Gouan.
- ჯამის კბილები ვიწრო სამკუთხა-ლანცეტაა, ეკლისებრ წაწვეტებული, თითქმის წვერამდე შებუსუსული, ჯამის მილზე ოდნავ მოკლე; კაკლუქები 1,5—1,75 მმ-მდე სიგრძისაა, ფოთლები გლუვია . . . . . 18. *S. pubescens* Ten.

Sect. 1. *Thamnostachys* Kapell. Род *Stachys* L. на Кавказе Моногр. сер. А, 4(1961)30—ჩვეულებრივ პატარა ზომის ფოთლებიანი ნახევრადბუჩქებია შიშველი ან ცოტად თუ მეტად მარტივი ბეწვით ხშირშებუსუსული. ნახევრადჩხროები 2—4-ყვავილიანია; თანაყვავილაკი პატარა ზომისაა, სადგისისებრია ან ხაზურ-სადგისისებრი, ზოგჯერ შეუშინველი, ჩვეულებრივ მოთეთრო. გვირგვინი ჯამის კბილებს აღემატება.

Ser. 1. *Fruticulosa* e (Boiss.) Knorr. во Фл. СССР XXI (1954) 215. —Sect. *Stachyotypus* Boiss. § 6 Boiss. Fl. Or. IV (1879) 716, 735 ex p. emend. — ძლიერ დატოტვილი ნახევრადბუჩქებია, მოკლე და სწორმდგომი ღეროებით; ფოთლები შიშველია ან ოდნავ შებუსუსული. მცენარე გაფარჩხულ დატოტვილი ან სწორმდგომი ტოტებიოა. ჯამის კბილები თანაბარია ან თითქმის თანაბარი.

1. *S. fruticulosa* Bieb. Tabl. d. prov. App. (1798) 115; idem, Fl. Taur.—Cauc. II (1808) 51; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 486; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1849) 419; Boiss. Fl. Or. IV (1879) 737; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 312; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 338; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 360 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 102 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 225; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 318; Капеллер Род *Stachys* на Кавказе. Моногр. сер. А. 4 (1961) 31; eadem в Опред. раст. Груз. I (1963) 425 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 371; Bhattacharjee in Davis Fl. Turkey 7 (1982) 257.—*S. fruticulosa* var. *pubescens* Kapell. во Фл. Груз. VII (1952) 360 (georg.); Дєрвиз—Соколова Новости сист. высш. раст. (Ленинград) 14 (1977) 193.

2. 30 მმ-მდე სიმაღლის, გაფარჩხულტოტებიანი ნახევრადბუჩქებია; მცენარის მწვანე ნაწილები (ნორჩი ყლორტები, ფოთლები, ყვავილის ყუნწები, ჯამი) თხლად შებუსუსულია მოკლე ხუჭუჭა ბეწვით; ღეროსეული ფოთლები პატარა ზომისაა, მოგრძო ნიჩბისებრი, მოგრძო ელიფსური ან ხაზური, 7—12 მმ სიგრძისა და 2—3 მმ სიგანის, ძირთან შევიწროებული, მკდომარე, მხოლოდ ზედა ნახევარშია სუსტად დაკბილული, ბლაგვწვერიანი; თანაყვა-



ვილი ისეთივე ფორმისაა, როგორც ღეროსეული, მაგრამ უფრო პატარა ზომისაა, მახვილწვერიანია და ჩვეულებრივ კიდემთლიანი. ჩხროები 2-ყვავილიანია, ურთიერთ დაშორიშორებულნი; ყვავილები ყუნწიანია, ზოგჯერ თითქმის მჯღმარე; თანაყვავილაკები ძალიან პატარა ზომისაა, სადგისისებრი, თეთრი, სუსტად შებუსვლილი; ჯამი სწორია, სუსტად გამოჩენილი ძარღვებით, სწორი და შიშველი ხახით; ჯამის კბილები თითქმის თანაბარია, სამკუთხა-ლანცეტა ფორმის, წვერზე სადგისისებრ წაწვეტებული, მიღზე 2-ჯერ მოკლე, შიგნითა მხარეზე მოფენილი მოკლე ბეწვებით; გვირგვინი ვარდისფერია, ზედა ტუჩის ძირთან ორივე მხარეზე თითო მეწამული ფერის ზოლია. გვირგვინის მილი ჯამშია ჩამალული, ქვედა ნახევარი შიშველია, ზედა ნახევარში მოფენილია სუსტად დანაწევრებული გრძელი და ხშირი ბეწვით, რომლებიც ჩვეულებრივ ქვევითაა დახრილი; გადანაღლნი უფრო მოკლე და სუსტი შებუსვითაა; ზედა ტუჩი წვერზე ვიწრო და საკმაოდ ღრმადაა ამოკვეთილი, უფრო იშვიათად ოღნავ დაკბილულია; ქვედა ტუჩი ზედაზე გრძელია, მისი შუათანა ნაკვთი ოღნავ ამოკვეთილია. კაკლუბა უკუკვერცხისებრია, მუქი მურა ფერის, გლუვი, 3,75—4 მმ სიგრძის. V—VI.

აწერილია აღმოსავლეთ კავკასიონიდან და საქართველოდან: „Habitat in Caucasi Orientalis et Iberica lapidosis montis“.

იზრდება მშრალ, ღორღიან, თიხნარ ადგილებზე, ხშირად სუსტად დამლაშებულ ფერდობებზე, მთის ქვედადან შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: გლდანსა და მამკოლას შორის (ქუთათელაძე, ხინთიბიძე, მცხეთაძე, ოდიშვილი); მცხეთასა და ბებრის ციხეს შორის (კაპელერი); მცხეთასა და შიომღვიმის მონასტერს შორის (ხინთიბიძე); კასპსა და იგოეთს შორის (სოსნოვსკი, მანდენოვა); სოფ. ქსანთან (ზედელმეიერი); შიომღვიმის ქედის სამხრეთის ფერდობი (შიშვინი; ვართაბეტინი; ხარაძე, ხინთიბიძე, ქუთათელაძე); მცხეთასა და საგურამოს შორის (სოსნოვსკი); 12 — კახ.; 13 — ქიზ.; შირაქი, პანტიშარას ხეობა (სახოკია); 14 — გარეკახეთი: თეთრი უდაბნო (ტროიცი); დავით გარეჯის მონასტერთან (ყავრიშვილი); უდაბნო (კაპელერი).

სსრკ: კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილი, ცენტრალური და აღმოსავლეთი ამიერკავკასია.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. გარდა ტიბიური ფორმისა, ო. კაპელერის მიერ აღნიშნული შემდეგი სახესხვაობა: *Var. leptophylla* C. Koch in *Linnaea* XXI, 1 (1848) 694. — გვირგვინი უფრო დიდი ზომისაა, ფოთლები ხაზურია.

იზრდება ღორღიან ფერდობებზე მთის ქვედა სარტყელში სახეობის არეალში.

საქ. სსრ.: 13 — ქიზ.: შირაქი, ეშმაკის ხევი (ფომინი); პანტიშარას ხეობა (კაქულია); ელდარის ველი (კაქულია).

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა. ეთერ-ზეთოვანი მცენარეა.

**Sect. Ziedenia** (Gled.) Benth. Lab. Gen. Sp. (1832—1836) 563 ex. p.— ნახევრადბუჩქებია პატარა ზომის ფოთლებით. ღერო, ჯამი და თანაყვავილაკები შებუსვლილია მარტივი, უკანა გადახრილი გრძელი და ჯირკვლოვანი მოკლე ბეწვით. ფოთლები მოფენილია ხშირი, ვარსკვლავისებრი ბეწვით, ამ უკანასკნელებს აქვთ სხვადასხვა სიგრძის სხივები, რომელთაგან გრძელი სხივებისაგან წარმოქმნილია აბრეშუმისებრი მიტყეცილი შებუსვა, მოკლესაგან ქეჩისებრი შებუსვა. ნახევარდქოლები 4—6 ყვავილიანია. თანა-

ყვავილაკები პატარა ზომისაა, ხაზურ-ჯაგრისებრი ან ხაზური. ჯამის კბილები მნიშვნელოვნად აღმატება გვირგვინს.



2. *S. lavandulifolia* Vahl. Symb. Botan. I (1790) 42; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 489; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1849) 481; Boiss. Fl. Or. IV (1879) 743; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 313; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 339; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 361 (georg.); Макашвили. Фл. окр. Тбилиси II (1953) 103 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 228; Рзазаде во Фл. Азѣр. VII (1957) 321; Кареллер—Род *Stachys* L. на Кавказе. Моногр. сер. А. 4 (1961) 56; Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 373; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 386; Bhattacharjee in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 239.—*Sideritis calycantha* Bieb. Fl. Taug.-Cauc. III (1819) 393.

Is.: Макашвили. Фл. окр. Тбилиси II (1953) табл. СII; Фл. СССР XXI (1954) табл. XIII, рис. 2.

Ex.: Pl. or. exs. 293.

4. ნახევრად ბუჩქია, ტოტები ძირთან განეგებულა, რომლებიდანაც ვითარდება საყვავილე ღეროები და დამოკლებული უნაყოფო ყლორტები; საყვავილე ღეროები წამოწეულია და 20 სმ-მდე სიმაღლისა და მარტივია, შებუსუსული გრძელი, მარტივი, დანაწევრებული და უკან გადახრილი ბეწვითა და მოკლეჯირკვლოვანი ბეწვით; საყვავილე ღეროსა და უნაყოფო ყლორტების ფოთლები წაგრძელებული ან ხაზურლანცეტაა, თავსა და ბოლოში შევიწროებული, ყუნწიანი, კიდემთლიანი ან ზედა ნაწილში ხშირად სუსტად დაკბილული, წვერზე მობლავო ან ოდნავ წაწვეტებული, თითქმის პარალელური ან ქვედა მხარეზე გამოჩენილი ძარღვებით, ორივე მხარეზე (განსაკუთრებით ქვედაზე) თეთრია ან მოთეთრო ხშირი ვარსკვლავისებრი ბეწვისაგან; ვარსკვლავისებრი ბეწვის ერთი სხივი გრძელია, ხოლო 5—9 მოკლეა, ამასთანავე გრძელი სხივებისაგან შექმნილია მიტკეცილი აბრეშუმისებრი შებუსუსვა, ხოლო მოკლე სხივებისაგან ქეჩისებრი შებუსუსვა; გარდა ამისა, მოფენილია ძლიერ მოკლე ჯირკვლოვანი და მოყვითალო ან მომწვანო მჯდომარე ბეწვით; თანაყვავილი ელიფსურია, წაგრძელებულ-კვერცხისებრი ან ლანცეტა, მჯდომარე, წვეტიანი, ქვევითკენ გადახრილი, მოფენილი ვარსკვლავისებრი, გრძელი დანაწევრებული და მოკლე ჯირკვლოვანი ბეწვით, კიდებზე წამწამებიანია. ნახევარჩხროები 4—6-ყვავილიანია, ზედა — ურთიერთმიახლოვებულია, ქვედა — დაშორიშორებულია; თანაყვავილაკები პატარა ზომისაა, ხაზურ-ჯაგრისებრია, გრძელბეწვიანი; ჯამი სწორია, გრძელბეწვიანი სწორი ხახით, დანაწევრებული გრძელი ბეწვისაგან მოთეთროა; გარდა ამისა, ჯამი მოფენილია პატარა ზომის ჯირკვლოვანი ბეწვითა და მოყვითალო ან მომწვანო მჯდომარე ჯირკვლებით; ჯამის კბილები გადახრილია, თითქმის თანაბარზომის, აქვს ვიწრო ლანცეტა ძირი, რომელიც თანდათანობით გრძელ სადგისიებრ წვეტში გადადის; წვეტი 2—3-ჯერ გრძელია ჯამის მიღზე და მნიშვნელოვნად აღმატება გვირგვინს; გვირგვინი მოწითალო-იისფერია; გვირგვინის მილი ქვედა ნაწილში შიშველია, ზედაში — სუსტად შებუსუსული, მისი გადანაღუნი გარედან თხლად შებუსუსულია; ზედა ტუჩი წვერზე კიდემთლიანია ან ოდნავ ამოკვეთილი; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვით ცოტად თუ ბევრად აშკარად გამოსახული



ამონაცვეთითა ან იშვიათად კიდემთლიანია. კაკლუშა ფართო უკუკვერცხისებრი, მურა, წვრილად დაწინწკლული, თითქმის გლუვი, 3 მმ-მდე სიგრძის.  $\sqrt{VI. 2n=34}$ .

აწერილია აღმოსავლეთიდან: „Habitat in Oriente. Juxta herbarium Vaillantii descripti“.

ობრდება ქვიან ადგილებსა და ნახევებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში, იშვიათად გვხვდება სუბალპურშიც.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: თბილისი, თელეთის ქედი (სახოკია; ზედელმეიერი, გეიდემანი; სულაკაძე; კაპელერი; ქუთათელაძე; ხინთიბიძე; მცხვეთაძე; არხიპიანი; კაფიევი); თელეთის ქედის განშტოება, თაბორისი (კაპელერი); კოჯორი (ზედელმეიერი); თბილისი (პავირევი; მედვედევის ჰერბარიუმი); მცხეთა (სოსნოვსკი); თბილისის ბოტანიკური ბაღი (ვორონოვი); მცხეთასა და კარსანს შორის (კაპელერი); ატენის ხეობა, სოფ. ატენთან (ქიქოძე; ვორონოვი); თესამის ხეობა რკონის მონასტერთან (ქუთათელაძე, შხიანი); 19 „ მესხ.: ასპინძა, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო (ხინთიბიძე; ხინთიბიძე, მუყბანიანი); ოშორის ქედი (კოზლოვსკი); სოფ. ოთასა და დამალას შორის (კოზლოვსკი); ასპინძის მიდამოები აბანოებთან (ხინთიბიძე).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.  
საერთო გავრცელ.: მც. აზ.; ირ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა. შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დეკორატიული მცენარე.

Sect. 3. *Eriostachys* Benth. Lab. Gen. Sp. (1832—1836) 534. — ღერო და ფოთლები შებუსხულია მეტწილად მატყლისებრი, ბანჯგვლიანი ხშირი მარტივი ბეწვით ანდა შებუსხვა ქეჩისებრია. ფოთლები საშუალო ზომისაა, უფრო იშვიათად დიდია. ნახევრადჩხროები ჩვეულებრივ მრავალყვავილიანია, უფრო იშვიათად 6—10-ყვავილიანი. თანყვავილაკები ბალახოვანია, მათში ყველაზე გრძელი — ლანცეტა ან ხაზური ფორმის, სიგრძით თითქმის ჯამის ან მისი ნახევრის ტოლია.

Ser. 1. *Lanatae* Knorr. ser. nov. во Фл. Груз. XI (1987) 238 in Addenda VI; во Фл. СССР XXI (1954) 200 (descr. ross). — ღერო ქეჩისებრი ან მატყლისებრი შებუსხულია, უფრო იშვიათად ბანჯგვლიანი; ფოთლები ელიფსურია, ნიჩბისებრი, კვერცხისებრი ან ლანცეტა, ორივე მხარეზე ხშირშებუსული, ხშირად ცოტათი გასქელებული. ნახევრადჩხროები მრავალყვავილიანია.

3. *S. lanata* Jacq. Icon. Pl. rar. I (1781—1786) 11, tab. 107; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 50; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 463; Boiss. Fl. Or. IV (1879) 718; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 311; idem, Опред. раст. Кавк. (1940) 338; Колак. Фл. Абх. III (1949) 60; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 344 (georg.); eadem, Род *Stachys* на Кавказе. Моногр. сер. А 4 (1961) 63; Колак. Растит. мир Колх. (1960) 319. — *S. byzantina* Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 271 non C. Koch.; Bhattacharjee in Davis. Fl. Turkey 7 (1982) 220 p. p.

4. მთელი მცენარე შებუსხულია რბილი, კვერცხლისფერი ხშირი ბეწვით; ღერო პორიზონტალური ფესურითაა და ძირიდანვე წამოწეული, ზემოთ სწორ-



მდგომი, 60 სმ-მდე სიგრძის, მარტივია ან სუსტად დატოტვილი, ქაჩვიანად მოქსოვილი ბუსული; ფესვთანური, ღეროსეული და უნაყოფო ყლორტების ფოთლები გლიფსურია, უფრო იშვიათად წაგრძელებულ ნიჩბისებრი, ყუნწში სოლისებრ შევიწროებული; მისი ყუნწი ფირფიტაზე ოდნავ მოკლეა; თანაყვავილი ღანცეტაა, მჯდომარე; ყველა ფოთოლი — კიდემლოტიანია ან ძალიან წვრილმრგვალებილია, ორივე მხარეზე ისევე როგორც ჯამი, მატყლისებრ აბრეშუმისებრ შებუსულია. ნახევრადჩხროები მრავალყვავილიანია, ზედა — ურთიერთ მიახლოებულია და მჭიდრო თავთავისებრ ყვავილედს ქმნის, ქვედა — დაშორიშორებულია; უფრო გრძელი თანაყვავილაკები ხაზურ-ღანცეტაა, სიგრძით ჯამის ნახევრის ტოლია, ყველა თანაყვავილაკი გრძელბეწვიანია; ჯამი ოდნავ შოხრილია, მისი ხახა ირიბია, ისევე როგორც ჯამის კბილები შეინიდან გრძელბეწვიანია; ჯამის კბილები სამკუთხა-ღანცეტაა, თანდათანობით წაწვეტილებული ან მოკლე წვეტით დაბოლოებული, ჯამის მიღზე 2—3-ჯერ მოკლე; გვირგვინი ვარდისფერია, მეწამული ელფერი; გვირგვინის მილი ჯამშია ჩამალული, გარეთა მხრიდან მხოლოდ ზედა ნაწილშია შებუსული, ვადანაღუნი გარეთა მხარეზე გრძელი და ხშირი ბეწვითაა. ასევე, გვირგვინის ხახა გარედან გრძელი და ხშირბეწვიანია; ზედა ტუჩი წვერზე არაა ამოკვეთილი, მომრგვალებულია. კაკულაში უკუკვერცხისებრია, მომურო, ძალიან წვრილად დაწინწკლული, თითქმის გლუვი ზედაპირით, 1½ მმ სიგრძის. V—VII. 2n=30.

სახეობის კლასიკური ადგილი ავტორის მიერ არაა მითითებული. იზრდება მთის ქვედადან ზედა სარტყლამდე ტყის პირებზე, ნახტებზე, ბუჩქნარებს შორის, კლდეებზე, გზის პირებზე, მშრალ ადგილებზე და როგორც რუდერალური — ბაღებსა და მინდვრებში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: (მოგვეყავს ა. კოლაკოვსკის მიხედვით). სსრკ.: იმიერკავკ. (დალესტანი); ამიერკავკ.: აზერბ., სომხ., ევრ. ნაწ. (ყირიმი და ვოლგის პირეთი).

საერთო გავრცელება: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (აღმ. ნაწ.); ანატ.; შუა ევრ. (გაველურებულია და კიდევაც აშენებენ).

შ ე ნ ი შ ე ნ ა. როგორც აღენიშნეთ ამ სახეობის კლასიკური ადგილი ყუკენის მიერ არ არის მითითებული. საქართველოსა და კერძოდ აფხაზეთისათვის იგი გვარ *Stachys L.*-ის მონოგრაფი ო. კაპლერის მოყვანილი აქვს ი. ვორონოვისა და შემდეგ ა. კოლაკოვსკის მიხედვით. აქვე უნდა დაფუძნოთ, რომ ა. კოლაკოვსკიმ «Флора Абхазии»-ს მეორე გამოცემის მეორე ტომში (1982) *S. lanata Jacq.* მოიყვანა *S. byzantica C. Koch*-ს სინონიმად.

ამ გვარის მონოგრაფის ო. კაპლერის მიხედვით (1961) *S. lanata Jacq.*-ს ახასიათებს ვერცხლისფერ-ქეჩისებრ შებუსული ღერო და ორივე მხარეზე ვერცხლისფერ-მატყლისებრ-აბრეშუმისებრ შებუსული ფოთოლი, *S. byzantica C. Koch*-ს კი მიტკეცილ შებუსული ღერო და თეთრად ქეჩისებრ შებუსული ფოთლის ქვედა მხარე, ხოლო ფოთლის ზედა მხარე ბეწვიანია და მწვანე. ზემოხსენებული განსხვავებული ნიშნების საფუძველზე ო. კაპლერს მიაჩნია მათი აღდგენა და დამოუკიდებელ სახეობებად განხილვა, რაც სრულიად მართებულია მიგვაჩნია.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა. დეკორატიული მცენარეა. იზარება ხალხურ მედიცინაში, როგორც სისხლისდენის შემამჩრებელი საშუალება და ასევე კუჭის დაავადების შემთხვევაში. მისი თესლი 19—25%-მდე ზეთს შეიცავს.



4. *S. cretica* L. Sp. Pl. (1753) 581; Boiss. Fl. Or. IV (1879) 749; Фомин Тр. Тифл. бот. сада VI, 2(1902) 58; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 311; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 338; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 344 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 102 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 201; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 310; Капеллер Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 68; eadem, в Опред. раст. Груз. I (1953) 423 (georg.); Капеллер в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 374.

Is.: Фл. СССР XXI (1954) табл. X, рис. 2.

4. მონაცრისფრო ხშირ ქეჩისებრ შებუსული მცენარეა, ზოგჯერ ფესვ-თანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები და უნაყოფო ყლორტების ფოთლები უფრო გრძელი მატყლისებრ აბრეშუმისებრი შებუსვითაა, ღერო სწორია, 60 სმ-მდე სიმაღლის, ჩვეულებრივ დატოტვილი; ფოთლები ვიწრო ელიფსურია ან მოგრძო ლანცეტა ფორმის, უფრო იშვიათად ხაზურ-ჩიხისებრი, ძირთან სოლისებრ შევიწროებული, კიდებზე წვრილ მრგვალებილა; ფესვთანური და აგრეთვე უნაყოფო რიზეტა ფოთლები საკმაოდ გრძელყუნწიანია; ღეროსეული შუათანა და ზედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, თითქმის მკდომარე; ყვავილ-თანური ფოთლები ლანცეტა ან სამკუთხა-ლანცეტაა, მკდომარე; ყველა ან მხოლოდ შუათანა ან ღეროსეული ზედა ფოთლები წვრილდაა დანაოჭებული და ხშირად ორივე ან მხოლოდ ზედა მხრიდან ქუჩყისფერ მწვანე. ნახევრადჩხრო-ები მრავალყვავილიანია, ურთიერთ დაშორიშორებული; უფრო გრძელი თანაყვავილაკები ლანცეტაა, ეკლისებრი წვეტით, სიგრძით ჯამის კბილების ძირამდე აღწევენ, ყველა თანაყვავილაკი ბანჯგვლიან ბეწვიანია; ჯამი სწორია, ირიბი ხახით; ხახა და ჯამის კბილები შიგნითა მხრიდან მოფენილია გრძელი ბეწვით; ჯამის კბილები ოდნავ უთანაბროა, სამკუთხა-ლანცეტა ფორმის, შიშველ ფხაშია წაწვეტებული, რომელიც ჯამის შებუსული ნაწილიდან ამოშვერილია და 2—2, 25-ჯერ მოკლეა ჯამის მიღზე; გვირგვინი მოვარდისფრო-იასამნისფერია, ჯამში ჩამალული; გვირგვინის მილი გარედან შიშველია; გადანალენი გარედან გრძელბეწვიანია; ზედა ტუჩი წვერზე კიდემთლიანია, ამოკვეთილია ან ოდნავ დაკბილული. კაკლუქა ფართო უკუკვერცხისებრია, მომურო, წვრილად დაწინწკლული, თითქმის გლუვი, 2—2, 25 მმ სიგრძის. V—VII.

აწერილია კრიტოსის კუნძულიდან: «Habitat in Creta» (Herb. Linn. 736/6).

იზრდება დაბლობებზე და მთის ქვედა სარტყლის შპრალ ფერდობებსა და ბუჩქნარებში.

საქ. სსრ.: 5 — იმერ.: იმერეთი (სულაკაძე); 8 — სამხრ. ოს. (საქართველოს ფლორა); 9 — ქართ.: მცხეთა (ფომინი); 10 — მთიულ.: დუშეთსა და ანანურს შორის (პავირევი); 19 — მესხ.: ახალციხე, მდ. ფოცხოვის მარცხენა მხარე (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); საფარის მონასტრის გზაზე (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); ახალციხე (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ადიგენსა და ზარზმას შორის (იგიენი); წნისსა და აწყურს შორის (სოსნოვსკი); ოშორის ქედი, აწყურისაკენ (კოზლოვსკი); ს. კლდეს მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე; ხინთიბიძე); ოთასა და დამალას



შორის (კოზლოვსკი); დამალა (კოზლოვსკი); ქისათიბი (კოზლოვსკი) <sup>ქაქულტოლის</sup>  
ხესა და ქისათიბს შორის (კოზლოვსკი). <sup>საქართველოს</sup>

სსრკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი).  
საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზია; ერაყი.

5. *S. germanica*. L. Sp. Pl. (1753) 581; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 49; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 464 ex p.; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1949) 411 ex p.; Boiss. Fl. Or. IV (1879) 720 ex p.; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 312; idem. Опред. раст. Кавк. (1949) 338; Колак. Фл. Абх. IV (1949) 61; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 345 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1952) 102 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 201; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 310; Колак. Растит. мир Колх. (1960) 320; Капеллер Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 72; eadem, в Опред. раст. Груз. I (1964) 424 (georg.); Капеллер в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 375; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 272.

4. ღერო წამოწეული ძირითაა, სწორმდგომი, 1 მ-მდე სიმაღლის, ჩვეულებრივ დაუტოტავი, მატყლისებრ თეთრად შებუსული; ღეროსეული ფოთლები მოვრძო კვერცხისებრია, მოკლეყუნწიანი, ქვედა — ძირთან ცოტად თუ ბევრად გულისებრია, ზედა — მომრგვალებულძირიანია; თანაყვავილი ლანცეტაა, მკდომარე, ნახევრადჩხროებს აღემატება; ყველა — კიდევებზე მრგვალკბილაა, მონაცრისფრო-მწვანე, ზედა მხარეზე მიტყეცილ ხაოიან ბეწვიანია, ქვედა მხარეზე უფრო ხშირი და რბილი მატყლისებრი შებუსვითაა. ნახევრადჩხროები მრავალყვავილიანია, ზედა ნახევრადჩხროები ურთიერთ მიახლოებულაა, ქვედა — დაშორიშორებულაა; უფრო გრძელი თანაყვავილაკები ლანცეტაა, ჯამის ტოლი, ყველა თანაყვავილაკი გრძელბეწვიანია; ჯამი ოდნავ მოხრილია, ირბი ხახით, მწვანე, ხაოიან მატყლისებრ შებუსული და მოფენილი ყვითელი მკდომარე ჯირკვლებით; ჯამის ხახა, ისე როგორც ჯამის კბილები შიგნიდან გრძელი, ხშირი თეთრი ბეწვებითაა; ჯამის კბილები სამკუთხა-ლანცეტაა, მოკლედ ეკლისებრ წაწვეტებული, კიდევებზე ჯირკვლები არ აქვს; სამი ზედა კბილი მნიშვნელოვნად გრძელია ქვედაზე, ქვედა — ძალიან მოკლეა; გვირგვინი მოვარდისფრო-ლილისფერია, ზოგჯერ ოდნავ წითელი, ჯამის მიღში ჩამალული; გვირგვინის მილი გარედან შიშველია, ხოლო მისი გადანალენი გარედან ხშირ გრძელ ბეწვიანია; ზედა ტუჩის ბეწვები გრძელია; ზედა ტუჩი წვერზე კიდემთლიანია ან ოდნავ ამოკვეთილი, ოდნავ მოკლეა ქვედაზე. კაკლუჭა უუკვერცხისებრია, მუჭი მურა, წვრილად დაწინწკლული, თითქმის გლუვი, 2,25 მმ სიგრძის. V—VII. 2n=30.

აწერილია დასავლეთ ევროპიდან: «Habitat in Germania, Anglia, Gallia» (Herb. Linn. 736/4).

იზრდება ტყის პირებზე, ველობებზე, ბუჩქნარებში ბალახოვან ფერდობებსა და რუდერალურ ადგილებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: ყველა რაიონში.

სსრკ.: ევრ. ნაწ. (ყირიმი).



საერთო გავრცელება: შუა და ატლანტიკური ევროპა; ხმელთაშუაზღვ. მწი. (დასავლეთი რ-ები და ბალკ.).

სამეურნეო მნიშვნელობა. ეთერზეთოვანი და თაფლოვანი მცენარეა.

6 . S. Balansae Boiss. et Kotschy ex Boiss. Fl. Or. IV (1879) 722; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 311; idem, Определ. раст. Кавк. (1949) 338; Колак. Фл. Абх. IV (1949) 61; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 346 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 204; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 314; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 196; Колак. Растит. мир Кавк. (1961) 320; Капеллер Род Stachys L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 80; eadem, в Определ. раст. Груз. I (1964) 424; Капеллер в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1965) 375; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 271; Bhattacharjee in Davis. Fl. Turkey 7 (1982) 211; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 362.

2. ღერო სწორია, 1 მ-მდე სიმაღლის, მარტივი ან ოდნავ დატოტვილი, მონაცრისფრო, იშვიათად მოთეთროა გრძელი, ხშირი, ოდნავ დაკბილული ბეწვებისაგან, ხშირად ხაოიანბეწვიანია; ფოთლები გრძელია, ფართო ლანცეტა (მხოლოდ 1—2 სულ ზედა ფოთოლი მოგრძო კვერცხისებრია და მნიშვნელოვნად დაპატარავებული), ძირთან ცოტად თუ ბევრად გულისებრი, კიდეებზე მრგვალებილა ან დაკბილულ-მრგვალებილა; უნაყოფო ყლორტების ფოთლები ისე როგორც ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები, საკმაოდ გრძელყუნწიანია, წვერზე ბლაგვია ან მობლაგვო; ღეროსეული — უფრო მოკლეყუნწიანია და წვეტიანი, ზედა — თითქმის მჯდომარეა და წვეტიანი; ყვავილთაღარი ფოთლები ლანცეტაა, მჯდომარე, წვეტიანი, ქვედა — აშკარად დაკბილულია, ნახევრადხსროებს აღემატება, ზედა — კიდემთლიანია და ნახევრადხსროების ტოლი; ყველა თანაყვავილი ზედა მხარეზე შებუსუსულია გრძელი ცოტად თუ ბევრად ხშირი მიტკეცილი ბეწვით, ქვედა მხარეზე ჩვეულებრივ ხშირი დაკლანილი აწეწილებეწვიანია, კიდეებზე ხშირად მოფენილია მცირერიცხოვანი ჭირკვლოვანი ბეწვით. ნახევრადხსროები მრავალყვავილიანია, დაშორებულნი ან ზედა-ურთიერთ მიახლოებული; ყველაზე გრძელი თანაყვავილაკები ხაზურია, უფრო იშვიათად ლანცეტა-ხაზური, ჯამის მიღის ტოლი, ყველა თანაყვავილაკი გრძელბეწვიანია, კიდეებზე ზოგჯერ მცირე ჭირკვლოვანბეწვიანი; ყვავილები ხშირად გრძელყუნწიანია; ჯამი თითქმის სწორია, ირიბი ხახით, მუქად შეფერილი; მოფენილია ხშირი, გრძელი, მორუხო ან მოთეთრო ბეწვით, ხშირად ხაოიანი შებუსუსითა; ჯამის ხახა ისე როგორც ჯამის კბილები შიგნიდან მოფენილია გრძელი ბეწვებით; ჯამის კბილები ჩვეულებრივ სამკუთხა-კვერცხისებრია, უფრო იშვიათად სამკუთხა-ლანცეტა, მოკლე წვეტიანი, 2—2.1/2-ჯერ მოკლეა მილზე, კიდეებზე ყოველთვის ცოტად თუ ბევრად მრავალი ჭირკვლოვანი ბეწვითაა, დაყვავილებს შემდეგ ოდნავ მოხრილი; ზედა სამი კბილი ცოტათი გრძელია ქვედაზე; გვირგვინი მოვარდისფერი-ლანცეტისებრია, ზოგჯერ მოწითალო ელფერი. ჯამში ჩამალული მილთ; გვირგვინის მილი გარეთა მხრიდან შიშველია, ხოლო გადანაღუსი შებუსუსულია გრძელი ბეწვით; ზედა ტუჩი წვერზე კიდემთლიანია ან ამოკვეთილი, ქვედაზე ოდნავ მოკლეა და შებუსუსული. კაკლუქები უკუკვერცხისებრია, ყომრალი ფე-

რის, ძალიან წვრილად დაწინწკლული, თითქმის გლუვი 2,1/2 მმ სიგრძის, VI—VII.

აწერილია რამდენიმე ადგილიდან: «Habitat in Schistosis alpinum prope Musch inter Astragalos 7500' (Ky. 441); in monte Juldisdagh Galatiae (Wied.); in graminosis Beritdagh Cataoniae 6000' (Hauskn.); in collibus prope Baibut (Bourgh.); in monte Aslandagh Cappadociae (Bal.).»

იზრდება ბუჩქნარებში, ღორღიან ფერდობებზე, მეჩხერ ტყეებსა და მშრალ მდელოებზე ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში.

- საქ. სსრ.: ყველა რაიონში.
- სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (ყირიმ).
- საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ცენტრ. და აღმ. ნაწ.); ჩრდ. ირ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. გარდა ტიპური ფორმისა, მოყვანილია სახესხვაობა — Var. *latifolia* Kuzn. in Herb. — ფოთლები უფრო დიდი ზომისაა და ფართო: ქვედა ფოთლები ჩვეულებრივ წაგრძელებულ კვერცხისებრია, შუათანა და ზედა ღეროსეული ფოთლები წაგრძელებულ კვერცხისებრია ან კვერცხისებრი.

საქ. სსრ.: 3 — რაჭა-ლეჩხ.: მთა შაქრისთავი (კემულარია-ნათაძე); 4 — სამეგრ.: სოფ. მუხურასა და კურზუს შორის (სოსნოვსკი); 9 — ქართ.: კოჯორი (სოსნოვსკი; კაპელერი); კოჯორი, ქეროლი (მაყაშვილი, გავრილენკო); ბაკურანი, კონტა (კოზლოვსკი); 16 — თრიალ.: თეთრიწყარო, ბედენი (იგივე).

Ser. 2. *Spectabiles* Knorr. ser. nov. во Фл. Груз. (1987) 238 in Addenda VI; во Фл. СССР XXI (1954) 202 (descr. ross.) — ღერო მატყლისებრ შებუსხულია ან ცოტად თუ ბევრად გრძელ ბანჯგვლიან ბეწვიანია, ფოთლები კვერცხისებრიდან — ფართოლანცეტამდე ფორმისაა, აშკარად ორფერი: ზედა მხარეზე მწვანეა, მიტკეცილ ბეწვიანი, ქვედაზე — მორუხო ქეჩისებრი შებუსხვითაა. ნახევრადჩხრები მრავალყვავილიანია.

7. *S. spectabilis* Choisy ex DC. Mem. Soc. Phys. Generae I (1923) 457; Boiss. Fl. Or. IV (1879) 723; Гросср. Фл. Кавк. III (1932) 312; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 338; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 349 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 202; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 313; Капеллер, Род *Stachys* L. на Кавказе, моногр. сер. А 4 (1961) 85; eadem в Опред. раст. Груз. (1963) 423 (georg.); Капеллер в Гросср. Фл. Кавк. 2, VII (1967) 375; Bhattacharjee in Davis, Fl. Turke 7 (1982) 222 excl. syn. *S. spectabiliformis* Kapeller; Reching. Fl. Iran. № 150 (1982) 364.—*S. hypoleuca* C. Koch in *Linnaea* XXI (1848) 688.—*S. elata* C. Koch l. c. 687.

4. ღერო სწორია, 120 სმ-მდე სიმაღლის, მარტივი ან დატოტვილი, გაფარჩხულ ბანჯგვლიანბეწვიანი; ღეროსეული ფოთლები დიდი ზომისაა, კვერცხისებრი ან წაგრძელებულ-კვერცხისებრი, კიდეზე დაკბილულ-ხერხკბილა, წვეტიანი; ქვედა და შუათანა ფოთლები ძირთან კვერცხისებრია, ცოტად თუ ბევრად გრძელყუნწიანი, ზედა — მომრგვალებული ძირითაა, მოკლეყუნწიანი ან თითქმის მკდომარე; თანაყვავილი რომბულ-კვერცხისებრიდან რომბულ-ლანცეტამდე, მკდომარე, წვერში გრძლად წარზიდული, ხშირად წვეტით დაბოლოებული, კიდეებზე ოდნავ დაკბილული ან კიდეშლიანი, ყველა — ცოტად



თუ ბევრად აშკარად ორფერია; ზედა მხარეზე მწვანე, მიტკეცილებფვიანი, ქვედა — მორუხო-ქეჩისებრი ან ხშირბეწვიანი. ნახევრადჩხროები მრავალწველიანია, ზედა — ჩვეულებრივ ურთიერთმიახლოებული, ქვედა — დაშორირბრებულია; უფრო გრძელი თანაყვავილაკები ხაზურია, გრძლად წაწვეტებული, ჯამზე ცოტათი მოკლე, ყველა თანაყვავილაკი გრძელბეწვიანია; ჯამი სწორია, გაფარჩხულ ბანჯგვლიანბეწვიანი; თითქმის სწორი ხაზით, ჯამის ხაზა, ისევე როგორც ჯამის კბილები, შიგნით გრძელი ბეწვითაა მოფენილი; ჯამის კბილები თითქმის ერთნაირია, სამკუთხა ძირიდან გრძლად ეკლისებრაა წაწვეტებული, ცოტათი მიღზე მოკლეა, დაყვავილების შემდეგ ოდნავ ვადაღუნული; გვირგვინი მუქი წითელია ან მეწამული, ჯამში ჩამალული შიშველი მილით და დიდი ზომის, გარედან საკმაოდ გრძელბეწვიანი გადანაღუნით; ბეწვი ზედა ტუჩს არ აღმტება; ზედა ტუჩი ოვალურია, წარზიდული, წვერში შევიწროებული, წაწვეტებული, ან ოდნავ ამოკვეთილი. კაკლუშები უქაქვერცხისებრია, მკრთალი მურადან-მუქმურამდე ფერის, ძლიერ წერილად დაწინწყლული ზედაბირით, თითქმის გლუვი, 2,25—2,75 მმ სიგრძის. VI—VIII.

აწერილია გორენკის ბოტანიკურ ბაღში თესლით აღმოცენებული მცენარის მიხედვით, რომელიც ვაგზავნილი იყო ფიშერის მიერ.

იზრდება ტყის ველობებზე, მდელოებზე, მინდვრებსა და ხეებში მთის ქვედადან ზედა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 8 — სამხ. ოს.: გნუხის ხეობა, ხანი-ყოითი (ე. და ნ. ბუში); მდ. ესინის სათავეები, სოფ. გორგას მიდამოები (იგიენი); 9 — ქართ: ბაკურიანი, მდ. ბორჯომელას ხეობა (კოზლოვსკი); ბაკურიანის მიდამოები (მიშჩენკო); ცხრა-წყარო (კოზლოვსკი); 10 — მთიულ.: გუდამაყრის ხეობა (მედვედვის ჰერბარიუმიდან); 12 — კახ.: ლავოდები, ქოჩალო (კოზლოვსკი; დოლუხანოვი; პაბავა); 14 — გარეკახ.: სოფ. გომბორის მიდამოები (ტროფიმოვი); იალნო (მედვედევი; ვავრილენკო); 16 — თრიალ.: მანგლისი (ზედელმეიერი); ბედენის პლატო (უტკინი); სოფ. ყარა-ბულაღთან (კეცხოველი); თეთრი წყარო (ახბულაღი, გომერის მთა [ქიქოძე]); 19 — მესხ.: სოფ. ხერთვისთან (კოზლოვსკი).

სსრკ.: იმიერკავკ.: (ვენტრ. და აღმ. ნაწილი); ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო ვავრცელ.: აღმ. ანატ.; ირ. (დას. ნაწ.); ერაყი.

8. *S. spectabiliformis* Kapell. Зам. сист. георг. раст. (Тбилиси) 16 (1951) 14; eadem, во Фл. Груз. VII (1952) (georg.) 350; Кюорринг во Фл. СССР XXI (1954) 207; Капеллер, Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 90; eadem в Опред. раст. Груз. II (1963) 424; eadem, в Гроссг. Фл. Кавк. VII (1967) 376.

4. ღერო სწორია, 60—100 სმ სიმაღლის, მარტივია ან დატოტვილი; ღეროს ქვედა ნაწილი ცოტად თუ ბევრად ხშირბეწვიანია, ზედა ნაწილში დატოტვილი და მოკლე ბანჯგვლიანი მიტკეცილი, შებუტვისაგან მონაცრისფროა; ღეროსეული ფოთლები საშუალო ზომისაა, კვერცხისებრია ან ფართო ლანცეტა, კიდეებზე ბლაგვხერხებილა, წვეტიანი ან წაწვეტებული; ქვედა და შუათანა ღეროსეული ფოთლები ძირთან ცოტად თუ ბევრად კვერცხისებრია, ყუნწიანი; მისი ყუნწები ფირფიტაზე 2—4-ჯერ მოკლეა; ზედა ფოთლები მობრგვალბებული ძირითაა და უფრო მოკლე ყუნწებზე სხედან; თანაყვავილი

მკდომარეა, ქვედა მათგანი ისეთივე ფორმისაა, როგორც ღეროსეულზე  
უფრო პატარა ზომისაა, სუსტად დაკბილული, ზედა რომბულკვერცხისებრია  
ას ლანცეტა, წვერზე წარზიდული, კიდემთლიანი, ყველა ფოთოლი — აშკარად  
ორფერია: ზედა მხარეზე მწვანე და მიტყეცილებეწიანი, ქვედაზე — მონა-  
ციფრო, თხლად ქეჩისებრ შებუსებული ან ხშირბეწიანი. ნახევრადჩხროები  
მრავალყვავილიანია, ზედა ურთიერთ მიახლოებულია, ქვედა — დაშორიშო-  
რებული; ყვავილის ყუნწები მოკლეა, გრძელბეწიანი, უფრო გრძელი თანა-  
ყვავილაკები ლანცეტა-ხაზურია, ჯამის მილის ტოლია და გრძელბეწიანი;  
ჯამი სწორია, თითქმის სწორი ხახით, გრძელი, ხშირი, აბრეშუმისებრი მიტყე-  
ცილი ბეწვისაგან მოთეთროა; ჯამის ხახა და ჯამის კბილები შიგნითა მხრიდან  
მოფენილია გრძელი ბეწვით; ჯამის კბილები თითქმის ერთნაირია, ცოტად  
თუ ბევრად ვიწროსამკუთხა, მოკლევწეტიანი ან წაწვეტებული, თითქმის ორ-  
ჯერ მოკლეა ჯამის მილზე; გვირგვინი მოვარდისფრო-ლილისფერია ან ოდნავ  
მეწამული, ჯამის მილში ჩამალული; გვირგვინის მილი ვარდნად შიშველია,  
ხახა პატარა ზომისაა, გრძელი და ხშირი ბეწვით შებუსებული; გვირგვინის ზედა  
ტუჩი ოდნავ ამოკვეთილია, უფრო იშვიათად ამონაკვეთი არ აქვს. კაკულჭები  
უკუკვერცხისებრია. მუჭი მურაფერის, თითქმის გლუვი, 2 მმ-მდე სიგრძის.  
VII—VIII (სურ. 8).

აწერილია ჯავახეთიდან.

Тури: Джавахетия. Ахалкалаский район, на берегу реки Тапара-  
ван-чай. 17 VII 1924. О. Задельмейр (ТВИ!).

იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში, მდელოებსა და ხეო-  
ბებში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: ბორჯომის მიდამოები, საღ. საეკოპე (კოზლოვსკი);  
18 — ჯავახ.: ახალქალაქის რაიონი, სოფ. ვარგავის მიდამოები (მაყაშვილი);  
სოფ. ბაღხოსთან (მაყაშვილი); ახალქალაქის მიდამოები, მდ. თაფარაგენის სა-  
ნაპროზე; მდ. თაფარაგენის ხეობა, ახალქალაქიდან ახლოს (გროსპეიმი); ტბა  
ხანჩალ-გელის ნაპირას (ზედელმეიერი); ხოზაპინის ტბის მიდამოები (რადე);  
მალა-თაფის ტბის მიდამოები (ზედელმეიერი); 19 — მესხ. ასპინძის რაიონი,  
სოფ. ნიალას მიდამოები (სოსნოვსკი).

სსრკ.: ამიერკავკ.: სომხ.

საერთო გავრცელ.: ჩრდილო-აღმ. და აღმ. ანატ.

Ser. 3. Persicae Knorr. ser nov. во Фл. Груз. (1987) 238 in Addenda  
VI; во Фл. СССР XXI (1954) 207. (descr. ross.).—ფოთლები წაგრძელებული  
კვერცხისებრიდან-მომრგვალოკვერცხისებრამდეა, ძირთან ცოტად თუ ბევრად  
ღრმად გულისებრი. ნახევრადჩხროები მრავალყვავილიანია. ჯამი ცოტად თუ  
ბევრად აშკარად ორტუჩია.

©. 9. S. macrophylla Albov. Prodr. (1895) 202; Гроссг. Фл. Кавк.  
III (1932) 311; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 338; Колак. Фл. Абх. IV  
(1949) 60; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 351 (georg.); Кнорринг во  
Фл. СССР XXI (1954) 208; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 196;  
Колак. Растит. мир Колх. (1961) 320; Капеллер Род Stachys L. на Кав-  
казе, Моногр. сер. А 4 (1961) 97; eadem в Опред. раст. Груз. 2, VII  
(1967) 376; eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, II (1967) 376; Колак. Фл. Абх.  
2, II (1982) 272.

Is.: Фл. Груз. VII (1952) рис. 323.

2. ფესურა მხოხავია; ღერო სწორია, 120 სმ-მდე სიგრძის, მარტივიან მოკლეტობებიანი, რბილ და გაფარჩხულბეწვიანი ან ბანჯგელიანი შებუსვით (ბეწვი არ არის დანაწევრებული ან ოდნავ დანაწევრებულია): ზედა ნაწილში, უპირატესად ყვავილედებში აქვს უფრო მოკლე ჯირკვლოვანი ბეწვიც; ღეროსეული ფოთლები დიდი ზომისაა, 18 სმ-მდე სიგრძის, 11 სმ სიგანის, კვერცხისებრი ან მომრგვალო კვერცხისებრი, გულისებრი ძირით. კიდეებზე მრგვალებილა. ზედა მხარეზე მუქი მწვანე, ქვედაზე — უფრო ღია ფერის, წვერზე ოდნავ წაწვეტებული, ორივე მხარეზე რბილ-მიტკეცილებეწვიანი, ქვედაზე — უფრო ხშირბეწვიანი; ქვედა ფოთლები საკმაოდ გრძელყუნწიანია, შუათანა — უფრო მოკლეყუნწიანი, ხოლო ზედა — მჯდომარე ან თითქმის მჯდომარე; თანაყვავილი კვერცხისებრია ან წაგრძელებულკვერცხისებრი. მჯდომარე, კიდეებზე წვერილებილა ან კიდემთლიანი, წვეტიანი, მარტივი და ჯირკვლოვანი ბეწვით მოფენილი; ნახევრადჩხროები მრავალყვავილიანია, ზედა — ურთიერთმიახლოებული, ქვედა — დაშორიშორებული ან ყველა დაშორიშორებულია; უფრო გრძელი თანაყვავილიაკები ლანცეტა-ხაზურია ან ხაზური, სიგრძით ჯამის ნახევრის ან ჯამის კბილების ტოლია, ყველა თანაყვავილიაკი ბეწვიანია; ყვავილები მოკლეყუნწიანია; ჯამი სწორია, ცოტად თუ ბევრად ორტუჩა, ირიბი ხაზით, მოფენილი მარტივი, გრძელი და მოკლე ჯირკვლოვანი ბეწვით; ჯამის ხაზ გრძელ მეჩხერბეწვიანია; ჯამის კბილები სამკუთხა-ლანცეტა, მოკლედ ეკლისებრ წაწვეტებული, ზედა კბილები ზემოთ შეზრდილია და ცოტათი მოკლეა ქვედაზე, მიღზე ორჯერ მოკლე, ჯამის ყველა კბილი შიგნითა მხრიდან მოფენილია მეჩხერი ჯირკვლოვანი ბეწვით; გვირგვინი ვარდისფერია, ჯამში ჩამალული მილით, რომელიც ქვედა ნაწილში გარედან შიშველია; ხაზა გარედან გრძელ და ხშირბეწვიანია; გვირგვინის ზედა ტუჩი მომრგვალებულია, შესამჩნევად მოკლეა ქვედაზე, წვერზე — კიდემთლიანი. კაკლუჭა მომრგვალო უკუკვერცხისებრია, მუქი მურა ფერის, ძლიერ წვრილად დაწინწყლული, 2,5 მმ სიგრძის. VI—VIII (სურ. 9).

აწერილია აფხაზეთიდან.

Турпиз: Гора Астисм по дороге к Чедыму, на высоте около 3000', Июль, 1889. Н. Альбов (ТВИ!).

იზრდება ღორღიან ფერდობებსა და მშრალ მდელოებზე მთის ქვედადან ზედა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: მდ. ბზიფის ხეობა, ხიდიდან 2 კლ-ის დაშორებით (კოლაკოვსკი); სოფ. დურიშის მიდამოები (მდ. ხიპტის ხეობა) (ფურცხვანიძე); სოფ. გუმისტასა და ანდრეევკას შორის (მალევი); ვუდალთის რაიონი, ხაბოს ხეობა (იაბროვა); მდ. გუმისტას ხეობა (ნიკოლაევი); მთა ასტიუმი, ჩედიშის გზაზე (ალბოვი); სოხუმი (ტატარინოვი); მდ. მაჭარკას ხეობა (ვორონოვი); ბეწკირის ხეობა (ვორონოვი); 7 — აჭარ.: სოფ. ჩაქვის მიდამოები (კოზლოვსკი).

Ser. 4. *Setiferae* Knorr. ser. nov. во Фл. Груз. XI (1937) 238 in Addenda VI; во Фл. СССР XXI (1954) 211 (descr. ross.). — მცნარე ცოტად თუ ბევრად ხშირბეწვიანია. ფოთლები ლანცეტა ან მოვრბო-ლანცეტა, წვერზე ჯაგრებით. ნახევრადჩხროები 6—10 ყვავილიანია.

10. *S. setifera* C. A. Mey. Verz. Pfl. Cauc. (1831) 34; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 466; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1849) 412; Boiss. Fl. Or. IV (1879) 724 (Syn, excluso); Грощг. Фл. Кавк. III (1932) 310; idem,



Опред. раст. Кавк. (1949) 337; Колак. Фл. Абх. IV (1949) 64; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 350 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 211; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 315; Капеллер, Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 99; Колак. растит. мир Колх. (1961) 320; idem. Фл. Абх. 2, II (1982) 274; Bhattacharjee in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 229; Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 365.

4. მთელი მცენარე ხშირ და რბილგაფარჩხულბეწვიანია, გარდა ამისა, მოფენილია გრძელი დანაწევრებული და წვრილი ჯირკვლოვანი ბეწვით, მწვანე ან მონაცრისფრო; ღერო სწორმდგომია, 10 სმ-მდე სიგრძის, დაკლაკნილი, დატოტვილი; ღეროსეული და ქვედა ყვავილთანური ფოთლები ლანცეტაა, მომრგვალებული ძირით, თითქმის მჯდომარე, ზედა ნახევარში კიდებზე სუსტად წვრილბილია, წვერზე მობლაგვო ან ოდნავ წაწვეტებული, ზედა ყვავილთანური ფოთლები რომბულ-კვერცხისებრია, წვერზე წარზიდული, კიდემთლიანი; ყველა ღეროსეული და ყვავილთანური ფოთლები წვერზე მოყვითალო ჯაგრებიანია. ნახევრადჩრბოები 6—10-ყვავილიანია, დამორიშორებულნი; თანაყვავილაკები ბეწვიანია, ხშირად ადრე ცვივა, უფრო გრძელი თანაყვავილაკი ხაზურ-ლანცეტაა, ეკლისებრ წაწვეტებული, ჯამის მილის ტოლია ან ოდნავ მასზე გრძელი; ჯამი სწორია, სწორი და თითქმის შიშველი ხახით; ჯამის კბილები თითქმის ერთნაირია, სამკუთხა, ეკლისებრ წაწვეტებული, ძილზე, თითქმის 2-ჯერ მოკლე, შიგნითა მხრიდან ხშირი ბეწვით მოფენილი, დაყვავილების შემდეგ ოდნავ გადახრილი; გვირგვინი პატარა ზომისაა, ვარდისფერია ან ქუქყისფერწითელი, ჯამში ჩამალული, გარეთა მხრიდან შიშველი მილითა და მოკლებეწვიანი ხახით; ზედა ტუჩი ძალიან მოკლეა, თითქმის 2-ჯერ მოკლე ქვედაზე, წვერზე კიდემთლიანი ან ოდნავ ამოკვეთილი. კაკლუქა მომრგვალო უქუ-კვერცხისებრია ან ფართო ელიფსური, მოყავისფრო, ძალიან წვრილად დაწინწკლული, თითქმის გლუვი, 2 მმ სიგრძის. VI—VII.

აწერილია თალიშიდან: «Prope pagum Swant C. A. Mey».

იზრდება ტყიან ადგილებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ. (მოგვეყავს ა. კოლაკოესკის მიხედვით).

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ. (თალიში); შუა აზ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; ირ.; ავღანისტანი.

Sect. 4. H. *Stachys*.—Sect. *Eustachys* Briq in Engl. u. Prantl, Naturl. Pflanzenfam. IV 3a (1897) 262 ex p.—მრავალწლოვანი, ორწლოვანი ან ერთწლოვანი მცენარეებია, შიშველი ან ცოტად თუ ბევრად ხშირშებუსული, უფრო იშვიათად თითქმის ბანჯგვლიანია. ბეწვები მარტივია. ფოთლები საშუალო ზომისაა. ნახევრადჩრბოები 6-ყვავილიანია, იშვიათად 2—4 ან 8-ყვავილიანი. თანაყვავილები ძალიან პატარა ზომისაა, სადგისისებრი ან ჯაგრისებრი, ჩვეულებრივ მოცეთრო.

Ser. I. *Sylvaticae* (Boiss.) Knorr. ser. nov. во Фл. Груз. XI (1987) 238 in Addenda VI; во Фл. СССР XXI (1954) 215.—Sect. *Stachyotypus* Boiss. Fl. Or. IV (1879) 715, 726 ex. p.—ღერო ბალახოვანია; ფოთლები კვერცხისებრ-გულისებრია. თანაყვავილაკები ჯაგრისებრია (ხშირად განუფითარებელი). გვირგვინი წითელია.

11. *S. sylvatica* L. Sp. Pl (1753) 580; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 49; Benth. Lab. Gen. Sp. (1832—1836) 541; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 469; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1849) 413; Boiss. Fl. Or. IV (1879) 726 ex. p.; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 314; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 339; Колак. Фл. Абх. IV (1949) 62; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 352 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 103 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 215; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 315. Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 198; Капеллер, Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А (1961) 101; Колак. Растит. мир Колх. (1961) 319; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1963) 425 (georg.) eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 377; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 274 Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 368; Bhrattacharjee in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 230.  
Exs.: ГРФ n° 333.

2. მცენარეს ახასიათებს მხოხავი ფესურა; ღერო სწორია, 90 სმ-მდე სმაღლის, მარტივი ან მხოლოდ ზედა ნაწილში დატოტვილი, მოფენილი ვაფარჩხული რბილი ან ოდნავ ხეშეში ცოტად თუ ბევრად ხშირი ან გაფანტული დანაწევრებული ბეწვით, გარდა ამისა ზედა ნაწილში და ყვავილედში მოკლე ჭირკვლოვანი შებუსებითაა; ღეროსეული ფოთლები მეტწილად საკმაოდ დიდი ზომისაა, 12 სმ-მდე სიგრძის, კვერცხისებრ-გულისებრი, ცოტად თუ ბევრად წვერისკენ გრძლად წარზიდული, კიდეებზე მრგვალხერხებილია, თითქმის ხერხებილამდე; ქვედა ფოთლები ფირფიტაზე უფრო მოკლე ყუნწებზე სწედან, ზედა-მოკლეყუნწიანია; ყველა ფოთოლი ორივე მხარეზე მიტყეცილებეწვიანია; თანაყვავილი ლანცეტაა, ძირთან შეეწიროებული, მჯდომარე, კიდე-მთლიანი, წვერზე გრძლად წარზიდული, მოფენილია მარტივი და ჭირკვლოვანი ბეწვით, წამწამებიანი; ყვავილედი გრძელია, ნახევრადჩხრები იხვეულებრივ რვაყვავილიანია (იშვითად ყვავილები უფრო ცოტაა), ქვედაჩხრები — ურთიერთ დაშორიშორებულია, ზედა მიახლოებული; თანაყვავილაკები ძლიერ პატარა ზომისაა, სადგისისებრი, სუსტად შებუსვილი; ჯამი სწორია, სწორი შიშველი ჭახით, ჯამი მოფენილია გრძელი დანაწევრებული და მოკლე ჭირკვლოვანი ბეწვით; ჯამის კბილები თითქმის ერთნაირია, ოდნავ გადახრილი, წაგრძელებულ სამკუთხა ფორმის. გრძლადაა წაწვეტებული გრძელ ფხაში, თითქმის ჯამის ტოლია, შიგნითა მხარეზე შიშველია ან სუსტად შებუსული; გვირგვინი მუქი-წითელია, ჯამიდან ძლიერ ამოყოფილი, მისი მილი გარედან თითქმის შიშველია, კიდე-მთლიანი. წვერზე გარედან მოკლედ შებუსული ზედა ტუჩითა და ვარედან შიშველი ქვედა ტუჩით. კაკულუკები მომრგვალო უკუკვერცხისებრი, შავი, ძალიან წვრილად დაწინწყლული, 2 მმ სიგრძის. V—VIII. 2n=48, 66.

აწერილია ევროპიდან: «Habitat in Europae nemoribus umbrosis» (Herb. Linn. 736/1).

ობრდება ტყეებში, ტყის პირებზე, მდელოებსა და ხეობებში, იშვითად გეხვდება როგორც სარეველა.

საქ. სსრ.: ყველა რაიონში.

სსრკ.: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.: ციმბ. (დას.); შუა აზ. (აღმ.).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.: ჩრდ. ანატ., ჩრდ. ირ., ცენტრ. აზ. (პიმალაის დას. ნაწ.); აღმ. აზ. (ჩრდ.-დას. ნაწ.).

12. *S. trapezuntea* Boiss. Diagn. Fl. Or nov. ser. II, 4 (1853) 187; Grossg. Фл. Кавк. III (1932) 314; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 339; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 355 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 216; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 198; Капеллер Род *Stachys* L. на Кавказе, моногр. сер. А 4 (1961) 103; eadem в Опред. раст. Груз. I (1963) 425 (georg.).—*S. sylvatica* Boiss Fl. Or. IV (1879) 726 ex. p.—*S. sylvatica*, Bhattacharjee in Davis Fl. Turkey 7 (1982) 130 non L.

2. ფესურა მხოზავია, ღერო სუსტია, 60 სმ-მდე სიმაღლის, სწორი, მარტივი ან დატოტვილი, მოფენილია გადახრილი ან ქვევითკენ მიმართული უხეში დანაწევრებული ბეწვით, ხოლო ღეროს ზედა ნაწილსა და ყვავილედში ჭირკვლოვანი ბეწვებიც ერევა; ღეროსეული ფოთლები 3—5(7) სმ სიმაღლისაა, კვერცხისებრი, ყუნწიანი, მისი ყუნწები ფირფიტაზე ორჯერ მოკლეა, კიდეებზე მრგვალკბილა ან ხერხ-მრგვალკბილა, მახვილწვერიანი ან მობლაგვო, ორივე მხარეზე მოფენილი მიტკეცილი ბეწვით; თანაყვავილი წაგრძელებულ კვერცხისებრია, აქა-იქ დაბეწვილი, ზედა-ლანცეტაა და კიდეშლიანი; ყველა თანაყვავილის ფოთოლი — ძირთან შევიწროებულია, მკდომარეა და წვეტიანი, მოფენილი დანაწევრებული და ჭირკვლოვანი ბეწვით. ყვავილედის მოკლეა, ნახევრადჩხრები 4—4-ყვავილიანია, დაშორიშორებული ან ზედა — სოკოვანი ურთიერთ მიახლოებულია; თანაყვავილაკები ძალიან პატარა ზომისაა, ჯაგრისებრი, თითქმის შეუმჩნეველი, სუსტად შებუსუსლი; ჯამი სწორია, სწორი შიშველი ხახით, მოფენილი დანაწევრებული და ჭირკვლოვანი ბეწვით; ჯამის კბილები თითქმის თანაბარია, ოდნავ გადახრილი, სამკუთხა, მოკლედ წაწვეტილებული ან მოკლე წვეტით დაბოლოებული, მიღზე მოკლე, შიგნითა მხრიდან მოკლებეწვიანი; გვირგვინი მუქი წითელია; ჯამის მილიდან ძლიერ ამოშვრილი, წვერზე კიდეშლიანი, გარედან მოკლებეწვიანი ზედა ტუჩითა და შიშველი ქვედა ტუჩით. კაკულუა უკუკვერცხისებრია, მუქი მურა, ძლიერ წვრილად დაწერტილი, 1,75 მმ სიგრძის. V—VIII.

აწერილია ანატოლიიდან.

იზრდება დაბლობებსა და მთის ქვედა სარტყლის ტყეებში, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში.

საქ. სსრ.: 4 — სამეგრ.: სოფ. მარტვილის მიდამოები (მაყაშვილი); ბაღისტომი (შიშკინი); 5 — იმერ.; ქუთაისსა და მდლაკს შორის (იგივე); ფარცხანაყანევი (იგივე); ზემო ვოდოვანი (კემულარია-ნათაძე); პატრიკეთი (მაყაშვილი); ოფშკეთი (იგივე); წაბლარის წყლის ხეობა (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); 6 — გურ.: სოფ. ვაკიჯვრის მიდამოები (გროსჰეიმი); 7 — აჭარ.: ციხის-ძირი (როლოვი; გროსჰეიმი; კაპელერი); ჩაქვის მიდამოები (მაყაშვილი; პოპოვი); ბათუმის ბოტანიკური ბაღი (შიშკინი); ბათუმის ბოტანიკური ბაღი, კოლხეთის ნაკრძალი (დმიტრიევა); ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ამიერკავკასიის ტენიანი სუბტროპიკების განყოფილება (იაციონია; დმიტრიევა); ხულოს რაიონი, სოფ. ლოდისირი (დმიტრიევა; იაციონია).

საერთო გავრცელ.: ჩრდ. აღმ. ანატ.

Ser. 3. *Palustres* Knorr. ser. nov. во Фл. Груз. XI (1987) 238 in Addenda VI; во Фл. СССР XXI (1954) 216 (descr. ross.).—გვირგვინის ზედა ტუჩი ქვედაზე მოკლეა, გვირგვინი მეტწილად ლილისფერია ან ვარდისფერი, ჯამს 1,5—2-ჯერ აღემატება. ფოთლები ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა.



13. *S. palustris* L. Sp. Pl. (1753) 580; Bieb. Fl. Taur.—Cauc. II (1808) 49; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 470; Ledeb. Fl. Ross. III, 1 (1849) 414; Boiss. Fl. Or. IV (1879) 726; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 314; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 339; Колак. Фл. Абх. IV (1949) 62; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 355 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 216; Разадзе во Фл. Азерб. VII (1957) 316; Дмитриева Опред. раст. Алжар. (1960) 196; Капеллер Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 106; Колак. Растит. мир Колх. (1961) 320; Капеллер Опред. раст. Груз. I (1966) 425 (georg.) Капеллер в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 377; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 273.

2. მცენარე მიწისქვეშა გრძელი ყლორტებითა და მუხლებს შორის გორგლისებრი, მოთეთრო წარმონაქმნით, რომლებიც განსაკუთრებით შემოდგომაზე უეითარდებთ; ღერო სწორია, 90 სმ-მდე სიმაღლის, მარტივი ან მოკლეთოტებიანი, ქვედა ნაწილში შიშველია ან თითქმის შიშველი, ზედაში — მოფენილია ქვევითკენ გადახრილი, მეჩხერი ან ცოტად თუ ბევრად ხშირი მარტივი ბეწვით; ღეროსეული ფოთლები ლანცეტა ან მოგრძო ლანცეტა, ძირთან ოდნავ გულისებრი, კიდეებზე დაკბილულ ხერხისებრი, წვეტიანი, მჯღომარე, ოდნავ ღერომხვევი; ხშირად ქვედა და შუათანა ფოთლები მოკლევუნწიანია (0,5 სმ არ აღემატება), ზედა ან ყველა ფოთლი მჯღომარეა; ყველა ფოთლი ორივე მხარეზე მოკლე გაფანტულ ბეწვიანია ანდა ხშირი მიტკეცილი შებუსვითაა; თანაყვავილის ქვედა ფოთლები წაგრძელებულ კვერცხისებრია, ოდნავ დაკბილული, ზედა ლანცეტა, კიდეშილიანი, ყველა — მჯღომარეა და წვერში წარზიდული, ცოტად თუ ბევრად ხშირ მიტკეცილებეწვიანი, წამწამებიანი. ნახევრადჩხოვები 6, იშვიათად 4 ან 3-ყვავილიანი, ზედა — უფრო მკიდროდაა განლაგებული, ქვედა — დაშორიშორებულია, თანაყვავილაკები ძლიერ პატარა ზომისაა, ჯაგრისებრი შებუსვით; ჯამი სწორია, თითქმის სწორი შიშველი ხახით, შებუსული მარტივი, გადახრილი ბეწვით (ძალიან იშვიათად ჯამის კბილები მოფენილია ერთეული ჯირკვლოვანი ბეწვით); ჯამის კბილები თითქმის ერთნაირია, სამკუთხა ძირიანია და წვეროსკენ გრძელ სადგისისებრ წარზიდული, მიღზე ოდნავ მოკლე, შიგნიდან მოკლებეწვიანია; გვირგვინი ჭუჭყისფერ მეწამულია ჯამიდან ამოშვერილი; გვირგვინის მილი თითქმის შიშველია, მისი ზედა ტუჩი გარედან საკმაოდ ხშირშებუსულია, ქვედა — სუსტადაა შებუსული. კაკლუშა უკუკვერცხისებრია, მომურო, წერილად დაწერტილი, 1,75—2 მმ-მდე სიგრძის. VI—VIII. 2n=64 (Aydin, 1978).

აწერილია ევროპიდან: «Habitat in Europa ad ripas inque cultis humi-diusculis» (Hb. Linn. 736/2).

იზრდება ტენიან ადგილებსა და ჭაობებში, მთის ქვედა იშვიათად შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: გავრის რაიონი, „ინტერნაციონალი“-ს საბჭოთა მეურნეობა (იაბროვა); ინკითის ტბასთან (ვორონოვი; პანიუტინი); ბიჭვინთა (ალბოვი; გუსევა); ოჩამჩირის მიდამოები (ალბოვი); აფხაზეთი, მდ. ოკენარეს შესართავთან (კოლაკოვსკი); სამეგრ.: ფოთსა და ჭალადიდს შორის (შიშკინი); ფოთი, პალიასტომის ტბასთან (იგივე); 7 — აჭარ.: მდ. ჩოლოკის სანაპირო (ვორონოვი); 12 — კახეთი: (პოპენაკერი); 14 — გარეჯაბ.: „მარიენფელდ“, მდ. იორის სანაპირო (პოპენაკერი).



სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; **საქართველოს ენციკლოპედია**  
 ციმბ.; შუა აზ. (ჩრდ.); შორ. აღმ. მხრ. (ამურის მხარე).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ. (ჩრდ.);  
 ცენტრ. აზ.; აღმ. აზ. (ჩრდ. ჩინეთი); ჩრდ. ამერ.

სამეურნეო მნიშვნელობა. მისი ხორცოვანი ფესურები მოხარშული სახით  
 იჭმება. კაკლუქები ცხიმოვან ზეთს შეიცავს.

Ser. 3. *Rectae* Knorr. ser. nov. во Фл. Груз. XI (1987) 238  
 in Addenda VI; во Фл. СССР XXI (1954) 220 (descr. rcs.). —  
 ღერო სწორია, დატოტვილი. თანაყვავილაკები სუსტადაა განვითარებული.  
 ფოთლები ძირში შევიწროებულია. ლანცეტაა, მოგრძო ან ხაზურ-ლანცეტა.  
 გვირგვინი დიდი ზომისაა ყვითელი ან მოთეთრო-მოყვითალო, უფრო იშვია-  
 თად ვარდისფერი ან მეწამული.

14. *S. atherocalyx* C. Koch in Linnaea XXI, I (1848) 691; Гроссг.  
 Фл. Кавк. III (1932) 355 315; idem. Опред. раст. Кавк. (1949) 340; Ко-  
 лак. Фл. Абх. IV (1949) 62; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 357  
 (georg.); Макашвили, Фл. Окр. Тбилиси II (1953) 101 (georg.); Кнорринг  
 во Фл. СССР XXI (1954) 221; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 357;  
 Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 198; Капеллер, Род *Stachys* L.  
 Моногр. сер. А 4 (1961) 114; Колак. Растит. мир Колх. (1961) 320; Ка-  
 пеллер в Опред. раст. Груз. (1963) 426 (georg.) Гроссг. Фл. Кавк. 2, VII  
 (1967) 378; Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 372.—*S. recta* auct. ex. p.  
 Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 50; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 484;  
 Ledeb. Fl. Ross. III, I (1849) 417.—*S. sideritioides* C. Koch in Linnaea  
 XXI (1848) 692.—*S. recta*  $\beta$ . *sideritioides* Boiss Fl. Or. IV (1879) 730.—  
*S. recta* subsp. *atherocalyx* Dervis-Sokolova, Новости сист. высших раст.  
 16 (1978) 194.—*S. patula* Kolak. Фл. Абх. 2, II (1982) 273 non Griseb.  
 Ic.: Фл. СССР XXI (1954) табл. XII, рис. 2.

4. ღერო სწორია ან წამოწეული, 80 სმ-მდე სიმაღლის, დატოტვილი,  
 მოფენილი მეჩხერი, ცოტად თუ ბევრად გრძელი და გადახრილი ბეწვით; ღე-  
 როსეული ქვედა და შუათანა ფოთლები მოგრძო ელიფსურია ან მოგრძო-  
 ლანცეტა, ან ლანცეტა, ყუნწიანი; ფოთლის ყუნწი სიგრძით ფირფიტის ტო-  
 ლია ან 4-ჯერ მასზე მოკლე, კიდებზე მრგვალ-ხერხებილა, ოდნავ წაწვე-  
 ტებული, ზედა ფოთლები ხაზურია და მჯდომარე, კიდებზე აქა-იქ წვრილ  
 ხერხებილა ან ზოგჯერ კიდემთლიანი, წვეტიანი; ყველა ფოთოლი ძირთან შე-  
 ვიწროებულია, ორივე მხარეზე შებუსუსლი; ყვავილთანური ფოთლები ლან-  
 ცეტა ან წაგრძელებულ ლანცეტა, მჯდომარე, კიდემთლიანი, წვერისკენ  
 წარზიდული, წვეტით დაბოლოებული, ზედა მხარეზე შიშველი, ქვედაზე —  
 სუსტად შებუსუსლი, კიდებზე წამწამებიანი. ნახევრადჩხროები 6—8-ყვავილია-  
 ნია, ურთიერთდაშორიშორებული; თანაყვავილაკები ძალიან პატარა ზომისაა,  
 ჯაგრისებრი, მოთეთრო, შებუსუსლი; ჯამი სწორია, თითქმის სწორი, შიშველი  
 ხაზით, მოფენილი ცოტად თუ ბევრად გრძელი გადახრილი მეჩხერი ბეწვით  
 და წვრილი უფერული მჯდომარე ჯირკვლებით, უფრო იშვიათად ჯამი შიშვე-  
 ლია; ჯამის კბილები თითქმის თანაბარია, ვიწრო და წაგრძელებულ სამკუთხე-  
 სებრი, სადგისისებრ გრძლად წაწვეტებული და წვერზე გრძელი ფეხით, სი-

გრძობთ ჯამის ტოლია ან ოდნავ მასზე გრძელი, შიგნითა მხარეზე მოფენილი წვრილი ჯირკვლოვანი ბეწვით; გვირგვინი მოთეთროა, მისი ზედა ტუჩი ქვედა ნაწილში ორივე მხარეზე აღჭურვილია თითო მკვეთრად გამოსახული მეწამული ზოლით, ქვედა ტუჩი მოწითალო ლაქითაა; გვირგვინის მილი ჯამიდანაა ამოშვებული, გარეთა მხრიდან შიშველი; გვირგვინის ზედა ტუჩი წვერზე წარხიდულია, კიდემთლიანი, უფრო იშვიათად ოდნავ ამოკვეთილი, გარედან ცოტად თუ ბევრად ხშირ შებუსუსული, ქვედა ტუჩი გარედან თითქმის შიშველია; მტვრიანები ძლიერაა ამოშვებული გვირგვინის მილიდან. კაკლუშები უკუკვერცხისებრია, მუჭი მურა, წვრილად დაწერტილი, 2—2,5 მმ სიგრძის. V—VIII. 2n = 34 (Maquelaev, 1976).

აწერილია კავკასიიდან და ჭოროხიდან: «Im Kaukasus, in Transcaucasien und im Tschorkgebiet sehr häufig und zwar auf allen Bodenarten von 500—5500' hoch» C. Koch.

იზრდება მშრალ ბალახოვან და ღორღიან ფერდობებზე, ბუჩქნარებშია და ტყის პირებში მთის ქვედა და შუა სართულში, ზოგჯერ ადის სუბალპურამდეც.

საქ. სსრ.: ყველა რაიონში.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (ნოვოჩერკასკი).

საერთო გავრცელ.: ანატ.; ჩრდ. და ჩრდ.-დას. ირ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკ.); შუა ევრ. (რუმინეთი).

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ა. კარგი თაფლოვანი მცენარეა. შეიცავს სურნელოვან ეთეროვან ზეთს.

15. *S. iberica* Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 51; Boiss. Fl. Or. IV (1879) 731 ex. p.; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 315; idem, Определ. раст. Кавк. (1949) 339; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 358 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси III (1953) 103 (georg.); Дмитриева Определ. раст. Аджар. (1960) 196; Капеллер, Род *Stachys* L. на Кавказе, моногр. стр. А 4 (1961) 116; Колак. Растит. мир Колх. (1961) 319; Капеллер в Определ. раст. Груз. I (1963) 425 (georg.); Капеллер в Гроссг. Фл. Кавк. VII (1967) 379.—*S. iberica* subsp. *Georgica* Rechinger fil. Fl. Iran. № 150 (1982) 376. Ic.: Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) tab. 339.

4. ღერო წამოწეულია, 50 სმ-მდე სიმაღლის, დატოტვილია ან ღერო რამდენიმეა, მოფენილი რბილი გადახრილი ბეწვით; ღეროსეული ფოთლები მოგრძო ელიფსურია ან უკუღაცედა, ზედა — ხშირად ხაზურ-ღაცედა, ყველა — ძირთან შევიწროებულია, კიდებზე ბლავგებრებელია, წვერზე ბლავგია ან წაწვეტებული, ქვედა — მოკლეყუნწიანია, ზედა — მჯდომარეა, ყველა ფოთოლი ორივე მხარეზე რბილ მიტკეცილობეწვიანია; ქვედა თანაცვაილები ისეთივე ფორმისაა როგორც ღეროსეული ფოთლები, მაგრამ უფრო პატარა ზომისაა, ზედა — მოგრძო კვერცხისებრია. კიდემთლიანი, მახვილწვერიანი ან წვეტიან დაბოლოებული, ორივე მხარეზე მიტკეცილობეწვიანი, გრძელწამწამებიანი, ყველა-მჯდომარეა. ნახევარჩხროები 6—8 (იშვიათად 10)-ყვეცილიანია, ურთიერთდაშორებული ან ზედა — ცოტად თუ ბევრად მჭიდროდ განწყობილი; თანაცვაილაკები პატარა ზომისაა, ჯაგრისებრი, მოთეთრო ან მომ-



წვანო, შებუსული; ჯამი სწორია. ოდნავ ირიბი ბეწვიანი ხახით, მრგვალი გრძელი, გადახრილი ბეწვით; ჯამის კბილები თითქმის თანაბარია; ლანცეტა, საკმაოდ გრძელი მეწამული ფხვებით, ჯამის მილზე 1,5—2-ჯერ მოკლე; გვირგვინი იისფერ-მეწამულია, ზედა ტუჩის ძირთან კიდესთან ახლოს თითოეულ მხარეზე თითო მუქი მეწამული ზოლით; გვირგვინის მილი ამოწვერილია ჯამიდან, გარედან და ქვედა ნაწილში შიშველია. ზედა ნაწილში შებუსული; გვირგვინის მილი გარედან ცოტად თუ ბევრად გრძელბეწვიანია გვირგვინის ზედა ტუჩი წვერზე მეტწილად კიდემთლიანია, უფრო იშვიათად ამოკვეთილი; მტვრიანები ოდნავაა ამოწვერილი გვირგვინის მილიდან. კაკლუქები უკუკვერცხისებრია ან მომრგვალო უკუკვერცხისებრი. მუქი მურა, წვრილად დაწერტილი, 1,75—2 მმ სიგრძის. V—VII. 2n=24.

აწერილია საქართველოდან ტიპი: «Habitat in Iberica apricis Siccis» (LE).

იზრდება მშრალ ბალახოვან ფერდობებსა და ქვიან ადგილებზე, ბუჩქნარებს შორის, მთის ქვედა და შუა სარტყელში, ზოგჯერ სუბალპურ მდელოებზეც გვხვდება.

საქ. სსრ.: 1 — აფხზ. („საქ. ფლორით“); 2 — სვან.: ქვემო სვანეთი (მუყბანიანი, ჭელიძე, მცხეთაძე, დავლიანიძე); სვანეთი, მუყალის საზოგადოება (აკინფიევი); ს. ლენტეხი (კოლაკოვსკი); ცაგერსა და ლენტეხის შორის (იგივე); 3 — რაჭა-ლეჩხ.: ს. გლოლა (გაგნიძე, მიქელაძე, ოდიშვილი, ლვინიაშვილი); ქელია-ღელე (კემულარია-ნათაძე); ს. ბრავალძალი (იგივე); ონის მიდამოები (იგივე); მდ. ჯოჯორას სანაპირო, ონთან (იგივე); ს. ალპანის მიდამოები (იგივე); მთა კინჩხა (იგივე); ლეჩხუმი, ს. ლილაში (იგივე); 5 — იმერ.: ქუთაისის მიდამოები, ზემო გოდოვანი (კემულარია-ნათაძე); ზეკარსა და ბაღდადს შორის (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); 7 — აჭარ.: ხულოს რაიონი, ს. ზომლეთი (დმიტრიევა); ს. ხიხათძირის მიდამოები (იგივე); აჭარა-იმერეთის ჭედი, გოდერძის გადასავალი (იგივე); 8 — სამხრ.-ოს.: ჩაბარუხის ხეობა (ე. და ნ. ბუში); პატარა ლიახვის ხეობა (იგივე); 9 — ქართ.: თბილისის მიდამოები, წავკისის წყლის ხეობა (ზავგაროდნაია); თღვეთის სატყეო, ადკეთილი (კაფიევი); მდ. ტანას ხეობა, დანახვისი (ქიქოძე); ატენი (რადე); კოჯორი (კაპელიერი); კოჯორსა და ტაბახმელას შორის (ქუთათელაძე); კოჯორი, ქერ-ოდლი (მაყაშვილი, გავრილენკო); მდ. იკრულეთის ხეობა (გუბისი); ბაკურიანის ბოტანიკური ბაღი (ხინთიბიძე); ლიკანი (აკინფიევი); ბორჯომი (იგივე); მდ. ბორჯომულას ხეობა (შიშკინი); დაბის მიდამოები (შიშკინი; ცირინა); წალვერის მიდამოები (კოზლოვსკი; ხინთიბიძე); მდ. ძამას ხეობა (ქიქოძე); თეძამის ხეობა, რკონის მონასტერთან (ქიქოძე, ხარაძე); 10 — მთიულ.: ფასანაურთან (კასპიევი); 16 — თრიალ.: თეთრი წყარო (ზედელმეიერი); მანგლისი (ნიკოლაევი; ზედელმეიერი); თრიალეთის ქედი, კლდე-კარი (ტროიციკი); თრიალეთის ქედი, მდ. პეპეს ხეობა (იგივე); 18 — ჭავჭავ.: ტაბაწყური (კოზლოვსკი); ტაბაწყური; ს. მოლითი (იგივე); ს. აბული (ხინთიბიძე; ზამთარაძე); ოლავერტი (მაყაშვილი); ჭობარეთი (ტროიციკი); ს. ტროიციკის სათიბები (ნახტური-შვილი; ყავრიშვილი); 19 — მესხ.: მდ. ურაველის ხეობა, მე-10 კლმ-ზე ს. ურაველიდან (ხინთიბიძე, ლვინიაძე, ივანიშვილი, ხუციშვილი).

სსრკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკ.); მც. აზ. (ჩრდ. აღმ. ნაწ.); აღმ. ანატ.; ირ.; ერაყი.



Var. *nudiuscula* Kapeller во Фл. Груз. VII (1952) 359 (descr. georg.); eadem, Род *Stachys* L. на Кавказе, моногр. сер. А 4 (1961) 117. (descr. lat.)—ღერო, ფოთოლი და ჯამი მეჩხერბეწვიანია, ან შიშველი. ჯამის ფოთლები ისეთივეა, როგორც ტიპურ ფორმას ახასიათებს.

საქ. სსრ.: 2 — სენა.: ლაშხეთი (რადე); 8 — სამხრ.-ოს.: სოფ. ინაურთან (ე. და ნ. ბუში); 9 — ქართ.: ბორჯომის მიდამოები, სოფ. ტბის მიდამოები (კოზლოვსკი); ს. საყოჩავი (კოზლოვსკი); ბორჯომი (აქინფიევი); წალვერი (იგივე); ბორჯომი ს. ახალი უბანი (ხინთიბიძე, ივანიშვილი); წალვერი (ხინთიბიძე, ჩოლოყაშვილი).

Var. *albo-villosa* Grossh. в журнале Русск. бот. общ. XIV, 3 (1980) 297; Kapeller во Фл. Груз. VII (1952) 359; Pzazade во Фл. Азерб. VII (1957) 318; Kapeller, Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 118. — ღერო ზედა ნახევარში, ფოთლები ქვედა მხარეზე და ჯამი თებერებეწვიანია, თითქმის ბანჯგვლიანბეწვიანი, ჯამის ფოთლები ისეთივე აქვს, როგორც ტიპურ ფორმას.

საქ. სსრ.: 5 — იმერ.: გელათი (კემულარია-ნათაძე); ქუთაისის მიდამოები, ს. მოწამეთასთან (დმიტრიევა); 9 — ქართ.: თბილისის მიდამოები (გროსპეინი); ატენის ხეობა, ტბები (ქიქოძე); მცხეთა (სელუენისკი, შიშკინი); 19 — მესხ.: ადიგენის რაიონი, ს. უდეს მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ახალციხის რაიონი, ს. ურაველი (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); 16 თრიალ.: მანგლისი (ზედელმეიერი).

Var. *glanduloso-pilosa* Kapeller во Фл. Груз. VII (1952) 359 (descr. georg.); Kapeller, Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 119 (descr. lat.). — ყვავილედის ღერძი, ყვავილთანური ფოთლები და ჯამი მარტივი და ჭირკვლოვანი ბეწვებითაა; იშვიათად ჯამი მხოლოდ ჭირკვლოვანბეწვიანია; ჯამის კბილები ისეთივეა, როგორც ტიპურ ფორმას ახასიათებს; მთა მადა-თაფა (ზედელმეიერი); 19 — მესხ.: საფარის მონასტერი (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ზეკარი, მესხეთის მხრიდან (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); აწყურის მიდამოები (მიშჩენკო); ახალციხის რაიონი, ს. ძირი (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ს. ქისათიბის მიდამოები (მეფერტი).

სსრკ.: ამიერკავკ.: (დას. ნაწ. — მამისონის გადასავალსა და ქალაქის შორის, მდ. არღონის სათავეები); ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (ბალკ.); ჩრდ. აღმ. ანატ.

Var. *brevidentata* Kapeller во Фл. Груз. VII (1952) 359 (descr. georg.); Род *Stachys* L. на Кавказе, моногр. сер. А 4 (1961) 120 (descr. lat.)— ჯამის კბილები მოკლე სამკუთხა ფორმისაა, მიღზე 2<sup>1</sup>/<sub>2</sub>-ჯერ მოკლე, მოკლე თეთრი წვეტიან დაბოლოებული; ჯამი უფრო მიტკეცილებეწვიანია, ღეროსა და ფოთლების შებუსვა ისეთივეა, როგორც ტიპურ ფორმას ახასიათებს.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: თბილისის მიდამოები, კოჭრის ვზატკეცილი (კაპელერი; ზავგაროდნაი); ბოტანიკის ინსტიტუტსა და კომკავშირის ხეივანს შორის ვზის გაყოლებასზე (კაპელერი); 19 — მესხ.: ადიგენის რაიონი, ს. ზანავის ჩრდილოეთი (ნახუტკრიშვილი).

შენიშვნა. რეჩინგერს ამ სახეობის ფარგლებში ჰოპენაკერის შეგროვებული მასალით საქართველოდან («Georgia, Caucasia, Hohenacker») გა-



მოყოფილი აქვს ქვესახეობა *Stachys iberica* subsp. *georgica* Reiche, რომელიც მითითებული აქვს ასევე ერაყისა და ირანისათვის. ჩვენს მიერ შეგროვებული მასალა არ გვინახავს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც რეზინგერმა საფუძვლად დაუდო subsp. *georgica*-ს გამოყოფას, არ უნდა იყოს კონსტანტური და მას ჩვენ *S. iberica*-ს ცვალებადობას მივაწერთ. ამრიგად, *S. iberica*-ს არეალი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოიცავს ერაყსა და ირანსაც. *S. iberica* ამიერკავკასია-წინააზიურია სახეობაა, რომელიც სპორადულად ამიერკავკასიაში გავრცელებული, ხოლო ამიერკავკასიაში მხოლოდ ცენტრალურ კავკასიონის დასავლეთ ნაწილში გვხვდება (მამისონის ვაღდასავალსა და სოფ. ქალაქის შორის, მდ. არდონის სათავეებში), ხოლო სამხრეთში — ერაყსა და ირანში.

16. *S. odontophylla* Freyn in Osterr. Bot. Zeitschr. XLI (1891) 59; Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 228; Капеллер Род *Stachys* L. на Кавказе, моногр. сер. А 4 (1961) 124; Дервиз—Соколова, Новости сист. высш. раст. 14 (1978) 194.

4. ღერო სწორია ან წამოწეული, დატოტვილი, 30—60 სმ სიმაღლის, ტოტებთან ერთად მცირედად შებუსუსლი; ფოთლები კვერცხისებრია, საშუალო ზომის, კიდეებზე მსხვილ და ბლავკებილა, წვერზე ცოტათი წაწვეტებული, ძირთან ოდნავ გულისებრი ან ირიბად ვადაკვეთილი, ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, შუათანა და ზედა-მოკლე ყუნწიანი; თანაყვავილის ფოთლები ისეთივე ზომისაა როგორც ღეროსეული, მაგრამ უფრო პატარა ზომისაა, მხოლოდ კიდეებზე უფრო წვირილ და მახვილკებილა, მკდომარე, ზედა — ნახევრადჩხრობზე გრძელია, ქვედა — ტოლია, ყველა თანაყვავილის ფოთლი ორივე მხარეზე გაფანტულ მიტკეცილებეწიანია კიდე წამწამებიანი; ნახევრადჩხრობი 4-ყვავილიანია (იშვიათად 2 ან 6-ყვავილიანი) ურთიერთ დაშორებული დიდ მანძილზე; თანაყვავილაკები პატარა ზომისაა, მოთეთრო, თითქმის ჯაგრისებრი, ოდნავ შებუსუსლი; ჯამი სწორია, ოდნავ ირიბი შიშველი ხახით. თითქმის ერთნაირი კბილით (ზევითა ორი კბილი ცოტათი მოკლეა), შესამჩნევი ძარღვებით, ცოტად თუ ბევრად ვადახრილი დანაწევრებული ბეწვებით და წვირილი მოთეთრო მკდომარე და მოკლე ღერაკიანი ჯირკვლებით; ჯამის კბილები მოგრძო სამკუთხასებრია, წაწვეტებული, თითქმის ორჯერ მოკლეა მილზე, წამწამებიანი, შიგნითა მხრიდან შიშველი; გვირგვინი ყვითელია ან მკრთალი ყვითელი; მისი მილი ჯამიდან არ არის ამოყოფილი და ისე როგორც ხახა გარედან შიშველია; ზედა ტუჩი წვერზე ოდნავ ამოკვეთილია და ამოკვეთილი არ არის. კაკულუმები უუკვერცხისებრია, მურა, გლუვი, 2 მმ სიგრძის. VI—VIII.

აწერილია მცირე აზიიდან: «Amasia. In rupestribus regionis calidae in fissuris rupium 4—000 m s. m. ubi die 12 junii 1889. Legit I. Bornmueller (Exsic 663)».

იზრდება კლდოვან ადგილებზე მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: პოვნა შესაძლებელია აჭარაში.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და ჩრდ. აღმ. ანატ.

Ser. 4. *Maritimae* Knorr. ser. nov. во Фл. Груз. XI (1987) 239 in Ad-denda VI; во Фл. СССР XXI (1954) 230 (descr. ross.),—ფოთლები ელიფსურია,



წარმოდებულ ელიფსური, წარმოდებულ კვერცხისებრი ან ნიჩბისებრ-კვერცხისებრი, ძირთან გადაკვეთილი, მომრგვალებული, სოლისებრ შევიწროებული, ზოგჯერ ოდნავ კვერცხისებრი.

17. *S. maritima* Gouan Fl. Monspel. (1765) 91; Linnaea Mant. Plant. (1767) 82; Benth. Lab. Gen. Sp. (1832—1836) 554; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 483; Boiss. Fl. Or. IV (1879) 745; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 313; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 339; Колак. Фл. Абх. IV (1949) 65; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 196; Капеллер, Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 125; Колак. растит. мир Колх. (1961) 321; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1963) 426 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 379.

4. ღერო მრავალია, ძირიდანვე დატოტვილი; ტოტები წამოწეულია, 15—30 სმ სიგრძის, მოფენილი მოკლე და გრძელი, ქვევითკენ მიმართული ბეწვით; ღეროსეული ფოთლები პატარა ზომისაა, ოდნავ დანაოჭებული, ნიჩბისებრ-კვერცხისებრი, წარმოდებულ კვერცხისებრი ან ელიფსური, ძირთან ირიბად გადაკვეთილი, ფესვანური — ზოგჯერ მომრგვალებული ან ოდნავ კვერცხისებრი, ყველა ფოთოლი კიდებზე მრგვალებულია, ბლაგვეწვრიანი, ქვედა ფოთლები წვრილყუნწიანია, ყუნწები სიგრძით ფირფიტას აღემატება, შუათანა და ზედა ფოთლების ყუნწები ფირფიტაზე მოკლეა, ყველა ფოთოლი ზედა მხარეზე სუსტად, ქვედაზე — საკმაოდ ხშირშებუსვილია; თანაყვავილი ისეთივე ფორმისაა როგორც ღეროსეული, მაგრამ უფრო პატარა ზომისაა, მკდომარე და კიდემთლიანი, წვერზე ოდნავ წაწვეტებული, ხშირშებუსვილი, კიდეწამწამებიანი. ნახევრადჩხროები 4—6-ყვავილიანია, ზედა ნახევრადჩხროები ურთიერთ მიახლოვებულია და თავთავისებრ ყვავილედს ქმნის, ქვედა მათგანი დაშორებულია დანარჩენებს; თანაყვავილაკები ძლიერ პატარა ზომისაა, სადგისისებრია, მოთეთრო, ბეწვიანი; ჯამი სწორია, სწორი შიშველი ხახით, გარედან თითქმის მატყლისებრ ბანჯგვლიანი და მოფენილი ყვითელი მკდომარე ბეწვით; ჯამის კბილები თითქმის ერთნაირია, სამკუთხა-ლანცეტა, ხშირშებუსვილი, შიშველი მოკლე წვეტით დაბოლოებული, 2—2,5-ჯერ მიღზე მოკლე, შიგნიდან მოფენილია ბეწვით; გვირგვინი თეთრია ან მკრთალი ყვითელი, მისი ზედა ტუჩი ქვედა ნაწილში კიდესთან ახლოს თითოეულ მხარეზე აღჭურვილია თითო მეწამული ზოლით, ქვედა-მკრთალი ყვითელია და მეწამული ლაქებითაა; გვირგვინის მილი ჩვეულებრივ ოდნავაა ამოყოფილი ჯამიდან; გვირგვინის გადანალუნი გარედან მხოლოდ ზედა ნაწილშია შებუსუსვილი, ზედა ტუჩი წვერზე კიდემთლიანია ან ოდნავ ამოკვეთილი, კაკლუშები უკუკვერცხისებრია, უფრო იშვიათად მომრგვალო უკუკვერცხისებრი, შავი, წვრილად დაწერტილი, 2,5-მმ-მდე სიგრძის. V—VII. 2n=34.

აღწერილია იტალიიდან: „Habitat Monspeliis vessus mare et Stagna, a Mauguio Peralis, Lattes“ (Gouan. l. c.).

იზრდება ზღვის სანაპირო ქვიშებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: აფხაზეთი (ნორდმანი); მდ. ვუმისტას შესართავთან (კოლაკოვსკი); სოხუმი (ალბოვი); სოხუმის მიდამოები (გუბისი); კელასური (რუბრეხტი); სოხუმის მიდამოები, მდ. ძეხვთას შესართავთან (ვორონოვი); სოხუმი, ტბა სკურის მიდამოები (პანიუტინი); გულრიპშის რაიონი, სოფ. შპა-

ნის მიდამოები (კოლაკოვსკი); ოჩამჩირე (მედევედვის ჰერბარიუმიდან); კულ-  
 ლა, კულტივირებულია (შოვიცი); 4 — სამეგრ.: რიონის შესართავთან (კო-  
 რონოვი); ფოთი (შიშკინი); ფოთი, მდ. სუფსის შესართავთან (რუპრეტი); მდ.  
 კაპარჭის შესართავთან (შიშკინი); 7 — აჭარ.: მდ. ჭოროხის შესართავთან (ვო-  
 რონოვი); შავი ზღვის სანაპირო (ზედელმეიერი); ქობულეთი (სატუნიანი; ზე-  
 დელმეიერი; კოზლოვსკი; დმიტრიევა); ქობულეთის მიდამოები (ტატიშვილი;  
 დმიტრიევა); ბობოყვათი, რკინისგზის ახლოს (გროსპეიმი); ციხისძირი (რო-  
 ლოვი); ციხისძირსა და ჩაქვის შორის (მაყაშვილი); ჩაქვი (ნოვოპოკროვსკი;  
 როდიონოვი; ზედელმეიერი; კაპლერი, მაყაშვილი); ჩაქვის მიდამოები (სოს-  
 ნოვსკი; ზედელმეიერი; პოპოვი); ბათუმი (რადე, კენიგი); ბათუმის მიდამოე-  
 ბი, სოფ. ერგე (დმიტრიევა).

სსრკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მზრ.; მც. აზ.

18. *S. pubescens* Ten. Fl. Napol. (1811—1815) 34; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 483; Ledeb. Fl. Ross. III, I (1849) 416; Boiss. Fl. Or. IV (1878) 745; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 313; idem. Опред. раст. Кавк. (1949) 339; Колак. Фл. Абх. IV (1949) 63; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 362 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 102 (georg.); Кнорринг во Фл. СССР XXI (1954) 231; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 198; Капеллер, Род *Stachys* L. на Кавказе, Моногр. сер. А 4 (1961) 128; Колак. Растит. мир Колх. (1961) 320; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1963) 423 (georg.); Капеллер в Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1967) 379; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 377.

©. ღერო მრავალა, წამოწეული, 15—40 სმ სიმაღლის, მოკლებეწვიანი; ღეროსეული ქვედა ფოთლები წაგრძელებულ კვერცხისებრია, ზედა — თითქმის ელიფსური ან წაგრძელებულ ელიფსური, ყველა ფოთლი ძირთან მომრგვალებულია ან მოკლე სოლისებრი (მხოლოდ ზედა ფოთლებია ზოგჯერ ძირთან უფრო გრძლად შევიწროებული), ქვედა — ყუნწიანია, მისი ყუნწი ფირფიტაზე გრძელია, ზედა ფოთლების ყუნწი ფირფიტაზე მოკლეა, ყველა ფოთლი კიდევებზე ხერხ და მრგვალებილია, წვერზე მობლაგვო, ორივე მხარეზე სუსტად შებუსული; თანაყვავილის ფოთლები ელიფსურია, მჯდომარე, ჩვეულებრივ კიდემთლიანი, ქვედა — ზოგჯერ სუსტად დაკბილულია, წვერზე ოდნავ წაწვეტებული, გარდა მარტივი ბეწვისა ზოგჯერ მოფენილია წვრილი ჯირკვალა ბეწვითაც, წამოწამებია, ქვედა მხარეზე — მოყვითალო ან მომწვანო მჯდომარე ჯირკვლებით. ნახევრადჩხროები 4 — 6-ყვავილიანია, ზედა ნახევრადჩხროები შედარებით ახლო-ახლოა განწყობილი, ქვედა — დამორიზორებულია; თანაყვავილაცები პატარა ზომისაა, სადგისისებრი, მოფითრო, ბეწვიანი; ჯამი სწორია, სწორი შიშველი ხახით, ცოტად თუ ბევრად ხშირშებუსული საკმაოდ გრძელი დანაწევრებული ან მოკლე ჩვეულებრივ ჯირკვლოვანი ბეწვით, გარდა ამისა, მოფენილია ყვითელი მჯდომარე ბეწვითაც; ჯამის კბილები თითქმის თანაბარია, ვიწრო სამკუთხა-ლანცეტა, ეკლისებრ წაწვეტებული, თითქმის წვერამდე შებუსული, მიღზე ცოტათი მოკლე, შიგნითა მხრიდან ბეწვიანი; გვირგვინის ზედა ტუჩი მოყვითალოა მთლიანად ან მხოლოდ ქვედა წელში, თითოეულ მხარეზე კიდესთან თითო ოდნავ შესამჩნევი



ვარდისფერი ზოლია, ქვედა ტუჩი მოყვითალოა, მეწამული ლაქით; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი მომრგვალებულია; გვირგვინის მილი ამოყოფილია ჯამიდან; ჯამის კბილების ტოლია ან მასზე ოდნავ გრძელი; ზედა ტუჩი წვერზე ოდნავ ამოკვეთილია, გარედან ცოტად თუ ბევრად ხშირ შებუსული, ქვედა ტუჩი გარედან სუსტად შებუსულია. კაკლუშები უკუკვერცხისებრია, მუჭი ზურა, წვრილად დაწერტილილი 1,5—1,75 მმ სიგრძის. V—VII.

აწერილია აზერბაიჯანიდან: „Prov. Kuba, distr. Divitschi Ad meridiem pag. Gjulach—Kend. In alveo argilloso—lapidosi fl. Gilgin—tschaj, 20 V 1937. Karjagin et Schevliakov“.

იზრდება ქვიშნარ და ღორღიან ადგილებზე, ყამირებსა და მშრალ ფერ-ღობებზე ზუჩქნარებს შორის მთის ქვედა და შუა სარტყელში, იშვიათად დაბლობებზე.

საქ. სსრ.: თითქმის ყველა რაიონში.

სსრკ.: ამიერკავკასიის აღმ. ნაწილი; შავი ზღვ. სანაპ.; აზერბ.; სომხ.; ეგრ. ნაწ. (ყირიმში).

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (აღმ.); ანატ.; ირ.; ერაყი.

19. *S. annua* L. Sp. Pl. ed. II (1762—1763) 813; Bieb. Fl. Taur.—Cauc. II (1808) 51; Benth. in DC Prodr. XII (1848) 481; Ledeb. Fl. Ross. III, I (1849) 415; Boiss. Fl. Or. IV (1879) 745 ex. p.: Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 310; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 337; Колак. Фл. Абх. IV (1949) 63; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 364 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 10 (georg.); Кнорринг. во Фл. СССР XXI (1954) 234; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 325; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 198; Капеллер Род *Stachys* L. на Кавказе, моногр. сер. А 4 (1961) 133; Колак. Растит. мир Кавк. (1961) 320; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 234 (georg.); Капеллер в Гроссг Фл. Кавк. 2, VII (1967) 380. Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 378.—*Betonica annua* L. Gen. Pl. (1753) 573.—*S. adenocalyx* C. Koch in *Linnaea* XXI, I (1848) 691.—*S. annua* var. *perennans* Albov, Тр. Тифл. бот. сада I (1895) 203.

⊙ იშვიათად ⊕. ღერო სწორია ან წამოწეული, 15—35 სმ სიმაღლის, ნარტოული უფრო იშვიათად დატოტვილი; ორწლოვან მცენარეებს ღერო ზოგჯერ ძირიდანვე დატოტვილია; ფოთლები მკრთალი მწვანეა, ღეროსეული-თითქმის ელიფსურია ან მოგრძო კვერცხისებრი, ძირთან მოკლე სოლისებრი; ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ყუნწი სიგრძით ფირფიტას აღემატება, ზედა ფოთლების ყუნწები ფირფიტაზე მოკლეა, ყველა ფოთლი კიდებზე მრგვალ-კბილა ან მომრგვალებულ ხერხკბილა, წვერზე მობლავეო, ორივე მხრიდან შიშველი ან ქვედა მხრიდან სუსტად შებუსული და ხშირად ცოტად თუ ბევრად მრავალი მოყვითალო ან მომწვანო მჯდომარე ბეწვით; თანაყვავილის ფოთლები მჯდომარეა, ქვედა — ისეთივეა როგორც ღეროსეული, წვერზე მობლავეო ან ოდნავ წაწვეტებული, ზედა — წაგრძელებულ კვერცხისებრიდან ლანცეტამდეა, კიდემთლიანი, წვეტიანი, ზოგჯერ წამწამისებრ შებუსული, მჯდომარე ჯირკვლებითა და ხშირად ცოტად თუ ბევრად ხშირ წვრილ ჯირკვლოვანბეწვიანი. ნახევრადჩხრები 4—6-ყვავილიანია, ზედა — ურთიერთ მიახლოებული; თანაყვავილაკები პატარა ზომისაა, სადგისისებრი ან ხაზური

ფორმის, მოთეთრობეწვინი; ჯამი სწორია, სწორი შიშველი ხაზოვანი მოფენილი გრძელი დანაწევრებული გაფანტული და უფრო წვრილი ჯირკვლოვანი ბეწვით, აგრეთვე მოყვითალო ან მომწვანო მჯდომარე ჯირკვლებით; ჯამის კბილები თითქმის თანაბარია, ვიწრო ან წაგრძელებულ სამკუთხა ფორმის, ხშირად ცოტად თუ ბევრად მოხრილი, თანდათანობით გადადის შიშველ და ჩვეულებრივ გრძელ წვეტში, კბილებზე 1,5-ჯერ მოკლე, შიგნითა მხრიდან ოდნავ შებუსული; გვირგვინი მოთეთროა (ან მხოლოდ ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთია ოდნავ მოყვითალო), ქვედა ტუჩი მეწამული ლაქებითაა; გვირგვინის მილი ჯამიდან ამოყოფილია და სიგრძით ჯამის კბილებს აღემატება, გარეთა მხრიდან მხოლოდ ზედა ნაწილშია შებუსული; ზედა ტუჩი წვერზე კიდემთლიანია ან ოდნავ ამოკვეთილი, ზოგჯერ სუსტად ოდნავ დაკბილული, გარედან შებუსულია, ქვედა ტუჩი გარეთა მხრიდან თითქმის შიშველია. კაკლუშები ფართო უტუკვერცხისებრია ან უტუკვერცხისებრი, მუქი მურა, წვრილად დაწერტილი, 2 მმ სიგრძის. V—VIII. 2n=34.

აწერილია შუა ევროპიდან: „Habitat in Germania, Helvetia Gallia ad agrorum marginus“ (Herb. Linn. 736/18).

რუდერალური მცენარეა, გვხვდება ნათესებსა და რუდერალურ ადგილებზე მთის ქვედადან შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: ყველა რაიონში.

სსრკ.: იმერკავკ.; ამერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; სირია; ირ.; ჩრდ. ამერ. (გზადმოყოლილია).

### 83360 21. SALVIA L.\* — სალვო

ყვავილები ორსქესიანია. ჯამი კვერცხისებრია, ზარისებრი ან მილისებრი, სამკბილიანი ან მთლიანი ზედა ტუჩითა და ორკბილიანი ან ორად განკვეთილი ქვედა ტუჩით. გვირგვინის მილში ბეწვებისაგან შექმნილი რგოლია განვითარებული ან რგოლი არა აქვს; ზედა ტუჩი ზევითაა აშვერილი, თაღისებრი, მუზარადისებრი, ნამგლისებრი ან სწორია, კიდემთლიანი ან ამოკვეთილი; ქვედა ტუჩი სანაკვთიანი, მისი შუათანა ნაკვთი გვერდით ნაკვთებზე გაცილებით დიდია (იშვითად მათი ტოლია), ხშირად ორკბილიანია. სანაყოფე მტვრიანა 2. უკანა (უფრო იშვითად წინა) სტამინოდუმებადაა გარდაქმნილი ან სავსებით არა აქვს, სანაყოფე მტვრიანები დიდი ზომის მოძრავი შუასაბამითაა (უფრო იშვითად უძრავია) დანაწევრებული ძაფით; შუასაბამის უკანა მხარი, რომელიც ზედა ტუჩის ქვევითაა მოთავსებული, ხაზური ფორმის სამტვრეებს ატარებს, შუასაბამის წინა მხარი მიმართულია წინ, ხშირად თითქმის კოვზისებრია გაფართოებული და ცოტად თუ ბევრად ურთიერთთანაა შეწყობილი წებოვანი გამონაზარდებით. სვეტი ჩვეულებრივ ძალიან გრძელია, თანაბარი ან არათანაბარი ზომის ნაკვთებით. მტვრის მარცვლი 6-ფორიანი ღარითაა, ელიფსური, მარცვლოვანი ზედაპირით, ეგზინა სქელია. კაკლუში კვერცხისებრია, მომრგვალო, ზოგჯერ სამწახნავოვანი. — ბალახოვანი მცენარეებია, ნახევრად ბუჩქები ან ბუჩქები, კიდემთლიანი, დაკბილული,

\* დაამუშავა რ. ვაგნიძემ და ლ. ზაუტაშვილმა

ჩაქრილი ან ფრთისებრ-განკვეთილი ფოთლებით. ხშირად ეთეროვან ზეთს შეიკავს.

მსოფლიოში ამ გვარის 700 სახეობამდეა გავრცელებული, კავკასიაში 40 სახეობაზე მეტია, ხოლო საქართველოში 13 სახეობა გვხვდება.

1. გვირგვინის მილი შიგნით ბეწვების რგოლითაა, ხორკლებიანია ან თითქმის მთელ სიგრძეზეა შებუსუსლი. სამტვრე ძაფები შუასაბამის ტოლია ან მასზე გრძელი . . . . . 2
  - გვირგვინის მილი შიგნით ბეწვების რგოლით არაა და არც შებუსუსლია. სამტვრე ძაფები რამდენჯერმე მოკლეა შუასაბამზე . . . . . 5
2. ფოთლები ფრთისებრ დანაკეთულია . . . . . 3
  - ფოთლები მთლიანია . . . . . 4
3. ჯამის ზედა ტუჩი ქვედაზე დიდია, სამკბილა, ოდნავ შესამჩნევი გვერდითი კბილებით და ფართო, წვეტიანი შუა კბილით. გვირგვინი კაშკაშა მეწამული ფერისაა. გარეთა მხარეს ხუშუქა ბეწვითაა შებუსუსლი . . . . . 1. *S. garedji Troitzk.*
  - ჯამის ქვედა ტუჩი აღემატება ზედას, ეს უკანასკნელი წარმოდგენილია სამი თანაბარი ზომის, პატარა კბილით, რომელთაგან ორი განაბირა შუათანა კბილისკენაა მიმართული. გვირგვინი ცისფერია, ხახასთან ძლიერაა გაფართოებული, გადანაღუნი მილითაა . . . . . 2. *S. ringens Sibth. et Smith*
4. მცენარეს მსხვილი ფესვი აქვს, ღერო სწორია, მარტივი, ხშირად ფოთლების ილიებში დამოკლებული ყლორტებია. ფოთლები კვერცხისებრ-შუბისებრია. ჯამი ნაყოფობისას სწორია. ჩხროები 2—6-ყვავილიანია. გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა, ქვედა ტუჩი მოთეთრო ან მოწითალო მონატულობითაა . . . . . 3. *S. glutinosa L.*
  - მცენარეს ირიბი ფესურა აქვს, ღერო უმეტესად ძირიდანვე დატოტვილია. ფოთლები გულისებრ-კვერცხისებრია. ჯამი ნაყოფობისას ძირსაა გადახრილი. ჩხროები 14 (20) — 24 (40)-ყვავილიანია. გვირგვინი კაშკაშა იისფერია . . . . . 13. *S. verticillata L.*
5. ჯამი მილისებრია, მისი ზედა ტუჩი წაკვეთილია. გვირგვინი ვარდისფერია ან იისფერი, მისი მილი ჯამს არ აღემატება . . . . . 4. *S. viridis L.*
  - ჯამი ზარისებრია ან მილისებრ-ზარისებრი. ზედა ტუჩი წაკვეთილი არ არის . . . . . 6
6. ჯამი მილისებრ-ზარისებრი ან ვიწრო ზარისებრია, ჯამის ზედა ტუჩი სწორია, სამკბილა, ოდნავ დაახლოებული თანაბარკბიდეებიანი კბილებით, შუა კბილი ხშირად ძალიან პატარა ზომისაა . . . . . 7
  - ჯამი ფართო ზარისებრია, მისი ზედა ტუჩი მომრგვალოა, 3 ზემოთ მიმართული თითქმის თანაბარი ზომის კბილით; ნაყოფობისას ძლიერაა უკან გადახრილი . . . . . 11
7. გვირგვინის მილი ხახისკენ თანდათანობით ფართოვდება. სანექტრები არ არის. უკანა მტვრიანები სტამინოდუუმებადაა გადაქცეული. გვირგვინის ფურცლები ცისფერია ან ღია ლურჯი ფერის, ჯამიდან ოდნავაა ამოყოფილი . . . . . 5. *S. compar Trautv. ex Sosn.*



— გვირგვინის მილი ხახისკენ უცბადაა გაფართოებული. ამ ადგილზე განვითარებულია მფარავი სანექტრე ქერქლი ჯირკვლოვანი ბეწვებით სარგებელი კიდეზე. სტამინოდიუმები არ არის ან ისინი იშვიათადაა განვითარებული. გვირგვინის ფურცლები სხვა ფერისაა

8. მცენარე ორწლოვანია, მას ფისისებრი-ინასებრი სურნელება აქვს და სქლადა მოფენილი ხეშუქა მრავალუჯრედიანი ბეწვებითა და ყუნწიანი ჯირკვლებით. თანაყვავილები შეფერილია ვარდისფრად ან მკრთალ იისფრად და ჯამს რამდენადმე აღემატება. გვირგვინი ღია სოსანი ან ვარდისფერია .

..... 6. *S. sclarea* L.  
— მრავალწლოვანი მცენარეა. შებუსვა სხვაგვარია. თანაყვავილები მწვანეა ან იშვიათად თეთრი შებუსვის გამო, ჯამის ტოლია ან ოდნავ მასზე მოკლე. გვირგვინი მოთეთრო ან მოყვითალო შეფერილობისაა

9. ღერო 30 სმ სიმაღლეს არ აღემატება, მარტივია. ყვავილები 2—3 სმ სიგრძისაა. ყვავილენი დატოტვილია 2—4 წყვილი გვერდითი ტოტით ან მარტივია

..... 8. *S. verbascifolia* Bieb.  
— ღერო 70—100 სმ სიმაღლეს აღწევს, დატოტვილია ძირიდანვე ან დაახლოებით შუა ნაწილიდან. ყვავილები უფრო პატარა ზომისაა — 1—2,5 სმ სიგრძის. ყვავილენი პირამიდული მრავალყვავილიანი საგველაა

10. მთელი მცენარე, მათ შორის ჯამიც ქულასებრი ან აბლაბუდასებრი თეთრად ქეჩისებრი შებუსვულია; ღეროზე არ არის ჯირკვლოვანი შებუსვა. ფოთლები ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი. ჯამი ლანცეტა ფორმის, ხშირად იისფერი, ჩხვლეტია, მახვილწვერიანი კბილებითაა, ზედა ტუჩის შუათანა კბილი ძალიან მოკლეა. გვირგვინის ზედა ტუჩი სუსტადაა მოხრილი

..... 7. *S. aethiopsis* L.

— ღერო მოფენილია თხლად საწოვრისებრი ბეწვით და წვრილი, მჭდომარე, ყვითელი ფერის ჯირკვლებით. ფოთლები თანაბრადაა განაწილებული ღეროზე ან თავმოყრილია ღეროს ძირთან. ჯამი ძარღვების გაყოლებაზე უხეში ბეწვითაა მოფენილი და მჭდომარე ყვითელი ფერის ჯირკვლებით; მისი ტუჩები ურთიერთ ძლიერაა დაშორებული, ზედა ტუჩი თანაბრად მოკლე და მახვილსამკბილიანია. გვირგვინის ზედა ტუჩი ნამგლისებრი მოხრილია

..... 9. *S. limbata* C. A. Mey.

11. მტვრიანები გვირგვინის ზედა ტუჩითაა დაფარული ან ბუტკოს სვეტთან ერთად გვირგვინიდან ოდნავაა ამოყოფილი. თანაყვავილის ფოთლები ჯამზე გრძელია, იისფერი, იშვიათად ქვედა მწვანე ფერისაა. გვირგვინი მოლურჯო-იისფერია.

..... 11. *S. nemorosa* L.

— მტვრიანები და ბუტკოს სვეტი გვირგვინის ზედა ტუჩს ბევრად აღემატება. თანაყვავილის ფოთლები მწვანეა, ჯამის ტოლია ან მასზე მოკლე. გვირგვინი სხვა ფერისაა

..... 12  
12. მტვრიანები და ბუტკოს სვეტი გვირგვინის ზედა ტუჩს 1/3—1/2 აღემატება. თანაყვავილის ფოთლები რამდენჯერმე მოკლეა ჯამზე. გვირგვინი ცისფერია ან მოთეთრო

..... 10. *S. virgata* Jacq.

— მტვრიანები და ბუტკოს სვეტი ორჯერ-სამჯერ აღემატება გვირგვინის ზედა ტუჩს. თანაყვავილები ჯამის ტოლია ან მასზე მოკლე. გვირგვინი თეთრია

..... 12. *S. armeniaca* (Bordz.) Grossh.



Subgen. 1. *Salvia*.—Subgen. *Eusalvia* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 256 (descr. ross., nomen illegit.).—ჯამი ზარისებრია ან ზარისებრ-მილისებრი, ნაყოფობისას არ დიდდება ან ოდნავ დიდდება; ზედა ტუჩი სამოკლეკბილიანია, გვირგვინის მთლიანი ჯამის ტოლია, ხშირად ჯამზე გრძელი, შიგნით ბეწვების რგოლით, ხშირად გვირგვინს ბეწვების რგოლი არა აქვს, ზოგჯერ გვირგვინის მთლიანი შიგნიდან მთლიანადაა შებუსუსი, ხახა ფართოა; გვირგვინის ზედა ტუჩი ქვედას ტოლია ან მასზე მოკლე, სწორი, იშვიათად ოდნავ მოღუნული, ქვედა სამნაკეთიანია, ნახევრადმომრგვალო, გვერდითი ნაკეთები ვადაღუნულია გარეთა მხარეს, შუა ნაკეთი ფართოა, ვადმოკიდებული. სამტვრე ძაფები შუასაბამის ტოლია ან მასზე გრძელი, რკალისებრ მოხრილი და მასთან შუა ადგილზეა შესასხრული (ისე რომ შუასაბამის ორივე მხარი თანაბარია) ან სამტვრის წინა ბუდესთანაა მიახლოებული; ასეთ შემთხვევაში შუასაბამის უკანა მხარი წინა მხარზე გრძელია; სამტვრეების ყველა ბუდე ფერტილურია ან წინა ბუდე სტერილურია, წინა ბუდეები გაცილებით მცირეა უკანაზე ან ისინი შეცვლილია და მაროსებრი ფორმისაა; უკანა მტვრისებრი სტამინოდოუმებაა გადაქცეული. ნახევრადბუჩქებია ან ბალახები მარტივი ან ფრთისებრი ფოთლებით; მრავალყვავილიანი ყვავილედით და ჩხრობით.

Sect. 1. *Salvia*.—Sect. *Eusphace* Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 194; Победимова во Фл. СССР XXI (1954) 256. — ჯამი ზარისებრია ან ფართო ზარისებრი, მაგრამ გაბერილი არ არის, გვირგვინის ზედა ტუჩი სწორია, ზომით ქვედა ტუჩის ტოლი ან მასზე მოკლე, კიდეები გარეთ არ არის გადახრილი და სამკბილაა მკვეთრად გამოსახული კბილებით. სამტვრეების ორივე ბუდე ფერტილურია, ჩხრო (2) 6 (10)-ყვავილიანია. ნახევრადბუჩქებია, იშვიათად ბალახები მოპირისპირედ განლაგებული ყლორტებით და მარტივი ან ფრთისებრდანიაკეთული ფოთლებით.

Ser. 1. *Pachystachya* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 261 (descr. ross.); Бот. Мат. (Ленинград) XXI (1961) 316.—ფოთლები ფრთისებრდანიაკეთულია, ორი-ოთხი წყვილიანი ელიფსური, მოგრძო ან ლანცეტა ნაკვეთებით. ჯამის ზედა ტუჩი ქვედაზე დიდია, სამკბილაა; შუა კბილი გვერდითებს აღმატება, რომლებიც ოდნავ შესამჩნევია, იშვიათად სამივე კბილი თანაბარია.

© 1. *S. garedjii* Troitzk. Изв. Главн. бот. сада СССР XXVII (1928) 623; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 316; idem. Опред. раст. Кавк. (1949) 340; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 367 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 264; Pzazade во Фл. Азерб. VII (1957) 334; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 426 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 385.

Ис.: Изв. Главн. бот. сада СССР XXVII (1928) рис. 2.—გარეჯის საღბი.

2. მონაცრისფრო მწვანე ფერის, 20—40 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქია, ძირიდანვე დატოტვილი; ღერო აღმავალია ან თითქმის სწორი, მარტივი ან სუსტად დატოტვილი, მოფენილია საკმაოდ გრძელი და ხშირი ბეწვით; ფოთლები მოკლეყუნწიანია, სქლადაა მოფენილი გრძელი, გაფარჩხული ბეწვებით, 5—6 სმ სიგრძის, ფრთისებრ-განკვეთილია, 2—4 წყვილი ფოთოლაკით; ფოთოლაკები ძირში შევიწროებულია, თითქმის მჯდომარე ან ძალიან მოკლე-



უწინაინა, კენწრული ფოთოლაკი გვერდითებზე უფრო დიდია და აქაობის  
 ყველა ფოთოლაკი წვერზე მოზღაგოა, კიდეებზე მსხვილბლაგვებილია. სპ  
 არათანაბრად ორმაგ კბილებიანი, ქვედა მხარეზე სქალადა მოფენილი თეთრი  
 ფერის ნამგლისებრი, ფრიად არათანაბარი სიგრძის ბეწვით, გარდა ამისა მო-  
 ფენილია წვრილი, ოქროსფერი, მჯდომარე ჯირკვლებით, ზედა მხარეზე უფ-  
 რო თხლად და მოკლედია შებუსული; ფესვთანური ფოთლები უფრო პა-  
 ტარა ზომისაა, უფრო ფართო, ფართო ელიფსურამდე ფორმის, წვერზე მო-  
 ბრგვალბული სეგმენტებითაა. ყვავილედის ქვედა ჩხრობთან განლაგებული  
 თანაყვავილის ფოთლები ღეროსეული ფოთლების მსგავსია, მაგრამ ნაკლები  
 ზომისაა და სეგმენტების ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი, სიგრძით  
 აღემატება ჯამს; შუათანა ჩხრობთან განლაგებული თანაყვავილის ფოთლები  
 წაგრძელებულ-ლანცეტისებრია, მთლიანი ან სამნაკეთიანი, ჯამის ტოლია, ხო-  
 ლო ზედა ნაწილში განლაგებული თანაყვავილის ფოთლები მთლიანია, წაგრ-  
 ძელებული ლანცეტისებრი, ჯამზე მოკლეა, მწვანე ან ფერადი, შებუსული;  
 ყვავილედი საკმაოდ ფარჩხატია, დაუტოტავია, 10—15 სმ სიგრძის, შედგება  
 5—6 ერთმანეთისაგან 1,5—2,5 სმ-ით დაშორებული ჩხროსაგან, თითოეულ  
 ჩხროში 8 მოკლეყუნწიანი ყვავილია; ჯამი 13—17 მმ სიგრძისაა, ძარღვების  
 გაყოლებაზე და კიდეებზე მუჭი მეწამულია, სქალადა მოფენილი გრძელი,  
 ვაფარჩხული ბეწვით, ძარღვებს შორის უფრო მოკლედია შებუსული, მოფენი-  
 ლია წვრილი, ოქროსფერი, მჯდომარე ჯირკვლებით, დაყვავილების შემდეგ  
 დიდდება, ჯამის ზედა ტუჩი ქვედა ტუჩზე გრძელია, ოდნავ შესამჩნევი გვერ-  
 დითი კბილებით და გაცილებით ფართო, მომრგვალებული, წვეტიანი შუა კბი-  
 ლით, ქვედა ტუჩი განკვეთილია ორ კვერცხისებრ-ლანცეტა წვეტიან კბილად;  
 გვირგვინი 2—2,5-ჯერ გრძელია ჯამზე, 30—35 მმ სიგრძის, კაშკაშა მეწამული  
 ფერის, გარეთა მხარეზე ხუჭუჭა ბეწვითაა შებუსული, მოფენილია მჯდომარე  
 ჯირკვლებით; ზედა ტუჩი სწორია წვერზე ორმად ამოკვეთილი, ქვედა ტუჩის  
 შუა ნაკეთი ფართოა, განივად ელიფსური, წვერზე ამოკვეთილი, გვერდითი  
 ნაკეთები ნახევრადრგოლურია, გადაღუნული, მილი სწორია, შიგნით ბეწვების  
 რგოლით. კაკლუჭი უკუკვერცხისებრია, 4 მმ სიგრძის, მურა ფერის, კარგად  
 გამოსახული წვრილი ძარღვების ბადით. ნაყ. ყვ. V—VI (სურ. 10-2).

აწერილია საქართველოდან (გარეჯის ველი).

Typus: Habitat in republica Georgia, distr. Tiflis, in jugo Tetri-Uda-  
 bno et vicinis regionis steppae Garedjii or rupes, ub; anno 1926 a me de-  
 tecta [Troitzk. Bull. Jard. Bot. Princip. URSS XXVII (1928) 623] (LE,  
 topotypus TGM!).

იზრდება სილაქებზე, ველის ვიწრო ხეობებში, 600—800 მ სიმაღლეზე  
 ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: 14 — გარე კან.: გარეჯის ველი, მონასტერთან (ტროიცი, სა-  
 ხოკია; კოლაკოვსკი; კლოპოვა; ქელიძე; ლიჭოკელი, შეთეკაური; ზაუტაშვი-  
 ლი; დ. კაბანაძე — TBI; გროსჰეიმი, კოლაკოვსკი — TGM) მთა დიბსი (ტრო-  
 იცი — TBI), თეთრი უდაბნო (ტროიცი — TBI), „ნათლის მცემლის“ მიდა-  
 მოები (სოხაძე — TGM), მალხაზოვკასა და გარეჯს შორის (გროსჰეიმი, კოლა-  
 კოვსკი — TBI) (რუკა 16).

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ. (ყაზახის მიდამოები სალოღლისა და კუჰკუნას  
 შორის).

შენიშვნა. ჰაბიტუსით *S. garedji* Troitzk. წინააზიური სახეობის

*S. rosifolia*-ს მსგავსია. განსხვავდება მისგან დატოტვით, შებუსვით, ფოთლის სეგმენტების რაოდენობით, ყვავილედის ზომით, სამტერების შუასაბამის მხრების ურთიერთგანლაგებით, კაკლუშების ფორმით.

Сер. 2. *Ringentes* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 266 (descr. ross.); Новости сист. высш. раст. 9 (1972) 244. — ყველა ფოთლო ფესვთა-ნურია, ფრთართული, ორი-სამი წყვილი წვრილი ელიფსური ნაკვითი და მსხვილი, ორ-სამჯერ დიდი ზომის კენწრული ნაკვითი. ჯამის ქვედა ტუჩი აღემატება ზედას, რომლისთვისაც სამი თანაბარი კბილია დამახასიათებელი.

2. *S. ringens* Sibth. et Smith Fl. Gr. I (1806) 14; Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 212; idem, in DC. Prodr. XII (1848) 266; Boiss. Fl. Or. IV (1879) 600; Липск. Фл. Кавк. (1899) 419; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 318; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 340; Победимова во Фл. СССР XXI (1954) 266; Колак. Растит. мир Колх. (1961) 318; Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2. VII (1967) 385; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 50.—*S. ringens* Sibth. et Smith var. *pontica* Lipsky Зап. Киев. общ. естествоисп. XI (1891) 55; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 318; Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 385.—*S. bzybica* Kolak. Тр. Сухумск. бот. сада XXVI (1980) 88.—*S. ringens* var. *bzybica* (Kolak.) Kolak. Фл. Абх. 2, II (1982) 263.

Is.: Fl. Gr. I (1806) tab. 18; Regel in Gartenfl. tab. 59; Тр. Сухумск. бот. сада XXVI (1980) рис. 1.; Фл. Сев. Кавк. 3 (1980) рис. 10 б.  
Exs.: Herb. Fl. Cauc. n° 239.

4. მცენარე 60—70 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, შიშველი ან ქვედა ნაწილში დაფარულია მოკლე, მიტკეცილი ბეწვებით; ფოთლები ფრთართულია, თავმოყრილია ღეროს ქვედა ნაწილში ან იშვიათად ღეროსეული 2 წყვილი ძლიერ სახეშეცვლილი ფოთლოც მოიპოვება; ჩვეულებრივ 7—8,5 სმ სიგრძის და 5—6 სმ სიგანის, მსხვილი, მომრგვალო-ელიფსური კენწრული ნაკვითი და 2—3 წყვილი ელიფსური, უფრო ბატარა ზომისა და ვიწრო გვერდითი ნაკვითი, დანაკლებული, ზემოდან, უმეტესად ძარღვებს შორის სუსტადაა შებუსული, ქვემოდან შებუსულია მრავალუჯრედიანი, თხელი ბეწვებით ძარღვების გაყოლებამე; ღეროსეული ფოთლები ლანცეტაა, მთლიანი, კიდემთლიანი, შებუსული ისევე, როგორც ფესვთანური ფოთლები; თანაყვავილები კვერცხისებრი, წვერში შევიწროებული, მკლამარე, ქერქლისებრი, ორივე მხრიდან შიშველი, ძირში გრძელი, თეთრი წამწამებით ან ქვემოდან შებუსულია შავთავიანი, ჯირკვლოვანი ბეწვებით, აღრევე ცვივა. ყვავილედი ან ქვედა ნაწილშია მხოლოდ შიშველი ან მთელ სიგრძეზე შებუსულია მოკლე, ხუჭუჭა ბეწვებით, მოკლეყუნწიანი და შავთავიანი ჯირკვლების შერევით; მარტივია ან დატოტვილი, 1—2 წყვილი გრძელი, გამვერილი ტოტით, 5—10, 4—6 ყვავილიანი ჩხროთი, რომლებიც წარმოქმნიან წყვეტილ თავთავისებრ ყვავილედს, ყვავილები სხვადასხვა სიგრძის ყუნწებზე სხედან (თითოეულ ჩხროში შუათანა ყვავილების ყუნწები გვერდითებზე უფრო გრძელია), შებუსულია თეთრი, თხელი, მრავალუჯრედიანი, ქვემოთ მიმართული ბეწვე-

ბით; ჯამი 12 მმ სიგრძისაა, გარედან შებუსულია შავთავიანი წიანი ჯირკვლოვანი ბეწვებით, შიგნიდან — მოკლევუნწიანი ღია ფერის ჯირკვლებით; ზედა ტუჩი ნახევრად მომრგვალოა, სამი პატარა ზომის, თანაბარი კბილით, რომელთაგან ორი გვერდითი მიმართულია შუათანა კბილისაკენ, ქვედა ტუჩი ზედას აღემატება, 1/4-მდეა განკვეთილი 2 სამკუთხა კბილად; გვირგვინი ცისფერია, 3,5—4,5 სმ სიგრძის, გრძელი, ხახსთან ძლიერ გაფართოებული, მოხრილი მილთი; ზედა ტუჩი სწორია, წვერში ამოკვეთილი, გარედან შებუსულია მოკლევუნწიანი, ღია და შავთავიანი ჯირკვლებით, ქვედა ტუჩი ზედაზე გრძელია, გადაღუნული გვერდითი ნაკვეთით, და მათზე ორჯერ გრძელი, თითქმის მომრგვალო, ძირში შევიწროებული, წვერზე ამოკვეთილი შუათანა ნაკვითი. მტვრიანები ოდნავ აღემატება გვირგვინს, სამტვრე ძაფები შუასაბამის ტოლია, შუასაბამის წინა მხარი უკანა მხარზე ორჯერ მოკლეა, სამტვრის ორივე ბუდე ფერტილურია, წინა ბუდეები მოკლეა, რედუცირებული, უკანა მტვრიანები კარგად განვითარებული სტამინოდუმიუმების სახითაა; სვეტი გაცილებით აღემატება გვირგვინს; დინგი ორი არათანაბარი ზომის ნაკვითაა. კაკლუჭი ელიფსურია, სამწახნაგოვანი, ზურგზე ნახევარსფეროსებრ ამოზნექილი, 3,5 მმ სიგრძის, მუჭი ყავისფერი. ნაყ. ყვ. V—VIII.  $2n=14$ .

აწერილია საბერძნეთიდან.

იზრდება კირქვიან კლდეებზე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: მდ. ზიფის ხეობა კუნბა-იაშტუს გზაზე (აღზინბა; შენგელია); 17 — ქვ. ქართ.: ბოლნისი (ძიდიგური; დ. კაპანაძე, ლ. ზაუტაშვილი — TBI, TG) (რუკა 17).

სსრკ: ამიერკავკ.: დას. ნაწ. შიომთას ხეობამდე; ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მზრ. (ბალკანეთის ნახევარკუნძ.).

შენიშვნა. სახეობა *S. ringens* ადრე საქართველოს ფლორისათვის არ იყო აღნიშნული. 1980 წელს კოლაკოვსკიმ აფხაზეთში (მდ. ზიფის ხეობაში) შეგროვებული მასალის საფუძველზე აწერა ახალი სახეობა *S. bzybica* Kolak., რომელიც განასხვავა *S. ringens*-გან რიგი ნიშნებით: ფოთლების ჩხროების მეტი რაოდენობით, ფოთლის უფრო დიდი ზომით, მისი მომრგვალოვალური კენწრული ნაკვითი, უფრო მსხვილი ჯამით, ჯამის ზედა ფართო უკუკვერცხისებრი, ორკბილა ტუჩით და მცენარის ეკოლოგიით (მეზოფილური ბუნებისა). 1982 წელს თვით კოლაკოვსკიმ დიდი რაოდენობით ცოცხალი მასალის შესწავლის შემდეგ აღნიშნა, რომ *S. bzybica* Kolak. *S. ringens* Sibth. et Smith-ის იდენტურია.

Sect. 2. *Drymosphace* Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 192, 218; Побеდიнова во Фл. СССР XXI (1954) 280.—ჯამი გაბერილი არ არის, ზედა ტუჩი თითქმის მთლიანია, გადაკვეთილი ან ნახევრადმომრგვალო, სამკბილიანი, კბილები ძალიან მოკლეა. გვირგვინის ზედა ტუჩი ნამგლისებრია, გვერდებზე შებრტყელებული, ზომით ქვედა ტუჩს აღემატება ან მასზე მოკლეა; ამ შემთხვევაში უკანაა გადახრილი; გვირგვინის მილი შიგნიდან თითქმის მთელ სიგრძეზეა შებუსული. მტვრიანების შუასაბამის უკანა მხარი წინაზე გრძელია; სამტვრეების წინა ბუდეები სტერილურია. ჩხროები ექვსყავილიანია. ევრაზიაში გავრცელებული ბალახოვანი მცენარეებია ჯირკვლოვანი ბეწვით შებუსული წყვილი მახვილისებრ-გულისებრი ან თითქმის მომრგვალო ფოთლებით.



3. *S. glutinosa* L. Sp. Pl (1753) 26; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1806) 22; Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 218; idem, in DC. Prodr. XII (1848) 276; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 359; Boiss. Fl. Or. IV (1879) 609; Липск. Фл. Кавк. (1899) 419; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 316; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 340; Колак. Фл. Абх. 4 (1949) 64; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 368 (georg.); Макашвили Фл. окр. Тбилиси II (1953) 104 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 281; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 335; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 199; Колак. Растит. мир Колх. (1961) 318; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 427. (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 386; Победимова во Фл. Европ. части СССР III (1978) 177; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 50; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 263; Hedge in Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 467; idem, in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 452.

lc.: Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tab. nostr. 510; Davis, Fl. Turkey 7 (1982) fig. 13,22.—**შალამანდილი.**

4. მცენარეს მსხვილი ფესვი აქვს; ღერო მეტწილად სწორია, 40—80 (100) სმ სიმაღლის, მარტივი, ხშირად, ფოთლების იდლებში დამოკლებული ყლორტებია განვითარებული ან ცოტად თუ ბევრად დატოტვილი, ქვედა ნაწილში თითქმის შიშველია, ზედა ნაწილში სქლადაა მოფენილი ძალიან წებოვანი ყუნწიანი ჯირკვლებითა და გადაწეული მრავალუჯრედიანი ბეწვებით; ფოთლების ზომა ქვევიდან ზევით უცბად მცირდება, ყველა ფოთოლი ყუნწიანია, შუბისებრ-კვერცხისებრი ფორმის ან ზედა ფოთლები სოლისებრი ძირითაა თითქმის მჯღომარე; ქვედა ფოთლები ყუნწიანია 6—12 სმ სიგრძის, მოფენილია გაფარჩხული, უკან გადაწეული ბეწვით, მათი ფირფიტა 8—16 სმ სიგრძისაა, უდიდესი სივანე 5—12 სმ, გრძლად წაწვეტებული, კიდევებზე ღრმა და ხშირი არათანაბარზომიერად მრგვალკბილა-ხერხისებრი, თხელი, კაშკაშა მწვანე ფერის, ბადისებრძარღვებიანი, ორივე მხარეზე თხლად თეთრი ბეწვით შებუსუსული, საკმაოდ ჯირკვლოვანია. ყვავილები 3,0—4,5 სმ სიგრძისაა, ჯირკვლებით სქლად მოფენილ ყუნწებზე სხედან. ჩხროები (2) 4—6 (8) ყვავილიანია, შეკრებილია გრძელ, მტევნისებრ, ზოგჯერ საგველასებრ ყვავილედებად; თანაყვავილის ფოთოლი 1—2 სმ სიგრძისაა, ლანცეტა ფორმის, გრძლად წაწვეტებული, კიდემთლიანი, ძლიერ ჯირკვლოვანი, თანაყვავილაკები მათი მსგავსია, მაგრამ უფრო პატარა ზომისაა, ჯამი მილისებრ-ზარისებრია, 12—14 მმ სიგრძის, სქლადაა ჯირკვლოვანი ბეწვით შებუსუსული, წებოვანია, ჯამის ზედა ტუჩი სამკუთხაა, მთლიანი, ქვედა ტუჩი რამდენადმე გრძელია და მოკლე 2-ნაკვთიანი; გვირგვინი ღია ყვითელი ფერისაა, გარედან შებუსუსულია და ჯირკვლებიც აქვს, მისი მილი არანათლად გამოსახული (ზოგჯერ სულ არ არის) ბეწვისაგან შექმნილი რგოლითაა, ზევით უცბად ფართოვდება, ზედა ტუჩი 1,5 სმ სიგრძისაა, გვერდებზე შებრტყელებული; ქვედა ტუჩი მოთეთრო ან მოწითალო მონახტულობისაა, მისი შუათანა ნაკვთი ფართოა, კიდევებზე პატარა ზომის კბილები აქვს; გვერდითი ნაკვთები ფართოა, მომრგვალო. კაკლში კვერცხისებრი ფორმისაა, 4 მმ-მდე სიგრძის, შიშველი, მურა ფერის. ნაყ. ყვ. IX—(X). 2n=16 (სურ. 11).

აწერილია ევროპიდან (Herb. Linn. 42/34).  
იზრდება დაჩრდილულ ტყეებში.

საქ. სსრ: მთელი რესპუბლიკის ტყის სარტყელში.

სსრკ: კავკასიის ყველა რაიონი; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ევრ.; მც. აზ.; ჩრდ. ირ. ჰიმალაიმდე.

Subgen. 2. *Scleara* (Mill.) Benth. in Benth. et Hook. f. Gen. II (1876) 1195; Победимова во Фл. СССР XXI (1954) 291, cum auct. epith. Moench. — Gen. *Scleara* Mill. in Gard. Dict. Abridg. ed. 4, 3 (1754). — ჯამი ზარისებრია, მილისებრ-ძაბრისებრი ან კონუსური; ზედა ტუჩი სამკბილაა, სწორი, ნაყოფობის დროს გარეთ ვადმოღუნული, ასეთ შემთხვევაში ღარია-ნია, ზომაში (ნაყოფობის შემდეგ) ოდნავ ან ძლიერ დიდდება. გვირგვინი მოკლე მილიანია, ბეწვიანი რგოლი განვითარებული არ არის, სანექტრეები არა აქვს ან ისინი განვითარებულია და მაშინ ეს უკანასკნელი სიფრიფანა ქერქლი-სებრია, გარშემოვლებული ჭირკვლოვანი ბუსუსებით, ან ბეწვების კონით; ზედა ტუჩი ქვედაზე გრძელია, ნამგლისებრი, გვერდებზე შებრტყელებული; ქვედა ტუჩი სამნაკვეთიანია, გვერდითი ნაკვეთები გაშვებულია ზევით ან წინ; შუა ნაკვეთი ჯამისებრია. ჩაღუნული. სამტვრე ძაფები რამდენჯერმე მოკლეა შუასაბამზე და მასთან შესახსრულია თითქმის წინა სამტვრე ბუდის აზლოს, შუასაბამი ზევითაა მიმართული; წინა სამტვრე ბუდეები ყოველთვის სტერილურია, სიფრიფანა, შეზრდის ადგილზე კოყრისებურად გასქელებული; უკანა მტვრიანები სტამინოდომებადაა გადაქცეული, იშვიათად ისინი განვითარებულია. მრავალ და ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ფესვთანური ფოთლებით; ფოთლები ფრთისებრია დანაკეთული ან მარტივია, შეფოთლოლი ან შეუფოთლოლი ღეროთი. ჩხროები 6—10-ყვავილიანია, იშვიათად 2—4-ყვავილიანი, დედამიწის აღმოსავლეთ ნახევარსფეროში გავრცელებული მცენარე-ებია.

Sect. 3. *Horminum* Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 193, 220; Победимова во Фл. СССР XXI (1954) 291, cum auct. epith. Moench. — ჯამი მილისებრია, მისი ზედა ტუჩი წაკვეთილია, გვერდითი კბილები წვრილია არათანაბარკიდებია. გვირგვინი პატარა ზომისაა, მისი ზედა ტუჩი სწორია ან ოდნავ ჩაღუნული. ორ ან ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია.

4. *S. viridis* L. Sp. Pl. (1753) 24; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 19; C. A. Meyer Verz. Pfl. Cauc. (1831) 87; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 277; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 360; Boiss. Fl. Or. IV (1879) 630; Липск. Фл. Кавк. (1899) 420; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 319; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 341; Колак. Фл. Абх. IV (1949) 65; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 380 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 104 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 295; Разадзе во Фл. Азерб. VII (1957) 335; Колак. Растит. мир Колх. (1961) 317; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 428 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 386; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 54; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 265; Hedge in Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 434; idem, in Davis Fl. Turkey 7 (1982) 434.—*S. horminum* L. Sp. Pl. (1753) 24.—*Horminum viride* Moench Meth. Pl. (1794) 377.

Ис.: Hegi, III. Fl. Mitteleur. 5 (4) (1927) fig. 2488, 2489; Davis, Fl. Turkey 7 (1982) fig. 13, 12; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tab. nostr.: 470, 471.



⊙ ან ⊖. მცენარე სუსტი ღერძფესვიანია, მოფენილია გრძელი, ოდნავ მკუმბული, ხუჭუჭა, დანაწევრებული ბეწვით; ღერო სწორია, მარტივი ან დატოტვილი, 20—40 (50) სმ სიმაღლის; ფოთლების ყუნწები 0,5—6 სმ სიგრძისაა; ფოთლები კვერცხისებრ-ელიფსური ფორმის, 2—7 სმ სიგრძის, 1—4 სმ სიგანის, წვერზე მომრგვალებულია, ძირში მეტწილად ოდნავ გულისებრი, კიდებზე წერილი და თანაბრად მრგვალებილიანი, დანაოჭებული, ორივე მხარეზე მოკლე, თხელი ბეწვით შებუსული; თანაყვავილის ფოთლები მჯდომარეა, ფართო კვერცხისებრი ფორმის, 1—2 სმ სიგრძის, მათ შორის უფრო ქვედა-ბალახოვანია, ცოტად თუ ბევრად მრგვალებილიანი, ზედა — კიდემთლიანია, ხშირად ქვედაზე უფრო დიდი ზომისაა, მეტწილად სიფრიფანაა, მწვანე ფერის, ზოგჯერ მოწითალო ან იისფერი, სულ ზედა ფოთლები უფერულია. ყვავილები 12—18 მმ სიგრძისაა, ძალიან მოკლე ყუნწებით; თანაყვავილაკები საღვისისებრია, წამწამებით მოფენილი; ჩხროში ჩვეულებრივ 6 ყვავილია, შეკრებილი თავთავისებრ ყვავილედად, დაგვირგვინებულია უნაყოფო ფოთლებით; ჯამი მილისებრია, გაფარჩხული ბეწვებით მოფენილი, მის ზედა ტუჩს ძალიან მოკლე შუათანა კბილი აქვს. გვერდითი კბილები ფართოა და მახვილწვერიანია, ქვედა ტუჩი ორი ლანცეტა ფორმის კბილითაა, დაყვავილების შემდეგ კბილები გადახრილია და ოდნავ დიდდება; გვირგვინი ვარდისფერია ან იისფერი, მისი მილი ჯამს არ აღემატება, ზედა ტუჩი სუსტადაა მოხრილი, 2-ნაყვითანია. ზურგზე მოკლედია შებუსული, ქვედა ტუჩი ოდნავ მოკლეა, მისი შუათანა ნაკვითი გადაღუნულია, ღრმად ამოკვეთილი. კაკლუში მოგრძო კვერცხისებრია, 3 მმ-მდე სიგრძის, პრიალა, ღია ყავისფერი. ნაყ. ყვ. V—VIII. 2n=16.

აწერილია უცნობი გეოგრაფიული წარმოშობის კულტურული ეგზემპლარის მიხედვით პატავის (ფრანკფურტი) ბოტანიკური ბაღიდან.

იზრდება მშრალ, თიხნარ და ქვიან ფერდობებზე, დამუშავებულ ნასვენ ადგილებსა და გზის პირებზე; მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ.; 5 — იმერ., 9 — ქართ., 13 — ქიზ., 14 — გარე კახ., 15 — გარდაბ., 17 — ქვ. ქართ., 19 — მესხ.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ., ევრ. ნაწ. (ყირიმი); თურქმენეთი.

საერთო გავრცელ.: სამხ. ევრ. (შემოტანილია), ხმელთაშუაზღვ. მხრ., მც. აზ. (აღმ. ანატ.); ირ.; ერაყი; კვიპროსი.

Sect. 4. *Sclarea*.—Sect. *Stennarhena* (D. Don) Briq. in Engler und Prantl, Nat. Pflanzenfam. 4, 3a (1896) 274; Победимова во Фл. СССР XXI (1954) 298. — ჯამი ზარისებრია ან მილისებრ-ზარისებრი, ნაყოფობის დროს ვადიდებული არ არის ან ოდნავ დიდდება, ზედა ტუჩი წაკვეთილი არ არის, სამკბილიანი, სწორი ოდნავ დაახლოებული თანაბარკიდებიანი კბილებით, შუა კბილი ხშირად ძალიან პატარა ზომისაა. გვირგვინის ზედა ტუჩი ქვედას აღემატება, იშვიათად მოხრილია; ყვავილები ყვითელია ან თეთრი. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია.

Subsect. 1. *Homalosphaceae* (Boiss.) Briq. in Engler und Prantl, Nat. Pflanzenfam. 4, 3a (1896) 275; Победимова во Фл. СССР XXI (1954) 298, cum auct. epith. Bunge (1873, ut «Sect. Homalosphace»). — გვირგვინის მილი ხახისაკენ თანდათანობითაა გაფართოებული, სანექტრეები არ არის, უკანა მტვრიანები სტამინოდიუმებადაა გადაქცეული.



Сер. 1. *Compositae* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 304 (descr. ross.);  
 Новости сист. высш. раст. 9 (1972) 244. — გამი ზარისებრია; გვირგვინის  
 ზედა ტუჩი ნამგლისებრია, გვირგვინის მილი ჯამიდან ამოყოფილია; მცენარე  
 შებუსუსულია მოკლე მარტივი ბეწვებით, რომელთა ნაწევრები გასქელებულია;  
 ყვავილი 2—2,5 სმ სიგრძისაა, ხაზური, წამწამებიანი თანაყვავილებით; ყვავი-  
 ლედი მარტივია ან ოდნავ დატოტვილი.

○ 5. *S. compar* Trautv. ex Sosn. Tr. Azerb. отд. Закавк. ФАН  
 СССР I (1933) 43 (nom. restituendum); Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 321;  
 idem, Опред. раст. Кавк. (1949) 342; Сосновский во Фл. Груз. VII (1952)  
 374 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 304; Капеллер в Опред.  
 раст. Груз. I (1964) 427 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII  
 (1967) 389.—*S. sahendica* auct. fl. cauc., non Boiss. et Buhse; Траутв. Tr.  
 Петерб. бот. сада V 2 (1878) 468 II IX, 95; Boiss. Fl. Or. IV (1879) 642  
 p. p.; Липск. Фл. Кавк. (1899) 420; Бордзиловский Зап. Киев. общ. есте-  
 ствостисп. XXV (1915) 113.—*S. Trautvetteri* Sosn. Вестн. Тиф. бот. сада,  
 нов. сер. 1 (1922—23) 79 non Regel.

Is.: Фл. Груз. VII (1952) рис. 324; Фл. СССР XXI (1954) табл. XIV;  
 Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) табл. XXIII, 2.

2. მცენარეს ვერტიკალური ფესურა აქვს, 18—38 სმ სიმაღლისაა; ღე-  
 რო ძირიდანვე დატოტვილია, ზოგჯერ ძირში უნაყოფო ფოთლების როზე-  
 ტებია განვითარებული, აღმავალია, მოფენილია ძალიან მოკლე საწოვრისებრი  
 ბეწვით და მჯდომარე, ყვითელი ფერის ჯირკვლებით, ღერო ბოლოვდება ვიწ-  
 რო საველასებრი ან მტეენისებრი ყვავილელებით; ფოთლები საკმაოდ გრძელ-  
 ყუნწიანია, კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-მოგრძო ფორმის, 4,5—7,0 სმ სი-  
 გრძის, 2,0—4 სმ სიგანის, ძირში გულისებრია ან წაკვეთილია, ზედა მხარეზე  
 მუქი მწვანე ფერის, ფრიალ დანაოჭებული, ქვედა მხარეზე მონაცრისფროა,  
 ფიჭისებრი, სქალადა შებუსუსული საწოვრისებრი ბეწვით და გარდა ამისა მო-  
 ფენილია ძალიან პატარა ზომის, მოყვითალო ფერის მჯდომარე ჯირკვლებით;  
 ზედა ფოთლები მოკლეყუნწიანია ან მჯდომარე, კვერცხისებრი ფორმის, საკ-  
 მადოდ გრძლად წაწვეტებული. ყვავილედი ზევით აშვირული ტოტებითაა; უფრო  
 იშვიათად მარტივია, მისი ჩხროები 4—6-ყვავილიანია; თანაყვავილები სიფრი-  
 ფანაა, მახვილწვერიანი, იისფერი, კიდევებზე წამწამებით მოფენილი, ზურგზე  
 ძალიან მოკლედ შებუსუსული და ძალიან წვრილი ჯირკვლებით; გამი ოდნავ  
 ირიბია, დაკუთხული, ორტუჩა, ცოტად თუ ბევრად ზარისებრი, 1 მმ-მდე სი-  
 განის, ძარღვების გაყოლებაზე საწოვრისებრი ბეწვით, მქისეა, მოფენილია  
 უწვრილესი ჯირკვლებით, ნაყოფობისას ოდნავ დიდდება, ზედა ტუჩის კბილე-  
 ბი მოკლე სადგისისებრია, ურთიერთ მიახლოებული; გვირგვინი ცისფერია ან  
 ღია ლურჯი ფერის, ჯამიდან ოდნავა ამოყოფილი, მისი ზედა ტუჩი ნამგლი-  
 სებრია. კაკლუქი წაბლისფერია, ძალიან წვრილმეჭებებიანი, უკუკვერცხისებრი  
 ფორმის, ოდნავ შებრტყელებული. ნაყ. ყვ. VI—VII (სურ. 10-ი).

აწერილია ახალციხიდან.

Typus: „Achalzich, 1876, Radde“ (LE, isotypus TGM!).

იზრდება თიხნარ, თაბაშირიან და ლორღიან ფერდობებზე მთის შუა  
 სარტყელში.



საქ. სსრ: 9 — ქართ.: ბორჯომის ზეობა (რადე — TGM); სლესის ციხის მიდამოები (ხინთიბიძე — TBI); დ. წაღვერი (კოზლოვსკი — TBI); 19 — მესხ.: ახალციხე (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა — TBI); ახალციხესა და აწყურს შორის (სოსნოვსკი, კოზლოვსკი — TBI); მდ. ფოცხოვ-ჩაის მარცხენა სანაპირო (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა — TBI); რაბათის მახლობლად (ხინთიბიძე — TBI); სოფ. ოხეროს მიდამოები (სოსნოვსკი — TBI); სოფ. ოთასა და დამალას შორის (კოზლოვსკი — TBI); ასპინძის მიდამოები (ხინთიბიძე, მუყანაიანი — TBI, ქიქოძე — TGM); ადიგენის მიდამოები (ქიქოძე — TGM); ადიგენსა და მლაშეს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა — TBI, ქიქოძე — TGM); სოფ. კლდეხ მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა — TBI); სოფ. შინაძესა და რუსთავს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა — TBI); ოშორის სამხრეთ ფერდობი (ხინთიბიძე — TBI) (რუკა 18).

Subsect. 2. *Gongrosphaceae* (Boiss.) Briq. in Engler und Prantl, Nat. Pflanzenfam. 4. 3a (1896) 275; Победимова во Фл. СССР XXI (1954) 310, sine auct. epith.— გვირგვინის მილი ხახისავენ უცბათაა ვაფართოებული; ამ ადგილზე განვითარებულია მფარავი სანექტრე ქერქლი ჯირკვლავანი ბეწვებით. მის ზედა კიდებზე სტამინოდუმები არ არის, იშვიათად ისინი განვითარებულია.

Ser. 1. *Sciareae* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 310 (descr. ross.); Новости сист. высш. раст. 9(1972)245. — ფესვთანური და ღეროსეული ფოთლები კარგადაა განვითარებული, მთლიანია; თანაყვავილების ფოთლები შეფერილია ვარდისფრად, მკრთალისფრად. იშვიათად თეთრად და ჯამს რამდენადმე აღემატება; ყვავილები 2—3 სმ სიგრძისაა; ყვავილუდი საველაა.

6. *S. sclarea* L. Sp. Pl. (1753) 27; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 22; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 281; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 361; Boiss. Fl. Or. IV (1879) 616; Липск. Фл. Кавк. (1899) 419; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 320; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 341; Колак. Фл. Абх. IV (1949) 65; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 371 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 104 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 310; Разадзе во Фл. Азерб. VII (1957) 338; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 199; Колак. Растит. мир Кавк. (1961) 318; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 427 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 388; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 261; Победимова во Фл. Европ. части СССР III (1978) 177; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 52; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 264; Hedge in Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 450; idem, in Davis Fl. Turkey 7 (1982) 438.

Is.: Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) рис. 10 c; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tab. nostr. 491.—ხარისხარა.

©. მთელ მცენარეს ფისისებრ-ინასებრი სურნელება აქვს, სქლდაა მოფენილი ხუჭუქა, მრავალუჯრედოვანი ბეწვითა და ყუნწიანი ჯირკვლებით; ღერო მეტწილად სწორია, 30—110 სმ სიმაღლის, 1 სმ-მდე სისქის, ფოთლების ილითებში დამოკლებული ყლორტებით, ზედა ნაწილში საველასებრ დატოტვილი; ყველა ფოთოლი პირველ წელს ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი, მეორე წელს მცენარეს უპირატესად ღეროსეული ფოთლები აქვს, ყუნწები



2—7 სმ სიგრძისაა, ღეროსთან ერთად შებუსუსული ხუჭუჭა ბეწვითაა დაფარული. სიგრძიდან გულისებრ-კვერცხისებრამდე ფორმის, 7—18 სმ სიგრძისაა. სიგანის, წვერზე მომრგვალებული ან მოკლედ წაწვეტებული, კიდეებზე არათანაბრად მრგვალებილებიანი ან ამოღრღნილკბილებიანი, ბადისებრ ნაოჭებიანი, ორივე მხარეზე თხლადაა ნაცრისფერ ქეჩისებრ შებუსუსული, ზედა მხარეზე მეტწილად მოშიშვლოა, მოფენილია ზშირი, წვერილი, მკდომარე ჯირკვლებით; კენწრული თანაყვავილის ფოთლები მკდომარეა, კვერცხისებრ-გულისებრი ფორმის, უცხად შევიწროებული მახვილ წვერში, ქვედა — ბალახისებრია, ყვავილებს აღემატება, ზედა-სიფრთხანაა, თითქმის ყვავილების ტოლია, ღვინისფერ-წითელი ან სოსანი ფერის, კიდეებზე და ქვედა მხარეზე ძარღვების გაყოლებზე ბეწვითაა მოფენილი. ყვავილები 2—2,5 სმ სიგრძისაა, ყვავილის ყუნწები შებუსუსულია, 4—6 ყვავილიან ჩხრებდააა შეკრებილი მტევნისებრ ყვავილელებად; ჯამი ზარისებრია, 1 სმ-მდე სიგრძის, გაბნეულ ჯაგრისებრი ბეწვით მოფენილი, ზედა ტუჩი შედგება პატარა ზომის, მახვილწვერიანი შუათანა და 2 ლანცეტა ფორმის გვერდითი კბილისაგან, ცოტად თუ ბევრად გრძელი ფხისებრი წვერით; გვირგვინი ჯამს 2—3-ჯერ აღემატება, ღია სოსანი ან ვარდისფერია მხოლოდ ზედა ტუჩის შუა ხაზზეა მოკლედ შებუსუსული; გვირგვინის მილი ჯამს ოდნავ აღემატება, შიგნით გრძელი, სპირალურად დაგრეხილი ქერქლითაა; ზედა ტუჩი ოდნავ ნამგლისებრია; ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი უფრო დიდი ზომისაა და წვერილად დაკბილული, გვერდითი ნაკვთები წაწვეტებულია. კაკლუჭი კვერცხისებრია, ბლაკვად სამწახნაგოვანი, 2 მმ-დე სიგრძის, გლუვი, წაბლისფერი ან უფრო მუქი, წვერილი მარმარილოსებრი მოხატულობით. ნაყ. ყვ. VI—VII (VIII). 2n=22 (სურ. 12).

აწერილია სირიიდან და იტალიიდან: „In Syria, Italia“ (Herb. Linn. 42/45).

იზრდება მშრალ ხირხატთან, ქვიშნარ, თიხნარ ეკოტოპებზე, ხნულეებზე, მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.; 7 — აჭარ., 8 — სამხ. ოს., 9 — ქართ., 16 თრიალ., 16 — ჯავახ., 19 — მესხ.

სსრკ.: იმიერკავკ.: (დაღესტ.); ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.: ევროპ. ნაწ. (ყირიმში); შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ევრ. (შეტანილია); ხმელთაშუაზღვ. მზრ.; მც. აზ.; ირ.; სირია; ცენტრ. და სამხ. დას. აზ.

ს ა მ ე უ რ ა ნ ე მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა . ე თ ე რ ზ ე თ ო ვ ა ნ ი მ ც ე ნ ა რ ე ა .

Ser 2. Lanatae Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 318 (descr. ross.); Новости сист. высш. раст. 9(1972)245. — ფოთლები ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი; თანაყვავილის ფოთლები ჯამის ტოლია ან ოდნავ მასზე მოკლეა; ყვავილი 10—22 მმ სიგრძისაა, თეთრი ან იისფერი; უკანა მტვრინები სტამინოდუმებადაა გადაქცეული; ყვავილენი პირამიდულია მრავალყვავილიანი საგველაა, იშვიათად ორი-სამწველიანი ტოტებით; მთელი მცენარე და ჯამი შებუსუსულია თეთრად ქეჩისებრ-ქულასებრ.

7. *S. aethiopsis* L. Sp. Pl. (1753) 39; Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 23; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 283; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 361; Boiss. Fl. Or. IV (1879) 616; Липск. Фл. Кавк. (1899) 419; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 321; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 342; Колак. Фл.



Абх. IV (1949) 66; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 372 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 106 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 318; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 340; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 427. (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 391; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 261; Победимова во Фл. Европ. части СССР III (1978) 177; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 49; Hedge in Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 451; idem, in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 440.

Ис.: Фл. Европ. части СССР III (1978) табл. 33; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tab. nostr. 492.—*ბამბი ულა*.

2. მცენარეს ძლიერი, გახევებულღერძიანი ფესვი აქვს, თხლადა თეთრი მატყლისებრი ბეწვით მოფენილი ან აბლაბუდასებრ-შებუსულია, წებოვანი არ არის; ღერო 20—100 სმ სიმაღლისაა, ძალიან ძლიერია, მეტწილად თითქმის ძირიდანვეა დატოტილი, დიდი ზომის პირამიდულ საველას ქმნის; ფოთლები მეტწილად ფესვთანურ როზეტადაა შეკრებილი, ყუნწიანია, 2—5 სმ სიგრძის, 2—15 სმ სიგანის, მოხაზულობით კვერცხისებრიდან ელიფსურ-რომბისებრამდე, ძირში გულისებიდან სოლისებრამდე, კიდევებზე უხეშად და ფრიალ არათანაბრად ამოღრღნილ მრგვალებიანი, ზოგჯერ ოდნავ განკვეთილი, ბადისებრ-დანაოჭებული, ორივე მხარეზე მონაცრისფრო მატყლისებრი ბეწვითაა მოფენილი; ყვავილედი ქვედა ფოთლები ფესვთანური ფოთლების მსგავსია, მაგრამ მნიშვნელოვნად უფრო პატარა ზომისაა, ზედა ფოთლები ძირში ღერო-მხვევია, გულისებრი ფორმის, გრძლად წაწვეტიებული, 1 სმ-მდე სიგრძის, კიდემთლიანი, ძირში ცოტად თუ ბევრად ბალახისებრია, კიდევებზე მეტწილად სიფრიფანაა, ხშირად იისფერი ელფერი დაპყრავს, წვერზე თანდათან წაწვეტიებულია. ყვავილედი სწორმდგომია, 6—10-ყვავილიანი, ჩხროდ შეკრებილი ტოტების გასწვრივ და ფარჩხატ საგველა ყვავილედებადაა განწყობილი. ჯამი მილისებრ-ზარისებრია, დაყვავილების შემდეგ დიდდება, ძალიან სქლდაა თეთრი, მატყლისებრი ბეწვით მოფენილი, ლანცეტა ფორმის, ხშირად იისფერი, ჩხვლეტია, მახვილწვერიანი კბილებითაა, ზედა ტუჩის შუათანა კბილი ძალიან მოკლეა; გვირგვინი მოთეთრო ფერისაა, მხოლოდ ზურგის მხარეზეა მოკლედ შებუსული, გვირგვინის მილი ჯამიდან ამოყოფილია, შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი კონა აქვს, ზედა ტუჩი სუსტადაა მოხრილი, 2 მოკლე ნაკვითი; ქვედა ტუჩი ოდნავ მოკლეა, 3-ნაკვითიან და ფართო, ღრმად ამოღრღნილი, ვადა-კეცილი შუათანა ნაკვითი აქვს. კაკლუჭი 3 მმ-მდე სიგრძისაა. ნაყ. ყვ. V—VII.  $2n = 22, 24$ .

აწერილია იუგოსლავიდან: „Described from Illyria (coastal Jugoslavia), Greece and Africa“ (Hb. Linn. 42/48) [Fl. Turkey 7 (1982) 440].

იზრდება სტეპებში, მდელოებზე, საძოვრებზე, ხეულებში, თიხნარ, ქვიან, კირქვიან ეკოტოპებზე.

საქ. სსრ: 1 — აფხ., 9 — ქართ., 14 — გარე კახ., 18 — ჯავახ., 19 — მესხ. სსრკ: იმერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (სამხრეთი); შუა აზ. საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; ევროპ. (დას. და შუა); სირია; მც. აზ.; ჩრდ. ირ.

Ser 3. *Verbascifolia* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 322 (descr. ross.); Новости сист. высш. раст. 9(1972)245. — ფოთლები თითქმის ყველა

ფესვთანურია ან ერთი-ორი წყვილი ღეროსეულია, მთლიანი; თანაცუკუნულნი ფოთლები მწვანეა, ჯამზე მოკლე. ყვავილები 1,5—3 სმ სიგრძის, მარტვიანნი მოყვითალო; ყვავილენი დატოტვილია, ორი-ოთხი წყვილი გვერდითი ტოტით ან მარტივია.

8. *S. verbascifolia* Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 24; Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 227; idem, in DC. Prodr. XII (1848) 285; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 362 p. p.; Boiss. Fl. Or. IV (1879) 619; Липск. Фл. Кавк. (1899) 419; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 322; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 342; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 372 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 106 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 322; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 341; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1961) 428 (georg.); Тер-Хачат., в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 392; Тахт., Фл. Еревана (1972) 261; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 50.—*S. candidissima* Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 22, non Vahl.

2. მცენარე ქვედა ნაწილში ნაცრისფრად ან თხლად აბლაბუდასებრია შებუსული, ყვავილედებში შებუსეა მოკლეა, წებოვანი ბეწვით; ღერო სწორია 15—30 სმ სიმაღლის, მარტივი, ზედა ნაწილში ბოლოვდება მარტივი, მტკვნი-სებრი ანდა საგველასებრი ყვავილედით, ქვედა ფოთლები ყუნწიანია, ყუნწები თითქმის ფირფიტის ნახევრის ტოლია, ნაოქებიანი, კვერცხისებრი ან ოვალური ფორმის, 7—9,5 სმ სიგრძის და 5—6 სმ უღიდესი სიგანის, განკვეთილნაკვეთებიანი, ძირში სოლისებრ წაკვეთილი ან თითქმის გულისებრი ფორმის, მოზღავეო წვერით, ღეროსეული ფოთლები დაპატარავებულია, საერთოდ ფესვთანური ფოთლების მსგავსია. ზედა ფოთლები არაა მრავალი, მჯდომარეა, ოვალური ფორმის, მახვილი ან მახვილწვერიანი. ყვავილები 6—4 ყვავილიან, დაშორიშორებულ ჩხროებადაა შეკრებილი; თანაცუკუნის ფოთლები მომრგვალოა, წვერით, სიფრიფანაა, სამჯერ (იშვითად ორჯერ) მოკლეა ჯამზე; ჯამში საწოვრისებრი ბეწვებითაა შებუსული, ოდნავ წებოვანი, მისი ზედა ტუჩი სამკბილაა, ძალიან პატარა ზომის შუათანა კბილით, ქვედა ტუჩი ორკბილაა, კბილები წვერზე სადგისისებრ ჩხვლეთია; გვირგვინი თითქმის ორჯერ აღემატება ჯამს, მისი ზედა ტუჩი მოთეთრო ფერისაა, ქვედა ტუჩი — მკროთალი ყვითელი, მისი მილი ჯამში ჩამალულია, შიგნით ბეწვიანი დანამატი აქვს. ნაყ. ყვ. IV—VII.  $2n=16$  (Maryaev. 1976).

აწერილია აზერბაიჯანიდან, მდ. სამურის ხეობიდან.

Typus: „Ad lorrente Samur et Iucharibasch' ditionis Cubensis etiam occurit“ [Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 24].

იზრდება მშრალ, ქვიან, კლდე-ლორლიან ფერდობებზე მთის ქვედა და შუა სარტყელში.

საქ. სსრ: 9 — ქართ., 16 — თრიალ.

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; იმიერკავკ.: დაღესტ.

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; აღმ. ანატ.

შენიშვნა. ჰეჯი *S. verbascifolia* Bieb.-ს თვლის მცირე აზიაში გავრცელებული სახეობის — *S. microstegia* Boiss. et Bal. მონათესავედ. იქვე ავტორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ისინი ყოველთვის განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შებუსის ინტენსივობით.

Ser 4. *Limbatæ* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 325 (descr. ross.)  
Новости сист. высш. раст. 9(1972)245.—ფოთლები თანაბრადაა განაწილებული ღეროზე ან თავმოყრილია ღეროს ძირთან, მთლიანია; ჩხროებთან განვითარებული თანაყვავილის ფოთლები მწვანეა ან მოთეთრო შებუსის გამო და ჯამზე მოკლეა; ყვავილები 1,6—2,5 სმ სიგრძისაა, თეთრია ან ვარდისფერი, ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი მოყვითალოა. ყვავილედ ისაგველა; უკანა მტკრიანები სტამინოდუმებადაა გადაქცეული.

9. *S. limbata* C. A. Mey., Verz. Pfl. Cauc. (1831) 86; Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 718; Hohen. Enum. Talysch. (1838) 64; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 279; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 360; Boiss. Fl. Or. IV (1879) 623; Липск. Фл. Кавк. (1899) 419; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 321; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 342; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 373 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 106 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 325; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 342; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 261; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 428 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 390; Hedge in Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 462; idem, in Davis Fl. Turkey 7 (1982) 450.—*S. limbata* C. A. Mey. var. *aspera* Fom. ex Grossh. Фл. Кавк. III (1932) 321.

loc.: Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) рис. 82; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tab. nostr. 504; Davis, Fl. Turkey 7 (1982) fig. 13, 17.

4. ღერო მოფენილია თხლად საწოვრისებრი ბეწვით და წვრილი, მჯდომარე, ყვითელი ფერის ჯირკვლებით, 40—70 სმ სიმაღლისაა, სწორი, მეტწილად მხოლოდ ქვედა ნაწილშია შეფოთილი, დაახლოებით შუა ნაწილიდან საგველასებრ-დატოტვილი; ფოთლები მწვანეა, ძალიან დანაოჭებული, 2—4,5 სმ სიგრძის, ფართო კვერცხისებრი ფორმისაა, ყუნწებზე სხედან, ძირში გულისებრი, წვერზე თანდათან წაწვეტებული ან მობლაგვია, კიდეებზე ამოდრღნილ-დაკბილული, ხშირად ოდნავ ნაკვეთიანი, ზედა მხარეზე შიშველი, ქვედა მხარეზე ოდნავ ხორკლისებრ-ბეწვიანი, ცოტად თუ ბევრად სქალადაა მოფენილი წვრილი, მჯდომარე, ყვითელი ფერის ჯირკვლებით; კენწრული ფოთლები უცბადაა ძლიერ დაპატარავებული, კვერცხისებრი ფორმისაა, მახვილწვერიანი, ცვენია. ყვავილი 2—6 დამორიშორებულ ჩხროებად განწყობილი, 3 სმ-მდე სიგრძის, ყვავილედ ისაგველასებრია წვეპლისებრი ტოტებით; ჯამი ზარისებრია, ძარღვებს ვაყოლებამდე უხეშბეწვიანი, მოფენილია მჯდომარე, ყვითელი ფერის ჯირკვლებით, მისი ტუჩები ურთიერთ ძლიერ დამორებულია, ზედა ტუჩი გადმობრუნებულია, მოკლე და მახვილსამკბილიანი, ქვედა ტუჩი ლანცეტა ფორმის, წვეტიანი კბილებითაა; გვირგვინი მოთეთრო ფერისაა, ჯამს 3-ჯერ აღემატება, ზედა ტუჩი ნამგლისებრ მოხრილია, მოთეთრო ფერისაა, ზურგზე მოფენილია საწოვრებით, ქვედა ტუჩის შუათანა ნაკვთი მოყვითალო ფერისაა, კიდეებზე მურა ფერის; გვირგვინის მილი ჯამშია ჩამალული. ნაყ. ყვ. V—VI. 2n=34.

აწერილია თალიშიდან.

Typus: „In locis siccis lapidosis montium Talüsch prope pagum Swant (alt. 670 hexap.) Hohenacker“ (LE).

იზრდება მშრალ, ქვიან ფერდობებზე მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ., 14 — ვარე კახ.

სსრკ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

საერთო ვავრცელ.: აღმ. ანატ.; ირ.

Sect. 5. *Plethiospance* Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 193, 220; Победимова во Фл. СССР XXI(1954)335. — ჯამი ფართო ზარისებრია, ზედა ტუჩი მომრგვალოა, 3 ზემოთ მიმართული კბილით, ნაყოფობისას ძლიერაა უკან გადახრილი, ორლარიაანია. გვირგვინი პატარა, იშვიათად დიდი ზომისაა; ზედა ტუჩი მოხრილია, თითქმის სწორი, იშვიათად ნამგლისებრი; ყვავილები იისფერია, ლურჯი ან თეთრი. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია. საქართველოში გავრცელებულია 3 სახეობა.

Ser. 1. *Pratenses* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 335 (descr. ross); Новости сист. высш. раст. 9(1972)246. — მტვრიანები და ბუტკოს სეგტი გვირგვინის ზედა ტუჩს 1/3—1/2 აღემატება; ყვავილები მუქი და ღია იისფერია ან იისფერ-ლურჯი; თანაყვავილის ფოთლები მწვანეა, ჯამზე რამდენჯერმე მოკლეა; ყვავილენი სწორია; ჩხროები მეტნაკლებად ურთიერთ დაშორებულია; მცენარე ჭირკვლოვანი ბეწვითაა შებუსუსლი.

10. *S. virgata* Jacq. Hort. Vindob. I (1770) 14; Ait Hort. Kew. I (1789) 139; Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 234; idem, in DC Prodr. XII (1848) 290; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 364; Boiss. Fl. Or. IV (1879) 627; Липск. Фл. Кавк. (1899) 420; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 324; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 343; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 378 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 340; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 347; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 199; Коллак. Растит. мир Колх. (1961) 317; Тер-Хачат. в Гроссг Фл. Кавк. 2, VII (1967) 396; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 261; Победимова во Фл. Европ. части СССР III (1978) 178; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 54; Hedge in Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 469; idem, in Davis Fl. Turkey 7 (1982) 454.

Is.: Hort. Vindob. I (1770) tab. 37; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) рис. 10 e; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tab. nostr. 513.

2. მცენარე 50—60 სმ სიმაღლისაა, საწოვრისებრი ბეწვით შებუსუსლი, მკრთალი მწვანე ფერის; ღეროს შუა ნაწილის ზემოთ გრძელი, წიკბლისებრი, წებოვანი ტოტები აქვს; ფოთლები მეტწილად ღეროს ძირშია თავმოყრილი, ქვედა ფოთლები მოკლეყუნწიანია, 11—12 სმ სიგრძის, 5,5 სმ სიგანის, კვერცხისებრ მოგრძო ფორმის, დანაოჭებული, მომახვილოწვერიანი, ძირში ცოტად თუ ზევად გულისებრი ფორმის, კიდეებზე ოდნავ ამოკვეთილი, მრგვალებიანი; ზედა ფოთლები უცბად ვიწროვდება, მოკლეყუნწიანია ან მჯდომარე; თანაყვავილის ფოთლები ძალიან პატარა ზომისაა, ფართო კვერცხისებრია ან კვერცხისებრ მოგრძო, მახვილწვერიანი, ძირს გადახრილი, ზოგჯერ შეფერილია. ყვავილენი საგველასებრია; ჩხროები 4—6 ყვავილიანია, დაშორებული; ყვავილები პატარა ზომისაა, 2 სმ-მდე სიგრძის, მოკლეყუნწიანი; ჯამი ზარისებრია, გაფარჩხული, მაგარი ბეწვით და ამის გარდა წვრილი, მჯდომარე, მოყვითალო ფერის ჭირკვლებით მოფენილი, ზედა ტუჩი ოდნავ გადახრილია, 3 პატარა ზომის ურთიერთ მიახლოებული კბილით; ქვედა

ტუჩი 2, კვერცხისებრი ფორმის, სადგისისებრ შევიწროებული წვეტიანი კბილიან ლითაა; გვირგვინი 2—2,5-ჯერ გრძელია ჯამზე, ცისფერი ან მოთეთრო, ოდნავ გულისებრი ფორმის ზედა ტუჩით. კაკლუქი მომრგვალო-მოგრძო ფორმისაა, თითქმის გლუვი, მუქი ყავისფერი. ნაყ. ყვ. V— VII.  $2n=16, 32$  (სურ. 13).

აწერილია *S. pyrenaica* L.-ს სახელწოდებით იტალიიდან მიღებული თეს-ლებიდან აღმოცენებული კულტურული ეგზემპლარიდან. ტიპი დაცულია ლონ-დონში.

იზრდება ბუჩქნარებში, მდელოებზე, ტყის პირებზე, ველოებზე, ხშირად როგორც სარეველა.

საქ. სსრ.: 1 — აფხ., 7 — აჭარ., 8 — სამხ. ოს., 9 — ქართ.

სსრკ: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევროპ. ნაწ. (ყირიმი); შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ. (აღმ.); მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.; გრაცი.

Сер. 2. *Nemorosae* Pobed. во Фл. СССР XXI (1954) 344 (descr. ross.); Новости сист. высш. раст. 9(1972)246. — თანაყვავილის ფოთლები ჯამზე გრძელია, კვირტში ერთმანეთზე კრამიტისებრადა განლაგებული, იისფერი, იშვიათად ქვედა მწვეანე ფერისაა, ყვავილენი სწორია, მოკლე ან გრძელი ტოტებით; ჯამი თესლების მომწიფებისას ზედვე რჩება; მტერიანები გვირგვინის ზედა ტუჩითაა დაფარული ან ბუტკოს სვეტთან ერთად გვირგვინიდან ამოყოფილი; გვირგვინის ზედა ტუჩი ოდნავ ნამგლისებრია; ყვავილები ლურჯია; მცენარე არ არის შებუსუსული ჭირკვლოვანი ბეწვებით ან ქვედა ნაწილში შებუსუსულია მოკლყუნწიანი ჭირკვლოვანი ბეწვებით.

11. *S. nemorosa* L. Sp. Pl. ed. 2 (1762) 35; Vieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 20 p. p.; Колак. Фл. Абх. 4 (1949) 66; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 379 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 106 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 344; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 199; Тахт., Фл. Еревана (1972) 260; Победимова во Фл. Европ. части СССР (1978) 180; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 263; Hedge in Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 470; idem. in Davis Fl. Turkey 7 (1982) 455.

Ис.: Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tab. nostr. 514; Davis Fl. Turkey 7 (1982) fig. 13,19

2. მცენარე 20—60 სმ სიმაღლისაა, მიტეკილი და ცოტად თუ ბევრად ქეჩისებრ შებუსუსული; დრო წამოწეული ძირიდან სწორია, ფოთლების ილიებში დამოკლებული ყლორტებია, ზედა ნაწილში ჩვეულებრივ დატოტვილია, ნაცრისფრად შებუსუსული; ქვედა ნაწილში თითქმის სულ შიშველია, ხშირად მოწითალო-იისფერია; ფოთილი, თითქმის ყველა ღეროსეულია, ქვედა ფოთლები ადრე ჭკნება, 2—7 სმ სიგრძის ყუნწებზე სხედან; ზედა ფოთლები თითქმის მჯდომარეა, კვერცხისებრ-ლანცეტა ფორმის, 4—8 სმ სიგრძის, უდიდესი სიგანე 1—2,5 სმ. მოკლედ წაწვეტებულია, ძირში სუსტად გულისებრი, მომრგვალო ან მოკლე სოლისებრი, კიდევებზე თხლად თანაბრად მრგვალებილიანი, ხშირი, ბადისებრ დანაოჭებული, ზედა მხარეზე თითქმის შიშველია, მკრთალი მწვეანე ფერის, ქვედა მხარეზე მონაცრისფრო შებუსუსითაა; თანაყვავილის ფოთლები კვერცხისებრი ფორმისაა, 0,5—1 სმ სიგრძის, მოკლედ და

მახვილად წაწვეტებული, კიდემთლიანი, მეტწილად კაშკაშა იისფერია; მხოლოდ კიდებზეა მოკლედ შებუსული. ყვავილები 8—13 მმ სიგრძისაა, მოკლე ყუნწებით, ჩხროში ჩვეულებრივ 2—4 ყვავილიანია, ქმნის სწორ, ხშირ თავთავისებრ ყვავილედს; ჯამი ზარისებრია, 6—7 (8) მმ სიგრძის, სუსტად შებუსული, ნაკლებად გამოსახული ძარღვებით, ზედა ტუჩი 2 მოკლე, ხოლო ქვედა ტუჩი 2 გრძელი მახვილკბილიანია; გვირგვინი მოლურჯო-იისფერია, უფრო იშვიათად ვარდისფერი ან თეთრი, გადანაღუნზე სუსტად შებუსული, მისი მილი თითქმის არაა ამოყოფილი ჯამიდან, ზედა ტუჩი საკმაოდ ძლიერაა მოხრილი. კაკლუქი კვერცხისებრი ფორმისაა, 1,75 მმ-მდე სიგრძის, მუქი მურა ფერის, ნაყ. ყვ. VI—VII.  $2n = 12, 14$ .

აწერილია შუა ევროპიდან.

Typus: „Tartaria (Tartary), Gerber(?)“ (Herb. Linn 42/14).

იზრდება ბუჩქნარებში, სტეპებზე, მშრალ მდელოებზე, ტყის პირებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ., 7 — აჭარ., 8 — სამხრ. ოს., 9 — ქართ., 12 — კახ., 13 — ქიზ., 14 — გარე კახ., 15 — გარდაბ., 16 — თრიალ., 17 — ქვ. ქართ., 18 — ჯავახ., 19 — მესხ.

სსრკ.: კავკასიის ყველა რაიონი; ევროპ. ნაწ.; შუა აზ., აღმ. ციმბ.

საერთო გავრცელ.: შუა ევროპ.; მც. აზ.; აღმ. ანატ.; ირ.

Ser. 3. *Austriacae* Pobed. vo Фл. СССР XXI (1954) 353 (descr. ross.); Bot. mat. (Ленинград) XXI (1961) 320. — მტერიანები და ბუტკოს სვეტი ორჯერ-სამჯერ აღემატება ზედა ტუჩს, ეს უკანასკნელი ვიწროა, თითქმის სწორია ან ოდნავ ჩაღუნული; ყვავილები თეთრია, თანაყვავილები მწვანეა, ჯამის ტოლია ან მასზე მოკლე; ყვავილელი სწორია.

12. *S. armeniaca* (Bordz.) Grossh. Beih. Bot. Centralbl. XLIV, 2 (1927) 237; Bordz. Adnotat ad Indicem semin. anno 1929 a Horto botan. Kioviensi editum и Вестн. Тифл. бот. сада 5 (1928—1930) 44 (нов. сер.); Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 323; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 342; Сосновский во Фл. Груз. VII (1952) 377 (georg.) Победимова во Фл. СССР XXI (1954) 355; Pзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 349; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 428 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 393; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 261.—*S. armeniaca* var. *lobata* Bordz. op. cit. (1928—1930) 45.—*S. staminea* Montb. et Auch. subsp. *armeniaca* Bordz. Acta Horti Bot. Univ. Jurjev. XIII, 1 (1912) 22. Ic.: Фл. СССР XXI (1954) табл. XVI.

4. ღერო მოკლეა, საწოვრისებრი ბეწვით შემოსილი, გარდა ამისა ზედა ნაწილში ხშირად აბლაბუდასებრი შებუსვაც აქვს, 3—4 წყვილი ფოთლით, სწორმდგომი ტოტები ზევით საგველასებრაა დატოტვილი; ფოთლები დანაოკებულია, მოგრძო ან მოგრძო კვერცხისებრი, ზედა — ზოგჯერ მოგრძო ლანცეტა ფორმის, კიდებზე დაკბილულია ან მრგვალკბილიანი, ანდა ამოღრღნილკბილებიანი, ზოგჯერ დანაკეთულია, ორივე მხარეზე და, განსაკუთრებით ქვედა მხარეზე, შებუსულია; ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ყუნწებზე სხედან, ბლაგვწვერიანია, ზედა ფოთლები მჭდომარეა, უფრო მახვილწვერიანი, თანაყვავილის ფოთლები კვერცხისებრი ან თირკმლისებრ-კვერცხი-

სებრი ფორმისაა, წვეტით ბოლოვდება, უფრო პატარა ზომისაა. ყვავილედი ღერძი და ტოტები ვაფარჩხული, უხეში შებუსვით ხასიათდება, ჩხრო 4—6-ყვავილიანია, ზედა ჩხროები ხშირად 2-ყვავილიანია, ყვავილის ყუნწები საკმაოდ მოკლეა; ჯამი მილისებრ-ზარისებრია, უხეში ბეწვითაა მოფენილი, 1/3-მდეა ორტუჩიანი, ცოტად თუ ბევრად შეფერილია ან არაა შეფერილი; ზედა ტუჩი ჩაზნექილია, 2-ღარიანი. 3 მოკლე, კვერცხისებრი ფორმის, წვეტით დაბოლოებული კბილი აქვს; ქვედა ტუჩი ზედაზე ოდნავ გრძელია, კვერცხისებრი, მახვილწვერიანი კბილებით, რომლებიც წვეტით ბოლოვდება; გვირგვინი თეთრი ფერისაა, (12) 14—18(20) მმ სიგრძის, ჯამზე დაახლოებით 2-ჯერ გრძელია, მისი მილი არაა ამოყოფილი ჯამიდან, შიგნით ბეწვებისაგან შექმნილი რგოლი არა აქვს, ზედა ტუჩი სწორია ან ზოგჯერ ოდნავა ნამგლისებრ მოხრილი, წვერზე ორადაა გაყოფილი, გარეთა მხარეზე შებუსვულია, ქვედა ტუჩი ზედა ტუჩის ტოლია, მისი შუათანა ნაკეთი თირკმლისებრია, გვერდითი ნაკეთები ოვალურია, ბლაგვწვერიანი; მტერიანები და სვეტი გვირგვინიდან ამოყოფილია. კაკლუში წაბლისფერია, მოშაო, ურთიერთ შეერთებული ძარღვებით. ნაყ. ყვ. V—VIII. 2n = 18 (19, 20).

აწერილია სომხეთიდან.

Typus: „Habitat in pratis subalpinis Armeniae Rossicae, ad 5000' descendens. Legi in ascensu in montem Alagös ad pagum Kipczakh (6500)“  
ინახება?

იზრდება მშრალ ეკოტოპებზე.

საქ. სსრ: 9 — ქართ., 18 — ჯავახ., 19 — მესხ.

სსრკ.: ამიერკავკ.: სომხ.

საერთო გავრცელ.: აღმ. ანატ.

Subgen. 3. *Covola* (Medik.) Briq in Engler und Prantl, Nat. Pflanzenfam. 4, 3a (1896) 286; Победимова во Фл. СССР XXI (1954) 359 (sine auct. comb.). — Gen. *Covola* Medik. Phil. Bot. II (1791) 67.

— ჯამი მილისებრია, დაყვავილების შემდეგ არ ცვალებადობს, კაკლუქების პომწიფების შემდეგ დახრილია, ზედვე რჩება. გვირგვინის მილში ბეწვებისაგან შექმნილი რგოლია; ზედა ტუჩი სწორია, თალისებრია, ძირში საწელურით; ქვედა ტუჩის გვერდითი ნაკეთები რამდენჯერმე აღემატება ორად განკვეთილ შუა ნაკეთს; სამტერე ძაფები შუასაბამის ტოლია ან მასზე გრძელი. სამტერეების ბუდეები ფერტილურია, შუასაბამის წინა მხარი ძალიან მოკლეა, მახათისებრი, ქვევით არის მიმართული ძაფის გასწვრივ. დისკო კაკლუქის ძირში გადაკვეთილია. ჩხროები მრავალყვავილიანია. ბალახოვანი მცენარეებია დიდი ზომის მარტივი ან დანაკეთული ფოთლებით. საქართველოში ერთი სახეობაა გავრცელებული.

13. *S. verticillata* L. Sp. Pl. (1753) 26; Benth. Lab. Gen. Sp. VII (1833) 311; idem, in DC. Prodr. XII (1848) 357; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 368; Boiss. Fl. Or. IV (1879) 634; Липск. Фл. Кавк. (1899) 420; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 316; Крыл. Фл. Зап. Сиб. IX (1937) 2372; Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 340; Колак. Фл. Абх. 4 (1949) 64; Сошновский во Фл. Груз. VII (1952) 380 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 103 (georg.); Победимова во Фл. СССР XXI (1954) 359; Рзазаде во Фл. Азерб. VII (1957) 349; Дмитриева, Определ. раст. Аджар.

(1960) 199; Колак. Растит. мир Колх. (1961) 317; Капеллер в Определ. раст. Груз. I (1964) 427 (georg.); Тр-Хачат. в Гросср Фл. Кавк. 2, VII (1967) 396; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 260; Победимова во Фл. Европ. части СССР III (1978) 181; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 50; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 264; Hedge in Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 473; idem, in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 458.

Ис.: Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tab. nostr.: 516, 517, 518.—  
დაჯირა.

2. მცენარეს ირიბი ფესურა და მსხვილი ღერო აქვს; ღერო 30—60 (80) სმ სიმაღლისა და 4—8 მმ სისქის, ხშირად ძირიდანვე დატოტვილი, თხლად ან საკმაოდ სქლადაა შებუსული მოკლე, გადაწეული ჯაგრისებრი ბეწვით, ჯირკვლები არა აქვს, მკრთალი მწვანე ფერის. ფოთლები, მეტწილად ღეროსეული და ფესვთანური, ჩვეულებრივ ყვავილობამდე ქენება (სულ ზედა ფოთლების გამოკლებით), ყუნწები 2—8 სმ სიგრძისაა, ხშირად 1 წყვილი, პატარა ზომის, მახვილწვერიან, ყურაკისებრ ფოთოლაკს ინვითარებს, მათი ფირფიტა გულისებრ-კვერცხისებრიდან შუბისებრამდეა, 4—12 სმ სიგრძის, 3—10 სმ სიგანის, წვერზე მომრგვალებულია ან მოკლედ წაწვეტებული; ძირში ამოკვეთილია, ცოტად თუ ბევრად წარზიდული, კიდებზე არათანაბრად უხეშ მრგვალებილებიანი ან მახვილებილებიანი, ორივე მხარეზე გაბნეული ბეწვით მოფენილი; ზედა ფოთლები ფართო სამკუთხა ფორმისაა. თანაყვავილის ფოთლები ლანცეტა ფორმისაა, 1—1,5 სმ სიგრძის, კიდემთლიანი, სიფრიფანა ყვავილები 1—1,5 სმ სიგრძისაა, საკმაოდ გრძელ, დაყვავილების შემდეგ ძირს გადახრილ ყუნწებზე სხედან; 14 (20)—24 (40) ყვავილიანი ჩხროები შეკრებილია ფარჩხატ, მტევნისებრ, ზოგჯერ საგველასებრ ყვავილედებად; ჯამი 6 მმ სიგრძისაა, თხლადაა მატყლისებრ-ჭეჩისებრ შებუსული, მისი ზედა ტუჩის შუათანა კბილი ძალიან მოკლეა, გვერდითი კბილები უფრო გრძელია; გვირგვინი კაშკაშა ცისფერია, ჯამს თითქმის ორჯერ აღემატება, მილი სწორია, შიგნით ძირში ბეწვებისგან შექმნილი ვიწრო რგოლითაა, გვირგვინის ზედა ტუჩი თითქმის გულისებრია, ძირში საწელური აქვს, გარედან ოდნავ შებუსულია; ქვედა ტუჩი სამწკვირთიანია. შუათანა ნაკვითი დიდი ზომისაა. კაკლუქები კვერცხისებრი ფორმისაა, 1,5—1,75 სმ სიგრძის, ყავისფერი. VI—IX. 2n=16 (Maryaev, 1976).

აწერილია ავსტრიიდან.

Typus: „Austria et Misnia“ (Herb. Linn. 42/30).

იზრდება ქვიან, თიხნარ, ღორღიან ეკოტოპებზე, მშრალ ფერდობებზე, სტეპებში, ბუჩქნარებში, ხშირად როგორც სარეველა მცენარე, მთის შუა სარტყლამდე.

საქ. სსრ: მთელ რესპუბლიკაში.

სსრკ: კავკასიის ყველა რაიონი, ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; ევრ.; მც. აზ.; სირია; ირ.; ჩრდ.

ერაყი.

ჯამი ვიწრო ცილინდრული ან ვიწრო ზარისებრი, 13-ძარღვიანი, 5-კბილიანი, ოდნავ ორტუჩა, 3-კბილიანი ტუჩი ესაზღვრება გვირგვინის ზედა ტუჩს და 2-კბილიანი ემიჯნება გვირგვინის ქვედა ტუჩს, ჯამის კბილები ვიწროა, სამკუთხა, წამახვილებული; ხახაში ბეწვების რგოლი აქვს. გვირგვინი სხვადასხვა ფერისაა: იასამნის ფერი, მოწითალო-იისფერი ან ცისფერი, გვირგვინი ორტუჩაა, გვირგვინის ზედა ტუჩი წვერზე ოდნავაა ამოკვეთილი და ზემოთაა მიმართული, ქვედა ტუჩი 3-ნაკვთიანია, ჰორიზონტალურადაა დახრილი, გვირგვინის მილი ხახაში გაფართოებულია. მტვრიანა 2, სამტვრე ძაფები ხახაში ნიმაგრებულია ქვედა ტუჩის გვერდითი ნაკვთების ძირში და განლაგებულია ზედა ტუჩის ქვეშ, სამტვრეები ერთბუდია, დანამატები არა აქვს; მტვრის ნარცვალი თითქმის სფეროსებრია, პოლუსებთან ოდნავ შებრტყელებული, განიკვეთში ექვსნაკვთიანი, მერიდიანულად განლაგებული ექვსი ღარით; პოლარული ღერძი 34,8—38,4 მიკრონია, ეკვატორული დიამეტრი 35—39 მიკრონი, ღარი გრძელია, ბოლოებში ძალიან შევიწროებული. ეგზინას ზედაპირი ბალისებრია, ბადის თვლები სქელკედლიანია, მომრგვალო, ეგზინას სისქე 1,2 მიკრონია. სვეტი 2-ნაკვთიანია, სადგისებრი წვეტიანი ზედა ნაკვთით და ძლიერ რედუცირებული ქვედა ნაკვთით. მრავალრიცხოვანი ყვავილები მოკლე ან შედარებით გრძელ ყვავილის ყუნწებზე თავმოყრილია ღეროს ზედა ნაწილში და გვერდითი ტოტების ბოლოებში თავაკისებრ ყვავილედად, ფოთლები კიდემთლიანია ან ოდნავ დაკბილული. კაკლუჭები ცილინდრული ან მოგრძო-კვერცხისებრი, სამწახანაგოვანი, ღია ან მუქი ყავისფერი, ერთი ნაჭდევით, ნაჭდევი დაფარულია თეთრი ნაფიფქით. — ერთ ან მრავალწლოვანი მცენარეებია (ნახევრადბუჩქები).

1. ერთწლოვანი მცენარეა, ღეროსეული ფოთლები ლანცეტა ფორმისაა, ფოთლის ყუნწი 0,8—1,1 სმ სიგრძის; თანაყვავილის ფოთლები ფართო კვერცხისებრია. ჯამი 8 მმ სიგრძისაა, შებუსულია . . . . . 6. *Z. capitata* L. — ნახევრადბუჩქებია . . . . . 2
2. ღერო შებუსულია გრძელი, გაფარჩხული ბეწვებით; ფოთლები დიდი ზომისაა 1,5—2 სმ სიგრძის . . . . . 4. *Z. Woronowii* Maleev — ღერო შებუსულია მოკლე, ქვემოთ დახრილი ბეწვებით; ფოთლები მნიშვნელოვნად მცირე ზომისაა 1 სმ-მდე სიგრძის . . . . . 3
3. ფოთლები ფართო კვერცხისებრია, ან თითქმის მომრგვალო . . . . . 4 — ფოთლები ვიწრო-კვერცხისებრი ფორმისაა, ლანცეტა ან თითქმის ხაზური . . 5
4. ფოთლები ფართო-კვერცხისებრია, ფოთლის ყუნწი 2—3,5 მმ სიგრძისაა. ჯამი შებუსულია გრძელი, გაფანტული ბეწვებით; გვირგვინი მოცისფრო-იისფერია . . . . . 3. *Z. Dzhavakshivilii* Juz. — ფოთლები თითქმის მომრგვალოა, ყუნწი 3—5 მმ სიგრძის. ჯამი სქალადაა შებუსული ჩვეულებრივ თეთრი, გრძელი რბილი ბეწვებით; გვირგვინი კაშკაშა მეწამულ-იისფერია . . . . . 5. *Z. Puschkinii* Adam

\* დაამუშავა ე. ალბუთაშვილმა



5. ჯამი თითქოს შიშველია (დიდი გადიდებით ჩანს, რომ დაფარულია მხოლოდ მოკლე ბეწვებით). გვირგვინი მოწითალო-იისფერია . . . . . 2. *Z. borzhomica* Juz.
- ჯამი სქალადაა შებუსხული მოკლე ბეწვებით. გვირგვინი მოცისფრო-იისფერია . . . . . 1. *Z. serpyllacea* Bieb.

Sect. 1. *Serpyllaceae* Benth. in DC Prodr. XII (1848) 364. — მრავალწლოვანი მცენარეებია, სამტერე პარკები მტკრიანების ძაფებზე მიმაგრებულია პარკის შუა ნაწილით ან რამდენადმე ქვემოთ.

1. *Z. serpyllacea* Bieb. Besch. d. Länd. zw. Terek u. Kura (1800) 127; Bieb. Fl Taur.-Sauc. 1 (1808) 18; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 326; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 344; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 390 (georg.); Макашвили Фл. окр. Тбилиси II (1953) 107 (georg.); Юзепч. во Фл. СССР XXI (1954) 387; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 355; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 429 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 402; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 264; Галышко, Фл. Сев. Кавк. III (1980) 54.—*Z. clinopodioides* α. *serpyllacea* Boiss. Fl. Or. IV (1879) 585; Липский, Тр. Тифл. бот. сада (1899) 418.—*Z. Mussini* Adam in Weber et Mohr, Beitr. z. Naturkunde I (1805) 43; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 369 p. p.—*Z. fasciculata* C. Koch ex Rech. fil. Phytion (Austria) III (1951) 168.—*Z. stenophylla* Juz. ex Ter-Chatsch. во Фл. Груз. VII (1952) 393 (descr. georg.); eadem в Опред. раст. Груз. I (1964) 430 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 399.

2. 10—30 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქია; ღეროები მრავალრიცხოვანია, დატოტვილი, გართხმული, წამოწეული ან თითქმის სწორმდგომი, მწვანე ან ოდნავ მეწამული ფერის, დაფარულია მოკლე, ქვემოთ დახრილი ბეწვებით; ღეროსეული ფოთლები ვიწრო ლანცეტა ფორმისაა ან თითქმის ხაზური, წამანვილებული, კიდემთლიანი, ჩვეულებრივ ორივე მხრიდან შიშველია ან ზოგჯერ შებუსხული; ფოთლის ფირფიტა 8—12 მმ სიგრძისაა, 3—5 მმ სიგანის, ყუნწი 2—2,5 მმ სიგრძის; ყვავილთაწერი ფოთლები ისეთივე ფორმისაა, როგორც ღეროსეული ზედა ფოთლები, მათი ფირფიტა 5—6 მმ სიგრძისაა 2—2,5 მმ სიგანის, ყუნწი 1,5—2 მმ სიგრძის. ყვავილედით თითქმის სფეროსებრია, 2—2,5 სმ დიამეტრის, ყვავილის ყუნწები 2—3 მმ სიგრძისაა; ჯამი 5—6 მმ სიგრძის, ცილინდრულია, ოდნავ მოხრილი, მწვანე ფერის, კბილებთან ახლოს ოდნავ გაფართოებული, ჯამი სქალადაა შებუსხული ძალიან მოკლე ბეწვებით, ჯამის კბილები 1—1,5 მმ სიგრძის, ვიწრო სამკუთხა ფორმის, მახვილწვერიანი, კიდეები შებუსხულია გრძელი ბეწვებით; გვირგვინი მოცისფრო-იისფერია, 9—10 მმ სიგრძის, გადანალუნი ფართოა 2,5—3 მმ სიგანის. კაკლუქები ცილინდრული ფორმისაა 1,5—2 მმ სიგრძის, 1—1,5 მმ სიგანის; მომწიფებული თესლები მუქი ყავისფერია, სამწახანავოვანი. ყვ. VI—VIII; ნაყ. VIII—IX.

აწერილია აზერბაიჯანიდან.

Typus: Ex provinciae Schirvan montibus a. 1796 (LE!).



იზრდება მშრალ, ქვიან, იშვიათად კირქვიან ადგილებზე მოის ქვედა ფენაზე  
 შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 8 — სამხ. ოს.: პატარა ლიახვის მარჯვენა სანაპირო, 1000 მ. ზ. დ.  
 (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი); პატარა ლიახვის ხეობა, სამხრეთი ფერდობი  
 (კუზნეცოვი); ცხინვალი (იუზეპჩუკი; ვორონოვი); სტალინირი (აბრამოვი);  
 9 — ქართ.: გორი, ბებნისის მიდამოები (გროსპეიმი); გორი, გორისის მიდამოები  
 (დვალი); ატენი, (ვორონოვი; სოსნოვსკი); ატენი, რუსისხევი, პუხანთ  
 უბნის და დანახვისის ჩრდილის მიდამოები (ქიქოძე, ყარა-მურზა); ატენი, პუ-  
 ხანთ-უბანსა და ბიისის შორის, (ქიქოძე, ყარა-მურზა); ატენი, ბიისი, თხინა-  
 ლას ხევი და მთა რაზმითი (ქიქოძე, ყარა-მურზა); კასპის რ-ნი, ციხე-სიმაგრის  
 ნანგრევებთან, მრგვალი ჭალის ზემოთ, სოფ. კასპი (ქიქოძე); თეძამის ხეობა,  
 სოფ. რკონის ქვემოთ, მდ. თეძამის მარჯვენა სანაპირო, ჩრდ.-დასავლეთი ფერ-  
 დობი (ქიქოძე, ხარაძე); თეძამის ხეობა „ლულის კლდის“ მიდამოები (ქიქოძე);  
 სოფ. ბობნევის მიდამოები, სამხრეთი ფერდობი (ხინთიბიძე, შხიანი, ქუთათელ-  
 აძე); მცხეთა (ნებრინცევა; ხოზაყვი); ლიისის ტბის მიდამოები (გროსპეიმი;  
 ქუთათელაძე); წყნეთის მიდამოები (გროსპეიმი); კუმისი (მედვედევის ჰერბარ-  
 იუმში); თელეთი (კაფეივი); კოჯორი (რუპრეხტი; ტრაუტვეტერი; მენციკი);  
 კოჯორის მიდამოები, უძოს მხარე (ქუთათელაძე, მანდენოვა, მცხვეთაძე და სხვ.);  
 ტაბახმელასა და კოჯორს შორის (ქუთათელაძე); სოფ. წავკისთან ახლოს, სამ-  
 ხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობი, ქვიან ადგილებზე (ქუთათელაძე); საბურთა-  
 ლო (გროსპეიმი); მთა-წმინდის აღმართი (ოვერინი); მამა-დავითის მიდამოები  
 (აკინფიევი; სომიე და ლევიე); თბილისის მიდამოები (კოლუნატი; ლიპსკი; ვილ-  
 ჰელმსი; პავირევი; კენიგი); ლეღვთა ხევი (დაბახანის ხეობა), (ნეგოდოვსკი;  
 ვორონინი; ზავგოროდნაია; მენციკი; ალბუთაშვილი); 10 — მთიულ.: დუშე-  
 თი (სრედინსკი); დუშეთის რაიონი, სოფ. კაისხევი (ოჩიაური); 13 — ქიზ.:  
 სიღნაღი, მდ. იორსა და ულიანოვკას შორის (გროსპეიმი, კოლაკოვსკი); შირა-  
 ქი (ზედელმეიერი; მოსტოლიშვილი); 14 — გარე კახ.: გარეჯი, უდაბნო (ქიქო-  
 ძე; ალბუთაშვილი); 16 — თრიალ.: მანგლისი (მედვედევის ჰერბარიუმში; ნი-  
 კოლავეი; ზედელმეიერი; ალბუთაშვილი); სოფელ თონეთსა და მოხისის შორის  
 (ლაჩაშვილი); 17 — ქვ. ქართ.: სოფ. დმანისი მდ. მაშავერას მარცხენა სანა-  
 პირო (ძეგვანოვსკი); ბორჩალო, ლუქსემბურგის მიდამოები (კოლაკოვსკი); ბორ-  
 ჩალო, მულანლოს მიდამოები (კოლაკოვსკი); ბორჩალო, კამარლოს მიდამოები  
 (კეცხოველი); ბორჩალო, შინდლიარის მთა, 1500 მ. ზ. დ. (კეცხოველი); 19—  
 მესხ.: სოფ. მლაშეს მიდამოები (ხინთიბიძე, ჩუხტუკიძე, მუყანანიანი); ადიგენ-  
 სა და მლაშეს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ახალციხის  
 მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა; ლორთქიფანიძე; მე-  
 ნიციკი); ძირის მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ზარზ-  
 მა (ლიტვინოვი); სოფ. მლაშე-ხევეთან ახლოს (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი, ჩო-  
 ლოყაშვილი); სოფ. ახალციხესა და ღრელს შორის (ხინთიბიძე, ლაჩაშვილი, ჩო-  
 ლოყაშვილი); კობლიანის წყლის აუზი (ქიქოძე); ოშორას ქედი, სოფ. ზემო  
 ოშორასთან ახლოს (ხინთიბიძე); სოფ. მინაძეს მიდამოები, მდინარე მტკვრის  
 მარჯვენა სანაპირო (ხინთიბიძე); საფარის მონასტერთან, მდინარე ურაველის  
 მხარეს (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა).

სსრკ.: იმიერკავკ.: (დალესტანი); ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.  
 საერთო გავრცელ.: მც. აზ. (აღმ. ანატ.).



შენიშვნა. ეს სახეობა რამდენადმე ვარიეტებს ზრდის ხასიათით, ღეროების ფორმითა და შებუსვით, აგრეთვე ჯამის შებუსვით, აზერბაიჯანულ გროვებული მასალები, რომლებიც ხასიათდებიან სწორმდგომი ღეროებითა და ვიწრო, თითქმის ხაზური ფოთლებით იუზეპჩუკის მიერ გარკვეული იყო (in schedis) როგორც *Z. stenophylla* Juz. შემდეგში მასალების გადასინჯვის შედეგად ტერხაჩატუროვამ 1952 წელს „საქ. ფლორაში“ მოიყვანა ამავე სახელწოდებით ქიზიყიდან შეგროვებული მასალების მიხედვით. 1954 წელს სსრკ-ს ფლორაში იუზეპჩუკმა სახელწოდება *Z. stenophylla* Juz. სწორად შეიტანა *Z. serpyllacea* Bieb.-ის სინონიმში.

○ *Z. borzhomica* Juz. во Фл. СССР XXI (1954) 670, 401 p. p.; idem, Список раст. Герб. Фл. СССР XIV (1957) 66 (emend.); Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 344 (rossice) p. p.; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 389 p. p. (georg.); eadem в Определ. раст. Груз. I (1964) 429 p. p. (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. VII 2 (1967) 402.

Exs.: Герб. Фл. СССР № 4089<sup>a</sup>, 4089<sup>b</sup>.

2. 8—22 სიმაღლის ნახევრადბუჩქია; მწვანე ფერის ღეროები მრავალრიცხოვანია, წამოწეული, დაფარულია მოკლე, თეთრი, ქვემოთ დახრილი ბეწვებით; ღეროსეული ფოთლები ვიწრო კვერცხისებრია, წამახვილებული, ფირფიტა 6—10 მმ სიგრძის, 3—6 მმ სიგანის, ყუნწები 1—3 მმ სიგრძის, ფოთლის ყუნწი და ფირფიტის კიდეები დაფარულია ძალიან მოკლე ბეწვებით; თანაყვავილის ფოთლები უფრო განიერია, ყუნწი 1—2 მმ სიგრძის, ფირფიტა 4,5—5 მმ სიგრძის და 4—5 მმ სიგანის, ოდნავ დაკბილულია, ყუნწები და კიდეები შებუსვულია გრძელი ბეწვებით. ყვავილენი საკმაოდ მჭიდროა, თითქმის სფეროსებრია, ყვავილების ყუნწები 1,5—2 მმ სიგრძის; ჯამი 5—6,5 მმ სიგრძის, ცილინდრულია და ოდნავ მოხრილი, მწვანე ფერის, შებუსვულია ძალიან მოკლე ბეწვებით, ჯამის კბილები 1,5 მმ სიგრძისაა, წამახვილებული, კბილების კიდეები გრძელწამწვამიანია; გვირგვინი მოწითალო-იისფერია, 7—9 მმ სიგრძის, გვირგვინის მილი ოდნავაა ამოყოფილი ჯამიდან, გადანაღუნი ფართოა 2—2,5 მმ სიგანის; მტვრიანები გრძელია, ამოყოფილია გვირგვინიდან. კაკლუპები 1,2—1,8 მმ სიგრძის, 0,8 მმ სიგანის; მომწიფებული თესვები ღია ყავისფერია, წაგრძელებულ-კვერცხისებრი და ზემოდან (ზედაპირი) დაფარულია თეთრი ნაფიფქით. ყვ. VI—VII. ნაყ. VII—VIII.

აწერილია საქართველოდან (ბორჯომის რაიონი).

Typus: Stat; Strashnyj Okop prope opp. Borzhom, 5 VII 1888, I. Akinfiw (LE! isotypus TBI!).

იზრდება მშრალ, ქვიან ადგილებზე და ჩამონაშალებზე მთის შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 9 — ქართ.: ბორჯომი (რადე; მედევედვის ჰერბარიუმიდან; აკინფიევი); საღვთო „სტარაშნი აკოპ“ (კოზლოვსკი; აკინფიევი); ჭობის ხევი (იუზეპჩუკი, ვისოკოოსტროვსკაია, კიკნაძე, სერგაიევსკაია; ღვინიანიძე, ხინთიბიძე, ავახნელი; ალბუთაშვილი); ქვაბისხევის მდამოები (კოზლოვსკი; ღვინიანიძე, ხინთიბიძე, ჩოლოყაშვილი; ალბუთაშვილი); ქვაბისხევისა და დერის შორის (ხარაძე; ხინთიბიძე; ალბუთაშვილი); ს. დვირი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო

(იუზეპიუცი, ვისოკოვსკი, კიკნაძე, სერგეევსკაია; ალბუთაშვილი); ქვაბისხეცა და აწყურს შორის, სამხრეთით ქვიან ადგილებზე (ხინთიბიძე, ივანიშვილი); 19 — მესს.: ს. მლაშესა და ზარზმას შორის, მდ. კობლიანის წყლის მარჯვენა სანაპიროზე (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი; ქიქოძე); სლე-სის-ციხის მიდამოები (ღვინიანიძე, ხინთიბიძე, ავაზნელი); მტკვრის მარცხენა სანაპირო, ზემო თმოგვის მიდამოები (ხინთიბიძე, კაპანაძე, გიგაური; ხინთი-ბიძე, ღვინიანიძე, ივანიშვილი); ვარძიასა და ავარას შორის (მენიციკი); ასპინ-ძა, ხერთვისისა და მარგისტანს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდე-ნოვა) (რუკა 19).

3. *Z. Dzhevakhishvili* Juz. Список раст. Герб. Фл. СССР XIV (1957) 67; Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 403.—*Z. borzhomica* auct. p. p.: Юзепч. in schedis; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 344; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 389 (georg.); Юзепч. во Фл. СССР XXI (1954) 429; Коллак. растит. мир Колх. (1961) 322; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 429 (georg.) p. p.

Is.: Фл. Груз. VII (1952) рис. 326 (sub. *Z. borzhomica* Juz.)

Exs.: Герб. Фл. СССР № 4090.

4. 10—21 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქია; ღეროები გართხმულია, ოდნავ წამოწეული, ძირიდანვე ძლიერ დატოტვილი, მღვრიე მეწამული ფერის, დაფარულია მოკლე, ოთხი, ქვემოთ დახრილი ბეწვებით; ღეროსეული ფოთლები ფართო კვერცხისებრია, ბლაგვეწერიანი, კიდემთლიანი, ყუნწები 2—3,5 მმ სიგრძის, შებუსულია; ფოთლის ფირფიტა 8—14 მმ სიგრძისა, 5—9,5 მმ სიგანის, ფირფიტის კიდეები და ქვედა მხარე მთავარი ძარღვის გაყოლებზე შებუსულია ძალიან მოკლე ბეწვებით; თანაყვავილის ქვედა ფოთლები უფრო პატარა ზომისაა, ვიდრე ღეროსეული ფოთლები, 6—7 მმ სიგრძის, 6,5—7 მმ სიგანის, რომწულია, მახვილწვერიანი, ფოთლის ფირფიტის კიდეების ქვედა ნახევარი დაფარულია გრძელი, ხოლო ზედა ნაწილი ძალიან მოკლე ბეწვებით; თანაყვავილის ფოთლები კიდეებზე და ზედა მხარეზე შებუსულია გრძელი ბეწვებით, ყუნწი 1—3 მმ სიგრძის, შებუსულია. ყვავილელი თავაკისებრია, თითქმის სფეროსებრი, 2—2,5 სმ დიამეტრის, დაყვავილების შემდეგ გრძელდება (ღერძი); ყვავილების ყუნწები 1—1,5 მმ სიგრძის; ჯამი 6—7 მმ სიგრძის, ოდნავ მოხრილია, იისფერი, შებუსულია გაბნეული გრძელი და მეტად ხშირი ძალიან მოკლე ბეწვებით, ჯამის კბილები გრძელია 1,5—2 მმ სიგრძის, მახვილწვერიანი, კიდეები ხშირი ბეწვებითაა შებუსული; გვირგვინი 10—11 მმ სიგრძის, მოციფრო-იისფერია, გადანალენი 2,5 მმ სიგანის; მტვრიანები ოდნავაა ამოყოფილი გვირგვინის მილიდან. კაკულები 1,5—2 მმ სიგრძისაა, 1 მმ სიგანის; მომწიფებელი თესვები მუქი ყავისფერია. ყვ. VII—VIII. ნაყ. VIII—IX (სურ. 14).

აწერილია ბაკურიანის მიდამოებიდან.

Typus: Georgia, in vicin. opp. Bakuriani, mons Tskhra-Tskharo, in declivibus meridionalibus in summo brachio Imeretino, in pratis alpinis siccis (pascuis). 2 VII 1954 G. Kiknadze (LE! isotypus TBI!).

იზრდება ღია, ქვიან ადგილებზე და ჩამონაშალებზე სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრ.: 7 — აჭარ.: იაილი, სარი-ჩაირი (დმიტრიევა); ჭირუხი, მთა მალაღმთა (იგივე); ჭირუხი, (მაყაშვილი); 9 — ქართ.: მთა კობტა (კობლაშვილი) ცხრაწყარო (კოზლოვსკი; ხინთიბიძე; ალბუთაშვილი); 16 — თრიალ.: წალკის რაიონი, სოფელ აიაზმიდან 1—2 კმ-ის მოშორებით, ჩრდილო-დასავლეთი მხარე (ყუცენკო); 18 — ჯავახ.: ქცია (გროსპეიმი); თეთრობი (ხინთიბიძე; ალბუთაშვილი); ახალქალაქის რაიონი სოფ. აზავრეთი (ლორთქიფანიძე); მთა აბული (შენიცი); ბარაღეთი (კოზლოვსკი); მთა თავშანი (გროსპეიმი); ტბა ტბაწყურის მიდამოები (აკინფიევი; კოზლოვსკი; ალბუთაშვილი); ტამბოვკასა და ასპარას შორის (მაყაშვილი); ტბა ფარავანის მიდამოები (ალბუთაშვილი); სოფ. ტამბოვკასა და ფოგას შორის (ღვინიაძე, ხინთიბიძე; ალბუთაშვილი); უჩ-ტაფა (ზედელმეიერი); მთა ივან-ტაფა (ყავროშვილი, შ. ნახუცრიშვილი); გორელოვკა (გროსპეიმი; ყავროშვილი, შ. ნახუცრიშვილი; ალბუთაშვილი); საბატკნევი (აკინფიევი); გორელოვკა „ჩორნი რადნიკი“ (ალბუთაშვილი); ტბა მადატაფის მიდამოები (ზედელმეიერი; ალბუთაშვილი); კარწახსა და სულდას შორის (ხინთიბიძე, მოსულიშვილი, გიგაური); 19 — მესხ.: ადიგენის რ-ნი, ლელოვანსა და უდეს შორის (შენიცი); ახალციხის რაიონი, ზემო როკის ხეობა (სოსნოვსკი) (რუკა 20).

საერთო გავრცელება: მც. აზ. (ართვინი).

შენიშვნა. ეს სახეობა კარგად განსხვავდება *Z. borzhomica* Juz. სავან ზრდის ხასიათით, ფოთლების ფორმით, ჯამის შეფერილობითა და შებუსვით, გვირგვინის შეფერილობით, მტერიანებით, რომლებიც მცირედაა ამოყოფილი ხასიდან.

© 4. *Z. Woronowii* Maleev Tr. Тифл. бот. инст. I (1934) 120; Гроссг. Опред. Раст. Кавк. (1949) 344; Колак. Фл. Абх. IV (1949) 66; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 389 (georg.); Юзепч. во Фл. СССР XXI (1954) 403; Колак. Растит. мир Колх. (1961) 322; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 429 (georg.); cadem в Гроссг. Фл. Кавк. VII (1967) 401; Галушко, Фл. Сев. Кавк. III (1980) 55; Колак. Фл. Абх. 2. II (1982) 277.

Is.: Колак. Фл. Абх. IV (1949) табл. 7.

2. 20—28 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქია, ძირიდანვე დატოტვილი; ღეროები მრავალრიცხოვანია, წამოწეული ან სწორმდგომი, მეწამული ფერის, უმეტესად ზედა ნაწილში შებუსულია გრძელი, სწორი გადახრილი ბეწვებით; ღეროსეული ფოთლები მომრგვალო-კვერცხისებრია ან მომრგვალოა, კიდე-მთლიანი, ბლაგვწვერიანი, ფოთლის ყუნწები და კიდეების ქვედა ნახევარი წამწამებიანია, ზემოთ შიშველია. ფირფიტის ქვედა მხარე უმეტესად ძარღვების გაყოლებაზე შებუსულია გრძელი, გაბნეული ბეწვებით; ფოთლის ყუნწი 3—4 მმ სიგრძისაა, ფირფიტა 15—17 მმ სიგრძის, 10—14 მმ სიგანის; თანაყვავილის ფოთლები ფორმით ღეროსეული ფოთლების მსგავსია, შედარებით უფრო პატარა ზომისაა, მახვილწვერიანი, ფირფიტა 7—9 მმ სიგრძის, 6—8 მმ სიგანის, კიდეების ქვედა ნახევარი გრძელწამწამიანია. ყვავილედ სფეროსებრია, 2—2,5 სმ დიამეტრის, ყვავილების ყუნწები 3—3,5 მმ სიგრძის; ჯამი ცილინდრულია, ოდნავ მოხრილი 6—7 მმ სიგრძის, შებუსულია გრძელი გაფანტული ბეწვებით; ჯამის კბილები ძირში ფართოა, 1,5—2 მმ სიგრძის; გვირგვინი 10—



12 მმ სიგრძის, ვარდისფერი, გვირგვინის მილი საკმაოდაა ამოყოფილი ჯამიდან. გადანალენი 3-3,5 მმ სივანის; მტვრიანები ძლიერაა ამოყოფილი გვირგვინის მუკიდან. ყვ. VII—VIII; ნაყ. VIII—IX.

აწერილია ბზივის ქედლიდან, მთა იაფსხუ.

Typus: Abchasia, in calcareis subalpinis montis Japshu (supra oppidum Gudauti) 1800 m 19 VIII 1930 (LE!).

იზრდება მშრალ ღორღიან ადგილებზე და კირქვიან ქედებზე სუბალპურ სარტყელში.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.: რეშევეს (რეშავა) ხეობა (რუხაძე) (სურ. 15).

შენიშვნა. ეს იშვიათი სახეობა რამდენადმე ახლოსაა *Z. Puschkinii* Adam-თან, რომლისგანაც განსხვავდება სწორმდგომი ღეროებით, ღეროების შებუსებით, დიდი ზომის ფოთლებითა და ყვავილებით, თანაყვავილის ფოთლების ფორმით.

© 5. *Z. Puschkinii* Adam in Weber et Mohr, Beitr. z. Naturkunde I (1805) 42; Гроссг. Тр. Тифл. бот. сада, сер. 2, I (1920) 16; idem, Фл. Кавк. III (1932) 326; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 343; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 386 (georg.); Юзепч. во Фл. СССР XXI (1954) 404; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 429 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 401; Галушко, Фл. Сев. Кавк. III (1980) 55.—*Z. Puschkinii* Adam, var. *denudata* Grossh. Фл. Кавк. III (1932) 326.—*Z. dasyantha* Bieb. Fl. Taur-Cauc. I (1808) 18; C. A. Mey. Verz. Pfl. (1831) 89 p. p.; Benth. in DC. Prodr. XII (1848) 365 p. p.; Somm. et Levier, Acta Horti Petrop. XVI (1900) 388; Rech. fil. Phytion (Austria) 3, 3 IV (1951) 166.—*Z. clinopodioides* Lam. var. *dasyantha* (Bieb.) Ledeb. Fl. Ross. III (1849) 369 p. p.; Boiss. Fl. Or. IV (1879) 586 p. p.—*Z. subnivalis* Ter-Chatschat. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 16 (1951) 42; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 343; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 381 (georg.); eadem в Опред. раст. Груз. I (1964) 429 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 401.—*Z. Karjagini* Ter-Chatschat. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 18 (1955) 58; eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 401.

2. 17—30 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქია, ძირიდანვე დატოტვილი, ვართხმული ან წამოწეული მრავალრიცხოვანი ღეროებით, ღეროები ჩვეულებრივ მუქი იისფერია, ქვედა ნაწილში შებუსულია მოკლე ქვემოთ დახრილი ბეწვებით, ზედა ნაწილში კი მნიშვნელოვნად გრძელი ბეწვებით; ღეროსეული ფოთლები ფართო-კვერცხისებრია, ან თითქმის მომრგვალო, წვერზე ბლავგია, ფოთლის ფირფიტის ორივე მხარე შიშველია ან ქვედა მხარეზე მთავარი ძარღვის გაყოლებაზე მოკლე გაფანტული ბეწვებითაა შებუსული, იშვიათად, ფოთლის ორივე მხარეზე შებუსულია ძალიან გაბნეული მიტკეცილი ბეწვებით, ფოთლის ფირფიტა 4—15 მმ სიგრძისაა, 3—10 მმ სივანის, ყუნწი 3—5 მმ სიგრძის; ღეროსეული ზედა ფოთლების კიდები გრძელწამწამებია, ფორმით და ზომით ქვედა ფოთლების მსგავსია; თანაყვავილის ფოთლები მცირე ზომისაა და ფართო რომბისებრი ფორმის, მოკლეწვეტიანი, ფირფიტის ქვედა ნახევრის კი-

დეები გრძელწამწამებიანია. ყვავილედ სფეროსებრია ან ოდნავ წაგრძელებული, 3—3 სმ დიამეტრის, მჭიდრო. ყვავილების ყუნწები ძალიან მოკლეა. 1—1,5 მმ სიგრძის; ჯამი 6—7 მმ სიგრძის ზედა ნაწილში მწვანე ან იისფერი, ჩვეულებრივ შებუსულია ძალიან ხშირი, გრძელი ბეწვებით, იშვიათად კი ნაკლებადაა შებუსული; გვირგვინი კაშკაშა მეწამულ-იისფერია, მუქი იისფერი ლაქებით, 6—10 მმ სიგრძის, მილი თითქმის არაა ამოყოფილი ჯამიდან. კაკლუპები 2 მმ-მდე სიგრძისაა, კვერცხისებრი ფორმის, მუქი ყავისფერი. ყვ. VI—VII. ნაყ. VII—VIII (სურ. 16).

აწერილია საქართველოდან.

Typus: Habitat ad radicem montis Kazbek (LEI).

იზრდება ქვიან ადგილებზე და ჩამონაშალებზე სუბალპურიდან სუბნივალურ სარტყლამდე.

საქ. სსრ.: 2 — სვან.: ადიშის ხეობის სამხრეთით მდ. შხელდის მიდამოები (ე. და ნ. ბუშები); მყინვარ გულის მისადგომებთან (მ. უშბა) (შელკოვნიკოვი); მესტია-ჰალის ხეობა, ლეკვა-ლახვი (ზურაბიანი); ადიში, მუშაბარაშის ხეობა (ვაგნიძე, ჭვავაძე); სოფ. კალასა და სოფ. უშგულს შორის, ენგურის ხეობა (გურგენიძე); სოფ. ხალდეს მიდამოები (ოჩიაური); მესტია, ტურბაზა „უშბის“ მიდამოები (მოსულიშვილი); 3 — რაჭა-ლეჩხ.: მამისონის უღელტეხილი (ზინგერი, აკინფიევი); 8 — სამხ. ოს.: მთა ფიდარი (მანდენოვა, დოლუხანოვი; ყავრიშვილი; ალბუთაშვილი; მარდალეიშვილი; შაროვა; პარტასი; დარბინი; გოგინა); მდ. ქსნის სათავეები, სავის ხეობის მარცხენა მხარეს (ე. და ნ. ბუშები); ედისი, ქვედა კაბუსტასთან (იგივენი); მდინარე ერმან-დონის ხეობა (ღვინიანიძე, დავლიანიძე, ავაზნელი, ალბუთაშვილი; ციგიბოლო); შუა ერმანის ხეობა (მილოშვილი; ალბუთაშვილი); სოფ. ერმანის მიდამოები (ალბუთაშვილი; მოსულიშვილი); ზგუბორი, გზაზე (შაროვა); სოფ. ედისის მიდამოები (ალბუთაშვილი); ედისსა და ქვედა კაბუსტას შორის (ბრატსკიკოვა); ბრიტატა (ღვინიანიძე, დავლიანიძე, ავაზნელი, ალბუთაშვილი); შუა როკის მიდამოები (ლანაშვილი); სბის ხეობა, კუგომ-დონის მარჯვენა მხარეს (ე. და ნ. ბუშები); სოფ. სბასთან (იგივენი); 10 — მთიულ.: გულაური (რადე); ყაზბეგი მდ. ჩხერის ხეობა (მედვედევის ჰერბარიუმთან; სოსნოვსკი; ძევანოვსკი; ყაზბეგი (ბაკურიანის კულტ. ბაღი) (კოზლოვსკი; ალბუთაშვილი); ყაზბეგი (კოლენატი; ოვერინი; რუპრეხტი; მეიერი, მუსინ-პუშკინი; აკინფიევი; ბროტერუსი; მენიცი; დარიალის ხეობა (ძევანოვსკი); ყაზბეგი, მყინვარ ორწვერის გზაზე (იგივე); ყაზბეგი „ბეშენაია ბალკა“ (სოსნოვსკი), წმინდა სამება (ლედებურის ჰერბარიუმში); გერგეტი (სულაკაძე); მყინვარფერდი (ხარაძე); გვირგვალა (ხარაძე); 11 — თუშ-ფშავ-ხეესურ.: თუშეთი (რუპრეხტი); დიკლოს მთა (ე. და ნ. ბუშები); ჯვარ-ბოსელი (რადე); სოფ. ომალოს მიდამოები (მარდალეიშვილი); ხეესურეთი, სოფ. შატილის მიდამოები (ოჩიაური; ივანიშვილი); შატილის-წყლის ხეობა (ოჩიაური, ჯაფარიძე); სოფ. მუცოს მიდამოები (ოჩიაური); 14 — გარე კახ.: გომპორი (რუპრეხტი).

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. მცენარეები შედარებით მცირე ზომის ფოთლებით 3—5 მმ სიგრძის და სუსტად შებუსული ჯამით, რომლებიც შეგროვებული იყო მთა ფიდარზე 1940 წელს მანდენოვას მიერ, ტერ-ხაჩატუროვამ აწერა, როგორც დამოუკიდებელი სახეობა *Z. subnivalis* Ter-Chatscat. ამის გარდა დადგენილიან კარიაგინის მიერ 1935 წელს შეგროვებული მასალების მიხედვით ტერ-

ხმატუროვამ აწერა მეორე სახეობა *Z. Karjagini Ter-Chatschat.*, რომელიც განსხვავდება *Z. Puschkinii Adam*-გან ორივე მხარეზე სქლად და წვეტიანულად შებუსული ფოთლებით. ამ ეგზემპლარების დეტალურად შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ *Z. Puschkinii Adam* მთელი თავისი არეალის ფარგლებში სხვაობას განიცდის ფოთლების ზომისა და შებუსვის, აგრეთვე ჯამის შებუსვის ხასიათით და ეს ფორმები არ არის ურთი-ერთისაგან გეოგრაფიულად განცალკევებული. *Z. Puschkinii Adam*-თვის შეიმჩნევა მთელი რიგი გარდამავალი ფორმები, რომლებიც ჩვენი აზრით არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ ტაქსონებად.

Sect. 2. *Ziziphora*. — Sect. *Acinoideae* Benth. in DC. Prodr. XII (1848) 366. — ერთწლოვანი მცენარეა. სამტყვე პარკები მტკრიანების ძაფებზე მიმაგრებულია პარკის შუა ნაწილიდან რამდენადმე ქვემოთ.

6. *Z. capitata* L. Sp. Pl. (1753) 21; Bieb. Fl. Taur.-Cauc. III (1819) 21; Boiss. Fl. Or. IV (1879) 586; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 325; idem. Опред. раст. Кавк. (1949) 343; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 385 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 107 (georg.); Юзепч. во Фл. СССР XXI (1954) 405; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 358; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1964) 429 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 403; Тахт. Фёд. Фл. Еревана (1972) 264; Галушко Фл. Сев. Кавк. II (1980) 54; Edmondson in Davis, Fl. Turkey VII (1982) 397; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 489.

⊙. დაბალი მცენარეა, 10—25 სმ სიმაღლის, ძირიდანვე დატოტვილი. სწორმდგომი, დაფარულია ხშირი, მოკლე, ქვემოთ დახრილი ბეწვებით; ღეროსეული ფოთლები ფართო-ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა ფორმისაა, ყუნწი 0,8—1,1 სმ სიგრძისაა; ფოთლის ფირფიტა 2,5—3,8 სმ სიგრძისაა, 0,5—0,8 სმ სიგანის, კიდებზე და ქვედა მხარეზე ძარღვების გაყოლებაზე შებუსულია გრძელი ვაფანტული ბეწვით; თანაყვავილის ფოთლები ფართო კვერცხისებრია, ყუნწი 2—4 მმ სიგრძის, ფირფიტა 1,6—3 სმ სიგრძის, 1—1,2 სმ სიგანის, წამახვილებული. ყვავილელი სფეროსებრია, 1,5—2,5 სმ დიამეტრის, ყვავილის ყუნწი 1—3 მმ სიგრძისაა; ჯამი ცილინდრულია, 7—8 მმ სიგრძის, შებუსულია მოკლე ხშირი და გრძელი ვაფანტული ბეწვით, ჯამის კბილები ლანცეტა ფორმისაა, მახვილი, 2—3 მმ სიგრძის; გვირგვინი მოწითალო-იისფერია, 10—14 მმ სიგრძის, გვირგვინის მილი ოდნავაა ამოყოფილი ჯამიდან. გადანაღუნე ფართოა. კაკლუჭები 1,5—2 მმ სიგრძის, კვერცხისებრია, მუჭი ყავისფერი. ყვ. V—VII. ნაყ. VII—VIII.  $2n=18$  (Kliphnis, Barkoudah, 1977).

აწერილია სირიიდან.

იზრდება მშრალ ქვიან ადგილებზე, ველებსა და მიტოვებულ მიწებებზე. საქ. სსრ.: 3 — რაჭა-ლეჩხუმი, მდ. რიონის ხეობა (კემულარია-ნათაძე; ბროტერუსი); რაჭა, ამბროლაურის მიდამოები, მდ. რიონის ხეობა (კემულარია-ნათაძე); 8 — სამხ. ოს.: ცხინვალის მიდამოები ე. და ნ. ბუშები; გორიდან სტალინის მიმართულებით (კვარაცხელია); 9 — ქართ.: ბორჯომი (რადე; აკინფიევი; მედვედევის პერბარეში; ლიპსკი; ბოროდინი; კოზლოვსკი); ბორჯომი მტკვრის მარცხენა სანაპირო, 2700 მ; ზღ. დ. (აკინფიევი); ბორჯომი, ლი-

კანი (აკინფიევი; კოზლოვსკი; ალბუთაშვილი); ს. ჭეაბისხევთან ახლოს (ხინთიბიძე; ალბუთაშვილი) ბანისხევი (კოზლოვსკი); ბაკურიანის მიდამოები (კოზლოვსკი; ალბუთაშვილი); ტანას ხეობა, ატენის მიდამოები (ქიქოძე, უსოპურა); ტანას ხეობა, თავეცვლას მიდამოები (ქიქოძე); სოფ. ქსანის მიდამოები (ზედელმეიერი; გროსჰეიმი); ზედაზენი (გროსჰეიმი); შიომღვიმის ქედის სამხრეთი ფერდობი (კოლექტორი უცნობია); არმაზის ხეობა (ქუთათელაძე, გაგინძე); ბეთანიის მონასტერთან, კლდიან ადგილებზე (სახოკია); მცხეთა (ლიპსკი; პაგირევი); თბილისი (პომორზოვი; ოვერინი; კუზნეცოვი; პაგირევი; გროსჰეიმი); თბილისი მდ. ვერეს ხეობა (სოსნოვსკი; ალბუთაშვილი); თბილისი, ბოტანიკური ბაღი (პომორზოვი; სოსნოვსკი; მედვედევის ჰერბარიუმი); დაბახანა (კაფიევი; გროსჰეიმი; ვორონოვი); მდინარე დაბახანის ხეობა, ჩრდილო ფერდობი (ქუთათელაძე); კოჯორი, უძოს მხარეს (მარდალეიშვილი); კოჯორი (ლიპსკი); ტაბახმელას მიდამოები (გროსჰეიმი); თელეთი (კაფიევი); წაგკისის მიდამოები (სოსნოვსკი); სოფ. მამკოდასა და გლდანს შორის (ქუთათელაძე, მცხვეთაძე, ხინთიბიძე); სოფ. მამკოდას მიდამოები, მონასტრის მხარეს (ქუთათელაძე, მცხვეთაძე); 12 — კახ.: კახეთი, „მარიენფელდ“ (პოპნაეკერი); 13 — ქიზ.: სიღნაღი (მედვედევის ჰერბარიუმი); შირაქი, პანტიშარას ხეობა (მოსულიშვილი); 14 — გარე კახ.: კაკაბეთი, საბაღურის ქვემოთ (ყანჩაველი); კაკაბეთი, თელათის გორა (ყანჩაველი); მარტყოფსა და მდინარე ლოჭინს შორის (გროსჰეიმი, კოლაკოვსკი); 15 — გარდ.: ყარაიზი (ალექსეენკო, ვორონოვი; სტაროსელსკი); ყარაიზი, ტატიანოვკასა და ტუბა ყარაიზის მიდამოები (კოლაკოვსკი); უდაბნო (ხინთიბიძე); 19 — მესხ.: ახასთუმანი (მედვედევის ჰერბარიუმიდან; ახალციხე (ბოროდინი); ახალციხე ზარზმასთან (ლიტვინოვი); ახალციხის მიდამოები, სოფ. რუსთავთან (მეფერატი); ახალციხე, კლდეს მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); ახალციხე, ურაველის მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა); მდ. ურაველის მარცხენა მხარეს, სოფ. ურაველის პირდაპირ (ხინთიბიძე); მდინარე პოსხოვჩაის მარცხენა სანაპირო, ს. ახალციხის პირდაპირ (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); ახალციხის რაიონი, სოფ. ბენარა (ტახტაჯიანი); მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, სოფ. ახალშენის პირდაპირ (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); ოშორას ქედი ს. აწყურისაყენ, დაღმართზე (კოზლოვსკი); აწყურის მიდამოები (კოზლოვსკი).

სსრკ.: იმიერკავკ.: (დაღესტანი); ამიერკავკ.: აზერბ.; სომხ.; შუა აზ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო ვავრცელ.: ბალკან.; ანატ.; სირია; ერაყი; ირ.

### გ ე ა რ ი 23. FAIDERMANNIA TRAUTV.\*

ჯამი ვიწრო ცილინდრულია, ძირში ოდნავ გამობერლი, 13 ძარღვიანი, ოდნავ ორტუჩა, 5-კბილიანი, კბილები თითქმის ერთნაირია, ჯამის კბილები ვიწრო სამკუთხა ფორმისაა, წამახვილებული; ხახაში ბეწვების რგოლი აქვს. გვირგვინის მილი ძალიან ვიწროა, გვირგვინი ორტუჩაა, ტუჩები ზემოთაა მიმართული, ზედა ტუჩი წვერზე ამოკვეთილია, ქვედა ტუჩი ზედაზე გრძელია, 3-ნაკვთიანი. მტვრიანა 4, მათგან 2 მტვრიანა მოკლე სამტვრე ძაფებითაა და

\* დაამუშავა ე. ალბუთაშვილმა

განუვითარებელია, სტერილურია, 2 მტვრიანა კი გრძელი სამტვრე ძაფებითა და ფერტილურია, სამტვრე ერთბუდლიანია, მიმაგრებულია ძაფზე ურძით, ჩვეულებრივ მსხვილი დანამატაცაა, სამტვრე ძაფები მიმაგრებულია ხაზში ქვედა ტუჩის ფუძეზე. მტვრის მარცვალი თითქმის სფეროსებრია, პოლუსებთან ოდნავ შებრტყელებული (განიკვეთიში ექვსნაკეთიანი, მერიდიანულად განლაგებული ექვსი ღარით, პოლარული ღერძი 36—38,4 მიკრონია; ეკვატორული დიამეტრი 37,2—38,4 მიკრონი. ღარი გრძელია, ბოლოებში ძალიან შევიწროებული. ეგზინას ზედაპირი ბადისებრია, ბადის თვლები სქელკედლიანია, მომრგვალო, ეგზინას სისქე 1,2 მიკრონია; სვეტი ორნაკეთიანია, ძლიერ მოხრილი ზედა ნაკვითთ და ძლიერ რედუცირებული ქვედა ნაკვითთ, სვეტი ემიჯნება გვირგვინის ზედა ტუჩს. მრავალრიცხოვანი ყვავილები მოკლე ან მნიშვნელოვნად გრძელი ყვავილის ყუნწებით შეკრებილია ღეროს ზედა ნაწილში ან გვერდითი ტოტების ბოლოებში მეტ-ნაკლებად თავაკისებრ ან თავთავისებრ ყვავილედებად. კაკლუშები ცილინდრული ან კვერცხისებრი ფორმისაა, ოდნავ სამწახნაოვანი, ოდნავ გამობურცული, ღია ან მუქი ყავისფერი, ერთი ნაქდევით, რომელიც დაფარულია თეთრი ნაფიფქით. — ერთწლოვანი მცენარეებია.

1. *F. persica* (Bunge) Newski, Tr. Bot. inst. AN CCCP I (1937) 4; Тер-Хачат. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 17 (1953) 70; eadem в Опред. раст. Груз. (1964) 430 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 404.—*Ziziphora persica* Bunge in Mem. Acad. Sc. Petersb. VII ser. XXI, 1 (1873) 39; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 325; idem в Опред. раст. Кавк. (1949) 343; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 386 (georg.); Юзепч. во Фл. СССР XXI (1954) 410; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 359; Тахт., Фёд. Фл. Еревана (1972) 264; Heywood, Fl. Europ. III (1972) 163; Edmondson in Davis, Fl. Turkey VII (1982) 338; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 490

Exs.: Pl. Or. exs. n° 18.

©. დაბალი მცენარეა, 10—25 სმ სიმაღლის, ძირიდანვე დატოტვილი, სწორმდგომი, სქლადაა დაფარული მოკლე, ქვემოთ დახრილი თეთრი ბეწვებით; ღეროსეული ფოთლები ფართო-ლანცეტა ფორმისაა, ყუნწი 3—4 მმ სიგრძის, ფირფიტა 1,5—1,8 სმ სიგრძის, 0,4—0,5 სმ სიგანის, ფირფიტის ქვედა მხარე ძარღვების გაყოლებზე და კიდევები დაფარულია ვრძელი გაფანტული ბეწვებით; თანაყვავილის ფოთლები რომბულ-ლანცეტა ფორმისაა, მახვილწვერიანი, ყუნწი 2—2,5 მმ სიგრძისაა, ფირფიტა 1,5—2 სმ სიგრძის, 0,4—0,5 სმ სიგანის. ყვავილენი თავაკისებრია ან ოდნავ წაგრძელებული, 2—5 სმ სიგრძის, 2—2,5 სმ სიგანის; ყვავილის ყუნწები 2—3 მმ სიგრძის; ჯამი ცილინდრულია, ძირში ოდნავ გამობერილი, 7—8 მმ სიგრძის, დაფარულია გაფანტული, გაფანტული ბეწვებით, ჯამის კბილები ლანცეტა ფორმისაა, წამახვილებული 2—2,5 მმ სიგრძის; გვირგვინი მოწითალო-ოისფერია. კაკლუშები კვერცხისებრია, ღია ყავისფერი, 1,5—2 მმ სიგრძის. ყვ. VI—VII; ნაყ. VII—VIII. 2n=32.

აწერილია ირანიდან, „In prov. Adserbidshan districtus Choi siccis ap-ricis (Szovits).“

იზრდება მშრალ, ქვიან და თიხნარ ადგილებზე მთის შუა სარტყელში.  
საქ. სსრ.: 19 — მესხ.: ასპინძასა და ხერთვისს შორის, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, მშრალ ადგილებზე (ხინთიბიძე); ასპინძა, ახალციხესა და აწყურს შორის (კოზლოვსკი); ახალციხის მიდამოები (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე, მანდენოვა; ქიქოძე).

სსრკ.: იმიერკავკ.: იმიერკავკ.: აზერბ.: სომხ.: ევრ.—ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ.; ირ.

გვ. 24. MELISSA L.\* — ბარაბოშო

ყვავილები შეკრებილია ზედა ფოთლების იღლებში 3—5 ყვავილიან ჩხრობად. თანაყვავილები პატარა ზომისაა, ბალახოვანი. ჯამი ზარისებრია, 13 კარგად შესამჩნევი ძარღვით, ორტუჩა; მისი ზედა ტუჩი ბრტყელია, 3-კბილა, ქვედა — გამობერილია, 2-ნაკვთიანი. გვირგვინი მოხრილი მილითაა, თეთრი ან მოვარდისფრო, ორტუჩა, ჯამიდან ოდნავ ამოყოფილი; მისი ზედა ტუჩი სწორია, წვერში ამოკვეთილი, ქვედა — სამნაკვთიანია, რომელთაგან შუა უფრო ფართოა. მტვრიანა 4, ზედა ტუჩთანაა მიახლოებული; გვერდითი მტვრიანები გრძელია შუა მტვრიანებზე. კაკლუჭები მოგრძოკვერცხისებრია, გლუვი, ფუძისკენ ძლიერ შევიწროებული. — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, მრგვალხერხებილი მთლიანი ფოთლებით.

გვარში გავრთიანებული 3 სახეობიდან, რომლებიც ძირითადად სამხრეთ ევროპასა და დასავლეთ და ცენტრალურ აზიაშია გავრცელებული, საქართველოში ერთი სახეობა გვხვდება.

*I. M. officinalis* L. Sp. Pl (1753) 592; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 61; Benth. Lab. Gen. Sp. (1833) 393; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 356; Boiss. Fl. Or. IV (1879) 584; Шмалъг. Фл. Сред. и Южн. Росс. II (1897) 312; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 321; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 344; Колак. Фл. Абх. IV (1949) 67; Тер-Хачат. во Фл. Груз. VII (1952) 394 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 107 (georg.); Борисова во Фл. СССР XXI (1954) 411; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 359; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 199; Колак. Растит. мир Колх. (1931) 315; Тер-Хачат. в Опред. раст. Груз. I (1934) 43 (georg.); eadem в Гроссг. Фл. Кавк. 2, УП (1937) 404; Меницкий во Фл. Европ. части СССР III (1978) 183; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1930) 55; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 256; Rechinger, Fl. Iran. № 150. (1982) 494.

Is.: Фл. СССР XXI. (1954) табл. XXI, 1; Фл. Европ. части СССР 3 (1978) табл. 34, 1, Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) tabl. 388.

Exs.: ГРФ, n° 430.

4. მცენარე მოკლე, ვაფანტული, რბილი ბეწვითაა მოფენილი; ფესურა გრძელია, დატოტვილი; ღერო სწორმდგომია, 30—120 სმ სიმაღლის, დატოტვილი; ფოთლები კვერცხისებრია, ყუნწიანი, გულისებრი ან მოკლე სო-

\* დაამუშავა ი. ლაჩაშვილმა

ლისებრი ფუძით, 2—8 სმ სიგრძის, 1,5—5 სმ სიგანის, კიდეზე მრგვალ-ხერტი კბილა, ჩვეულებრივ ზედა მხრიდან ან ორივე მხარეს ჯირკვლოვანი ბეწვით ან წერტილოვანი ჯირკვლებით მოფენილი, ზოგჯერ თითქმის შიშველი; თანაყვავილები ფორმით არ განსხვავდება ლეროსეული ფოთლებისაგან, მხოლოდ თანდათანობით პატარავდება ქვემოდან-ზევით. ყვავილები 3—5 (ზოგჯერ უფრო მეტი) ერთადაა ნახევარჩხრობად (ცრუჩხრობად) ზედა ფოთლების ილღიებში განლაგებული; თანაყვავილები მოკლუეყუნწიანია, კვერცხისებრ-ლანცეტა ან ელიფსური, კიდემთლიანი, თითქმის ყვავილის ტოლი; ჯამი ზარისებრია, 7—8 მმ სიგრძის, ძირთან ოდნავ გამობერილი, გაფარჩხულ-რბილ-ბეწვიანი; მისი ზედა ტუჩი ფართოა, 3 მოკლე კბილით, ქვედა — 2 ლანცეტა, სადგისისებრ წაწვეტებული კბილითა; გვირგვინი თეთრია ან მოვარდისფერი, 1,5—2-ჯერ გრძელი ჯამზე. კაკლუჭები ყვავიფერია, 1,5—2 მმ სიგრძის. მცენარეს ლიმონის სურნელება აქვს. VII—X. 2n=32.

აწერილია ევროპიდან (Hb. Linn. 745/1).

იზრდება ტყეებში, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში, ბალეხსა და რუდერალურ ადგილებში. მთის ქვედა, იშვიათად შუა სარტყელში.

საქ. სსრ.: 1 — აფხაზეთი (ვორონოვი); იქვე წებულდა (იგივე); 3 — რაჭა-ლეჩხ.: ლეჩხუმი, მდ. რიონი, სოფ. აჭარის-ხიდი (კემულარია-ნათაძე); 4 — სამეგრ.: სოფ. ინჩხურის მიდამოები (მანდენოვა, ქუთათელაძე); 5 — იმერ.: სოფ. ვოდოვანი (კემულარია-ნათაძე); საქარის სანერგე (გორაევი); მაიაკოვსკის რაიონი, წაბლარის-წყლის ხეობა (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); სადგური წიფა (კოზლოვსკი); 7 — აჭარ.: ხულოს რაიონი, სოფ. ხინაძირის მიდამოები, სხლატის ხეობა (დმიტრიევა); სოფ. შუახევი (მაყაშვილი); 9 — ქართ.: მცხეთის მიდამოები (სოსნოვსკი); თბილისი, ბოტანიკის ინსტიტუტის ეზო (ქუთათელაძე, ბოკერია); 12 — კახ.: ლაგოდეხი (სოსნოვსკი); 14 — გარე-კახ.: ქოფ. გიორგიშინდის ახლოს (ხატიაშვილი); 16 — თრიალ.: თეთრი წყაროს ახლოს (ზედგელმეიერი); სოფ. ქსოვრეთი (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი). პოენა შესაძლებელია სხვა რაიონებშიც.

სსრკ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (სამხ. რაიონები, ყირიმი).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.; ირ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. სამკურნალო და თაფლოვანი მცენარეა. ფოთლები შეიცავს ეთერზეთს ლიმონის დამახასიათებელი სურნელებით. გამოიყენება პარფიუმერიაში და კვების მრეწველობაში.

გ ბ ა რ ი 25. SATUREJA L.\*—ჟონღარი

ყვავილები 5—15 მმ სიგრძისაა, ყუნწიანი, თანაყვავილაკებიანი; თეთრი, ღია იასამნისფერი ან ვარდისფერი, მეტწილად შეუცვლელი კენწრული ფოთლების ილღიებში ჩხრობად განწყობილი. ჯამი ზარისებრი ან მილისებრ-ზარისებრია, 10—13-მარდიანი, სწორი ან ორტუჩა, 5 ცოტად თუ ბევრად თანაბარი კბილით, წერტილოვანი ჯირკვლებით, ხახაში იშვიათი სწორი ბეწვების რგოლით. გვირგვინი ორტუჩაა, სწორი, კიდემთლიანი ზედა ტუჩით

\* დაამუშავა დ. კაბანაძემ.

და სამნაკეთიანი ვალუნილი ქვედა ტუჩით, გვირგვინის მილი სწორად და  
თად ხახაში ბეწვის რგოლით. მტვრიანა 4, გვირგვინის მილიდან ამოყოფილი  
და ზედა ტუჩის ქვეშ აღმართული; გვერდითი მტვრიანები შუათანებზე გრძე-  
ლია, სამტვრე ორბუღიანია, ბუდეები ცოტად თუ ბევრად დაშორიშორებულია,  
არც თუ ისე ბრტყელი შუასაბამით გაყოფილი, სვეტის ნაკეთები თანატოლია  
ან ცოტად თუ ბევრად არათანაბარი. მტვრის მარცვალი მომრგვალოა, ოდნავ  
შებრტყელებული, 6-ღარიანი, ღარები გრძელია და მარცვლოვანი მემბრანით  
ხასიათდება, ეგზინის ზედაპირის მოხატულობა ბადისებრია, რომლის თვლები  
მომრგვალო ან ოდნავ დაკუთხულია. კაკლუქები მომრგვალოა ან ელიფსური,  
ბლაგვი, ცოტად თუ ბევრად სამწახნაგოვანი, შიშველი. — ერთ ან მრავალ-  
წლოვანი ბალახოვანი მცენარეებია ან პატარა ზომის ბუჩქები წვრილოვანი  
ჯირკვლებით აღჭურვილი მთლიანი ფოთლებით, ფოთლები კიდემთლიანია, ან  
თითქმის კიდემთლიანი, მოკლეყუნწიანი. მცენარეები ხშირად სურნელოვანია.  
გვარი ძირითადად ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში გავრცელებული 30-მდე  
სახეობითაა წარმოდგენილი. საქართველოში 3 სახეობა გვხვდება.

1. ნახევრად ბუჩქია, მრავალრიცხოვანი, ძირში გახევებული ღეროებით. ფოთ-  
ლები ფართოა, ელიფსური ან უკულანცეტა ფორმის, ზედა ნახევარში კი-  
დეებზე დაშორიშორებულ ხერხისებრ დაკბილული, ქვედა ნახევარში კიდე-  
მთლიანი, კიდევზე აქა-იქ წამწამებია, წაწვეტებული, ძირში შევიწრო-  
ებული, მკდომარე, შიშველი, ტყავისებრი, პრილა, ორივე მხარეზე მრავალი  
ჯირკვლით აღჭურვილი. თანაყვავილები ხაზურ-სადგისისებრია, ყვავილის  
ყუნწზე 2—3-ჯერ გრძელი. ჯამი გარედან შიშველია, ჯირკვლებიანი, ხახაში  
გრძელი, აქა-იქ გაბნეული ბეწვი აქვს, ჯამის კბილები ხაზურ-სადგისისებ-  
რია, თითქმის თანაბარი, მილზე რამდენადმე გრძელი. კაკლუქები მომურო  
ფერისაა, ძალიან წვრილმექუქიანი . . . . . 1. *S. bzybica* Woronow  
— მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი მცენარეებია, ვიწრო უკულანცეტა-ხაზუ-  
რი ან ხაზური ფორმის ფოთლებით . . . . . 2
2. ერთწლოვანი მცენარეა. ნახევარჩხროები 1—3-ყვავილიანია, დაშორიშორე-  
ბული. ჯამის კბილები ვიწრო სამკუთხოვანია, სადგისისებრ წაწვეტებული;  
ჯამის ხახა ბეწვების გარეშეა. გვირგვინი იასამნისფერია ან ვარდისფერი  
. . . . . 2. *S. laxiflora* C. Koch  
— მრავალწლოვანი მცენარეა. ჩხროები 3—6-ყვავილიანია, საკმაოდ მჭიდრო  
მტევნისებრ ყვავილედეებშია შეკრებილი. ჯამის კბილები ლანცეტა-სამკუ-  
თხოვანია, მახვილი; ჯამის ხახაში გრძელი, აქა-იქ გაბნეული ბეწვითაა; გვირ-  
გვინი მეტწილად თეთრია, იშვიათად მკრთალი ვარდისფერი  
. . . . . 3. *S. spicigera* (C. Koch) Boiss.

Sect. 1. *Sabbatia* Briq. in Engl. und Prantl, *Naturl. Pflanzenfam.* IV, 3a  
(1897) 298. — ერთწლოვანი მცენარეებია, ნახევრად ბუჩქები ან პატარა  
ზომის ბუჩქები. ფოთლები წაგრძელებულია, ხაზური, ლანცეტა ან ნიჩბისებრი.  
ჯამი ორტუჩაა ან 5 თანაბარი კბილით, 10—13-მარღვიანი; ხახა შიშველი ან  
მცირედ შებუსუსლი; გვირგვინის ზედა ტუჩი არათანაბარი ნაკეთებითაა, ხში-  
რად ზედა ტუჩზე გრძელი.

სექციის წარმომადგენელთა არეალი მოიცავს სამხრეთ პალეარქტიკას,  
ხმელთაშუაზღვეთის, წინა აზიის ქვეყნებს, პალეოტროპიკული სამყაროს ზოგი-

ერთ ნაწილს (მადაგასკარი, კაბი). გვარ *Satureja*-ს საქართველოში გავრცელების  
ლებული სამივე სახეობა აღნიშნულ სექციაშია გაერთიანებული.

*Ser. I. Cuspidatae* Boriss. во Фл. СССР XXI (1954) 424 (deser-  
ross.). — ნახევრად ბუჩქებია ტყავისებრი ფოთლებით; ჯამი 10-ძარღვიანია,  
გვირგვინზე ოდნავ მოკლე, 8—9 მმ სიგრძის, გრძელი, მახათისებრი კბილებით,  
რომლებიც თითქმის მილის ტოლია, მწკრივი მონოტიპურია.

© I. S. *bzybica* Woronow Tr. Bot. inst. AN СССР I, 1 (1933) 222;  
Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 345; Колак. Фл. Абх. IV (1949) 68;  
Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 401 (georg.); Борисова во Фл. СССР  
XXI (1954) 424; Колак. Растит. мир Колх. (1961) 318; Капеллер в Оп-  
ред. раст. Груз. I (1964) 430 (georg.) Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967)  
407; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 256.—*S. illyrica* Гроссг. Фл. Кавк. III  
(1932) 328, поп. НозI.

Is.: Фл. Груз. VII (1952) рис. 330.

4. ნახევრად ბუჩქია, 20—50 სმ სიმაღლის, მრავალი სწორმდგომი ან  
წამოწეული, დატოტვილი, ხშირფოთლიანი, ძირში გახევებული ღეროებით;  
ღეროები ნორჩობაში შებუსუსულია, შემდეგ კი შიშველი, თითქმის ოთხწახნაგო-  
ვანი; ფოთლები საკმაოდ დიდი ზომისაა — 14,5 მმ სიგრძის, 3—11 მმ სიგა-  
ნის, ტყავისებრი, მაგარი, პრიალა, მოპირისპირედ განწყობილი. ელიფსური  
ან უკუღაცეფა ფორმის, ზედა ნახევარში კიდევებზე დაშორიშორებულ ხერხ-  
კბილა, ქვედა ნახევარში კიდემთლიანი, აქა-იქ წამწამებით, ფოთლები წვერზე  
წამახვილებულია, ძირში შევიწროებული, მჯდომარე, ორივე მხარეზე მრავალი  
მჯდომარე წერტილოვანი ჯირკვლებით. ჩხროები 3—6-ყვავილიანია, შეუცვლე-  
ლი კენწრული ფოთლების ილღიებში ხშირ მტენისებრ ყვავილედ აღ შეკრები-  
ლი; თანაყვავილაკები ხაზურ-სადგისისებრია, 8—10 მმ სიგრძის, ყვავილის  
უწნეები დაფარულია ხშირი, მოკლე, ხუჭუჭა, თითქმის უკან გადმოხრული ბე-  
წვებით; ჯამი ოდნავ შესამჩნევი ძარღვებითაა, შიშველი, ხშირი წერტილოვანი  
ჯირკვლებით მოფენილი; ჯამის კბილები თითქმის ერთმანეთის თანატოლი, ხა-  
ზურ-სადგისისებრი, მეტწილად ჯამზე 1,5—2-ჯერ გრძელი, ან იშვიათად მისი  
სიგრძის თანაბარი, შიშველი, ან ძალიან მეჩხერ წამწამებანი; ჯამი ხახაში  
თხლადაა მოფენილი მილიდან ამოყოფილი გრძელი ბეწვებით, მილი სწორი  
ან ოდნავ გადახრილია; გვირგვინი იისფერი ან თეთრი, 10—15 მმ სიგრძის, გა-  
რედან ჯირკვლოვანი და წვრილი ბეწვებით შემოსილი, ფართო გადანაღუნით,  
გვირგვინის მილი ზედა ნაწილში ვაფართოებულია, ჯამის მილზე გაცილებით  
გრძელი, მაგრამ ჯამის კბილებს არ აღემატება; ზედა ტუჩი წვერზე მეტნაკლე-  
ბად ამოკვეთილია და წვრილკბილა, ქვედა ტუჩის შუა ნაკვეთი წვერზე წვრილ-  
კბილაა. კაკლუქები მურა ფერისაა, 1,5 მმ სიგრძის, 1 მმ სიგანის, კვერცხისებ-  
რი, წვერზე ბლავი, ერთი მხრიდან მახვილ-კილისებრია, მეორე მხრიდან  
სამძარღვიანი, წვერზე წვრილ ჯირკვლოვან-მეჭექებანი. ყვ. ნაყ. VII—X—XI  
(სურ. 17).

აწერილია აფხაზეთიდან — ბზიდის ხეობიდან.

Typus: „Abchasia, fauces fl. Zhovekuara, prope Gagry, in detritis  
calcareis (SP) 20 X 1915 Woronow“ (LE).

იზრდება მშრალ კირქვიან კლდეებზე, კლდეთა ნაპრალებში, კირქვებან; წყალზე და ღორღიანებზე, ტყის პირებზე, შვეულ ტყიან ფერდობებზე მთის ქვედა სარტყელში.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: გავრის მიდამოები (გროსპეიმი — TBI); მდ. ჟოგეკვარას ხეობა (გროსპეიმი — TGM; კვარაცხელია — SUSH; ცველევი — LE); რწის ტბის მიდამოები (პეტიაევი — LE); მდ. ბზიფის ხეობა, სოფ. ბზიფსა და ცისფერ ტბას შორის (ხინთიბიძე, ფურცხვანიძე; ცინცაძე — TBI; კოლაკოვსკი — SUCH; მალეევი — LE), ახატის კანიონი (პანიუტინი — LE; აძინბა, კოლაკოვსკი, იაბროვა — SUCH; ცველევი — LE); ბზიფის ქედი, მთა ძირუხა (კოლაკოვსკი, იაბროვა — SUCH); იუპშარას ხეობა (კოლაკოვსკი — SUCH); გეგის ხეობა (კოლაკოვსკი — SUCH); იუპშარას და ბზიფის შესართავთან (გაგნიძე, ჭელიძე — TBI) (რუკა 21).

სსრკ: ამიერკავკ.: შავი ზღვის სანაპირო. დასავლეთ ამიერკავკასიის ენდემია.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ა. ეთერზეთოვანი მცენარეა, შეიძლება გამოყენებულ იქნას დეკორატიული მიზნით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ახლოა ხმელთაშუაზღვეთურ *S. illyrica* Host-თან, რომლისგანაც განსხვავდება ლანცეტა, ხერხბილა, ორივე მხარეზე ჭირკვლებით მოფენილი ფოთლებით, მეჩხერი ყვავილედით, ჯამის ფორმითა და შეფერვით, სადგისისებრი ჯამის კბილებით. *S. illyrica*-ს ახასიათებს უფრო ვიწრო ფოთლები, ხაზურ-ლანცეტა ფორმის, კიდეებზე წამწამებიანი ან მათ გარეშე, მხოლოდ ზედა მხარეზე ჭირკვლებით მოფენილი. ყვავილები მოკლე, ხშირ თავთავისებურ ყვავილედად შეკრებილი. ჯამი მილისებურ-ზარისებრი, იისფერი, ჯაგრისებრი კბილებით და აშკარად გამოხატული ძარღვებით. იზრდება კირქვიან ეკოტოპებზე.

Ser. 2. *Hyssopiflorae* Boriss. во Фл. СССР XXI (1954) 425 (deser. ross.). — მრავალწლოვანი მცენარეებია; ჯამი 13 ძარღვიანი, გვირგვინზე ოღნავ მოკლე; გვირგვინი 8—10 მმ სიგრძის; ორივე მტვრიანა გვირგვინიდან ამოყოფილია; ყვავილელი თავთავისებრია, ცალგვერდა.

2. *S. spicigera* (C. Koch) Boiss. Fl. Or. IV (1879) 566; Гросср. Фл. Кавк. III (1932) 329; idem, Опред. раст. Кавк. (1949) 345; Колак. Фл. Абх. IV (1949) 68; Parsa Fl. Iran. IV (1949) 577; Капеллер во Фл. Груз. VII (1952) 398 (georg.); Борисова во Фл. СССР, XXI (1954) 425; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 363; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 200; Колак. Растит. мир Колх. (1961) 318; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 430 (georg.); Гросср. Фл. Кавк. 2, VII (1967) 408; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 266; Davis in Davis, Fl. Turkey 1 7 (1982) 320; Rechinger Fl. Iran. № 150 (1982) 439. — *Micromeria* ' *spicigera* C. Koch in Linnaea XVII (1843) 295; Ledeb. Fl., Ross. III (1849.) 356. — *M. alternipilosa* C. Koch in Linnaea (1847) 25. — *S. intermedia* β. laxior. Benth. in DC. Prodr. XII (1848) 210. — *S. alternipilosa* C. Koch in Linnaea XXI (1848) 668.

Is.: Фл. СССР XXI (1954) табл. XXII, рис. 3.

აწერილია საქართველოდან.

Т у р у с: „Caucasus: Radzha, Ruprecht, G-Boiss“ (B, isotypus LE).

2. ღერო სწორმდგომია ან წამოწეული წკებლისებრი ტოტებით, 60 სმ-დე სიმაღლის, ძირიდან დატოტვილი; ტოტები წვრილი, წამოწეული ან ირიბად ზეაღმართული, ხშირად ერთ მხარეზე მიმართული, ხშირფოთლიანი; ისე, როგორც ღერო მოკლებეწვიანი; ფოთლები ვიწროა, უკუღმართულ-ხაზური ან ვიწრო ხაზური ფორმის, წვერზე შევიწროებული, მომახვილო, ყუნწში შევიწროებული ან ყუნწი მკვეთრად არ არის გამოსახული, ვაფანტული, მოკლე ბეწვით და მრავალი გამჭვირვალე ჯირკვლით დაფარული. ჩხროები 3—4 ყვავილიანია, შეუცვლელი კენწრული ფოთლების იდლიებში ცალგვერდა, შედარებით მჭიდრო თავთავისებრ ყვავილებად შეკრებილი; თანაყვავილუკები წვრილია; ჯამი ზარისებრია, შესამჩნევი ძარღვებით, მოკლე ხუჭუჭა ბეწვით და წვრილი წერტილისებრი ჯირკვლებით მოფენილი, ორტუჩა; ჯამის კბილები ლანცეტა-სამკუთხოვანია, მახვილი, სიგრძით დაახლოებით ჯამის ტოლი, მეტწილად შიშველი, გვერდებზე წამწამებიანი, ორი ტუჩი მილის ტოლია, სამი მასზე მოკლე; ჯამი ხახაში გრძელი, აჭა-იქ მიმოზნეული ბეწვითაა; გვირგვინი მეტწილად თეთრია, იშვიათად მკრთალი ვარდისფერი, 8—10 მმ სიგრძის, გარედან წვრილბეწვიანია და ჯირკვლებითაა მოფენილი, გვირგვინის მილი მეტწილად ჯამის კბილებს ოდნავ აღემატება, ზედა ტუჩი მთლიანია ან სუსტად ამოკვეთილი; მტვრიანები და სვეტი გვირგვინიდან ამოყოფილია. კაკლუშები ფართო ელიფსურია, თითქმის მომრგვალო, ძალიან წვრილ მეტეჭილებრი. ყვ., ნაყ.: VII—X.

იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში ნატყევარ, კლდოვან და გაშიშვლებულ ეკოტოპებზე, ტყის პირებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ.; 2 — სვან., 3 — რაჭა-ლეჩხ., 5 — იმერ., 7 — აჭარ., 8 — სამხრ.-ოს., 9 — ქართ., 16 — თრიალ., 19 — მესხ.

სსრკ.: იმიერკავკ.; დალ.; ამიერკავკ.; დას., აღმ. და სამხრ.; თალ.

საერთო გავრცელ.: აღმ. ანატ.; ირ.

ს ა მ ე უ რ ნ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. ეთერზეთოვანი და თაფლოვანი მცენარეა, დასავლეთ საქართველოში იყენებენ როგორც სანელებელს, ამ მიზნით მოჰყავთ ბოსტნებში.

Ser 3. *Annuaire* Boriss. vo *Fl. CCCP XXI* (1954) 415 (*deser. ross.*)

— ერთწლოვანი მცენარეებია; ჯამი 10 ძარღვიანი, 3—5 მმ სიგრძის; გვირგვინი 4—10 მმ სიგრძის; მტვრიანები გვირგვინზე მოკლეა.

3. *S. laxiflora* C. Koch in *Linnaea* XXI (1848) 668; *Гроссг. Определ. раст. Кавк.* (1949) 344; *Колак. Фл. Абх. IV* (1949) 68; *Капеллер во Фл. Груз. VII* (1952) 397 (*georg.*); *Макашвили, Фл. окр. Тбилиси II* (1953) 108 (*georg.*); *Борисова во Фл. CCCP XXI* (1954) 416; *Ахундов во Фл. Азерб. VII* (1957) 361; *Дмитриева, Определ. раст. Аджар.* (1960) 200; *Колак. Растит. мир Колх.* (1961) 318; *Капеллер в Определ. раст. Груз. I* (1964) 430 (*georg.*); *Гроссг. Фл. Кавк. 2, VII* (1967) 406; *Тахт. и Фёд. Фл. Еревана* (1972) 264; *Колак. Фл. Абх. II* (1982) 266; *Rechinger Fl. Iran. № 150* (1982) 503. — *S. hortensis* L. *Bieb. Fl. Taur.—Cauc.* (1808) 38. — *S. hortensis β. grandiflora* Boiss. *Fl. Or. IV* (1879) 562. — *S. hortensis var. laxiflora* (C. Koch) *Гроссг. Фл. Кавк. III* (1932) 327.

Exs.: *Herb. Fl. Cauc n° 529; Pl Or. exs. n° 146.*

⊙. ღერო სწორმდგომია ან წამოწეული, 10—30 სმ სიმაღლის, წვრილი ტოტებით, ხშირად ძირიდან მეჩხერად დატოტვილი; ღერო, ისე როგორც ტოტები, წვრილი ხეშუქა ბეწვით შებუსული, ხშირად ღერო მოწითალო ფერისაა; ფოთლები ვიწრო, უკულანცეტა-ხაზური ან თითქმის ხაზური ფორმის, წვერში მობლავგო, ძირში გრძლად წაწვეტიებული, ყუნწი არა აქვს მკაფიოდ გამოსახული, გამჭვირვალე წერტილისებრი მომურო ფერის ჭირკვლებით და აქა-იქ გაფანტული ჭავრულებით მოფენილი. ჩხროები 1—3 ყვავილიანია, დაშორიშორებული, შეუცვლელი კენწრული ფოთლების ილღიებში განწყობილი; ზედა ყვავილები თითქმის მჯდომარეა, ქვედა — ყუნწიანი; თანაყვავილიაკები წვრილია, ვიწრო ხაზური; ჯამი თავდაპირველად ძაბრისებრია, შემდეგ ზარი-სებრი, მკვეთრად გამოსახული ძარღვები არა აქვს, გარედან უხვში მოკლე მიტკეცილებეწვიანია და მომურო ფერის წერტილისებრი ჭირკვლებითაა; ჯამის კბილები სადგისისებრ-ლანცეტა ფორმისაა, რამდენადმე არათანაბარი, წამწა-პებიანი, მიღზე ცოტაოდენ გრძელი, ან მისი თანაბარი; ჯამი ხახაში შიშველია; გვირგვინი 8—10 მმ სიგრძისაა, ვარდისფერი ან იასამნისფერია, მწამული ფერის წერტილებით ხახაში, გარედან შებუსული გვირგვინის მილი ჯამიდან ამოყოფილია, ზედა ტუჩი წვერზე ოდნავ ამოკვეთილია, ქვედა სამნაკეთიანია და ზედაზე უფრო გრძელი; მტვრიანები სიგრძით ქვედა ტუჩის ტოლია, 2 მოკლეა. კაკლუქები მომრგვალო კვერცხისებრია, 1 მმ სიგრძის და 0,5 მმ სიგანის, მურა ფერის, 4 შავი განზიდული ძარღვით. ყვ., ნაყ.: VI—X.

#### a) Subsp. *laxiflora*

⊙. ჩხროები 1—3 ყვავილიანია, დაშორიშორებული, ღეროსეული ფოთლების მსგავსი კენწრული ფოთლების ილღიებში განწყობილი, გვირგვინი გარედან წვრილი ბეწვითაა შემოსილი, მისი ხახა შიშველია.

აწერილია საქართველოდან.

Typus: „Georgia. C. Koch“ (B, G)

იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში ღორღიან და კლდოვან ადგილებზე, მშრალ ფერდობებზე.

საქ. სსრ.: 1 — აფხ., 3 — რაჭა-ლეჩხ., 7 — აჭარ., 9 — ქართ., 10 — მთიულ., 12 — კახ., 15 — გარდაბ., 19 — მესხ.

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვის სანაპ., აზერბ., სომხ.

საერთო გავრცელ.: აღმ. ანატ.; ირ.

b) Subsp. *zuvandica* (D. Kapanadze) stat. nov.—*Satureja zuvandica* D. Kapanadze Сообщ. АН СССР 119.1 (1985).—*S. densiflora* Zeinal. Докл. АН Азерб. ССР 25, 12 (1969) 50.—*S. borissovae* Zeinal. Докл. АН Азерб. ССР 25,12 (1969) 51.—*S. laxiflora* C. Koch p. p. auct. fl. Cauc.

⊙. ჩხროები 4—8 ყვავილიანია კუმს ცრუ თავთავისებრ ყვავილედად შეკრებილი; ქვედა ნაწილში ჩხროები შედარებით ურთიერთ დაცილებულია. გვირგვინის ხახა ცოტად თუ ბევრად შებუსულია.

აწერილია აზერბაიჯანიდან (ზევანდი).

Typus: „Caucasus, distr. Lerikensis, in vicinus pagi Cala, in deceivibus australibus schistosis promontiorum 28 IX 1966, S. A. Zeinalova“ (BAK).

იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში მშრალ და ღორღიან ეკოტობებზე.



საქ. სსრ: 9 — მახათას მთის ფიქლოვანი ფერდობები; წადვერი, მე-7 კმ-ზე; სადგური დაბა (კოზლოვსკი — TBI); ატენი, ნაშალებზე (გორონოვი TBI); მდ. დაბახანკას ხეობა (ქუთათელაძე — TBI); სოფ. მსხალდიდის ახლო, ქაჩალგორის მოპირდაპირე სამხრეთ ფერდობებზე (ქუთათელაძე, ოდიშვილი — TBI); თბილისის ბოტანიკური ბაღის მშრალ ფერდობებზე (კენიგი — TBI); თბილისის მიდამოები (სოსნოვსკი — TBI); ქვაბისხევი, სოფლის ახლოს მშრალ ფერდობებზე (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი — TBI); ბორჯომის მიდამოები (რადე — TGM); ლისის ტბის მიდამოები (შიშკინი — TGM); წყნეთის მიდამოები (პასტუნოვი — TGM); სოფ. კასპის ახლო ზაქარიანთ ჭალა, თეძამის ხეობა, თრიალეთის ქედი, ვოსტიძე (ქიქოძე — TGM); 14 — გარეჯის უღბანო, თიხნარებზე (კლოპოტოვსკი — TGM) (რუკა 22).

სსრკ: აზერბაიჯანი (ზუვანდი).

ს ა მ ე უ რ ნ ე მ ნ ი შ ვ ე ნ ლ ო ბ ა. ეთერზეთოვანი მცენარეებია.

ზეთი იხმარება ლიქიორებისა და კონიაკის წარმოებაში. ხალხურ მედიცინაში გამოყენებულია კუჭის დაავადებათა წინააღმდეგ, გამოსადეგია ტყავის დასათრიმლავად, თავლოვანი მცენარეებია, ფოთლები იხმარება როგორც საწებლებელი.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა. 1969 წელს ს. ზეინალოვას მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიიდან (ზუვანდი) აწერილი იქნა 2 ახლო მონათესავე სახეობა *S. densiflora* Zeinal. და *S. Borissovae* Zeinal. ეს უკანასკნელი მორფოლოგიური ნიშნებით თითქმის არ განსხვავდება *S. densiflora*-საგან და ამიტომ ისინი ჩავთვალეთ ერთმანეთის იდენტურად. რადგან სახელწოდება „*dansiflora*“ აღრე გამოყენებული იყო ენგლერის მიერ, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ აღნიშნული სახეობისათვის მიგვეცა ახალი სახელწოდება *S. zuvadica* D. Kapanadze (1985); იგი გავრცელებულია აზერბაიჯანში *S. laxiflora*-ს არიალის ფარგლებში. საპერბაროუმო მასალის შესწავლამ და ბუნებაში დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ *S. zuvadica*-სათვის დამახასიათებელი ნიშნები ექცევა *S. laxiflora*-ს ვარიეტების ფარგლებში და რომ მათ შორის მკვეთრი საზღვრების დადგენა ზშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ამასთან ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია *S. zuvadica*-სათვის, შეიმჩნევა *S. laxiflora*-ს ქართლისა და გარე კახეთის პოპულაციებისათვისაც. ამიტომ ვთვლით, რომ *S. zuvadica*-ს დამოუკიდებელ სახეობად მიჩნევა მიზანშეწონილი არ არის და იგი მოგვეყვას *S. laxiflora*-ს ქვესახეობად, რომელიც გავრცელებულია ზუვანდში (შესაძლებელია ირანშიც), ქართლსა და გარე კახეთში. *S. laxiflora*-ს პოპულაციებში აღნიშნული ქვესახეობის ჩამოყალიბება შესაძლოა სეზონურობით იყოს გამოწვეული.

სომიესა და ლევიეს მიერ სვანეთისათვის მითითებული იყო სახეობა *S. montana* L. აღსანიშნავია, რომ კავკასიის ფლორის არცერთი მკვლევარი ამ სახეობის არსებობაზე საქართველოში არ მიუთითებს. საპერბაროუმო მასალის შესწავლისა და ბუნებაში დაკვირვების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ მკვლევართა მიერ შეგროვილი მასალა უნდა ეკუთვნოდეს *S. spicigera*-ს და არა *S. montana*-ს. ლენტეხისა და ორბელის მიდამოებში, რომელსაც სომიე და ლევიე უთითებენ, მასიურადაა გავრცელებული *S. spicigera*.



ჯამი მილისებრია ან მილისებრ-ზარისებრი, სწორი, 13 კარგად მდგომარეობის კბილი ძარღვით, ორტუჩა, ზედა ტუჩი 3-კბილიანია, ქვედა 2 სადგისისებრი კბილით, სიგრძით ზედა ტუჩის ტოლი ან ოდნავ მასზე გრძელი; ჯამის ხახა ხშირი ან მეჩხერი ბეწვითაა მოფენილი, გვირგვინი მილისებრ-ძაბრისებრია, ჯამიდან ამოყოფილი მილით, ორტუჩა, გვირგვინის მილი სწორია ანდა ოდნავ მოხრილი, ზედა ტუჩი მთლიანია, წვერში ამოკვეთილი, ქვედა — 3-ნაკეთიანია, შუათანა ნაკეთი გვერდითებზე ფართოა, მთლიანი ან ოდნავ ამოკვეთილი. გვერდითი მტვრიანები შუათანა მტვრიანებზე გრძელია, გვირგვინის მილიდან ამოყოფილია და წვერით ურთიერთს ეხება. დინგის ნაკეთები არათანაბარია. კაკლუქები მომრგვალოა ან კვერცხისებრი, სამწახნაგოვანი, გლუვი. — მრავალწლოვანი, უფრო იშვიათად ერთ ან ორწლოვანი მცენარეებია, ზერსკბილა ფოთლებით ყვავილები ვარდისფერია ან მკრთალი იასამნისფერი, შეკრებილი მოპირისპირე ჩხრობად, ცოტად თუ ბევრად გრძელყუნწიანია; თანაყვავილები ლანცეტა ფორმისა, ყვავილის ყუნწებზე მოკლეა.

ხმელთაშუაზღვეთის გვარია, 6—7 პოლიმორფული სახეობითაა წარმოდგენილი. კავკასიაში და საქართველოში 4 სახეობა იზრდება.

1. ერთ ან ორწლოვანი მცენარეა, 7—15 სმ სიმაღლის; გვირგვინი პატარა ზომისაა, 5—7 მმ სიგრძის . . . . . 4. *C. debilis* (Bunge) Benth.  
— მრავალწლოვანი მცენარეა, უფრო მაღალი. გვირგვინი უფრო დიდია 9—30 მმ სიგრძის, 2—3-ჯერ გრძელია ჯამზე . . . . . 2
2. გვირგვინი 25—30 (35), მმ სიგრძისაა, თითქმის 3-ჯერ გრძელია ჯამზე; ფოთლები კვერცხისებრია, 5—7,5 მმ სიგრძის . . . 1. *C. grandiflora* (L.) Moench  
— გვირგვინი 9—13 მმ სიგრძისაა; ჯამი 6—9 მმ სიგრძისაა, ფოთლები 3—5 სმ სიგრძის . . . . . 3
3. ჯამი 7 მმ სიგრძისაა, ჯამის ქვედა კბილები ოდნავ გრძელია ზედა კბილებზე. გვირგვინი 9—12 მმ სიგრძისაა, ღია იასამნისფერი, ლილისფერი. ფოთლები მომრგვალო კვერცხისებრია, 1 სმ სიგრძის და სივანის, მოკლედ და სქლად შებუსული, კიდეზე ზერსკბილა, ფოთლის ყუნწი 5 მმ-ია. . . . . 2. *C. nepeta* (L.) Savi  
— ჯამი 6—9 მმ სიგრძისაა, ჯამის ქვედა კბილები მნიშვნელოვნად გრძელია სამ ზედაზე; გვირგვინი 12—17 მმ სიგრძისაა, ვარდისფერი ან მეწამული, ფოთლები კვერცხისებრია 1—3 სმ სიგრძის, თხლად შებუსული, კიდეზე წვრილკბილებიანი; ფოთლის ყუნწი 5—10 მმ სიგრძისაა . . . . . 3. *C. menthifolia* Host

1. *C. grandiflora* (L.) Moench, Meth. pl. (1794) 408; Benth in DC. Prodr. XII (1848) 228; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 353; Boiss. Fl. Or. IV (1879) 576; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 331; Қолак. Фл. Абх. IV (1949) 71; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 345; Шенгелиа во Фл. Груз. VII (1952) 410 (georg.); Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 108; Борисова во Фл. СССР XXI (1954) 435; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 365;

\* ღამბუშავა ზ. ლეინიანიძემ



Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 200; Капеллер в Определ. раст. Груз. I (1964) 431 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 416; Ball, Getliffe in Fl. Europ. 3 (1972) 166; Меницкий во Фл. Европ. ч. СССР III (1978) 186; Галушко, Фл. Сев Кавк. III (1980) 57; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 247; Davis, Leblebici in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 324; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 511.

Is.: Фл. Груз. VII (1952) рис. 333; Фл. СССР XXI (1954) Табл. XXIII, Davis, Fl. Turkey 7 (1922) fig 11, 7.

Exs.: HFR n° 833; HF USSR n° 3780 a.—*მთის პიტნა*.

2. მცენარე მწვანეა, 20—70 სმ სიმაღლის; ღერო სწორია, ძირიდანვე ან მხოლოდ ზედა ნაწილში დატოტვილი, მოკლე, ხშირი, ჯირკვლოვანი, გრძელი ან მოკლე, მარტივი, გაფარჩხული ბეწვით მოფენილი; ფოთლები კვერცხისებრია, ძირში სოლისებრ შევიწროებული, კიდეებზე მსხვილ ხერხებილა, ორივე მხარეზე მოფენილია გაბნეული ბეწვით, ქვედა მხარეზე კი მჭიდროდ ჯირკვლებიცაა შერეული. ყვავილთა ჩხროები 3—6 ყვავილიანია, ფოთლებს აღემატება; თანაყვავილები 5—6 მმ სიგრძისაა, ლანცეტა, კიდეებზე წამწამებიანი. ყვავილები 25—30 (35) მმ სიგრძისაა; ჯამი 10—13 მმ სიგრძის, სწორი, შებუსუსული მოკლე, ჯირკვლოვანი ბეწვით; ჯამის ქვედა კბილები ლანცეტა სადგისისებრია, წაწვეტებული, ზედა — ლანცეტაა, რამდენადმე ჰორიზონტალურად გადახრილი, ქვედა კბილებზე ოდნავ მოკლე; ჯამის ხახა გაფანტული ბეწვითაა; გვირგვინი ზედა ნაწილში ოდნავ მოხრილია, ვარდისფერი, 26—28 მმ სიგრძის, 3-3,5-ჯერ გრძელია ჯამის მიღზე, გარეთა მხრიდან შებუსუსული მარტივი ბეწვით; სვეტი მოკლებეწვიანია. კაკლუშები 2 მმ-მდე სიგრძისაა, მუქი მურა ან შავი, გლუვი. V—VIII (სურ. 18).

აწერილია ჩრდ. იტალიიდან (BM—Hb. Cliff.; Hb. Linn 745/3) (sec. Fl. Turkey, op. cit.).

იზრდება მთის შუა და მაღალ ზედა მთის სარტყლის ტყეებში.

საქ. სსრ: მთიულეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის და კახეთის გარდა ყველა რაიონში.

სსრკ: იმერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. სურნელოვანი მცენარეა.

2. *C. nepeta* (L.) Savi, Fl. Pis. II (1798) 197; Benth. in DC. Prodr XII (1848); 227; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 352; Boiss. Fl. Or. IV (1879) 577; Шенгелиа во Фл. Груз. VII (1952) 414 (georg.); Борисова во Фл. СССР XXI (1954) 435; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 200; Капеллер в Определ. раст. Груз. I (1964) 431 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 411; Ball, Getliffe in Fl. Europ. 3 (1972) 166; Меницкий во Фл. Европ. части СССР III (1978) 186; Davis, Leblebici in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 327.

Is.: Davis, Fl. Turkey 7 (1982) fig. 11; 10.

Exs.: Fl. Cauc. Exs. n° 368.

2. მცენარე მონაცრისფრო მწვანეა, 40—100 (20) სმ სიმაღლის; ღერო სწორმდგომია ან წამოწეული, ძირიდანვე დატოტვილი, სქლადაა შებუსხული გრძელი ვაფარჩხული ან მოკლე ბეწვით, რომელშიც ვაფანტული, მჭდომარე ჭირკვლებიცაა შერეული; ფოთლები ფართო კვერცხისებრია, უფრო იშვიათად მოგრძო კვერცხისებრი, ძირში სოლისებრი, ზოგჯერ თითქმის მომრგვალო, კიდეებზე წვიროლ მრგვალებილებიანი, ორივე მხარეზე შებუსხული გრძელი, მიტყეცილი ბეწვით, ქვედა მხარეზე მოფენილია მჭდომარე ჭირკვლებით. ყვავილების ჩხროები 5—25 ყვავილიანია; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ლანცეტა, მოკლენწაშაშიანი; ყვავილები 9—12 მმ სიგრძისაა; ჯამი 3—5(6) მმ სიგრძისა, სწორი, შებუსხულია ძალიან მოკლე, ჭირკვლოვანი ბეწვით და მჭდომარე ჭირკვლებით; ჯამის ქვედა კბილები ლანცეტაა, ზედა კბილებზე ოდნავ გრძელი, ზედა კბილები სამკუთხა მოკლენწაშაშიანი; ჯამის ხახა ხშირი და გრძელი ბეწვითაა; გვირგვინი მკრთალი იასამინისფერია, 8—11 მმ სიგრძის, 2,5-ჯერ გრძელია ჯამის მიღზე. სეკტი შიშველია. კაკლუშები 1 მმ სიგრძისაა, მუზა ფერის. VII—IX.  $2n=42$  (Natapajan, 1977).

აწერილია სამხ. ევროპიდან, იტალიიდან (BM—Hb. Clif.; Hb. Linn 745/5) (Sec. Fl. Turkey, or. cit.).

იზრდება მშრალ ქვიშიან ადგილებზე, კირქვიან კლდეებზე, ზღვის ნაპირებზე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: სოხუმი, სოხუმსა და კელასურს შორის, გუმისტა, ძველი გავრა (შენგელია); ბზიფის მარჯვენა სანაპირო, ცისფერ ტბასთან (ფურცხვანიძე); სოხუმსა და ახალ ათონს შორის (კაპელერი); ბიჭვინთა (ივანიშვილი), რიწის ტბასთან (ხინთიბიძე) (რუკა 23).

სსრკ: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.

3. *C. menthifolia* Host, Fl. Austr. 2 (1832) 129; Колак. Фл. Абх. IV (1949) 71; Гроссг. Опред. раст. Кавк. (1949) 326; Шенгелиа во Фл. Груз. VII (1952) 414 (georg.); Дмитриева, опред. раст. Аджар. (1960) 200; Меницкий, во Фл. Европ. части СССР III (1978) 187; Галушко, Фл. Сев. Кавк. III (1980) 57.—*C. officianlis* Moench, Meth. Benth. in DC. XII (1848) 228; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 352; Boiss. Fl. Or. VI (1879) 577; Борисова во Фл. СССР XXI (1954) 434; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 364; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 431 (georg.); Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 411; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 247; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1920) 511.—*C. sylvatica* Bromf. Phytologist (Newman) 2 (1845) 49; Davis, Leblebici in Davis, Fl. Turkey, 7 (1982).

Ic.: Davis, Fl. Turkey 7 (1982) fig. 11; 9 (sub. *C. sylvatica* Bromf.).

2. მცენარე მწვანეა, 30—60 სმ სიმაღლის; ღერო ძირიდანვე დატოტვილია, ცოტად თუ ბევრად სქლადაა შებუსხული ვაფარჩხული ბეწვით, იშვიათადაა მოფენილი მჭდომარე ჭირკვლებით; ფოთლები ფართო კვერცხისებრია,



უფრო იშვიათად მოვრძო კვერცხისებრი, ძირში სოლისებრი, კიდებზე მსხვილ ზერხებილი, ორივე მხარეზე შებუსუსული საკმაოდ ხშირი გაფარჩხული ბეწვი ქვედა მხარეზე მჭდომარე ჭირკვლებიც ურევია. ყვავილელი 5—8 ყვავილიანი; თანაყვავილები პატარა ზომისაა, ლანცეტა, მოკლეწამწამებიანი; ყვავილი 14—16 მმ სიგრძისაა; ჯამი 5—7 (8) მმ სიგრძისაა, შებუსუსულია მოკლე, ჭირკვლოვანი ბეწვით ზოგჯერ შეუბუსუსავია, ძარღვების გასწვრივ ცოტად თუ ბევრად გრძელი ბეწვითაა ამასთანავე მჭდომარე ჭირკვლებითაა; ჯამის ქვედა კბილები ლანცეტაა, მნიშვნელოვნად გრძელია ზედაზე, გრძელწამწამიანი, ზედა კბილები სამკუთხა ძირითაა, ძლიერ წაწვეტებული, ჯამის ხახა ხშირბეწვიანი რგოლითაა; ყვავილები ვარდისფერია, 12—15 მმ სიგრძის, 3-ჯერ გრძელია ჯამის მიღზე, გარედან საკმაოდ ხშირი, მოკლე გაფარჩხულბეწვიანია. სეტი შიშველია. კაკლუშები 1 მმ-მდე სიგრძისაა, VII—IX. 2n=48.

აფერილია ავსტრიიდან. („in Carnioliā. . . in Saxosis, arenosis, et aliis siccis sterilibusque locis“.).

იზრდება ტყეებში, ტყის პირებსა, ბუჩქნარებში და რუდერალურ ადგილებზე.

საქ. სსრ: 1 — აფხ.: ოჩამჩირის რაიონი, სოფ. აძიუბჯა; სოფ. ნაა; ძველი გავრა., განახლება (შენგელია); სოხუმი, გუმისთა (შენგელია; ფურცხვანიძე); მდ. ვეგის მარჯვენა ნაპირი (ხინთიბიძე), რიწის ტბის მიდამოები (გუსევი); 2—სენა.: ზესი (პეტრონოვსკაია); 3 — რაჭა-ლეჩხ.: ჭრებალო (მთვარაძე); უწერა (კემულარია-ნათაძე); ცაგერი (ვაგნიძე, ლაჩაშვილი); 4 — სამეგრ.: ზუგდიდი, ბოტანიკური ბაღი (დმიტრიევა); გეგეჭკორის რაიონი, სოფ. ინჩხური (მანდენოვა, ქუთათელაძე); გეგეჭკორი (მაყაშვილი); სალხინო (კემულარია-ნათაძე, ქუთათელაძე, შხიანი, ლაჩაშვილი); ახალი სენაკი (ბუაჩიძე); 5 — იმერ.: გელათი; ზემო გოდოვანი; გოდოვანი (კემულარია-ნათაძე); ბაღდადი (ბუაჩიძე); ბაღდადსა და ზეკარს შორის (სოსნოვსკი, ქუთათელაძე, მანდენოვა); მალაკი (მაყაშვილი); 7 — აჭარ.: ჩაქვი (მაყაშვილი); 12 — კახ.: ენისელი (სოსნოვსკი); ლავოდები (შენგელია); ქოჩალოს მთის ძირში (ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი); 13 — ქიზ.: სიღნაღი (ყენიგი); 17 — ქვ. ქართ.: სოფ. დიდსა და პატარა დმანისის შორის (სოსნოვსკი, პაპავა); დმანისის რაიონი, სოფ. საფარლოსთან ქუთათელაძე, მანდენოვა, შხიანი).

სსრკ: იმიერკავკ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., აზერბ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშუაზღვ. მხრ.; მც. აზ.

შენიშვნა. ფართოდ გავრცელებული ეპიტეტი *C. officinalis* ემყარება ლინესელ ტიპს *Melissa calamintha* L.-ს, რომელიც იდენტურია სახეობისთვის *M. nepeta* L. (*Calamintha nepeta* (L.) Savi-ს ტიპი) და ამის გამო იგი უარყოფილია. )P. W. Ball. Taxonomic and nomenclatural notes in european Labiatae. Bot. Journ. Linn. Soc. (Londen) 65,4 (1972) 346—347 და Ю. Меницкий, op. cit).

4. *C. debilis* (Bunge) Benth. in DC. Prodr. XII (1848) 232; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 352; Борисова во Фл. СССР XXI (1954) 430; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 364; Капеллер в Опред. раст. Груз. I (1964) 431 (georg.). Тер-Хачат. Гросс. Фл. Кавк. 2, VII (1967) 410.—*Thymus debilis* Bunge in Ledeb. Fl. alt. II. (1830) 391.—*C. caucasica* Somm. et Levier Nuov. Giorn. Bot Ital. (1897) 207; Гросс. Опред. раст. Кавк. (1949) 345;

13. საქართველოს ფლორა, XI



⊙ ან ⊙. მცენარე მწვანეა, 8—25 სმ სიმაღლის, ღერო მარტოულია, დატოტვილი, შებუსული გადახრილი მოკლე ბეწვით, რომელშიც ჯირკვლოვანი ბეწვიცაა შერეული; ფოთლები კვერცხისებრია ან მოგრძო-კვერცხისებრი, ძირში სოლისებრია, ზედა ნახევარში დაშორიშორებული კბილებითაა, ორივე მხარეზე მოფენილია გაფანტული, მოკლე ბეწვით, ქვედა მხარეზე წერტილისებრი ჯირკვლებითაც, ზოგჯერ თითქმის შიშველია. ყვავილედ 3—8-ყვავილიანია, მოკლუყუნწიანი; თანაყვავილი ბატარა ზომისაა, ლანცეტა ფორმის, კიდევებზე მოკლე წამწამებით; ყვავილები ბატარა ზომისაა, 5—7 მმ სიგრძის; ჯამი 4—6 მმ სიგრძისაა, სწორი, შებუსულია ძალიან მოკლე ჯირკვლოვანი ბეწვით, გარდა ამისა, ძარღვების გასწვრივ მოფენილია უფრო გრძელი, გაფარჩხული ბეწვით, ჯამის კბილები თანაბარი ზომისაა, კიდაწამწამიანი; მისი ზედა კბილები სამკუთხაა, წვერზე თანდათან წაწვეტებული. ქვედა კბილები ლანცეტა სადგისისებრია; ჯამის ხაზა გაფანტული ბეწვითაა; გვირგვინი მკრთალი ვარდისფერია 4-6 მმ სიგრძის, თითქმის ჯამის ტოლი; მტვრიანები ჯამს არ აღემატება; შუა მტვრიანების სამტვრეები განუფითარებელია. კაკლუშები წვრილია, 0,5 მმ სიგრძის, მოგრძო კვერცხისებრი, შიშველი, მურა. VI—VIII.

აწერილია ალტაიდან. ტიპი ლენინგრადშია დაცული (LE).

იზრდება მთის შუა და მაღალმთის სარტყლის ტყეებში.

საქ. სსრ: 5 — იმერ.: სოფ. მოლითთან (კოზლოვსკი); 9 — ქართ.; ბაკურიანი (გროსპეიმი; შენგელია); ბაკურიანი, შულღიანთ უბანი (კოზლოვსკი); 10 — მთიულ.: სნო (სოსნოვსკი); 18 — ჯავახ.: გორელოვკა (გროსპეიმი). (რუკა 24).

სსრკ: იმიერკავკ.: (დალ.) ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; დას. ციმბ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ჭუნგარია-კაშგარია.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. სახეობა *Calamintha debilis* Benth. [А. И. Введенский, Бот. мат. Герб. Ин-та ботаники АН Узб. ССР, вып. XVI (1961)]. ა. ვედენსკიმ დამოუკიდებელ გვარად *Antonina* Vved.-ად აამალა ჯამის ტოლი გვირგვინისა და მხოლოდ 2 განვითარებული მტვრიანის მიხედვით. ახალი მასალის შეგროვების და გაღრმავებული კვლევის ჩატარებამდე ამ სახეობას გვარ *Calamintha*-ს ფარგლებში განვიხილავთ.

### 33330 27. CLINOPODIUM L.\*

ჯამი მილისებრია, ოდნავ მოხრილი, 13 კარგად გამოსახული ძარღვით, ზედა ტუჩი 3-კბილიანია რამდენადმე ჰორიზონტალურად გადახრილი, ქვედა—2-კბილიანი, სწორმდგომი, სიგრძით ზედა ტუჩის ტოლი, ჯამის ხაზა მეჩხერბეწვიანია; გვირგვინი მილისებრ-ძაბრისებრია, ორტუჩა, გვირგვინის მილი სწორია, ზედა ტუჩი მთლიანია, ამოკვეთილი, ქვედა 3-ნაკვეთიანია, შუათანა ნაკვეთი გვერდითებზე ფართოა, ოდნავ ამოკვეთილი. მტვრიანა 4, მიახლოებულია გვირგვინის ზედა ტუჩთან, გვირგვინის მილიდან ამოშვერილია და წვერებით

\* დამუშავა ზ. ლენინინძემ



ურთიერთ ენება; გვერდითი მტვრიანები შუათანა მტვრიანებზე გრძელია; შუაგულში საბამი სამკუთხაა, სამტვრე ბუდეები განშლადია. დინგის ნაკვთები თითქმის ღრმად არათანბარი ზომისაა, ბრტყელი. კაკლუშები მომრგვალოა, 3-წახნაგოვანი გლუვი. — მრავალწლოვანი მცენარეებია. ყვავილები მუქი ვარდისფერია ან მკრთალი იასამნისფერი, შეკრებილი მოპირისპირე ნახევარჩხრობად, ცოტად თუ ბევრად მოკლესუნწიანი; თანაყვავილები ხაზურ-ჯაგრისებრია.

10 სახეობიდან, რომლებიც ხმელთაშუაზღვეთსა, სამხ. და აღმ. აზიაში და ჩრდ. ამერიკაშია გავრცელებული, კავკასიასა და საქართველოში 2 სახეობა გვხვდება.

1. ყვავილები 15—20 სმ სიგრძისაა, თანაყვავილები 8—10 მმ სიგრძის, ჯამის ტოლი ან მასზე ოდნავ მოკლე; ჩხროები ძალიან მჭიდროა (8) 10—40-ყვავილიანი . . . . . 1. **C. vulgare** L.  
 — ყვავილები უფრო პატარა ზომისაა, 9—11 მმ სიგრძის; თანაყვავილები 3—5 მმ სიგრძის, ჯამზე მნიშვნელოვნად მოკლე; ჩხროები შედარებით ფარხატია x x x x . . . . . 2. **C. umbrosum** (Bieb.) C. Koch

1. **C. vulgare** L. Sp. Pl. (1753) 589; Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 57; Шенгелина во Фл. Груз. VII (1952) 402 (georg.); Борисова во Фл. СССР XXI (1951) 437; Ахундов во Фл. Азерб. VII (1957) 366; Дмитриева, Определ. раст. Аджар. (1960) 201; Капеллер в Определ. раст. Груз. I (1964) 432; Тер-Хачат. в Гроссг. Фл. Кавк. 2, VII (1967) 412; Ball, Getliffe in Fl. Europ. III (1972) 167; Тахт., Фёд., Фл. Еревана (1972) 264; Гладкова, Меницкий во Фл. Европ. части СССР III (1978) 187; Галушко, Фл. Сев. Кавк. 3 (1980) 57; Колак. Фл. Абх. 2, II (1982) 248; Leblebici in Davis, Fl. Turkey 7 (1982) 329; Rechinger, Fl. Iran. № 150 (1982) 517; — *Calamintha Clinopodium* Benth. in DC. Prodr XII (1849) 233; Ledeb. Fl. Ross. III (1849) 355; Boiss. Fl. Or. IV (1879) 579; Гроссг. Фл. Кавк. III (1932) 331; Колак. Фл. Абх. IV (1949) 71; Гроссг. Определ. раст. Кавк. (1949) 345; Макашвили, Фл. окр. Тбилиси II (1953) 108 (georg.).

Ис.: Hegi, III. Fl. V, 4, fig. 3201; Davis, Fl. Turkey, VII (1982) fig. 11; 11.

